ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

11

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის მეორე და მესამე გვერდებზე დაბეჭდილია ახალგაზრდა მხატვრის **ბოგი ფერეთლის** ნამუშევრები, რომლებმაც ამასწინად მოსკოვში მოწყობილ გამოფენაზე, დევიზით: „ქვეყნის სიკაბუკე“, — პირველი პრემია და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს.

კვირადღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

234

გამოცემის მეცხრამეტე წელი

11

ნოემბერი

1976

თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

კ. მარქსის სახ. სოც. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. ზრუნვა — შემოქმედებითს ახალგაზრდობას!

პროზა, პოეზია

5. იმედი ჯაბუა — ოქტომბრის გაზაფხული. ლექსი

6. ავთანდილ ჩხიკვიშვილი — მოთხრობები

30. ბეჟი ალხაზიშვილი — ლექსები

31. მაია ჩხიკვაძე — ლექსები

33. დილარ ივარდავა — ლექსები

34. ალექსანდრე ტაბატაძე — ლექსები

35. ვაჟა ხორნაული — ლექსები

36. გიორგი ბიწიდიკაური — ლექსები

37. თენგიზ კობერიძე — ლექსები

37. დიმიტრი ხორნაული — ლექსები

38. გიორგი ხორგუაშვილი — ამალლება. მოთხრობა

54. გივი ბაღულარია — ძაფზე ჩამოკიდებული ფიფქები. მოთხრობა

70. ქეთო ხაჩიაშვილი — ჩაფი. მოთხრობა

74. ვაჟა ჩორდელი — ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრუნვა — შემოქმედებითს ახალგაზრდობას!

დღეს მხატვრული შემოქმედების ყველა სფეროში გაისმის ნიჭიერ ახალგაზრდათა ხმა. საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი ძალების მზარდი ნაკადი იმ ხელშემწყობი ატმოსფეროს ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელშიც ჩვენი კულტურის განვითარება ხდება. ახალგაზრდა ლიტერატორები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს და ტელევიზიის მუშაკები, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის კლასიკოსთა ცხოველმყოფელ ტრადიციებს ეყრდნობიან, ცდილობენ მხატვრულად აითვისონ სინამდვილის ახალი შრეები, მკაფიოდ აღბეჭდონ თანამედროვეთა სულიერი სახის ნიშნები, გვიჩვენონ თავიანთი თანატოლები, რომლებიც სამშობლოს ბედისათვის პასუხისმგებლობის ტვირთს კისრულობენ.

XXV ყრილობის ტრიბუნიდან ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა სულ უფრო მტკიცედ შემოდის ცხოვრებაში. ამით აიხსნება ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა, კულტურის ორგანოებმა და შემოქმედებითმა კავშირებმა შეიძინეს.

ჩვენს პარტიას შემოქმედებითი ცვლის მომზადება და აღზრდა კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მას. ამის ახალი დადასტურებაა ახლახან გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ". პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით გაცხადებულ ამ დოკუმენტში მოცემულია შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის პროფესიული სწავლებისა და იდეურ-პოლიტიკური წრთობის მთელი სისტემის სრულყოფის გაშლილი პროგრამა.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდა შევუსაბამოთ კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპის მოთხოვნებს — ნიშნავს აღვაჭვეთოთ ნაკლოვანებები სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლისა და სასწავლებლების საქმიანობაში, განვამტკიცოთ მათი მატერიალური ბაზა, სერიოზულად გავაუმჯობესოთ ხელოვნების სასწავლებლებში მიღების პრაქტიკა, სადაც ჯერ კიდევ თავს იჩენს შერჩევის კრიტერიუმების არასრულყოფილება. მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა დარგს სჭირდება დიფერენციული მიდგომა, თვითეულ მათგანს თავისი პრობლემები აქვს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ. მაგალითად, ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებითი ზრდის დასაჩქარებლად უნდა გაეფართოოთ სახელოსნოების, სადამოფენო შენობების ქსელი, უფრო მეტი უნდა ეზრუნოთ ამისათვის, რომ მათთა საუკეთესო ნაწარმოები ჯეროვნად იყოს წარმოდგენილი გამოფენათა ექსპოზიციებში. მომავალი მსახიობებისა და რეჟისორების აღზრდას, უეჭველია ხელს შეუწყობს ინსტიტუტებთან სასწავლო თეატრების, საოპერო სტუდიების შექმნა, ხოლო პროფესიულ დასში შესვლისას — უფროსი ამხანაგების დაინტერესებული ყურადღება, პროფესიული ოსტატობის საკითხებზე მეცადინეობათა ორგანიზაცია, სამხატვრო საბჭოების მუშაობაში მონაწილეობა. შემოქმედებითი ზრდის დიდმნიშვნელოვანი სტიმული გახდება ახალგაზრდა მხატვართა, დრამატურგთა და კომპოზიტორთა ნამუშევრების შეკვეთისა და შეძენისათვის ასიგნებათა გათვალისწინებული გადიდება.

განსაკუთრებული როლი ენიჭებათ შემოქმედებითი ცვლის დამრიგებლებს უმაღლეს სასწავლებელში. იმ დროს, როცა ხელოვნების მომავალი სპეციალისტი პროფესიის ჩვენებს ეუფლება, მისი აღმზრდელები უნდა იყვნენ ავტორიტეტიანი ადამიანები, თავიანთი დარგის ნამდვილი ოსტატები, რომლებსაც უნარი შეესწავთ ხელი შეუწყონ შემოქმედებითი იდეიდან ინდივიდუალობის მტკიცე ჩამოყალიბებას, სასწავლებლების მასწავლებელთა სწორი შერჩევა, მათი პოლიტიკური და პროფესიული მომზადების ამაღლებისათვის ზრუნვა ახალგაზრდა ტალანტების წარმატებითი აღზრდის საწინდარია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული და კომკავშრომული ორგანიზაციების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საჭიროა გაითვალისწინონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სპეციფიკა სამხატვრო ინსტიტუტებსა და სასწავლებლებში, ახალგაზრდობისადმი გულისხმიერი, პატივისცემელი დამოკიდებულება შეუხამონ დიდ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას.

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე შემოქმედებითმა კავშირებმა ბევრი ღონისძიება განახორციელეს, რათა დახმარება და მხარდაჭერა გაეწიათ დამწყები ლიტერატორებისათვის, მხატვრებისათვის, კომპოზიტორებისათვის, მსახიობებისა და რეჟისორებისათვის, ხაქმე ეხება, უპირველეს ყოვლისა, ნიჭის გამოვლინებას, ახალგაზრდათა აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დადებითი როლი შეასრულეს თეორიულმა სემინარებმა, დისკუსიებმა, თათბირებმა. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს დავჯერდეთ მიღწეულს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდობასთან მუშაობის კომისიები და საბჭოები უფრო მიზანდასახულად მოქმედებდნენ, რომ უფროსადგილოდ არ რჩებოდნენ ენერგიის ავტორები, რომლებიც ჯერ არ გამხდარან შემოქმედებითი კავშირების წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა უფრო ფართოდ ჩავაბათ შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალი თაობის წარმომადგენლები პერიოდული გამოცემების სარედაქციო კოლეგიების, საგამომფენო კომიტეტების, სარედაქციო საგამომცემლო საბჭოების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელი ორგანიზაციის მუშაობაში.

ახალგაზრდათა მჩქეფარე ენერგია, შემოქმედებითი შემართება ახალ იმპულსებს უნდა აძლევდეს ჩვენი მხატვრული კულტურის განვითარებას, ამდიდრებდეს ხელოვნების ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობას. საქმე იმე უნდა დავაყენოთო, რომ დამწყებ ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს დროულად აქვეყნებდნენ ცენტრალური და ადგილობრივი გამომცემლობები, კიდევ უფრო უნდა განვითარდეს ახალგაზრდათა შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნების სერიებისა და ჟურნალების ნომრების გამოშვების პრაქტიკა.

ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციასთან მუშაობის მთელი სიხტემის სრულყოფის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული კონკრეტული ღონისძიებები ადგილობრივი პარტიული ორგანოების მოკმედების ზუსტი პროგრამაა. სწორად მოიქცევიან იქ, სადაც დასახავენ ლიტერატურისა და ხელოვნების კადრების აღზრდის დონის ამაღლების საფუძვლიან გეგმებს. გაამლიერებენ შემოქმედებითი კავშირების, კოლექტივების, სასწავლებლების პარტიული და კომკავშრომული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც დამკვიდრდა ლენინური მიდგომა, კულტურის განვითარების პრობლემებისადმი და თვითეულ ნიჭიერ ნაწარმოებს, რომელიც კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს ემსახურება, ეროვნულ მონაპოვრად მიიჩნევენ, ახალგაზრდობის შემოქმედებითი ზრდის უფაროოესი შესაძლებლობებები ესახება. მისთვის, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის, სისხლხორცეულად ახლობელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდების სიტყვები:

— ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! ბაღლა გეჰიროთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროს! მოაგებთ თქვენი ნიჭი და ოსტატობა ხალხის სამსახურს, კომუნიზმის საქმეს, შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებნი!

„პრავდა“. 22 ოქტომბრის მოწინავე, 1976 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის გაზაფხული

რევოლუციის ჯარისკაცებს.

ეს გაზაფხულიც იწყება შენით, —
დღეს უკვდავება ყვავილობს შენი! —
წინაშე შენი ამაყი რწმენის
განიხვნეს რათა ყოველნი ბჭენი!

ნაზამთრალ მწვერვალთ სიჭარბე სხივთა
სვეტად ნათლისა ადგებათ ციდან,
გვირგვინი შენი წმიდათაწმიდა
რომ გადადაფნოს სინათლის ფენით!

ამაღლდი ცაო, ჭერო ნათელო,
აივსე შუქით ნაპერწკლიანით,
რომ საქართველოს,
ჩემს საქართველოს
მზედ დაედინოს შენი კრიალი!

ეს ცა, მშვიდობის მზით დადაფნული, —
ზღვის სილაჟვარდე ნუმც ამოშრება!
— მომილოცნია ეს გაზაფხული,
აყვავებული მზისფერ დროშებად!

ავთანდილ ჩხიკვიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიკი

ფოთხრობები

უეცრად იგრძნო, რომ აღარ შეეძლო ქალის ნაღვლიანი თვალების ცქერა. ქალის უპეებში გაჩენილი სიფრიფანა ნოკი სუნთქვას უკრავდა, უჭერდა ყელში ქამანდივით.

ყრუ ჭვალები უელიდა მკერდში, როცა მის თბილ, სათნო მზერას გრძნობდა. მორჩილი ხდებოდა, ნელი და დამყოლი. პირველი იყო ასეთი მტკივნეული განცდა. მიწვდებოდა იმწამსვე სიგარეტს. ცდილობდა მოეშორებინა როგორმე უსიამო ფიქრები...

მოდიოდა მაინც სინაზე და სითბო გამშვირვალე, ოისფერ ნისლად. აატივტივებდა საკუთარ სიმსუბუქეში გულის მომწურავი სილბო და სისათუთე.

ითრიმლებოდა ღვედივით მისი ნება და სიამაყე. ებჯინებოდა მკერდში უცნაური სისუსტე.

ახელებდა ეს, ვერ წარმოედგინა საკუთარი თავის დაკარგვა და დანებება. ჭირვეული ბავშვივით ცდილობდა მოეხმო მკაცრი ნება და საკუთარი სურვილების ჟინი. ლიბრად ეკვროდა მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სახე ყოველ წამს თვალებს, მისი სურნელებით იყო გაჯერებული გარემო. უფითრდებოდა ამ დროს შუალი და ნესტოები. იბინდებოდა ყველაფერი, სახე და ფორმა ეკარგებოდა საგნებს, გულგრილობით იფარებოდა აქამდე არსებული, ყველა გარეშე და ახლობელი. მტვერი ედებოდა მანამდე გაჩენილ ყოველვარ ჭინსა და მიზანს.

იკარგებოდა თვითონ. ითქვიფებოდა ენითუთქმელ სასიამოვნო სინაზეში. ხეობაში შემოფარფატებული ნისლივით უსახლდებოდა სულსა და სხეულში სათუთი, წმინდა არსება. სწორედ ეს სინაზე და სისათუთე იყო მისთვის უცხო. მიჩვეული იყო საკუთარ სიკერპს. კუშტ მოუდრეკელ სიჯიუტეს. ცივი სიმკაცრით ცდილობდა საკუთარ არსებაში ყოველგვარი სისუსტის ჩახშობას.

ცივი იყო სხვების მიმართ. ძუნწი იყო, მით უმეტეს, საკუთარი გრძნობების გამჟოავნებისას, თუმცა გარეგნული მხიარულება დაჰქონდა ყველგან.

უყვარდა საკუთარ თავსა და სულში ბურჯგვნა და ჩხრეკა. იშვიათად, ისიც გაკვრით, ფიქრობდა სხვის სატკივარზე და უეცრად იგრძნო, როგორ შემოიპრა მის არსებაში ფაფუკი, ოისფერი ნისლი, როგორ მოთენთა და გააბრუა გულუბრყვილო ბუმბერაზის ძალითა და შეუპოვრობით. როგორ გადაავიწყა საკუთარი თავი და სხვისი ტკივილი საკუთარზე მეტად აატკივა.

ფრთხილი და ფხიზელი გახდა. თვითნერი ქოფაკის ერთგულებით ივსებოდა თანდათან.

გაჰკრავდა უეცრად წინანდელი სულისკენი სიმშრალე, აივსებოდა მაშინვე საკუთარი თავისადმი ზიზღით. ცდილობდა დაებრუნებინა ყოფილი ფუქი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

გამოერთო საკუთარი სხეული და სული ტბილ, მაგრამ გამუდმებით დაძაბული სიფხიზლისაგან. ეტანებოდა ამ დროს ნაძალადევ მხიარულებას, აღტკინდებოდა უჩვეულოდ, საშიში სიშმაგე იმალებოდა ახლა მის მოგრნილ სამ-ში შეიდეში.

ღლიდა ეს უარესად. ფიტავდა, ხრავდა...

და იგრძნო: ვერ გაუძლებდა ამ გაჭიანურებულ წეწას და გლეჯას. ერთი დაკვრით უნდა გადაეთიბა ყველაფერი. ძნელი და მტკივნეული იყო, მაგრამ მხოლოდ ამაში არსებობდა ხსნა.

უნდა აღეკვეთა საკუთარი თავისთვის გამუდმებული ნატვრა და სურვილი. ჩაბრუნებულიყო ისევ და ისევ აწ უკვე მოსაწყენ და ასაყმეილებელ სიმარტოვეში. დრო იყო, ეფიქრა სხვაზე, სხვის გამფრთხალ მოლოდინზე, უპეებში გაჩენილ ნაოჭებზე, ძილგამკრთალ, შეშინებულ და ნაღვლიან თვალებზე. დრო იყო, სიცოცხლეში ერთხელ მაინც გაეწია ვიღაცისთვის თანაგრძნობა, თუნდაც მთელი ქეეყნის სიძულვილად, რომ დაჯდომოდა მაინც.

...ახლავე უნდა წამოსულიყო, რაც შეიძლება ცივად და გულგრილად. მოდიოდა, წყევლიდა საკუთარ თავს... დრო ზე უნდა შეფარებოდა რაღაცას, შეენაცვლებინა უნდა რაიმეთი, ქალის სურნელებისგან ატანილი სხეულის ამბოხი...

დარიგება მაღალ, ჭაღარა მამაკაცს ეკუთვნოდა. წვრილი კისერი და ჩამოვარდნილი ხვანჩი ჰქონდა. ჭრიდა დასტას, უთამაშებდა ყოველ ჩაკრაზე ხვანჩი. სასაცილოც კი იყო ამისი ცქერა. ჩამოარიგა, როგორც იქნა, კარტი.

მცირე თანხაზე დაიწყო თამაში. იგრძნობოდა მშვიდი სიდარბაისლე. ეგ კი იყო, ლიპიანს გამუდმებით ეჭირა სიგარეტი. ტუჩის კიდეში მოემწყვდია. თვალს უწვავდა ხანდახან კვამლი, ჭუტავდა წამდაუწუმ. მიიტანა აცრემლებულ თვალებთან კარტი. გადაიგდო თავი. გაჩითა ისე.

— ჩემია! — თქვა უცებ კმაყოფილებით სავსემ, — აბა, რა გეგონათ თქვენ? — ერთი ხელით მოგებული ფული მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული

ვეტა, მეორეთი კარტის დასტას დაწ ვდა.

გაუშეშდა ჭაღარას ხვანჩი. ხარბად გააყოლა თვალი წაგებულ ფულს.

პირველად მაშინ იგრძნო უსიამოდ თავი, ბოლო ხელი ეკუთვნოდა მას. ჩამ ქრალ სიგარეტს მოუკიდა, მოჩვენებითი სიმშვიდით დაელოდა თაეის რიგს და პირველად გაპკეწწა მაშინ, რა უნ დოდა აქ, რა ესაქმებოდა ამ ხალხში? პირველად, მაგრამ შემაწუხებლად შემოენთო ეს გრძნობა.

იზრდებოდა თანდათან თანხა. გაუცხელდათ საფეთქლები. დაებერათ კისრის ძარღვები,, ღიპიანმა ბიჯაკი გაიძ რო, საყელოც გადაიღეღა.

ნერვიული, ცქაფი გახდა ყოველი მოძრაობა. მოუმატეს ხმაურს. აიშვეს თანდათან. ეელური კმაყოფილება უკრთოდა თითოეულს თვალებში, განსაკუთრებით ღიპიანი იყო მაგარ გულზე, არ თმობდა არც ერთ ჩასვლას, ბერავდა და ბერავდა ისედაც უზომოდ გაბრდილ თანხას.

ცხელი, ამღვრეული აზარტი იწყებდა დუღილს.

იზრდებოდა ნელ-ნელა უსიამო გორგალი, აწვებოდა ყელში. იჯდა მაინც გაუნძრეველად. უყურებდა ფულის მონურ, სძაგელ სიყვარულს. ივსებოდა თანდათან ცივი სიმშვიდით და ზიზღით იმახსოვრებდა თითოეულის მოძრაობას, სახის გამომეტყველებას.

დაანება მოსაგები ხელი ღიპიანს, გულგრილი გამომეტყველებით ჩავიდა წაგებულ თანხას. მშვიდი მზერა შეაგება მის ირონიას, გაღიმებაც სცადა.

დაინისლა ოთახი სიგარეტის კვამლით, გაბუნდოვდნენ თანდათან სახეები.

შეეჯახნენ ერთმანეთს ღიპიანი და მეორე — შავგვრემანი მამაკაცი — გადაეღეღა, გაეხსნა პერანგის ყველა ღილი, მოშვებული ჰალსტუხი მაისურზე ეკი თა. გაასწორა და გახსნა ღიპიანმა. ერთნაირი ქულები აღმოაჩნდათ. რაღაც მხიარული გაუკრთათ დანარჩენებს ოთახში ლებში. შეაესო თანხა სუყველამ.

დაიწყო ჩამორიგება. პირველი სტუკვა მისი იყო. გაზარდა კვლავ თანხა. ბრაზი ახარჩოდა რატომღაც. გამოეთიშა რამდენიმე, ღიპიანი და შავგვრემანი შემორჩნენ. ისევ გაზარდა. გაუსწორეს.

დაიძაბა ყველა. შავგვრემანმა დაყარა კარტი.

ნერვიული თრთოლვა აუვარდათ კაცებს. ღიპიანი შეჩერდა. შემოხედა, ბრაზით შეაგება თვითონაც მზერა ქუშად მერე, გაუნძრეველად ჯდომისას დაბუეებული ტანი ერთი წამით შეარხია, უფრო მოხერხებულად მოეწყო სავარძელში. ნელ-ნელა დაუსვეა მხრები და იღლიები ოფლმა. სიგიჟემდე მოუნდა უცებ სიგარეტის მოწევა. გრძნობდა, დღეუპვას უქადდა ეს. რამდენიმე წამი უნდა დაეცადა, ახლა არაფერი არ შეიძლებოდა აღელვებულიყო, უფრო სწორად, ბრაზის დაოკება იყო აუცილებელი.

ნესტოები გაუღიზიანდა სიგარეტის ფერფლისა და კვამლისაგან. უეცრად დაეცემინება მოუნდა, გაჯრეგებით შეიმაგრა თავი.

ოფლის მსხვილი წვეთები დასხდომოდა შუბლზე ღიპიანს. აბურძგნოდა თხელი თმა. ერთი კულული საფეთქელზე მიკვროდა. თეთრი, მსუქანი თითებით ჩითავდა კარტს, მოეკუტა ცალი თვალი, ისე დაჰყურებდა, კბილებით ჩამქრალი, დანერწყვილი სიგარტი ეპირა, გადახსნილი იყო სანახეროდ ფილტრი.

კვლავ მოუნდა დაცემინება, გულის ჯიბეში ჩაიყო ხელი, გახევებული თითები მისეულ ცხვირსახოცის თხელ მარმაშს მიწვდნენ, უეცრად გალღვა თითებს გადაკრული სიცივე. უადრესად დიდი, ძლიერი სითბო მოაწვა გულმკერდზე, გაქრა დაცემინების სურვილიც. სათუთ სინაზეს გადასცემდა მთელ სხეულს ცხვირსახოცის სიფრიფანა ქსოვილი. მისი სურნელება შეიგრძნო ერთბაშად — მოდუნდა და დაიბანგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუნდა გაქცევა. იხმობდა, ეძახდა ქალის სურნელება. გაზაფხულის მღვრიე, დაფუშენდავი ბუერანით გაჯერდა ატაურობა.

აუტანელი გახდა მოლოდინი. ფულსა და კარტს ჩაფრენილი, ნერვებადფცეცელი ამდენი მამაკაცი, ცხელი აზარტით გავსებული ოთახი, ავად გაყინული დრო.

შეინძრა უეცრად სისხლგამოცლილი მსუქანი თითები, მოშმუშნა კარტი.

დაასწრო თვითონ. იდაყვით მიწინა „ბანკისკენ“ ფულის გროვა. წაიწყდა სიხარბითა და სიძუნწით აპრიალებულ რამდენიმე წყვილ თვალს, გაოფლილ, ფერდაკარგულ სიფათებს.

მძულვარებით აივსო ერთბაშად. ეს გაქსუებული სხეულები ჭიმავდნენ ასე უსაშველოდ დროს. თვითდაჯერებული კმაყოფილებით ეწინააღმდეგებოდნენ გაზაფხულის მღვრიე, ფაქიზ სურნელებასა და სინაზეს.

შფოთიანი სურვილი კლავდა, დარეოდა ამ სიმაძღრისაგან გათახსირებულ ხროვას, დაელეწა მათთვის თავპირი.

თვითონვე შეაკრთო საკუთარი სულის შლეგმა აღრენამ და გაცოფებამ.

ღიპიანი მოეშვა, შეშფოთებული შეაჩერდა მის პიჯაკის ჯიბეში ავად ჩაყოფილ მარჯვენას, დამთხვეულის ცეცხლით აპრიალებულ თვალებს.

მსუქანმა თითებმა შეუჩვეველი, ღუნე მოძრაობით დაყარეს კარტი.

აფეთქებასავით გაისმა რამდენიმეს ღრმა ამოხვნეშება.

დაადგო თვითონაც დასტა. მოეშვა ერთბაშად. სველი ტანსაცმელი იგრძნო გაყინული სხეულით. — შეამცივნა...

— ბლეფი! — აქოთქოთდნენ უეცრად, — რა რისკია!

მარჯვენა ამოიღო ჯიბიდან. თხელი ცხვირსახოცით მოიშშინდა შუბლი. დამხვრჩვალი კაცის თვალები ჰქონდა ღიპიანს. ფილტრს მოშორებული, დანერწყვილი სიგარეტი კარტს დაეცა, ახლა დაკრეჭილი კბილებით სიგარეტის ყვითელი ფილტრი ეჭირა. მხოლოდ ხარბი ნაფაზებით ეწეოდა.

გაქრა უეცრად მძულვარება, ზიზღი დარჩა მხოლოდ. გაუშეშდა მზერა კარტის გროვაზე დაგდებულ ვულისამრეკვად დანერწყვილ სიგარეტზე.

ახლა კი უფრო მძაფრად შემოენთო გულზე თავდაპირველად გაკენწლილი შეგრძნება. გამიჯვნოდა ამ ხალხს, მოშორებოდა ატაურობას. დახედა უცებ ცხვირსახოცს. შეუგუდა სუნთქვა, დამალა სასწრაფოდ.

დაიძრა ერთბაშად გაყინული დრო, გადაალაჯა ნერვებისაგან შეჩერებულ წუთიერ მონაკვეთს. სისხლი მოაწვა საფეთქლებს, სისუსტე იგრძნო. დამბლადაცემულივით ჰქონდა მომჩვარული სხეული. მოექანცა გამუდმებულ სიფიზიწეს. ვეღარ უძლებდა საკუთარ თავს, წუთიც და მოიდრიკებოდა, დაეცემოდა მუხლებზე და ამდენი სიჩუმისგან მოფეთვნილს, ცრემლები წასკდებოდა ალბათ. წაიშლებოდა, შეიბღალებოდა თავისუფლებისა და სიამაყის დამთხვეული ლტოლვა და სიყვარული.

გაქცეულიყო უნდა, მოშორებოდა ატაურობასაც. ცოტა ხნით მაინც შერჩენოდა საკუთარ თავს.

არადა, ავად დაშიმული, ბრაზიანი ნერვები იმსხვერპლებდა ვიღაცას. არ იყო იგი გაჩენილი გაზაფხულის მღვრიე მაორობელა ჯანღისათვის, საშინელი იყო ამის წარმოდგენაც კი.

ისევ შემოენთო ქალის სურნელება. მკერდზე მოღიტნე სუნთქვაც მიწვდა უეცრად. სიგარეტს მოუკიდა და წამოდგა...

ღრუბლიანი, მკრთალი საღამო იდგა, ქუჩის ნათურების სიახლოვეს ჰაერი თითქოს შედედებულიყო კვამლისფრად, „გაწვიმდება ალბათ“.

მიშვებული იჯდა, ცალი ხელი საკბისთვის ჩაეყლო, მეორე სიჩქარის სახელურზე ედო. მოღლილ თვალებს შემ-

ხვედრი მანქანის შუქზე ოდნავ ჭუტავდა, ამ დროს კიდევ უფრო ძლიერდებოდა ბურუსი.

მღელვარებას დაესუსხა მთელი ტანი, ნერვიული ბორიო მოდებოდა მთელ სხეულს.

გაწვიმდა. მსხვილი წვეთები შეასკდნენ მანქანის ჭარსაფარ მინას. უკლო სიჩქარეს, სანახევროდ ასწია გვერდითი მინა. უსველდებოდა მაინც მხარი, არ აქცევდა ყურადღებას. გრძნობდა, უჭირდა სუნთქვა, არ ყოფნიდა ჰაერი. ნერვების ბრალი იყო ყველაფერი. ასკდებოდა საკუთარ თავს, ეწინააღმდეგებოდა. ეძებდა გასამართლებელ საბუთს, უნდოდა მოეხვია, მობრუნებულიყო უკან. აღარ შესწევდა ძალა. ცახცახებდა ბრაზისაგან. ვერ იმორჩილებდა საკუთარ ყინს. თვითონ ყინი და ვნება იგდებდნენ აბუჩად მის ამპარტავნულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

უკვე ხვავრიელად წვიმდა... დაბნელდა...

სიჩქარეს კვლავ უკლო, გააჩერა. გახედა სახლს. ფეთიანი, გოგი ტკივილ ეტაკა ყელში, აყმუვლდა უეცრად სულში ფეხაკრეფით შემოპარული ეშვი, პატრონდაკარგული ძაღლის განწირულებით, უემური, პირკუში იყო უსინათლო სარკმელი.

უკუღმართმა, მარტობის ჩუმმა სევდამ შეიპყრო ერთიანად. საოცრად მოუნდა ვინმე სულიერის თანაგრძნობა. ბნელი იყო სარკმელი, კვლავ წვიმდა. იგი იჯდა მარტო მანქანაში. ველური მრისხანება და სიძულვილი შემოენთო მთელ სხეულს. მოიქცია ამ სიძულვილმა ყველა ახლობელი და უცხო, წინაპარი და მომავალი, თავიანთი დაწესებული კმაყოფილი მორალითა და ზნეობით, საძაგელი, გულისამრევი ეროიკანობით. ამმაგებდა, აცოფებდა საკუთარი უსუსურობა. ფეხქვეშ რომ გაგებოდა სხვათა მორალსა და ზნეობას, მისთვის არაფრად გამოსადეგ ადათს და წესს.

ჩართო ძრავა, დამთხვეულივით მოსწყდა ადგილს. აღარ ფიქრობდა არაფერზე, სად ჰქონდა ფიქრის თავი დაბნეულივით გონებასა და სხეულს.

დაიძაბა უეცრად, ჩაიფრინდა საშეს. მთელი სიმძიმით დაეწვა მუხრუჭს. უკანა, გაცვეთილმა საბურავმა მანქანა მარჯვნივ მოისროლა და ქვაფენილის ბორდიურზე შეაგდო.

ხავილით აღმოხდა გინება. გახედა სარკმელს.

„კიდევ კარგი, — გადარჩნენ, ოხ! ამათი“...

შუა გზაზე გადამდგარი გოგოები მისკენ მორბოდნენ, კარი გააღეს, დაუკითხავად ჩასხდნენ.

ნერვიული ბორიო ისევ უტრიალებდა სხეულში. ოფლი თვალებში ჩაუდგა.,

— რა კარგია, რომ გაგვიჩერეთ, ისე გვეჩქარებოდა... დაბადების დღეზე მივდივართ. ეიმე, სულ დავსველდით.

საოცარი იყო პირდაპირ ასეთი მიამიტური თავხედობა. იჯდა მთლად მოშვებული და წვიმის წვეთებისგან გადადღაბნილ სარკმელს მიშტერებოდა. შიშნაკამა ერთბაშად ძილი მოუნდა, მთლად გამოეცალა მთელი ძალა და ენერგია.

— რატომ არ მიგდიხართ? — იკითხა ერთმა და შეხედა, შეცბა უეცრად, — გვაპატიეთ, — უთხრა ჩურჩულით.

იცნეს.

— სად გინდათ? — ფხიზლად ეჭირა საქე, ფრთხილად იხედებოდა აქეთ-იქით.

— ეთხოვოთ რა, შეიძლება წამოვიდეს, გაგიდებიან, ერთად რომ მიეალთ, — მის გასაგონად ჩურჩულებდნენ.

გაეღიმა უეცრად საკუთარ თავზე, დამორჩილებული კაცის ღიმილი იყო ეს.

...ხელის გულით გრძნობდა ბროლის სიგრილეს. უხმოდ, ნაძალადევი ღიმილით იჯდა. აღიზიანებდა გადაკარბებული ყურადღება. ეს ნაადრევად დაქალებული, კეკლუცი გოგოები ერთ ამბავში იყვნენ. ათასგვარ სასულელეს ყბედობდნენ. უწინ უხაროდა, კმაყოფილების გრძნობა მოიცავდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი ფეხზე გადაედოთ, მოეშიშვლებინათ წვიები, აბოლებდნენ უგემურად სიგარეტს. რამდენიმე ყმაწვილი ბოროტად უყურებდა. ერთ-ერთი, ბოხხმიანი, ღვინოს აძალებდა. სვამდა, სევდას მოეცცა მალილანად, სიამოვნებდა ღვინის გამაბრუებელი ბანგი. აღარ ელოდა სხვის დაძალებას, თვითონვე ისხამდა, სვამდა...

ცეკვავდნენ, თვითონ უარი თქვა, არ ცეკვავო, ბოხხმიანი ყმაწვილი გაფუებულ მკერდსავსე გოგოს ჩაკვროდა, თავი კისერში ჩაერგო, ხელები თეძოებზე შემოეწყო. მერე მუსიკა გამორთეს. ვიღაცამ სანთელს სული შეუბერა, გაფუებული გოგო სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა, დაანება, მოხვია წელზე ხელი. უცერად უმწიფარი გოგოს უსიამო სუნი ეცა სძაგლად. აუფორიაქა გულმუცელი. წამოდგა, მოიშორა კაბასავით გატრუნული გოგო. ამჩატებული ნაბიჯით გადაკრა დარბაზი, საპირფარეშოს კარები მოწია. შეცხა ანაზდად. ბოხხმიანმა ხვანჯარი შეისწორა, ზურგს უკან დამალა ხელები. შიშნარევად დაახამხამა დამფრთხალი თვალები. მოეკახუნა კარი. ვეებერთელა ზიზღმა პირიქით იმოქმედა. დაუწყნარდა ყელში მოწოლილი გულმუცელი. ნელ-ნელა გამობრუნდა. აზრის მოკრებას ცდილობდა დაბნეული. ღვინო მიაწოდეს, დალია. იდაყვზე ვიღაცის მთრთოლვარე ძუძუს გრძნობდა. აფორიაქა ამანაც, წამოვიდა კარისკენ, გაღო.

— სად მიდის, მე მაგის... — ყვირილი და ჩოჩქოლი გაისმა ბინიდან. დაეშვა კიბეზე. უეცრად თავში მოხვდა რაღაც. დაკვესეს თვალებმა, წაბარბაცდა. დაუშინეს ცხვირ-პირში. წაეკიენენ სუყველა, საშინელება იყო პირდაპირ, გაჭირვებით ამოიღო შარვლის უკანა ჯიბიდან ბინის მოზრდილი გასაღები, ჩაბღუჯა. მოუქნია ბოხხმიანს. ფეტცუნით გაცვივდნენ იმ წუთში. დაანებეს შეშინებულებმა თავი. სიმწუთხით აევსო პირის ღრუ, ეწვოდა მოჭეკილი ენა. გადმოაფურთხა, გააღო მანქანის კარი, მიუჯდა საჭეს. უკვე აღარ ერეოდა გული.

ამოტივტივდნენ უეცრად მისი თვალები. სევდიანი და დაღლილი. ორი ახალი ნაოჭი გასჩენოდა უპეებს. გაუღიმა უეცრად, წყნარად.

საოცრად მოუნდა ახლა მისი მშვიდი ღიმილი, სურვილისგან მოეწურა გული. კიდევ კარგი, ცხვირ-პირი დალეწილი ჰქონდა, კიდევ კარგი, პირქუში და ჩაყუმული იყო უსინათლო სარკეული.

თუმცა ძნელი იყო სურვილის დაძლევა. მოდებოდა ტანზე ცხელი, ბორიო ერუანტელი, მოეწალა ერთიანად გული. კინაღამ გააცოფა მისი სუნთქვისა და სითბოს გახსენებამ. მღვრიე, დაბინდული ქაოსი ითრევდა, ისრუტავდა თანდათან. აღარ შეეძლო ასე ქალაქში დარჩენა, საშინელი იყო მანიც ეს ქალაქი. ფხიზელი შურისმაძიებლობითა და ბოროტი ჯორით. მარტო რომ ყოფილიყო, სიცილადაც არ ეყოფოდა ქალაქის მთელი სიჭრელე. ტკივილამდე მისული ბრაზი ხურნაგივით სცემოდა ყელში.

უნდა წასულიყო, გადაკარგულიყო ქალაქიდან.

აპრიალდებოდა ხანდახან სველი ჩინჩხვარი ერთიანად. ჭერამდე გაანთებდა ჯარგვალს — ზვიმისგან ჩამომპალ, ჩაშავებულ ყავრებს, მორებს შორის დარჩენილ ღიადოებს, კუთხეში მიყრილ და მილაგებულ სურასათის ჩანთებსა და სავაზნეებს, კედელზე გარდიგარდმო და თავჩაღმა დაკიდებულ თოფებს.

ხრჩოლავდა ცეცხლი, დაბორიალებდა მწვავე კვამლი კარავში. ჩაეხრაკა ყელი. თვლებშიც ტბად ადგა ცრემლი, დაუსივა ქუთუთოები ამდენმა თვალზე მომდგარმა და შემშრალმა ცრემლმა.

მოვარდებოდა ხანდახან დასავლეთის სუსხიანი ქარი, შემოყრიდა ჯარგვალის ღრიჭოებში ქვამარილივით მაგარ და ხორშაკ თოვლს. წაყარიდა ცეცხლს, ააშშინებდა უსიამოდ ისედაც დაზეპილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაკენჭილ შეშას. წამოხვეტაცდა მერე ფერფლს, ააბუდებდა მთელ კარავს.

ქარის დაბერვაზე დაღლილინებდნენ ათასგვარი ლანდები ჯარგვლის კედლებზე და ჭერზე.

ამოახვეელა ვიღაცამ, ჩაბეირდა სიმწრისაგან, გადმოაფურთხა ცეცხლისკენ. შეიკურთხა რატომღაც მეორემ, ხვნეშით იცვალა გვერდი. იკუბეზოდნენ თხელ საძილე ტომრებში, წრიალებდნენ, შფოთავდნენ წამდაუწუმ.

ასე ადრიან არავინ ელოდა თოვლს. მოაწვა ჯერ დასავლეთიდან მძიმე ნოტოო ნისლი, მუქი, საოცრად ჩამოიგრაგნა, ჩამოაწვა ხევებსა და ფერდობებს. მიამიტი ბუმბერაზის გულუბრყვილო სკლით მოიარა და დაფარა მთელი ტაფობი. ნაშუადღეევს დათბა, ნისლმაც აიწია ოდნავ, შეერია მღვრიე, საავდროდ გამზადებულ ღრუბლებს და მერე გათოვდა. ერთბაშად დაიწყო ფართე. მძიმე ფანტელების ცვენა. გადაათეთრა, გადაპენტა ხეებუეებისა და ფერდების ბრელი ქათიბი, სინათლე შემატა პირქუშ, ჟამისფერ ტყეს.

გაცივდნენ მაშინვე კარვიდან. ტყისპირებს ეედვენნ წყვილწყვილად. ნადირი ჩამოვარდებოდა აეცილებლად დაბლობში. გაფაციცებული უთვალთვალებდნენ და აყურადებდნენ თითოეულ დარხეულ ჩქამსა და ბუჩქის შერხევას.

მყავე წყაროებთან გაისმა პირველი გასროლა, მოყვა მეორე, აფრთხვინდა მერე სროლისა და მისი ექოსგან მთელი ტაფობი.

გადაიკარა საღამოს პირზე. აციაგდ მარიხი და ღრიანკალი, დაიჩრჩილა ცა ბეეტელა ვარსკვლავებით, დასავლეთის კუნაპეტი მთა იდგა მხოლოდ განდეგილი და შავი ღრუბლებით მოქუფრული.

შემოჰკრა სუსხმა. მოუბერა და მოუქირა მერე. ძალებში გაატანა ნესტმა. ცეცხლთან გადებულ ხარიხაზე მატყლის სველი წინდები შრებოდა, იქვე რამდენიმე წყვილი მძიმე, ძირდაპორკლილი ფეხსაცმელი და მოპრუქნული ქალამანი ეყარა. ჯოჯგინებზე შრებოდა ... შარვლები და ქურთუკები.

მწვავე ტკივილი ჩაბუდებოდა მარჯვენა ფეხსა და თეძოში. ძალებში ჩასულიყო ნესტი და ავდარი, ტეხდა სასტიკად, წიწკნიდა, უწეწდა მყესსა და რბილს. მოხარა გაპირვებით ფეხი, თბილი ხელისგულით დაუწყო მუხლის სახსარს სრესა. სულ მთლად გაცივებოდა ფეხი, შეაჯრჯოლა. ხელის შეხებისას. გალიგგული, გაყინული იყო უშნოდ შეხორცებული ნაჭრილობები. უცნო სხეულივით აწუხებდა ჭრილობის ნაკურტა ნაკერები.

გარედან შემოჭრილი მგლების ყმუილი და ტურების ჩხავილი აკოფებდა ქვედა კარავში დამწყვდეულ ძაღლებს. საზარელი იყო მგლების ყმუილი ამ გაყინულ, კვამლითა და ღლიცინა ლანდებით სავსე კარავში. იწვა შეცივნული, თვალგახელილი, დახუჭავდა თუ არა, განჰდებოდა მაშინვე მისი სახე, მისი სურნელი შემოყვებოდა დასავლეთის ხორშაკ ქარს.

ერთიანად დაკბიმული ნებისყოფა რომ არა, ალბათ, თვითონვე შეაშფოთებდა ამ ჩამომპალ და ჩამოძენძილ კარავს, დაღლილ და კმაყოფილ სხეულებს — ათასი სიზმრებით გაბურანებულთ.

ცივი სიმკაცრით ცდილობდა სხეულისთვის და სულისთვის მოგონებების აღკვეთასა და აკრძალვას.

იგი კი მაინც მოდიოდა, ნისლივით ფაფუკი და ნაზი. მოდიოდა გულუბრყვილო ბუმბერაზის დინჯი სკლით, რაღაც თავგაწირული შეუპოვრობით და მცხუნვარე სუნთქვით.

გამთენიისას იძალა ნისლმა, დაბურა მტრედისფერი ზეცა, ააფარფატა ვეებერთელა მთები, აიტაცა თვითონაც, მოაშორა ყველას და ყველაფერს, შემოეკედო ირგვლივ, შეისრუტა, შეიწოვა მთლიანად, წაიყლია მორჩილად...

სარკმლიდან შეპყურებდა გათენებას. ქალაქში მოიპარებოდა ალიონი. პირველმა მანქანამ ჩაიქროლა ქუჩაში. წყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადენის სახურავს გადაუარა, ლითონის უსიამო ჟრიალი მოაწყდა სარკმელს. მანქანამ მოუხვია, სახურავების წრიპინი მოისმა მოსახვევიდან. მეეზოვის ცოცხი აფხაკუნდა მერე ქუჩაში. რამდენიმე წუთში რძის მანქანა მოადგებოდა მოპირდაპირე სახლის მაღაზიას. ატყდებოდა ბოთლებისა და მავთულის კალათების ჩხარუნი.

კრთებოდა უმნიშვნელო ჩქამზე. ებჯინებოდა გული ყელში, დამფრთხალი ნადირივით ჰქონდა სხეული. გაფაციცებოდა, დამუხტოდა ყოველი ნაკვთი და ნერვი. ღლიდა საოცრად ასეთი შუნელებელი სიფხიზლე და მზადყოფნა. აფორიაქებული ფიქრობდა: წყალსადენის სახურავზე, მანქანაზე, მძღოლზე, ცარიელ და რძის ბოთლებით სავსე მჩხარუნე კალათებზე. გრძნობდა, როგორ იპყრობდა მის სულსა და ტვინს სიბრაზე და გააფთრება, როგორ შეიძულა ვიღაცა, სრულიად უწყინარი ადამიანი, თავისდაუნებურად მის სამყაროში შემოჭრას რომ ცდილობდა. თვალები დახუჭა, მოადუნა დაღლილი ქუთუთოები, მოეშვა ერთი წამით. იგრძნო მისი სუნთქვა. დახედა... გაქრა ალიონი, მანქანა, ქუჩა, რძის ბოთლები. მოალბო უაღრესმა სინანულმ. მისი თავი მკერდზე ედო, სპილენძისფერი თმა გაშლოდა კისერსა და მხრებზე. ნაზი, ვარდისფერი სხეული ჩაკვროდა მას. მშვიდმა ძილმა და თბილმა სხეულმა გააბრუა. საოცრად დიდებულმა განცდამ შეიპყრო. გადმოიწია, აკოცა თმაზე ფრთხილად. დაბანგა ქალის ცხელმა ტანმა და სუნთქვამ გააშეშა. შეინძრა იგი უეცრად ძილში, ლოყით გაეხახუნა მკერდზე, შესწორდა, მიეკრა უფრო.

ქალი მის ყელთან სუნთქავდა. აებურძგნა ტანი. იწვა მაინც გაუნძრევლად, დარაჯობდა მის ბედნიერ, უშფოთველ ძილს.

მოდიოდა ეს ნებიერი, მშვიდი ძილი სადღაც წარსულიდან, უსასრულობიდან, მოჰქონდა სანაზე და უზრუნველობა. რაღაცნაირი დარბაისელი კდემა და აღფრთოვანება...

გამოაფხიზლა კარის ჭრიალმა და ძაღლების ყეფამ. ამოსულიყვნენ ქვედა კარავიდან, ამოყეფანათ ძაღლებიც. მხიარული გნიასი იდგა კარავში. ხორხოცებდნენ, ისრესდნენ გაყინულ ხელებს. აცეტებულიყვნენ ძაღლებიც, ეტოტებოდნენ პატრონებს მკერდზე და ზურგზე.

გამოძვრა საძილე ტომრიდან, ძლივს გაშალა მარჯვენა ფეხი. ტეხდა სახსარში, თბილი წინდები ჩაიცვა, შალის სვიტერი ისევ სველი იყო —ოხშივარი ადიოდა ჯერაც. ქუთუკი მოისხა მაისურზე. კოჭლობით გავიდა გარეთ. თვალი მოსჭრა მზისგან აპრიალებულმა თოვლმა. ბრწყინავდა ბუნება. დეკიანი და შქერნალი მთლად ჩაეჩურთა თოვლს.

კარის გარე კედელზე ორი მგლის, რამდენიმე მელიის და ტურის ტყავები იყო გაწკიპული, კვერნის ტყავები შიგნით ჰქონდათ. ყინვისგან დაღრეკილიყო ტყავები, ეღალი მელიის ტყავს, ხორცის ნაჭერი შერჩენოდა სამუცლესთან, წითლად ღვიოდა ხორცი.

შემოკრა წელზე სიცივემ, ხორშაკი ზენა ქროდა. გაიქნია ხელები, ჩაბუქნა რამდენჯერმე, არ ემორჩილებოდა მარჯვენა. ვერ წავიდოდა დღეს სანადიროდ ვერ იფლიდა ნამდვილად, შებრუნდა კარავში, ცეცხლს მიუფიცხა შემცივნული ხელები. ღადარში კარტოფილს წვავდნენ, მთელი გოგორა პური მიეფიცხებინათ ნაკვერცხლებისათვის. მოწწული ბოცდან ვიღაც არაყს ასხამდა მორჩილ ჭიქებში...

სიგარეტს ნაკვერცხლით მოუკიდა. იჯდა ცეცხლის პირას, ფართო ხელები ნაკვერცხლისთვის მიეფიცხებინა. წავიდნენ უკვე სხვები სანადიროდ. აუტანელი სიჩუმე იწვა ირგვლივ. წამი-წამმა ელოდებოდა გასროლის ხმას. ჯოჯგინაზე გაკიდული სვიტერი შეაბრუნა.

ალთანდილ ჩხეიკვიშვილი
ვოლოხროტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სველი იყო ჯერ კიდევ, ძნელად შრებოდა ხამი, შინნაქმოვი მატყლი.

იქუხა უეცრად. თოფის ბასროლა ეგონა თავდაპირველად. ძალიან დიდ-ხანს გრძელდებოდა თოფის გრიალი. ზავი ჩამოწვა სადღაც.

წამოდგა, დაწვდა ზურგჩანთას. ამოიღო თხელი პულოვერი, რაღაც აჩნდა მხარზე ცისფერ ქსოვილს, დახედა. შეაერქოლა უცებ, ნოტიო ბუსუსები გაეფინა გულმკერდზე.

სპილენძისფრად პრიალებდა მის თითებში ერთი ღერი თმა.

მიუალერსა, გთმა ერთიანად, ამჩატდა, ამსუბუქდა. დაბორიალდა უცებ გიჟივით, ჩაიცვა სასწრაფოდ, შემოიკრა წელზე სავაზნე და ქარქაშიანი სანადირო დანა. დაალო თოფს ხელი.

წინ იყო გრძელი გზა; თოვლით, ხეებით, ნამქერებითა და ღარცოფად წამოსული ყინვა მდინარეებით. წინ იყო დამაბრმავებელი ქარი და ნისლი. ჯანდაბას მტკივანი ფეხი, ნისლიც და ნამქერიც, ჯანდაბას ხმაურით და ჭორით სავსე ქალაქიც, უამთოდ არ შეიძლება ბედნიერება, რომელზეც ერთი ღერი სპილენძისფერი თმითა გამოკიდებული თვითონ. მთავარი იყო, ნისლისთვის გაეღწია. ახლავე, ამ წუთში უნდა წასულიყო.

ბრქყვიალებდა მზე ათასფრად. განდეგილი მთა იყო მხოლოდ ნისლით დაბურული. მოდიოდა ნისლი, ბუმბერაზი სჯლით და ზმორებით, მოჭქონდა ბურუსიანი წყვდიადი.

უნდა გაესწრო ნისლისთვის, უჩქარებდა ნაბიჯს, თავქვე მიდიოდა უკვე, მიღარღნიდა თოვლს. „ბანდულები უნდა ჩამეცვა, უფრო ჩქარა ვივლიდი“.

მთის ძირს მიუყვებოდა ახლა ვიწროდ დარბაისლე — ავისმომასწავებელი ყინულის ფრთხილი მდუმარებით.

შეჰზარა უეცრად სარკისებრ მოელვარე სითეთრის პირქუშმა მდუმარებამ, ააძაგძაგა ერთიანად.

ხმაური მოუნდა ერთბაშად. ყვირილი, სიმღერა, სროლა.

მოიხსნა თოფი, ისროლა ერთხელ, მეორედ...

ღიმილით დაელოდა ექოს.

იქუხა უეცრად თეთრმა მთამ, ხრიალით წამოვიდა ზვავი, დაქანდა მთელი ფერდობი.

სუნთქვამეკრული გადავიდა სირბილზე, ეფლობოდა ფეხი გაყინულ ხრაშუნა თოვლში, გადააგდო თოფი, სირბილშივე მოიძრო დანა და სავაზნე, ძლივს მიფორთხავდა წინ.

„შეიძლება გავასწრო“!!!

მოსდევდა თეთრი მჭუხარება, გამოაჩენდა ხანდახან მიწისფერ მუცელს, თოვლის იისფერი ქათიბი მოსდევდა ვეება ვორგალს. ზვავს მთელ ფერდობზე ჩამოწწმინდა თოვლი, მოგლეკილ ფლატესთან სასლესლისფერი მთის ყვავილ შერჩენილიყო ეულად.

იგრგვინა ისევ.

ახალი თოვლის ფაქიზი გამქვირვალე ბუღით აივსო მთელი ტაფობი. უცხოფრად ბრქყვიალებდნენ მზის სხივებზე ყინულის ნაპერწკლები. ცისარტყელა გაიხლართა უეცრად თოვლის ნაზ ბუქში, ცახცახით აედევნა მჭუხარე ზვავს.

„რა ძალაა, ღმერთო ჩემო, რა სილამაზე!“ — წაიჩურჩულა სუნთქვაშეკრულმა და მუხლებზე მონუსხულივით დაეშვა...

ლანქარი

კარების გაღებისას, შაოსანმა დედაკაცმა ცოცხს ხელი შეუშვა, თავი ასწია და დამჭკნარი მარჯვენა ლოყაზე ჩამოისცა, მარცხენა ფეხზე შემოიკრა, კაბა მუხლთან მოშოჭა და შიშით და მოლოდინით გაირინდა. შემოდგომის მეწამულ, სიყვითლემოძალებულ ფოთლების გროვაზე ბრწყეულის ჩხოკი ეგდო. დედაკაცის მოხრილი სხეული, შეშფოთებული, ცრიალტ თვალები და დამჭკ-

ნარ ღაჭვზე მიყინული მარჯვენა შესაბრალის კითხვად და გაფაციცებად შეეგება კარებში მდგომს.

რატომღაც ქალს თვალი აარიდა, მოყვითალო ცას შეხედა. ყინულივით ცივი და მკაცრი იყო ცის სიყვითლე: „ნუთუ სისქეც გაჩნია ფერს“ გაიფიქრა და უეცრად დაღლილობა იგრძნო, შიშიც არ დააცალა ისე შემოუძვრა სხეულში ნაცრისფერი სიცარიელე და ერთბაშად უმწეობითა და მოწყენით აავსო:

— რა თქვა, ექიმო? — იკითხა დედაკაცმა.

ისევ მოეძალა გამასავთებელი დაღლილობა და ქალის მიმართ სიბრალული იგრძნო. რამდენიმე წამით გაუტრეტებული უყურებდა რცხილისა და კოპიტის სიმწვანეგამოცლილ, დაღრეკილ ფოთლებს, წითელი ნაჭრით შეკრულ ჩხოკს და შავიანი დედაკაცის გაფაციცებულ მოლოდინად ქცეულ მზერას.

— გაუხარდა, — თქვა მერე, — გამოცოცხლდა ცოტა.

— ღმერთო დიდებულო, გადმოგვხედე მოწყალე თვალით! — დედაკაცმა პირჯვარი გადაიწერა და აღმოსავლეთს კრძალვით გახედა.

საიდანღაც სქელ ნაუჭეში ჩამარხული, მინაცოფილი ირონია ამოძვრა და დაღლილ სახეს ტუჩის მარჯვენა მხარე ღიმილად აუპრიხა.

— ღმერთო მოწყალეო — ჩურჩულებდა გამხმარ ობობასავით დაკვარჩხნილი დედაკაცი.

უფრო და უფრო იზრდებოდა სიცარიელე და მოწყენა, დამცინავი ნაპერწკლები გაკრთებოდნენ ხანდახან. კიდევ კარგი ეს მაინც იყო, ხალათის ჯიბეზე ხელი მოისვა, სიგარეტი ამოაძრო. რამდენიმე წუთი, მხოლოდ რამდენიმე წუთი უნდა დალოდებოდა მარადიულ გარდუვალობას.

ძაღლმა წამოიყეფა, გაუწყდა მერე ხმა. მეზობლები ჩამოდიოდნენ ეზოში, მოუყვებოდნენ ალმართს, შემოდგომის შერუჯული, ყდალი ტალავერის ქვეშ.

შავოსანი დედაკაცი ბრიუნეული ჩხოკს მიწვდა. მოუსვა ერთხელ მჭკნარ ფოთლებს, შეჩერდა მერე, შეაგება მზერა მოსულებს.

— ჩამოვიდა? — იკითხა მეწინავემ.

— კი, კი!

— რაო უნდომმა?

— გაიხარა, მოკეთებული ცოტა.

— მადლობა ღმერთს, ეგება...

მეწამულისფერში გადადიოდა თანდათან ცის გაყინული სქელი სიყვითლე. ოდნავი სითბო დაჰკრავდა თუთუნის სიმწკლარტეს, მოლოდინი აკავებდა მხოლოდ მომთენთავად შედედებულ უაზრობას, უხმაურო მსხვრევა და დაშლა იყო ირგვლივ. ისევ აფხაკუნდა ჩხოკი, ფოთლების ხმაურმა გაამთელა თითქოს დაბზარული ჰორიზონტი, გადაფერდებული ცივი მზე.. გამქვირვალე გახდა ცა, ღრმა და შემაწუხებელი.

— სისქე, ფერის სისქე, ჰმ... — შეარხია სხეული... — საღამოვდება...

ოთახში წამლის მომწარო ხუთრი სუნი იდგა. ბუხარში მინავლებული ცეცხლის ნაკვერჩხალი ბდღვიალებდა, კედელზე დამტვერილი თოფები ეკიდა, აბლაბუდა მოსდებოდა ლულებს, კომოღის თავი წამლის მომცრო პარკებითა და შუშებით აევსოთ, კედელზე ახალგაზრდა ლამაზი ქალის სურათი ეკიდა, ღიდებული იერი და სიმკაცრე მოსავდა ქალის დახვეწილ ნაკვთებს, გაყვითლებულიყო სურათი სიძველისგან, ჩრჩილს ამოეჭამა მაღალი და თხელი ყელი.

ბერიკაცი იწვა, მღვრიე ცრემლიან თვალებში და ბაგეზე სიხარული დამჩნეოდა, შვილისშვილის ჯანმრთელი, ხორციანი ხელები მკერდში ჩაეკრა, უცახცახებდა გრძელი ცვილისფერი თითები, შეჯაღარავებოდა მსხვილ, კანშემკნარ მაჯებზე ბალანი, სუსტად აუდრიალებდა ფართე, გამხდარი მკერდი, ლავიწები ამოჩრიდა, ღრმა ფოსოები გასჩენოდა მხრისძირებს ნაოჭებით დაღარულ კისერთან. სუნთქავდა ხიხინით,

ენით ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი, თვინიერი თვალები ჰქონდა ძმადნაფიცს, გულმისავალი კაცი იყო ნამდვილად, გადმოაცილა ქარავანი უღელტეხილზე. შეისვენეს ცოტა, თამბაქო მოსწიეს, გადაკოცნეს, მერე დაემშვიდობნენ ერთმანეთს... ჩამოაღწია როგორც იქნა, მშვიდობიანად კადამალა ნარაღი, ძლივს მილასლასდა მერე სახლში...

ტეხდა, ამტკრევდა დაღლილი სხეული მთელი ღამე, ცივ-ცხელი ოფლი მოსდიოდა წამდაუწუმ, ამცივნებდა აძაგძაგებულს, ძილიც არ მოდიოდა, გამკრთალი, ფეთინინა კომშარები სიქმს აცლიდნენ დასუსტებულ გონებას და სხეულს.

ფრთხილი კაკუნი გაისმა კარზე. უნდო დრო იყო. დაიძახა მთლიანად, ლამფა ჩააქრეს, შაშხანა მოატანინა საწოლთან, ბალიშიდან მაუზერი გამოიღო, შეწკიპა, დაუმიზნა კარებს. დედა წავიდა გასაღებად, ასწია ურდული, მაუზერის ლულას მისცა შეგვინებული მტერი თუ მოყვარე.

— როგორ ხართ? — გაკრთა ფრთხილი, მახლობელი ხმა. ხუთი წლის გადაკარგული ტყუპისცალი და შვილი შემოვიდა სახლში.

ცეცხლის ალისგან გამომკრთალი ლანდებიც კი გააშეშა უეცრად დაბრუნებულმა სისხლმა და სიხარულმა.

ჭრიალით მოიხურა კარი, გაიტკაცუნა ურდულმა, და იგი გრძნობამორეული, გულაჩუყებული შესცქეროდა ძმისა და დედის სასოებით, ვეფხებითა და ნატვრით გავსებულ და შუქიან სახეებს.

ვეღარ წამოწია თავი, ნელ-ნელა დაუშვა მაუზერის სასხლეტი. დაუვარდა ძალაგამოცლილი, იარაღიანი ხელი საბანზე, უყურებდა ძმის საყვარელ, მახლობელ სახეს, შეშფოთებულს ახლა, მისკენ მომზირალს და დამაწყნარებელი, მშვიდი ღიმილი ეფინებოდა სახეზე. ადევნებდა თვალს დედას, სიცილ-ტირილად დავარდნილს და მთელი არსებით — შვილების საყვარულს შეფრქვეულს და გადაგებულს.

მერე ჩაეძინა, ჩამოეფარცხა თანდათან უსიამო, მფრთხალი მოლანდებები და ნეტარმა სიმშვიდემ მოიცვა.

დედის ცრემლიანი სახე შეეფთა დილით, მოტეხილი, მობერებული ეჩვენა რატომღაც. იჯდა ძმა ბუხრის პირას, ფართე ხელები მიეფიცხებინა ცეცხლისთვის, მოწყენილი, დარდით სავსე ჰქონდა სახე.

პოლიტიკური მტრები იყვნენ ძმები, სხვადასხვა მრწამსი და იდეა ასულდგმულებდა თითოეულს, მოპარვით იყო ძმა სახლში მოსული, სადაც წაასწრებდნენ დაჭერა და ჩამოხრჩობა ელოდა უეჭველად, საზღვარგარეთ გადახვეწა იყო ერთადერთი იმედი და ხსნა.

იწვა კრიჭაშეკრული, სიცხისგან აქაფქაფებული გონება გაჭირვებით ცდილობდა შეგუებოდა საშინელ აზრს, ვერ გაექცეოდა მინიც მკაცრ სინამდვილეს. საკუთარი სიცოცხლის ფასადაც რომ დაჯდომოდა, გაერიდებინა უნდა მკვიდრი სისხლი და ხორცი საშინელი ალსასრულისთვის. ვერ შესძლებდა სიცხიანი, ანთებიანი სხეულით საზღვარზე გადასვლას, ყრუდ ჩახერგოდა სულში მწარე უძლურება, განთდა უცებ — ძმადნაფიცის ერთგულმა ცისფერმა თვალებმა იელვეს ერთი წამით. მოითხოვა ქაღალდი და საწერკალამი. გასული იყო დედა, შეშფოთებული და მწუხარე. ძმას კომოდის უჯრის გამოღება სთხოვა, აზიურის ყელში ბოღჩა იდო ოქროთი სავსე.

დათქვეს ძმებმა ნიშანი, როგორ გაეგო მისი მშვიდობიანი გადასვლა და მოწყობა, დიდხანს უყურებდნენ მერე ერთმანეთს მოჩვენებითი მხიარულებით, ლაყე და უგემური იყო სახეებს აკრული გულგრილობა და უდარდელობა.

გაემზადებინა დედას საგზალი.

გადგომოდა უნდა აწი ტყუპისცალი ძმა გზას...

დიდი გაჭირვება და განსაცდელი გა-

ავთანდილ ჩხიკვიშვილი
მოთხრობები

ვ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიტანა ერმა და ქვეყანამ, დაწყნარდა მერე ცოტა. დამშვიდდა თოფ-იარაღს ჩაკრული დიდი და პატარა. გადიოდა დრო, არ ჩანდა არავითარი ცნობა და ნიშანი ძმისგან. აღრენილი დადიოდა მთელი დღეები, შეკროდა კრიჭა, დანა არ უხსნიდა პირს, გაურბოდა მუდამ თვალცრემლიანი დედის შეხვედრას, უთენია გადიოდა სახლიდან, შუადამეზე ბრუნდებოდა, მაღლი კიდევ, უამრავი საქმე იყო ბრძოლისგან გაპარტახებულ სოფლებში საკეთებელი და მოსაწესრიგებელი, ლაჯები და თვძო სტკიოდა მთელი დღის სუნთქვაამოუღებელი ჭენებისგან და მძიმე მაუზერის თრევისგან.

„საიდუმლო შეთქმულება ეწყობაო" გიიგეს. დროზე უნდა უვნებელყოთ, სანამ მასიურად მოედებოდა ხალხს და წალეკავდა. უსისხლოდ დამთავრდა ბრძოლა, დაღლილ-დაქანცულები თანამოაზრესთან შეჩერდნენ წასახემსებლად. ერთი ნაცნობის ქამარში გაჩრილმა მაუზერმა მოსტაცა თვალი, მასეული მაუზერი იყო, ძმას რომ გაატანა, კეფაში ასხა უსიამო და ავმა წინათგრძნობამ, საზარელმა ეჭვმა დაუწყო დაღლილობისგან მისავთებული სხეული, შეიკავა მაინც თავი, ღიმილით შეუქო იარაღი, გამოჭკითხა მერე, საიდან ჩაუვარდა ხელში, მის ძმადნფიცს ეჩუქებინა. მთაში, როცა გიიგო, პირთან მიტანილი ღვინის ჭიქა მოიცილა, ვეღარ შეიკავებდა ისედაც გადიზიანებული და ნერვებაშლილი, ნასმრეკი სხეულის ამბოხს და ეშვს. თავის ტკივილი მომიმიზეზა, ადრე დაბრუნდა სახლში, გაურბოდა დედის კითხვითა და მწუხარებით სავსე თვალებს, დამორიალებდა ეზოში უგეშოდ, ცხენს ქერი დაუყარა ზომაზე მეტი. ხელმეორედ გაფერა გალამპალებული იარაღი, ვერ მოისვენა, მთელი ღამე ძმადნფიცის ცისფერი, თვინიერი თვალები ედგა წინ, ცივი და უნდო ეჩვენებოდა რატომღაც, უთენია ადგა, შეკაზმა ცხენი, დაკარა ტახტზე ნაბადი და მარჭფა იარაღის ბოღჩა, გაუდგა გზას. მოკლე გზით მიდიოდა, თითქმის გაუვალი ხევხუვებით, არ უნდოდა ვინმეს შეფეთება, ჩაბალახით ჰქონდა გაკრული პირისახე და თავი. უმადოდ ისაუზმა უღელტეხილზე, შეასვენა ცხენიც, ღამის საბურველში მიადგა ძმადნფიცის სახლს, შეკაზმული დატოვა ცხენი. არ დახვდა ძმადნფიცი სახლში, მეუღლემ შეიპატიჟა, დაბრუნდებაო საცაა, მობრძანდით, მოისვენეთო.

ყალეზე დაუდგა თმა სახლში შესვლისას, ძმის ნაბადი იყო მიკიდული კედელზე, სამი ნაკუჟიარი აჩნდა მარჯვენა მხართან, მოკლე, სამღარიან სატეკვარსაც დაადგა თვალი, ოქროცურვილი ქარქაში და სპილოსძვლის ნაჭდევი ტარი ჰქონდა, მამის დანატოვარი იყო იგი.

აღარ შეეძლო ამ სახლში მშვიდად გაჩერება, გამოჰკითხა ვახშმის თადარიგისთვის აფუსფუსებულ ქალს ქმრის ადგილსამყოფელი, მოახტა ცხენს.

შეშფოთებული შეეგება იგი რატომღაც, ცისფერ თვალებს არაგულწრფელი ყალბი კრთომა და ეულითადობა დაატყო, აღრინდა ისევ და ისევ სულში შეაარული და მძლავრად ფესვგადგმული ეჭვი. ცხენის ფაფარს ბღუჯნდა ცახცახატანილი თფლიანი ხელებით, ნერვიულად უთრთოდა მარცხენა წარბი.

— ამაღამვე უნდა გადამუკვარო, საზღვარზე! — მოჩვენებითი, გულითადობა იგრძნობოდა მის ხმაშიც.

— რა მოხდა? — კვლავ შეწრიალდა ძმადნფიცი.

— ასეა საჭირო, გზაში აგიხსნი.

— დაფიქრდი ცოტა, მომზადება დამჭირდება.

— თვალმარგალიტი და ოქრო მიმაქვს — დააკვირდა ცისფერი თვალების უცნაურ, ხარბ ციმციმს.

— ცხენები უნდა დავტოვოთ.

— ვიცი. — წამონთებული იყო მთლიანად სურვილისგან და ბრაზისგან. ცხელი ნაკვერჩხლები ჰქონდა მკერდსა და კეფაში.

უკან მიყვებოდა თვითონ, გაფაციცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, მოძგიბული დეკენბდა თვალს თითოეულ მის მოძრაობას, უჩრდა სუნთქვა ალმართზე სიარულისგან, ებჯინებოდა სული ყელში, მობრუნდა უცებ გამყოლი ჯიქური, წამსვე დაეჭირა მაუზერის სასხლეტს თითი, მიუშვა ბოლომდე.

უმწეობა და გაოგნება დალანდა ცისფერ თვალებს მთვარის შუქზე. შეაერქოლა ავად, შეძარწუნებული კმაყოფილებით დაეშვა ხევში.

მთელი კვირა პირგამეხებული იჯდა გამოკეტილ სახლში. ტიროდა წამდაუწუმ დედა, ფარსაგი რამ არისო ჩემს თავს. მოაკითხეს მერე, არ დაყენეს, საშინო მზადება აქვთო ჩვენს წინააღმდეგ. ჩაყვა თვითონაც, უხორცოს გზნებით და თავგანწირვით ჩაება საქმეში ისევ სტკიოდა და ეწვოდა ლაჯები და თეძო ცხენის ჭენებისგან და მაუზერის თრევისგან. ორჯერ დაბრეს, მხარში და ფერდში. სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. სწორედ მაშინ მოვიდა ძმის წერილი და სურათი: „კარგად ვიმგზავრე და მოვეწყვეო, კი ვაქკაცი ყოფილა შენი ძმადნაფიცი, თავს შემომეკლო, მანამ საიმედოდ არ დავმკვიდრდი, არ მომცილებია, მთელი ჩემი ინარაღი და ტანსაცმელი დავუტოვეო, ძმობა შევფიცეთო ერთმანეთს.

აყირავდა ისევ ცოდვის და მადლის საძაგელი განცდა...

— გულზე მაწევს, ბაბუ, საზაფელ ტვირთად, დამეკამა და გამომხრა ერთიანად, არ მითქვამს არავისთვის, მსიამოვნებდა ეულად რომ ვეძიძგნე სამარცხვინო დარღსა და ბოლმას, ვეღარ გავძელი ბოლომდე, ვიცი დათვლილი მაქვს წუთები, იმიტომ მოგიყევი, საბარალო ყოფილა მარტოკაცი, საწყალი და უმწეო, ბაბუ. მომიტევე, შვილო, მანუგეშე ცოტა, შებრალება მჭირდება ახლა მე! — აიღო ბერიკაცმა შვილისშვილის ხელი, დაეკონა გახეშეშებული ტუჩებით — შემინდე, შვილო, მომიტევე რამე თუ...

...კვილი გაისმა სფეელში, მოტრიალდა ექიმი. „მოვიდა“ — გაიფიქრა მშვიდად, კოდა შავოსანი დედაკაცი, იქა ნევდა ხელებს, ისოკავდა, იკაწრავდა თავპირს, — როგორ ჰგავს ობობას — ექიმმა სიგარეტის ნამწვი მოისროლა და ჩანთას დაწვდა. აღარაფერი ესაქმებოდა უკვე აქ. მოწყენილი, ფეხათრეული გადადიოდა ეზოდან...

...ვიღაცა შევიდა ოთახში, მხრებში წვდა გაშეშებულ შვილიშვილს, — გამოდი, შვილო, ჩვენ მივხედავთ, ღმერთო, შენ გაანათლე უბედური, გამოდი, შვილო, გამოდი!

...იჯდა კოპიტის ძირში დადგმულ მერხზე. ცვრიანი, ბდღვიალა მთვარიანი შემოდგომის ღამე იდგა. ძალლების ღაღვავი და კუტ-კალიების ჭრიჭინი ისმოდა სოფელში, რამდენიმე მეზობელი ჩამოვიდა ეზოში, კრძალვით და რიდით შეაღეს ოდის კარი. ივიდაცამ ქურთუკი გამოეტანა, მოახურა მხრებზე, — სახლში შემოდი, შვილო, ბინდმა არ დაგკრას...

გაიქნია თავი უარის ნიშნად, სიგარეტს მოუკიდა, სახლში მიცვალებულს აპატიოსნებდნენ, ხმადაბალი ლაპარაკი და ქვითინი ისმოდა, შვილიშვილი იჯდა ეზოში, ეწეოდა სიგარეტს, ჯერაც ვერ გამორკვეულიყო ბურანიდან. შარშანაც ლანქრობის დროს ჩამოვიდა სოფელში. ბაბუას სანახავად, ბადე ჩამოიტანა...

ბერიკაცის ხეშეში, თითები ბადეს მიწვდნენ. იგი იდგა და ღიმილით შესცქეროდა, ზურგთან ამოჩაჩულ პერანგს ისწორებდა, მთელი დღე საჭესთან ჯდომისგან გაოფლილიყო, გრძნობდა ახლა პერანგის ნოტიო სიგრილეს.

აიკალთავა ბერიკაცმა ბადე, მოსრისა მარჯვენათი.

— ჯოშია, ბაბუ! — თქვა ღიმილით, შემოხედა მერე, სიამოვნებისგან გაბრწყინებული სახე ჰქონდა — ჯოშია, მაგრამ არაუშავს, მაგრად მოგიქედავ.

— რა თქვი? — ჰკითხა ბაშმა.

— არა უშავს, მაგრად მოგიქედავ.

ანთანდილ ჩხეიკაშვილი
ნოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯოში რას ნიშნავს?

— ჰოო, არ იცი ჯოში? უხეშია ძაფი, წყლის ჭრა არ ექნება.

— აბა?

— არაფერია, ბაბუ, გამოვხსნათ ლარი, დავამძიმოთ ცოტა, რამდენ გირვანქაანია?

— შვიდი კილოა.

— ჰო, ბათმანიც არ ყოფილა, ხუთი გირვანქა მაინცაა დასამატებელი, — ბერიკაკამა ისევ აიკალთავა ბადე, საღონავიც ასაწევია ცოტა.

— ჰო, ეგ მეც ვიფიქრე.

— ავწიოთ მერე, შვილო, ისაუზმე ახლა და დავიწყოთ...

ბამბის გრძელი ლარი მოაბა კარის სახელურს, მიყვა მერე თაფლის სანთლით, ამკვრივებდა თოკს სანთლის ღვენთით, ხელის გული გაუხურდა ლარზე გასმისგან.

იჯდა ბაბუა ივანაზე, კმაყოფილი ღიმილით შესცქეროდა შვილიშვილს, ჯაყვა დანით ძველ ბადეს ტყვიის საძირავებს აცლიდა.

ის ღამე ფაცერზე გაატარეს. თბილი ღამე იდგა, დნებოდა თოვლი, ღვარცოფად და ღელფად მოდიოდა გიჟი და ფეთიანი მდინარე, მორეკავდა თევზს მთიდან. აღლეცინებული ჭრაქის ალის შუქზე, თეთრად იელვებდნენ შავზურგა მოსხმარტალე თევზები. თბილი ჯუბები მოესხათ ორივეს, შინ მოყვანილ თუთუნს ეწეოდნენ, ვერ გაახვია სიგარეტი, გაუღიმა ბაბუამ, გაუხვია მერე თვითონ. მდინარის გაღმა კოცონი მოჩანდა, რამდენიმე კარავს შორის მოქცეული. დარტყა მადიანად ნაფაზი, გაკვირვებით შეხედა ბაბუას. გეოლოგები არიან, თევზე მეტია, რაც ჩამოვიდნენო.

ბდღვინავდა მთელი ღამე გადარეული და მღვრე ლანქერი, ისროდა ფაცერში თეთრმუცელა, მოსხმარტალე თევზებს, მოტკბო გემო ჰქონდა შინ მოყვანილ, მსხვილად დაჭრილ თამბაქოს.

მოიპარა მერე ფეხაკრეფით ცხენისქურდივით ფრთხილი ალიონი... გაპიპინებული იყო პირთამდე ბლის ტყავისგან მოქსოვილი მოზრდილი კალათა მკლავისხელა სლიპინა თევზებით.

გადაუგდეს ფაცერს სათავე, ნელ-ნელა ამოუყვნენ ალმართს. აიენდან უყურებდა ხოლმე კარავებს, მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილ, ზურგჩანთიან ხალხს. თევზაობდნენ კიდეც გეოლოგები, ბადეები ჰქონდათ, ღიმილით უცქეროდა, თუ როგორ უხერხულად ისროდნენ ბადეებს, სასწაული იყო ასეთი ნასროლით თევზის დაჭერა.

დაცხრა მერე ლანქერი, დაიშინდა, დაკრიალდა მდინარე. ბონდის ხიდის ქვეშ, მორევში ეგულებოდა თევზი. გადაიგდო ბადე მხარზე, სტვენით ჩაირბინა დაღმართი, მხრით წევდა გვერდზე ფშანის წამოზრდილ ტოტებს, შედგა ბონდის ხიდზე, შექანავდა ოდნავ, გეოლოგები მოუყვებოდნენ მდინარეს, სამი ბადე ჰქონდათ. ნაპირზეც დალანდა, ვიღაცეები ტყლაშუნით ისროდნენ ბადეებს „ვაკაცევენ თევზს“ გაეელვა უცებ, „არადა ვეღარც ჩავასწრებ მორევთან“, ზევიდან უნდა ესროლა ისევ, სწრაფად მოიხსნა მაჯაზე შემოკრული ბადის სახელური, აიკალთავა ბადე, ტყვია მოიქცია პირში, დადგა, ირიბად აიქნია წელი, გასტყორცნა ბადე, გაიშალა ბადის გუმბათი წრესავით, ლილვივით დაეშვა წყალზე, წყლის სუსტი შხაპუნი გაისმა მერე, თევზის ამოქნეულმა თეთრმა მუცლებმა გაუმართლეს გუმანი, ერთი წამით შეავლო თვალი, სასროლად გამზადებულ, სამ გაშეშებულ მებადურის გაოცებულ სახეებს, აიწია მერე, ტანსაცმლითვე გადაეშვა წყალში, სწრაფად, ფეხით შემოჯეგა საღონავი, დაამძიმა ბადე, მიწვდა მერე ბადის ღარს, გაიწია ნაპირისკენ, აითრია ფრთხილად ბადე, მობოჭა ნელ-ნელა, დაიხვია მკლავის სიგრძეზე ღარი მარცხენა ხელით, მარჯვენა ბადის ძირს ამოსდო, იგრძნო მკლავმა საღონავში გაბმული თევზების სლიპინა ზურგებიც, ფართხალი, წამოწია თავი, გახედა ნაპირს.

უყურებდა ქალი, მოძგიბული მინუს-

ხულივით, გადმოფრენას აპირებდა თითქოს წყალში.

დახარა რატომღაც თავი, აელანძა პატარა ბიჭივით ღაწვები. გაათრია მოსხმარტალა თევზებით სავსე ბადე ქვიშაზე, ასწია ისევ თავი, ირიბად გახედა ნაპირს. ფლატესთან ჩაჩოქილიყო ქალი, შიშველი მუხლით ედგბოდა ბალახს, მომაღლოდ ეპერა მეორე ფეხი, ტერფზე დაყრდნობილი. დასრულებული ქალის და ბავშვის ერთმანეთში არეული მიამტკი აღტაცებით მისჩერებოდა, თუ როგორ აძრობდა ბადის საღონავიდან მოსხმარტალე თევზებს, გაუსხლტა ერთი თევზი, გადატრიალდა ქვიშაზე, წამსვე შეეფინა წყლის მომწვანო სიღრმეს.

— ფრთხილად, ცოტა ფრთხილად! — გაისმა ცივი, ეღრიალა ხმა, არ იყო იგი მოყვრული გაფრთხილება, თევზის დაკარგვაზე უსიამოს და მეტს ნიშნავდა იგი.

წამოიწია, ერთ-ერთი მებადური წამოდგომოდა თავზე, გაფითრებოდა შუბლი და ღაწვები, უცნაური, გამოციებული ბრჭყვიალი ჰქონდა ცისფერ თვალებს, ავი დაძაბულობა გამოსჭვიოდა მთელ მის გაქვავებულ, აწყობილ გარეგნობაში.

უსიამო გრძნობამ მოიცვა რატომღაც, დაძლია თავი მაინც, შეჰღიმა კიდეც, — თევზის მეტი რაა, შე კაცო.— წამოდგა მერე, გაიმართა წელში, პირდაპირ შეხედა ნიღაბივით გაბეჟებულ და დახვეწილ სახეს; აკრიფა კვლავ ბადე, მოემზადა სასროლად — მთელი ტანით უნდა ისროლოთ ბადე, ერთდროულად უნდა მოიქნიოთ წელი და მხარი, შიგნიდან უნდა გეჭიროთ მარჯვენა იდაყვი, აი, ასე — გაიქნია ბადე, ფრთხილი შხაპუნით, დაძაგრულად გააფინა წყალზე. — დინჯად უნდა მოსწიოთ ლარი, აცალოთ თევზს საღონაგში გაბმა, მოქაჩოთ უნდა მერე.

ერთადერთი თევზი ამოყვა ბადეს, მკლავის სიგრძე იქნებოდა, თავთხელშივე გამოჩნდა, როგორ აქაფებდა ჯანიანი ხერხემლის სხმარტალით წყალს.

გნიასით მიცვივდნენ ყველანი თევზიან ბადეს, ქალი ჩამეხლულიყო კვლავ მონუსხულივით, ცისფერთვალაც იდგა გაუნძრეველად, ყინულივით მკაცრი გამომეტყველებით.

— „რომ გაინძრეს, დაიშალოს შეიძლება“, გაიფიქრა რატომღაც. სიცივე იგრძნო მერე, ავმა და უსიამომ დაუარა ვულმკერდში.

— როგორ, როგორ? — ჩაეკითხნენ სხვები — გადასარევად ისვრით.

ერთად თევზაობდნენ მერე, ისე აყვნენ ძდინარეს, დგაფუნით მიაპობდნენ წყალს, არ ცილდებოდა მაინც უსიამო შეგრძნება, წამოსვლა უნდოდა, აჩერებდა, ჯაჭვავდა ერთ ადგილზე გამოუცნობი ძალა, ერიდებოდა რატომღაც ცისფერი თვალების სამარისებრ სიცივეს და გორიზ გამოხედვას.

ასიცხდა მერე, დაშლილიყვნენ უნდა, აჩუქა ნანადირევი თევზი ეეოლოგებს, იუარეს ჯერ, დაამშვიდა —არა უშავს ფაცერზე დაჭერილი თევზი მაქვსო კიდევ.

— თქვენია ფაცერი? — იკითხა ქალმა.

— დიახ.

— რა საინტერესოა, კარგი სანახაობაა?

— მობრძანდით — დაპატიჟა მხიარული გულწრფელობით — თუმცა დღეს არ ჩავარდება თევზი, დაწმენდილია ძდინარე, წვიმის დროს იცის, ამღვრეული როცაა წყალი.

— გამოიარეთ ჩვენთან — სთხოვა შაგვეკვანმა, ალერსიანი გამოხედვის მქონე ბიჭმა, ყველაზე მეტად რომ აინტერესებდა ბადის სროლა — მთაშიც დავდივართ ჩვენ სანადიროდ.

— აუცილებლად ჩამოვალო, დაპირდა, ამოყვა მერე ალმართს, სველი ბადე მოეგდო მხარზე, ცარიელი კალანჩხა

ავთანდილ ჩხეიძიშვილი
მოთხრობები

ეკიდა წელზე, ვენახის გაფურჩქვნაში უნდა მოხმარებოდა ბაბუას.

— ვერ დაიჭირე, ბიჭო, ვერაფერი — ღიმილით შეეგება ბერიკაცი — კი უნდა ყოფილიყო წესით დღეს თევზი.

აიჩჩა მხრები, შეაგდო მერე კოპიტის ტოტზე, ბადის ლარი დაქანა, მოაბა ხის ტანს, აიქნია ტოტზე მერე ბადის კალთა, გააფინა გასაშრობად...

— შემოდი, შვილო სახლში, შემოდი, სიცივეა აქ — შეეეედრა შოსანი დედაკაცი — წამოდი საწყალ ბაბუაშენთან.

წამოდგა, გამშრალი, გახევებული ჰქონდა სახა და ყელი, სიმარტოვეს და სიბრალულს გრძნობდა, აღარ შეეძლო ბაბუას ნახვა, ვერაფრით ვერ წარმოედგინა მიცვალებული ბაბუა, უსიცოცხლო და სულჩამქრალი, სიგარეტი მოსთხოვა ვიღაცას, წამსვე მისცეს და მოუკიდეს კიდეც. ეზოში ტირილით შემოდიოდნენ მუქი ლანდები, მთელი სოფელი დაძრულიყო სამძიმარზე.

სახლში სინათლე ენთო, მეზობლის ქალებს დიდ ოთახში დადგმული ავეჯი რიხინით და ხმაურით გაჭონდათ უკანა ოთახებში, მერე იმათ მეზობლის მამაკაცი წამოეშალათ — ნელა, შე კაცო, სარკე არ გატეხო! — წამოცდა რომელიღაც ქალს და დიდი, ძველებურ წითელ ჩარჩოში ჩასმული სარკის მტვრევის ხმაც გაისმა, დამტვრეულმა ნაწილებმა ზალის მოზრდილი ჭაღის შუქი ათასფრად აირეკლეს და ერთი წამით რცხილის კენწერობაზე შეფინეს.

— უი! შეიკივლა ვიღაცამ — რა დაგვემართა ეს. — რა ნავსად შემოხეტეტე, შე კაი დედმამაშვილო, აქ.

— ეს უბედურება გვაკლდა კიდევ. სარკის გატეხა გაგონილი? საწყენი და უბედურება აკლდა ამ ოჯახს?

— კაით ახლა, დაწყნარდით—ვიღაც კიდევ შევიდა ოთახში — ცოცხი მოიტანეთ ცოცხი, სარკეს დარღობთ, თქვენი ჭირი წაუღია.

შვილიშვილი სახლისკენ ზურგით იდგა, სიგარეტს ეწეოდა, იგი ყოველ დღე ელოდა ბაბუას სიკვდილს, იყო ამ ...
სიბრალულის და ტკივილის შეგრძნებაც. მაგრამ რაც ამ საღამოს ბაბუამ მოუთხრო, ჯერაც ვერ გადაეხარშა და ახლაც, როცა სარკის გატეხაზე ავიშვიშებულ მეზობლებს უსმენდა, როდესაც სამძიმარზე დაძრული სოფლელებს მადლობით ართმევდა ხელს. მის თვალწინ მაინც დიდი ხნის წინ, უნებლიე სიფიცხით და განუსჯელობით დატრიალებული საცოდაობა ტრიალებდა, ბაბუამისის ძმადნაფიცის მშვიდი, სათნო ცისფერი თვალები ელანდებოდა და გამოუთქმელი საყვედურით და სიძმით შვილიშვილის სულსა და მხრებს აწვებოდა.

შვილიშვილი ცდილობდა დაევიწყებინა, ამოეგდო გონებიდან ბაბუას მონათხრობი, მაგრამ იგი ისეთი ცხადი და ცხოველი იყო, ისე შემზარავდ მკვეთრი და გამქვირვალე, ბიჭი ნათლად ხედავდა შიშისგან კი არა, უმწეობისგან და გაოცებისგან გაფაორთიებულ ცისფერ თვალებს, მთვარის მკრთალი შუქისგან გადაფითრებულ, ტკივილისგან დაღმეჭილ სახეს, საშინელი გაუგებრობისა და უმადურობის მსხვერპლადქცეულ ტკვეებისგან დაცხრილულ ადამიანს და მას დაავიწყდა სოფელი, ეზო, სადაც იდგა და სიგარეტს ეწეოდა, სახლი, სადაც მიცვალებული ესვენა— მკერდჩავარდნილი და უმწეო ბერიკაცი, ერთ დროს ასეთი მამაცი და საშიში კაცი.

იგი ისეე და ისეე იმ საბედისწერო ღამეზე ფიქრობდა, რომელიც მის არსებაში სოლივით შემოიჭრა და მიხვდა, ვეღარასოდეს დაიღწევდა თავს ორმოცდაათი წლის წინ მისი სისხლის და ხორცის მიერ ჩადენილ განუსჯელ ცოდვას, ეს ვეებერთელა შემაშფოთებელი და აუტანელი ტვირთი სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეზიდა და ეტარებინა.

და იგი შეძრწუნდა, უცხომ და გამოუცნობმა განცდამ შეაშფოთა და ერთბაშად ესიამოვნა, რომ მის ირგვლივ იყვნენ ადამიანები ბაბუამისის სიკვდილით შეწუხებულები. სამე და დარდგაჩენილები, თავიანთ ბედისწერას შერიგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულები, წუთისოფლის ამოვებაზე მწუხარედ დაფიქრებულები და მაინც მშვიდნი, მაინც სიახლით და ხვალინდელი დღით დაიმედებულები და დაწყნარებულები.

ამ წუთში ეს ხალხი საქმეზე ბჭობდა, ხვალინდელ გეგმებს აწყობდა, დაკრძალვის ღირსეულ სამზადისზე კამათობდა და მათში იყო სიცოცხლის ძლიერი, ლანქერივით დაუოკებელი დამამშვიდებელი ძალა და შვილიშვილს ესიამოვნა, რომ ეზოს, შემოდგომის ბდღვიალა სავსე მთვარის გარდა, აი-ვანზე ანთებული ნათურაც ანათებდა.

და იგი ცოტათი დამშვიდდა, თავს მოხვეული აუტანელი სიმძიმეც და ტვირთიც მოეშვა და შედარებით შეუმსუბუქდა.

— ეჰ! რას იზამ! — ვიღაცამ მისი ხელი დიდი, დაკოჟრილი მარჯვენით ჩაბღუჯა — ყველანი ჩვენივე ბედისა და სიკვდილის შვილები ვყოფილვართ. რა ვიცით, რას გვიმზადებს განგება.

შვილიშვილი ისევ შეკრთა, შიშით შეხედა სამძიმრის სათქმელად მოსულს, უნებურად თვალი აარიდა და ისევ წამოელანდა თვინიერ, ცისფერ თვალებში ვაყინული და ჩაჭიქული საყვედური და გაოცება.

და უეცრად იგრძნო, ეს თვალები მისგან ითხოვდნენ პასუხს, მას ეკუთვნოდა ეს ძმიმე საყვედური და ცოდვაც თვითონ უნდა ეზღო და ეტვირთა.

— რა კაცი იყო საწყალი! — თქვა ვიღაცამ.

შვილიშვილს ახლა ისევ ბჭეზე წამოელანდა, გამხდარი, ჩავარდნილი მკერდით, მოკახკახე, გრძელი, ცვილისფერი სიცოცხლეგამოცლილი თითებით, ლაკვიწებამოჩრილი და ღრმა ფოსოებდაჩენილი მხრისძირებით, ნოკებით დაღარული კისრით და მღვრიე, ცრემლისგან გამოცრილატებული თვალებით, რომლებიც შვილიშვილს იმედით და ნუგეშით შემოსცქეროდნენ და პატიებას ითხოვდნენ.

„როგორ გაძლო, როგორ მოითმინა ამდენ ხანს?“ გაიფიქრა შეკრწუნებით და სიბრალულით, „რა ძალა ეყო, როგორ ატარა, როგორ?...“ გაიფიქრა ისევ და მთელი არსებით შეძრულმა და შეძრწუნებულმა ცას გახედა. მერე თანდათან წარძოიდგინა ბერიკაცის ვეება, საშინელ ტვირთი და ცოდვაწამოყიდებული ცხოვრება, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცოდა და არც არავინ იყო შემხიდებელი და მანუგეშებელი, იგი იყო მარტო, მთელი თავისი სიცოცხლე წელშიგამტეხ დარდს და ცოდვას შეფარებული და შვილიშვილი მახვდა, აწი მას უნდა ეთრია ეს ტვირთი, მასზე გადმონაცვლა ვერავისთვის გასანდობარმა ცოდვამ და დარდმა.

იდგა თბილი საღამო, ქრიდა აღმოსავლეთის ქარი, სუსტად შრიალებდნენ ფოთლებშემღრალი ხეები.

— შემოდგომა მოვიდა ბაბუ, — თქვა ხმადაბლა, მერე იგრძნო მარტოობა მთლად ერჩია ყველაფერს...

...ქალი იჯდა კარვის პირას, იქვე ცეცხლი ენთო, ჯოჯგინებზე ქვაბი შემოეკიდათ, ტკაცუნით იწვოდა ნედლი შეშა, ფერდიდან მდინარის შლეგი ხმაური ისმოდა, ცოფიანივით ღრიალებდა მდინარე, შემაძრწუნებელ ძალას და შიშს მოეხიბლა და მოენუსხა ქალი. იჯდა, ნიკაპით მუხლებს დაყრდნობოდა, ვერ აცილებდა თვალს მღვრიე მდინარის ფეთსა და გადარევას.

ხელები წვივებზე შემოეხვია, ჩამოცურებოდა თმა სახეზე, გრძნობდა შიშსა და აღტაცებას, უმწეობითა და უჭვეულო გზნებით იყო სავსე. იხმობდა, იზიდავდა თავისკენ მდინარე, უჭრელდებოდა თვალი, ეხვეოდა თავბრუ, სადღაც შერჩენილი გონიერება აკავებდა ქალს, უქერდა მკლავებს საკუთარ წვივებს, ცხელი მკერდით აწვებოდა წამოსხტომად მომზადებულ მუხლებს.

ნელ-ნელა მწიფდებოდა ქალში დიდი ხნის მივიწყებული და ჩაფერფლილი

ალთანდილ ჩხეიძვიშვილი
მეცნიერმეცნიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრობის სურვილი და თმენა, აპერდა კბილებს ქვედა ბაგეს, მოჰქონდა მდინარეს ქალიშვილობის დროინდელი დაუოკებელი სიყვარული ფერებისადმი, ათასგვარი მოძახბვლელი და წარმატაცი ფერი რიალებდა თავბრუსდამხვევად, აწვალებდა ქალს ხატვის მოუთმენელი სურვილი. ძლიერდებოდა, იზრდებოდა, ბოჭავდა დიდი ხნის წინათ ჩაკლული სურვილი და ნირწამხდარი მიდრეკილება.

ჩამოიბინა ამდროს ვიღაცამ გაღმა ფერდობი, ბადე მოჰქონდა მხრით, გულდინჯად შეეგება მდინარეს, თავთხელში ისროლა პირველად. საკუთარ ბედს დაუკაშირა ქალმა ბადის იღბალი, დაელოდა ათრთოლებული, როგორ გაჰქონდა ნაპირზე ჯანიან, ხორბლისფერ მკლავებსა და მხრებს ბადე. გაუმართლა ქალს გუმანი, სავსე იყო ბადე — სხმარტალებდნენ ქვიშაზე თევზები. აივსო ქალი მეთევზისადმი უცნაური, მახლობელური გრძნობით. მობრუნებული და გამაცოცხლებელი განცდა მოეძალა სულსა და სხეულს.

შეიგრძნობდა მთელი ტანით და მუხლისთავებით აფართქალებულ გულის ფეთქვასა და ძგერას, კვლავ ისროლა მებადურმა ბადე... გავსებული იყო თავთხელი წყალი თევზით.

უყურებდა ქალი გადარეული მდინარის შლეგ აღრენას და მებადურის ღაღ, თავისუფალ მოძრაობას, შენივთებულს, გასულიერებულს მდინარესთან, ხორბლისფრად ბრჭყვიალებდა მზეზე მეთევზის ღვედივით ტანი. გადადებოდა მებადურს მდინარის აღმაფრენა და ვნება, ისროდა, საკუთარ სხეულის ნაწილივით ემორჩილებოდა ბადე. ნაზი ლივლივით ეშვებოდა წყალზე თეთრი, დაქმეული გუმბათი.

და იგრძნო ქალმა რაღაც მარადიული ძალა და სილამაზე, ბუნების ერთიანი, თავბრუდამხვევი მომხიბვლელობა და ჯადო, გაეერთიანდა თვითთნაც გონება, სხეული და სული. დამათრობელი მთლიანობით განიცდიდა თვალწინ გადაშლილ სურათის ბანგიან სიცხოველეს, შეუკავებელმა, ტკბილმა ალტაცებამ დასუდრა მთლიანად, დაეხატა უნდა, გადმოეცა უნდა როგორმე, გზა უნდა მიეცა ჩაფერფლილ ტანებიდან წამოსულ ალისათვის, სალებავები და ფუნჯი იყო საჭირო, მკვირცხლად წამოხტა, მიაშურა კარავს...

...შლიდა მოლბერტს, ალაგებდა ფუნჯებსა და სალებავებს, უცქერდა თან მბორგავ მდინარეს, მებადურის მბზინავ, ბრინჯაოსფერ მოქნილ ტანს და მოძრაობას. ქმრის ცივი გამოხედვა და ხეშეში სახე წამოელანდა უცად, დახვეწილი კლასიკური პროფილი, ღონიერი და თხელი, ძლიერი და ასხლტილი ფიგურა, მაგრად მოკუმული ტუნები, ღაწვს შეპარული დამცინავი ღიმილი.

შეეკუმშა გული, ჩადუნდა, ჩაკვდა თითქოს, იდგა ერთხანს გაშეშებული, მოლბერტზე აცოცებულ ქიმიბიას უცქეროდა, აუვარდა ნერვიული თრთოლვა. სიმწრით მოხედა წარსულს, ხუთიოდე წელი აკავშირებდა მასთან;;

ცივი და გრძელი იყო ხუთი წელი.

ალარც კი ახსოვდა, როდის გაუნელდა ქალიშვილობის დროინდელი ხიბლი და აღტაცება, წვრილმანი იყო რაღაც, დაეკვირდა ქმარს უცხო თვალით, დაბადებულს კი არა აწყობილს, შექმნილს ჰგავდა კაცი, სხვას მოუხდებოდა მისი ცხვირი, სხვისი იყო მისი ხელები, უცხო კაცის ხმით ლაპარაკობდა იგი, ნათხოვარივით ჰქონდა მთელი სხეული, გამოზომილი და თეატრალური თითოეული მოძრაობა, დაენანა მაშინ საკუთარი თავი, ძალიან დაენანა, აძალებდა, შთაგონებდა თავს, მიყვარსო, მისგანაც გრძნობდა სიყვარულს, უფრო სწორად გამუდმებულ და მომაბეზრებელ ყურადღებას, არ ეთმობოდა იმას არაფრისთვის, ეჭვიანობდა ქალის საყვარელ წიგნზე, სპექტაკლზე, მსახიობზე, მხატვრობით გატაცებაზე.

დამორჩილდა ქალი ბოლოს და ბოლოს, ჩადუნდა, ჩაეკეტა საკუთარ თავში, ჯერ ფიქრობდა მხოლოდ, ნეტარებით ეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურსებოდა ბავშვობისა და ქალიშვილობის ნაოცნებარ ფერებს, მერე ფიქრებიც აელუფხა ერთმანეთში, დაბნეული და შემკრთალი იყო ყოველწამს.

როდესაც ერთად იწვნენ, რცხვენოდა, მტანჯველი სირცხვილის გრძნობა მოიცავდა ყოველთვის, უცნო კაცთან იწვა ეგონა, ტუჩებზე დაჭერილი კბილებით იკავებდა გულიდან წამოსულ გმინვასა და კვნესას, მოისვენებდა ცოტას, როდესაც ქმარი დადუნდებოდა და ძილს მიეცემოდა, ძილიც სხვისი ჭმნდა, ამაზრზენი იყო ასეთი შეგრძნება, იწვა და უხმიდ ტიროდა, მერე შეეჩვია, ტირილსაც ანება თავი, უკვე აღარ ენანებოდა, თუ როგორ ასაფლავებდა საკუთარ არსებას.

უეცრად იგრძნო, არ იყო ყველაფერი დაკარგული, მასზეც მოქმედებდა დამზრალი ბუნების გამოღვიძება და გახელება, ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად ამოცოცდნენ ჯურღმულებიდან სიჭრელისა და გზნების გამაბრუებელი განცდები და მთელი მისი დაშლილი არსება ისევ შეაკოწიწეს და გაამრთელეს. ქალმა ხატვა დაიწყო: მღვრიე, ჯანსაღი და გადარეული ბუნების. ხატავდა თავისუფლად, დაუძაბავად, ემორჩილებოდა ფერები, გრძნობდა დამთრგუნავი ღვთიური ძალა ჩაღვროდა სულსა და სხეულში ლაღი თვითდინებით და დაუოკებელი სურვილით იყო სავსე.

ნელა-ნელა, მაგრამ მკაფიოდ აჩნდებოდა მოლბერტს გიჟი, ფეთიანი მდინარის და ღვედივით მოქნილი მებადურის შეტაკება. თვითონ განგება ხატავდა თითქოს. ჩარჩოზე გაკრულ ტილოზე გადმოსულიყო ლანქერი, შხუილით მოჭქნდა ძირეული ხეები და მორები მღვრიე წყალს, წაელეკა ნაპირი, გადაეწვინა ნაპირს ჩაყოლებული ფშანები და ფიჩხნარი, მდინარის მთელი ბობოქარი ბრაზი და ღველფი უდრეკ, მშვიდ მებადურს ატყდებოდა, წელამდე წყალში შესულს და მხარზევით შემართულ ბადის გუმბათით შემკულს.

იელვა ისევ ქმრის ცივმა და სუსხიანმა მზერამ, შეცბა ერთი წამით, აყვა მერე ისევ და ისევ ლანქერს, არავითარ სუსხსა და ძალას აღარ შეეძლო უკვე ტკბილი, ტკივილამდე მისული გზნების ჩაფერფლა და ჩაფარცხვა, ლაღად სრიალებდა ფუნჯი, საოცრად ზუსტი გუმანი თვითონ არჩევდა და კაზმავდა ფერებს.

შიშით გასცქეროდა ქალი საღამოს მიმწუხრს. ეჭირვეულებოდა ღაღამეს და უკუნს. მერე კი ქალიშვილობის აქეთ პირველად ელოდა მოუთმენლად სინათლესა და გათენებას. უნდოდა ისევ მთელი არსებით მისცემოდა ფერებთან თამაშსა და ტკბობას. მოდიოდა, შხუოდა მდინარე, დაუოკებელ ძალას გაეკვსო და დაეთრგუნა მთელი ხეობა...

ჩადგა მერე, ჩაკხრა ლანქერი. ახალი, შეცვლილი, ფლატეებშეგლეჯილი კალაპოტი დაიგდო მდინარემ, დაიწმინდა, დაკრიალდა წყალი. გრძელდებოდა ქალში მაინც ერთხელ შთაბერილი უცნაური ენერგია და ხალისი, დიდი და დამთრგუნველი სურვილი. ფერნაცვალი ელოდებოდა ყოველ განთიადსა და სინათლეს, ხატავდა დილიდან, ღამეც. გამოდიოდა კარავიდან განვლდებული და ჰაერს შენივთებული უცქეროდა ლუსკუმა და ვარსკვლავებით დახუნძლულ ღამეებს.

უცნაური ძალა და სიამაყე ჩაეღვენთა ქალს, აღარ აშინებდა და აფრთხობდა მოღუშული და გროზი ქმარი, მისი საგანგებოდ შეწკიპული და ცივი გარეგნობა. მოწყალედ, გულმისავალად ექცეოდა, აღარ ფიქრობდა მის გამუდმებულ, მომაბეზრებელ ყურადღებაზე და გაფაციცებულ ეჭვზე. რაღაც უსაშველო სიგრძე-სიგანე უპოვა საკუთარ თავს, დადიოდა შიგნით, ოცნებობდა, აღიქვამდა, უხაროდა, ფიქრობდა, აფასებდა და ეს ყველაფერი მასში, მისეულში, საკუთარში ხდებოდა...

შეირუჯა მერე ბუნება შემოდგომის ჟანგისფრად, გადაიხლართა ერთმანეთში მთებზე შეჭრილი ქარვისფერი ახო-

ები და წაბლის კორომები, დაიწრიტა და დაკრიალდა მთლიანად მდინარე, იდგა შემოდგომის ბდღვიალა მთვარიანი ღამე. ისმოდა ძაღლების ყაკვაგი და კუტკალიების მშვიდი, მომთენთავი ჭრიჭინი.

ნებიერად მიძინებოდა მთელი დღის შრომისა და ჯაფისგან გასავთებულ ბანაკს, რომ ამ დროს კიბილი გაისმა, ხანჯალივით გაჩკვეთა მდინარის გაღმიდან გამოჭრილმა კიბილმა შემოდგომის თბილი ღამის ზუზუნა სიმშვიდე.

გამოცვივდნენ კარვიდან, შეძრწუნებული ცნობის მოყვარეობით მისჩერებოდნენ მთელი სოფლის ორღობეებში აპერწკლილი ჭრაქების მბაყუტვარებას.

გაიგეს მეორე დილით მომკვდარიყო მოხუცი მებადური...

შემოდგომის მიწურულზე დაბრუნდნენ გეოლოგები ქალაქში...

ქალი ნეტარი ლოდინით და სიხარულით წინასწარ ეფრქვეოდა მომავალ გაზაფხულს, მომავალ ლანქერს, ბუნების გიჟმაჯ ხურვებას და გადარევას. ქალაქშიც კი, რუხსა და ნაცრისფერ ქალაქშიც, ხალვათ, მაგრამ ათასგვარი ნივთით და ავეჯით გამოძქეგილ ბინაშიც აღრენილი და ბობოქარი მდინარისა და ხეობის სურვილით ცხოვრობდა და ერთხელ, საკუთარ სიგრძესიგანეში ჩაკეტილმა, მშვიდად აღმოჩინა ქმარიც ნივთად და დანამატად ქცეულიყო მისთვის, გაუფასურებულიყო, განელებულიყო მოლად მამაკაცის ჭირვეული ენინ, ყურადღება და იქვიანობა. მოთმინებით, ნეტარებით ელოდა ქალი ახალ ლანქერსა და გაზაფხულს... დინჯი ზმორებით გადიოდა დღეები...

...ძველ ნაბანაკარზე გაშალეს გეოლოგებმა კარვები, მთელი დღე იმუშავეს, ახლა უფრო საფუძვლიანად უნდა დამკვიდრებულიყვნენ, დადიოდა კაცი, მუშაობდა, მითითებებს აძლევდა ახალბედებს, ხანდახან ირიბად გახედავდა მდინარის ნაპირზე გარინდებული მეუღლის მოქნილ და სასურველ სხეულს, გარინდებულს, გამოუცნობი ჯადოთი და გეზით დაოტებულს, აეპრიხებოდა ზამბარცხენა ტუჩი ირონიით, შეცბებოდა მაშინვე, შიში და ავი კრძალვა ჩაუდგებოდა იმ წუთშივე სულში, მობრუნდებოდა, ეძალებოდა საქმეს, აძალებდა სხვებსაც სამუშაოს. მორჩნენ როგორც იქნა დაბინავებას, შეიღმა კიდეც, ფასი და ღირსება მოემატა კარვებს შორის დანთებულ კოცონს. ეშურებოდნენ უკვე დაღლილი სხეულები ძილსა და მოსვენებას, ზარმაცად უკრავდა რომელიღაცა გიტარაზე, უნდილად ღიღინებდა...

მილაგდნენ მერე, შეძვრა კაცი კარავში, თბილი ქურთუკი გამოუტანა კოცონს მიფიცხებულ ცოლს, მოახურა მხრებზე, შემოხედა ქალმა შუქიანი საკვე თვალებით, არ იყო ეს ქმრისთვის მიმართული მადლიერი მზერა, მიხედა ამას კაცი, გაეყინნა სისხლი ძარღვებში, მოეწამლა, დაეძმარა გული, ამოიღო სიგარეტი. მოუკიდა ნაკვერცხლით, ჩაისუნთქვა კვამლი ღრმად, გაბორტყებით შეაქცია მერე კოცონს ზურგი, შებრუნდა კარავში...

იდგა თბილი და ღრუბლიანი ღამე, მთაში წვიმდა კიდეც, ქრიდა აღმოსავლეთის ბორიო ქარი.

მოიმატა ერთბაშად მდინარემ, წვიმდა მთაში, დნებოდა თოვლი, ლხვებოდა დამზრალი და გასუსხული ბუნება, შეიკა პირი მთელი წლის სამზადისმა, ლანქერი იწყებოდა. მდინარის პირველი ფეთიანი ზმეილი შემოესმათ ნაპირზე მყოფთ, მოვარდებოდა აწი ღვარ-ცოფი...

...იმატა და იმატა ლანქერმა, გადასწორდა მღვრიე, ტალახისფერი წყლით მთელი ხეობა და ნაპირი, ქარეულ ხეებს და ზამთარში შერჩენილ, დასაკენებულ შეშის და მასალის მორებს მოაცურებდა მდინარე.

უთენია წამოდგა ქალი, თმენისგან გულგადაღეული სატრფოსავით მიეგება მდინარის ფეთიან ზეიმსა და თავაწეულ-ტილ გადარეკას. უცნაური ძალა და ლტოლვა მოეძალა ისევ. თუმცა შიშიც ახლდა მდინარის ნებიერ ძლიერებასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიმღვრიეს. მოუნდა ქალს დაკრიალებული, დაწმენდილი მდინარის დახატვა, მომცოო მალალიტისფერი მორევის, ბონდის ხიდის, ხიდზე მოსხლტილი მებადურის, მორევზე გაშლილი თოვლივით ქათქათა ბადის გუმბათის.

შეუკავებელი იყო სურვილი, შეუკავებელი და წამლეკავი...

...აწვალებდა კაცი ქურთუკის ღილს, დაეცხრა უეცად დაღლაც და შიშილიც. ვედარ, გრძნობდა ზურგჩანთის სიმძიმეს და მხრებთან მოწოლილი სა'ინჯი ქვების წვეტიან ჩხვლეტას.

გაშეშებულიყო კაცი გაშლილ, საღებავშეუმშრალ მოლბერტთან, მილურსმოდა ერთ ადგილს, მაჯაზე ატოკებული ძარღვები და ღილს ჩაჭიდებული თითები ამყოვნებდნენ კაცის შიგნეთში დატრიალებულ და დაძრულ ნერვიულ ლანქერს. ამაზრზენი ძალა იპყრობდა კაცს, მივარდნოდა ნახატს, დაეგლიჯა, დაეფხრიწა, ნაკუწებად ექცია მალალიტისფერი მორევი, კონწიალა მოქანავე ბონდის ხიდი, ზედ შემდგარი მებადური და წყალზე გაშლილი, მარჯვედ ნატყორცნი ბადე. მთელი წლის ნათმენი ბოღმა და ეჭვი აბრუებდა, მუსრავდა კაცს. ძლიერ ძლივობით შეიკავა კრიჭაგამეხებულმა, თავი, მიბრუნდა, აითრია ფეხი კარვისკენ. მთელი წელი ებრძოდა მოწამებრივი მოთმინებით ცოლის სულს, საქციელს და ნახატებს, შესისხლხორცებულს მებადურის სხეულსა და სახესთან, ინაცრებოდა თანდათან აღგზნებული თმენა და ნებისყოფა, იქმებოდა, იწრიტებოდა თმენისა და თავშეკავების ისედაც იოტისოდენა უნარი.

მთელი საღამო ბორგავდა კაცი, შინაგანი უთქმელი ექვით და ბრაზით შეპმული და ბოღმაღაქცეული. ვერ იტანდა ცოლის გამარჯვებულ, სიცოცხლით და უცნაური შინაგანი კმაყოფილებით გავსებულ და გაპიპინებულ საქციელს და საძრაობას. აღრიანად შევიდა კარავში, საძილე ტომარაში, საკუთარ სხეულთან ერთად ჩაჩერთა და ჩატენა ავი გზნება და ცოფიანი აღრენა...

...იჯდა შვილიშვილი შინაურგბილ ფანთესავებით სავსე და მაინც დაკარიალებული სახლის აივანზე, ეწეოდა სიგარეტს. იდგა გაზაფხულის ღრრთქო, ვეება მთვარიანი თბილი ღამე, ქროდა ნაზი და საამო ზენა ქარი. უგდებდა ყურს, მდინარის ავ ღრიალსა და ზათეს უცქეროდა მთვარის შუქზე მოპრიალე გადარეულ მდინარეს, მდინარის მუხლსაყართან შავად ჩაპირქუშებულ ფაცერს.

„ლანქერი დაიწყო, ბაბუ, თევზს ჩამორეკავს"... წამოდგა უეცრად, აივნის რიკულზე შემოდგმული ჭრაქი მოძებნა, შეანჯღრია, მოსინჯა ნავთი, დაუყვა მერე ფერდობს მდინარისკენ...

მიდიოდა ფრთხილი ნაბიჯით, უნდოდ გასცქეროდა კუნაპეტ ღამეს, შეაღარჟოლა რატომღაც აცისმომასწავებლად. შიში, არასდროს განცდილი შიში, იგრძნო სიბნელის მიმართ.

„მოვბრუნდებიო", იფიქრა, შერცხვა მერე, აუჩქარა ფეხს. ურჩი და ბორტი ღრიალით შეეგება გაშლეგებული მდინარე. იდგა რამდენიმე წამი ფლატებჩაქცეულ ნაპირთან, უცნო, ფრთხილი და გონიერი გუმანი თხოვდა უკან გაბრუნებას, წყალი გადადიოდა ფაცერზე გადებულ ბოგირზე და როდესაც ბოგირზე გადიოდა, როდესაც ფეხით წინასწარ სინჯავდა წყალზე გადებულ ბოგირის საიმედობასა და სიმაგრეს, უეცრად მრისხანედ მოქანავე მღვრე ტალღებიდან ისევ ამოძვრნენ და შეაჩერდნენ ავად და საყვედურით გამომზიერალი ცისფრად მოჭიქული თვალები და უნებლიეთ შეტორტმანდა, მარჯვენა ხელით ფაცერზე სახელურად გაბმულ მავთულს ჩაეჭიდა და თვალები დახუჭა, გრძნობდა როგორ დაუნესტიანდა შიშისა და ავი წინათგრძნობისგან მთელი სხეული, რამდენიმე წამს ასე გაშეშებული იდგა და აფართქალებული გულით ელოდა უეცრად წამოლანდებული შე-

---

ალეთანდილ ჩხეიძეიშვილი
მოუთხრობები

1586750

მაძღწუნებელი ზმანების გაუჩინარებას და გაქრობას.

ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა და თვალი გაახილა, ირგვლივ იყო მხოლოდ წყალი, მღვრიე და ცოფიანი მდინარე და გულმოცემულმა ფაცერზე გადაამიჯა, ჭრაქი მშრალ ლარტყებზე დადო, მერე წყალგადასაგდები ფიცარი ამოათრია და მოუთმენლად დაელოდა ფაცერში პირველი თევზის შემოვარდნას...

...მთელი დღე მზისგან გაფიცხებულ და გახუერებულ კარავში ბრეზენტის მღვრიე შემაწუხებელად ჩახუთული სუნი იდგა.

იწვა კაცი, ვერ გრძნობდა მთელი დღე მუხლჩაუდგმელად ნამუშევარ, განამტები სხეულის დაღლას. ჩაფიქრებული მისშტერებოდა კარვის კალთასთან მოპრიალე ნიკელის აბზინდს. დაქროლავდა ხანდახან ქარი, შეათამაშებდა კალთას და აბზინდს, სუფთა მაცოცხლებელ ჰაერს შემოხეტქავდა ერთი წამით...

ქალზე ფიქრობდა კაცი, საოცრად გამოცცლილ ქალზე. წამოეჩხირებოდა ყელში ცოლის უცნაური ჟინი და აჩემება, კაცისთვის გაუგებარი, გაუმართლებელი აკვიატება. მოუბრუნდა კაცი წარსულს, მწუხარე ფიქრი და შეშფოთება გაადევნა ჩავლილს, წამოდგა ცხელ გონებას მებადურის ოჯნილთან, ბრინჯაოსფერი სხეული, დღინარესთან შეზრდილი და ნაზიარევი, ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალ მოლბერტზე გაკრული სურათი, ათასი სხვაც, ფანქრით შესრულებული და წამიერი მონახახი.

უმატა კაცს გულისცემამ, მტკივნეულად განიცდიდა თითოეულ დარტყმას, შეეკმა სული, ალარ ეყო ჰაერი, დარცხვენილი, დამცირებული ფიქრობდა ქალისადმი მტკივნეულ საყვარულზე, თავისი არსებობის უაზრობაზე უღმისოდ, მოაწვა ყელში მახრჩობელა, მხუთავი მდუღარე. გამოძვარა კარვიდან, მოელამუნა, ესიამოვნა გრილი, ნოტიო ჰაერი წამიერი იყო ესეც, მინავლებ კოცონთან მიმჯდარი მეუღლე დალანდა—ოცნებიანი, მარტოსული და სავსე. იგრძნო კაცმა: ზვარაკი და მსხვერპლი იყო თვითონ „მის“ სიყვარულს შეწირული და გაველანებული. მოეძალა უეცრად სიბრაზე და ბოღმა, ასწია თავი, მოარიდა თვალი გაჭირვებით, გახედა გადარეულ, გაგეშებულ მდინარეს, ცივად და ღვარცოფად წამოსულ ლანქერს, ჭრაქი ენთო ფაცერზე, მებადურის ჩაცცქეული, მოხრილი ფიგურა ჩანდა მკრთალად.

გაიცსო კაცი მოლიანად ბრაზით და სიძულვილით, დაილეწა ერთიანად. ფეხაკრეფით აერიდა კარვებს, ჯერ ფეთითონაც არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. დაუყვა ნაპირს, შედგა მერე ბონდის ხიდზე, წამით თვალი აუჭრელა მთვარის შუქზე მოკიანთე და შხუილით მოდგრიალე წყლის ავმა და ბოროტმა ძალამ, ასწია თავი, ვარსკვლავებს შეხედა. ჩაეშვიდა ორივე ხელით სახელურებად გაბმულ მავთულს, ფეხის ფრთხილი შეჭირეული ცეცებით გადავიდა მეორე მხარეს, კიდევ და კიდევ მატულობდა ლანქერი—ღრიალით და რეხით მოექანებოდა წყლის ვეება დამანგრეველი მასა, ჩაცუცქდა კაცი ფაცერზე გამავალ ბოგირთან, დაეფარა წყალს ბოგირი, ზურგი ჩანდა ახლა მხოლოდ მებადურის, ტყაპუჭმოხურული ზურგი და მოხრილი, უმოძრაო მხრები.

კაცი უნებლიედ, მავთულს წამოედო და წაბორძიკდა, ბოგირის სახელურად გაეჭიმათ. მავთული, ფაცერსაც ეკავებდა ნაწილობრივ. გაექცა კაცს ხელი მავთულისკენ, ებრძოდა გული დაბნიდულ გონებას და სხეულს. ვერ დაძლია მაინც ლანქერად მოვარდნილი უზარმაზარი ეჟვი და სიბრაზე, ხელების კანკალით გადახსნა თითის სიმსხო მავთული, წყალმა დაუმგრეველი ბოგირის თავი ჯერ ზევით აიწია, ატტიტივა და მერე დაითარა ქვემოთ. ღიმილის მსგავსი გაკრთა კაცის ცივ და პირქუშ სახეზე. მართალია წამიერი და ანგარიშმიუცემელი იყო ეს ღიმილი. დაიხია მერე ფრთხილად უკან, თვალს არ აშორებდა მაინც ფაცერზე ჩამომჯდარ მებადურს, ხრიალი მოესმა უცებ, იშლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა ფაცერი, ვეება ძირეული ხე მოექანებოდა ფაცერისკენ, ხწორედ მაშინ დალანდა ჭრაქის მბჟუტავ შუქზე წამოვარდნილი არსების შეშფოთებული სახე, ამაოდ რომ ეძებდა ნაპირზე გამოსასვლელ ბოგირსა და მავთულს, ხის დაჯახებისთანავე განათდა უეცრად ყველაფერი, შეძრწუნდა კაცი, მიეტანა მდინარეს. წამიერმა ჯადომ აახედა მაინც ზევით, დაინახა, როგორ დაეტაკა ფაცერს ხე, როგორ აიქნია მებადური ჰაერში და როგორ ჩანთქა იგი წკვარამმა მღვრიე მორევში. წამიერი იყო ჯადო, ააშვა, როგორც იქნა, შევარდა მკერდამდე წყალში, მოისროლა იგიც მდინარეშ, ჩაყვინთა, ჩააბუღრავა, წაუბიძგა მერე და ხელებით მიწა იგრძნო, ნაპირისკენ მიდენა წყალმა, თავის გადარჩენის ბრმა ალღომ მისცა ძალა, გაიბრძოლა თვითონაც, ახლა ფეხითაც იგრძნო ნაპირის სიმკვრივე, ამოიხუნთქა უეცრად, ფორთხვით მიეტანა მიწას, შიშისგან რამდენიმე ნაბიჯითაც წაიწია. ინათა ისევ და ღმუილი აღმოხდა კაცს, მწარე და შემაზარზენი ღმუილი, დამარცხებული და განწირული კაცის გოდება, მოწყდა მერე ადგილს, ნაპირ-ნაპირ აედევნა ფეთიან მდინარეს, გარბოდა, მისდევდა წყალს, ღმუოდა თანაც, თითქოს ღრიალში ეჯიბრებოდა ღვარად და ცოფად წამოსულ მთელი წლის ნათმენ და არუხულ ბუნებას.

ფიქრიც შეეძლო უკვე, იცოდა არავითარი აზრი არ ჰქონდა დევნას, გარბოდა მაინც ღრიალით და მოთქმით, სანამ რაღაცას ფეხი არ წამოკრა და არ წაიქცა, მერე კი კაცმა ტირილი დაიწყო. ჩუმი, უცრემლო, განწირული და დამარცხებული მამაკაცის ტირილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თანდათან, ჩუმად, შეუმჩნევლად
მახსენებს გული, რომ ის არსებობს,
რომ ყველა სიტყვა,
ყველა ტყვია,
ყველა ისარი
მიზანში ხვდება...

●

შენ მიაღწიე! —
ახლა მიზანი
შეგიძლია ხელში აიღო,
რიყის ქვასავით,
მოისროლო უმისამართოდ,
რომ მერე, როგორც გაწვრთნილმა ძაღლმა,
როცა ბუდიდან ჩამოვარდნილი
ბარტყივით ფეთქავს,
დიდი სიფრთხილით ჩავსვამ ბუდეში
და წავჩურჩულებ:
„მოთმინებითა შენითა“.

●

აიღო გეში და უთავბოლო წანწალის ფასად
ისევ იპოვნო.
მაგრამ
თუ უკან მიიხედავ
და განვლილ გზას დააკვირდები —
შენი თავი შეეებრალება.

●

(ნაწყვეტი პოემიდან „გაფარჩენა“)

შემომაჩეჩა უღონო ხელში
აყვავებული ალუბლის ტოტი,
ვარსკვლავიანი ცა შეაგება
უსიცოცხლო და მიმქრალ თვალებს
და ვიდრე ფიქრში
გაღმა ნაპირს წავეპოტინე,
შემომბარუნა იის სურნელით გაჟღენთილმა
ნიავის ქროლვამ.

საით მიგყავარ, გაზაფხულო,
ისევ იქით, ისევ იმ მხარეს,
ისევ იმ ხალხთან,
იმ ქაოსში მიხმობ?
გადამეღობა უეცარი გაზაფხული,
შემაჩერა, შემომბრუნა
და ვგრძნობ, ამ ქვეყნად ერთი კვირტიც
არ იფოთლება,
მდინარეს წვეთიც არ ემატება,
ისე მოთვარეც არ ამოდის,
რომ არ ტოვებდეს ჩემში ნაკვალევს
ღრმას,
წარუშლელს,
იდუმალს,
მფეთქავს.

. . .

რადგან დამტოვე და მომაბრუნე —
შენთან მოვდივარ...
ალუბლის ტოტი კი არ ანათებს არემარეს,
კი აღარ მოჩანს სიბნელეში, —
ის მზერას ახსოვს, როგორც ციური
ჰარმონიის ხილული ექო,
რომელიც ისე ზუსტად წააგავს
ჩვენს სიყმაწვილეს,
რომ მსგავსება გვაშინებს ხშირად...
ჩქარა, რომ არ დაკკნეს,
არ მოიწყინოს,
ლარნაკში ჩადგით
მოტეხილი ალუბლის ტოტი —
ჩვენი ბავშვობა,
გამოუცვალეთ მალიმალ წყალი,
მერე შემოდგით ფანჯრის რაფაზე
და იოცნებეთ რაზეც გენებოთ,
ფიქრს და ოცნებას ვინ აგვიკრძალავს?!

მხოლოდ ოცნება, მხოლოდ ფიქრი,
მხოლოდ ჩურჩული
ძერწავდა ნაკვთებს, ქმნიდა სახეს,
გასახიჩრებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებში ლოცვის და შუდარის
კონტურებს ქსოვდა...
შენ ყველაფერს იმახსოვრებდი,
კლავიშებივით ითვლიდი ნეკნებს
შიშველ ფერდებზე
და გაუქმებულ წყაროს ღარივით
გამშრალი ხახა
ვერ იგონებდა მხიარულ ბგერებს,
დროის დინებას რომ ახსენებს
ადამის ძეთა,
ვეღარცა ხავილს ერევოდა,
იგი დუმდა ცრემლისმომგვრელად.

ჭუჭრუტანაში შეპარულ სხივს
საუკუნეთა სიბნელეს რომ ბურღავს და
ბურღავს,
რად იგონებდი სიკვდილის წინ,
რად
იგონებდი?!

. . .

მდინარე, არა თავქვე მიმავალი, —
შენსკენ მომავალი,
დაბერილ ძარღვებს რომ შეერთვის
და გაზაფხულის მღვრიე ტალღებს
მოათქრიალებს,
სწორედ ასევე დატბორილი ვარ
შენი სხეულის ენებიანი ჰარმონიით,
მონუსხული ვარ, შენი ღიმილი
ველის ყვავილივით იშლება.

რად დამაბრუნე შუა გზიდან —
ბინდისფერში,
რად მიმაჩვედრე,
რომ ეს მთები კი არ მეთმობა,
უძღური და დამარცხებული —
ბრძოლის ველიდან მივიპარები.

„ეს ცა, ეს მიწა, ეს მზე, მთოვარე,
ეს ბუნებაა ჩვენი მფარველი“
და არაგვის ხმა
მხოლოდ არაგვის ხმა კი არა,
შენი ხმაა დაუსაბამო,
რომ არ დუმდება,
არ მთავრდება
და გრძელდება დღიდან დღეში,
საუკუნიდან საუკუნეში მოედინება,
ვარსკვლავიან ცას
დროშასავით
მოალივლივებს.

ვანო ჩხიკვაძე

ფერილი ბაქიდან

გინახავს თეთრი ციმბირის გზები,
აეროპლანის მსუბუქი ლანდი
როგორ გადადის
დაცურებულ აისბერგებზე —
ტყეებზე...

სადღაც კაფავენ უღრანს
და „ბელამორით“ გაბოლილ თითებს
მოტკაცუნე ცეცხლზე ითბობენ...

გინახავს სვედა
ცასმოწყვეტილ კენწეროების,
გადახერხილი ძარებიდან
მოყონილი ფერადი შუქი...

დაგდევნებია ველურივით
პირველყოფილი სიჩუმე და
ცბიერი ყინვა
ყინულეთის თეთრი მათრახით...
შემოფრენილა შენს ოცნებაში
სვედის ფრინველი —
მშობლიური სივრცის ძახილი,
თუ უფრო მეტიც:
ქეჩის ჩექმით გაგიკვალია
ფსვიერი თოვლი
შესუდრული შორეთისაკენ
და სიამაყით დაგიკოცნია
ცოდვიანი ნაჯახის პირი...

გინახავს თეთრი ციმბირის გზები,
აეროპლანის მსუბუქი ლანდი
როგორ გადადის
დაცურებულ აისბერგებზე —
ტყეებზე...

სადღაც კაფავენ უღრანს
და შემკრთალ დუმილს მისდევს გზაჭრილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დამლევს
(ეს თვე შენთვის რაღაცას ნიშნავს),
გიხმობს ტირიფი —
ამღვრეული მდინარის დაი...
ბაღის ბოლოსკენ
მისრიალებს ყვითელი მიჯნა —
საათ, ბალახო,
ფოთოლო, საით?...

სად ხარ ნეტავი,
გაკორტნილო ყმუილით მგლების,
წყალგაღმა დარჩი
თუ გამოღმა წაგექცა ცხენი...

ჩამოხსენ ხორცი
და ღრჭიალით აღრეულ ძვლების
მოდის ტყეები.
ზანზარებენ აღსავლის ბჭენი...

ოქტომბრის დამლევს,
ფერწასული ბალახის ღერო
მოწყდება მიწას,
შეუმჩნეველ სილუეტს წაშლის...
„ჩონგური საქართველოა“ — მღერი.
და გაწყვეტილი მავთულები
ირევა ცაში.

უ ჯ ა რ ე ა

„ქვითკირო?“
მაგრამ სად ხარ ქვითკირო,
აწყვეტილია
მკერდზე ღილკილო, —

ვისთვის აწმყოვ და...
ვისთვის წარსულო,

ვისთვის ქვა-ღორღო,
ვისთვის ქვითინო...

მაინც მოვედი
რომ დაგენახო
და ნანგრევებზე
ხსოვნა ვიტკინო...

●

თედო ბეჭაშვილს

მოგაცილებენ ძაღლებივით ადევნებული
გარეუბნები კიბემდე ყეფით...
გააღე კარი,
მოიხსენი ქარი მხრებიდან,
დაღლილი ხახე მიუშვირე
ოთახიდან მონაბერ სუნთქვას...
ყველა სახლშია, —
დიდიც,
პატარაც

და ძილშიც ახსოვთ,
უნდა მოხვიდე
გაყდენილი თამბაქოს სუნით...
უნდა მოხვიდე,
ერთი წვეთი სისარული
სანთელივით შემოიტანო
და სარკეში ჩამდგარ ორეულს
ჩურჩულით ჰკითხო:
— როგორ არის თჯახი, კაცო!...

კველი სურათი

აედევნება
საურმე გზებს ნოემბრის ქარი,
წვრილი წვიმები,
გაუპოსავ ბორბლის ჭრიალი...
მოღნიოშდება ეზოს კარი და ეჭვიანი
ძაღლი ფეხებთან მიუსტება
თავდახრილ სარებს...

მიდის ურემი.
მიაბოლებს თუთუნს მეურმე,
აგინებს ამინდს,
გაძაღლებულ,
ნაღვლიან ყოფას...
კარის დირესთან
წყალობისთვის ატუზულ ქოფაკს
ბეწვებაშლილი
თავისივე ლანდი შეუღრენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრწყინებული საცხოვრისი
ღამეებს დარჩათ,
„ცისკენ“ —
მეძახის სული შენი,
სული წყეული.
გამორიყული მტკივა სხეული —
გადაჩვეული სისხლიან აბჯარს...

წართქვი,
ვის უხმობს
ხმელ გორიდან კეხტი ყვავილი
გადარჩენილი პირქუშ ქარიშხლებს...
ისევ მოდექი
ამაღლების

ᲚᲣᲠᲯᲘ ᲐᲘᲜᲘᲗ
და უპეებში
მომღიმარი ცრემლი დაიშრე.

წართქვი,
ამაოდ ხომ არ დაშვრა
ხრმალთა ჟღერანი,
ძლევის სიმღერა —
მარადისი მხმობელი ქართა...
შორით მთებია,
თიგნის არვე
და ნაქერალი
ყვითლად მბზინავი
მიწისა და სინათლის ზღვართან.

●

ᲗᲘᲜᲐ ᲐᲮᲐᲗᲘᲐᲜᲘ

ამოგიღამებს თვალებს ლოდინი,
ნაყავ ღამეებს ფიქრის როდინით.
ზუზუნებს გაბმით...
ზენა ქარია
ცეცხლიანი ზამთრის ლოგინი...

კანკალებს მხრებზე შავი ფრინველი —
შალი,
დაბმული თეთრი თითებით...
აუქშვეს ვიღაც —
ნატვრის ტოტიდან
ზამთრის ღამეში გადმოფრინდები...

ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ

●

პირაღმა გაწვა ენგურზე ხიდი
და მატარებლის ბორბლებქვეშ, ვხედავ,
ის თვითმკვლელივით გალურსულია;

ეს გზა კი ახლა გულისაკენ მიდის, —
სერავს ძარღვებად სამშობლო-დედას
და ცაზე ყველა ნნათი სრულია...

ელექტრობოძებს დაუვლის დენი
და მავთულებში იღვრება ტალღად
ჩემი ენგურის ქართული ხმები, —

უდარდელი ვარ, ვითარცა დენდი,
რადგანაც ვხედავ დაბლა თუ მაღლა,
ჩემი ვარსკვლავის ტოტი არ ხმება.

აწ აღარ მელის დაცინვა ბედის,
ეს ყველაფერი მერმისის არის
და ჩემი მუხის ფესვები ხარობს,

მაქვს მიმზირალი მზისაკენ მკერდი,
და ეს ხორშაკი, აშარი ქარი,
ვერ აშოსავავს იმედის წყაროს.

ცა-მთების მძლავრი ლაჯით დამხვრჩალი,
კვლავ ეჯინება პონტოს კარიბჭეს
და მე აღეწ�სიმაღლეს ვგავარ...

აქ ჩანჩქერების თეთრი მაჭარი,
უსაზღვროების სურვილს მანიჭებს
და არამხუტუს ცხელ გრემლზე ვდგავარ.

როგორ არა ვთქვა, საკვირველია!
ახლა ტკივილი ბრუვდება ყველა, —
ამქვეყნიური, ცისა თუ მიწის;

ჩემი ფესვები ძველზე ძველია —
მას არ სჭირდება არვისგან შველა,
რადგან ხვალისთვის ღმერთივით იწვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარტენა კვამლი
მამის ბუხრიდან
საჩაწოის კბილებს ჩუმად ქლიბავდა...
მკერდდაოსილი ზამთრის მწუხრიდან
გამოკრთა მკვდრის მზე და...
პირს იბანდა.
მე უკვე ვიცი საითკენ მიდის
ეს გზა,
დევების ლამაზი ვნება.
მარად საჭირო ის ბეწვის ხიდი,
მხოლოდ-ღა ყინვის წვეთებად დნება...
გულდაწყვეტაა თუ მეჩვენება
როცა დრო, თურმე ასე გასრულდა...
ყოვლადძლიერო,
ყველა მშვენება
აწ ააშორე წადილს ავსულთა.

ისევ დუმილი რეკავს მოგვების...
დგანან...
ითვლიან ვარსკვლავებს უთვლელს
და დღეთა თეთრი კატალოგები,
ეხეთქებიან ღამეთა ყუთებს.
შეეხსნა ზეცას ყველა სახვევი,
უცნაურია ეს გახევება.
თუკი დაგჭირდათ ჩემი სახელი,
ციხკარს დაჰკიდეთ ჩელოს ხემებად.
რად ხდება, ნეტა წყვევლა-კირთებით
იხსენიებენ დაღლილ მნათობებს...
ან ეს წამები ქარის თითები —
ჭაღებზე სანთლებს რატომ აქრობენ...

თუ თიბათვეს
მინდვრად გალობს ნამგალი,
ვერ ვუსწორებ
თვალს ბრდღვიალა მზეს,
ახლო არის
დამდაგველი საგანი,
ეს ჯეჯილი დაუთესავს ზევსს.
რად კრავ მჭიდროდ
დარდის მწუხარ ულოს,
ვინ გიპოვნოს დაიკარგო როცა,
აღავლინე ღვთაებრივი ლოცვა,
რომ მეგონოს —
შტოზე ცოცავს სურო.
ვთქვათ, რომ ჩიტებს
უსახსოვრე
გადაღლილი სული,
ხომ ჭიელ-ჭრელა
ნისკარტებით
აგიკორტნეს უმალ...
დედამიწა?
სულ ერთია
შეუცვლელად ბრუნავს,
შენი მოსვლა,
შენი წასვლა
არ აფიქრებს სულაც!..

ალექსანდრე ტაბატაძე

ადიდებულა მტკვარი

ისე ძლიერად აწვიმს პატარა საქართველოს,
პატარა ზეცა ისე ძლიერად გრუხუნებს, —
საცაა მტკვარმა ნაპირი უნდა გადათქვიროს
და მე ამ სურათს სიამოვნებით ვუყურებ.
წვიმს საქართველოს ზურმუხტოვან
მინდორ-ველებზე;
იმხელა მტკვარი მოგელაობს ჭენებ-ჭენებით
იტყვი, საცაა გაიელვებენ
კასპიის ზღვისკენ მიმავალი ზორბა გემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ ა ნ ა ს თ ა ნ

რომელ გზებს აღარ ვთელავდი,
ბედმა სად აღარ მატარა, —
ვერ დამანახა ვერავინ
ვერსად ასეთი სხვა ტანა.

ხან ღმერთი მეფერებოდა,
ხან მაწვალებდა სატანა,
მზე მაინც მებივრებოდა,
რადგან არ იყო სხვა ტანა.

— ტანავ, ლურჯმა მთამ, მითხარი,
ჩემთან რა გამოგატანა,
ვინ გიცდის, ვისკენ იჩქარი,
ვის უყვარს ჩემებრ სხვას ტანა...

ღმერთო, შენ შემაძლებინე
ამ სიყვარულის ატანა,
ნურასდროს ნუ მაძებინებ
სხვა მთებს, სხვა წუთებს, სხვა ტანას!

ტ კ ი ვ ი ლ ი

„ვიყავი თქვენთან. არ დამხვდით“
(კარის ჭრილში, დატოვებული ბარათი)

მე ისევ გიცდი
ჩემს ოთხკუთხედ მარტოობაში,
რომელსაც ახსოვს
შენი სუნთქვა, შენი ტიტინი

და ის ბარათი,
შენ რომ ჩემთვის დატოვე მაშინ,
მტკივა კარებში მოყოლილი
ნეკა თითივით.

ვაჟა ხორნაული

არ დაიჯერო, რომ ნასახლარებს
სიცარიელე
და სიცივე დაუფლებია...
აქაა იგი,

ბინადარი მარადიული,
სვევდა ჩვენი წინაპრებისა —
ეკლესიის ჩრდილივით წმინდა
და შემოდგომის პაერივით აუმღვრეველი.

ხავსიან ედელს
მაღლა-მაღლა აუყვა სვლიკი.
მინდორს ურჭინა ბებერმა ხარმა
და რქაზე შერჩა
დედამიწის მწვანე ნაფლეთი.
ტევრიდან შველი გამოვიდა,
სახლიდან — გოგო,
სკიდან — ფუტკარი,

ეხიდან — ნისლი.
შეირხა,
ცისკენ აიხარა
მდინარეზე დახრილი ტოტი...

რა მოხდა?
ბევრი არაფერი:
მზე ამოვიდა.

ეს არის ქალი — ფიქრიანი,
ტკბილად დაღლილი...
როცა აკვანთან ჩამოჯდება და ამღერდება,
იფიქრებ: ზღურბლზე მზე გამოჩნდება,

არტახები გაიხსნებიან,
აღუღუნდება, ადგება ჩვილი
და ვარსკვლავივით გაბრწყინდება
დედის კალთაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხურ მოტივზე

ჩემი მამულის ნაპირთან
წნორივით ჩამოსდგებოდი,
დიმილს მიყრიდი საკენკად,
ჰქრებოდი, ისევ სჩნდებოდი,
რაც მსურდა, გეუბნებოდი,
მაგრამ არ გევედრებოდი.

ნეტავ რას შემოგხაროდი,
ან რატომ გელოდებოდი,
სიზმარში მაინც გამეგო,
თუ ასე გამისსლტებოდი,
თუ ეგ ახმახი გეგულა —
მე რაღას მეემხებოდი.

იჯდა უცნობი
ჭირხლიანი ხეების ჩრდილში,
მუხლებზე ისე ეწყო ხელები,
თავის ლანდს ისე მისჩერებოდა,
ასე ვიფიქრე:
ამ კაცს სახლი არ გააჩნია,
ან გააჩნია
და შინ ყოფნა არ უხარია.

აგერ, მდინარეც!
ახლა სულ მალე
ზვირთები მკლავებს მომისინჯავენ,
მეც შემარხევენ
და თვითონაც შეირხევიან,
მერე, ნაპირზე,
თბილ ქვიშაში ჩავაწვენ მკლავებს
და დედამიწას დავემჩნევი ჩუქურთმასავით.

გიორგი მინდიკაური

ეპიტაფია

მე ვარ მერცხალი, —
გაზაფხული დამაქვს ხალხისთვის,
არაგველთა ხმლის ვარ ნაპერწკალი.

მიწა და ჟანგი —
მე ვერცერთი ვერ მერჩის, რადგან
ჩემში ხმიანობს წინაპართა ხმლები და ჩანგი

ვით ხაჭო ძობანს —
სახელიანთა სახელები ასხედან ჩემს სულს
და წინ მიმიძღვის მათი კაცობა.

მზრდიდა კაფია.
ჰა, სიცოცხლე, მამულო!
ოღონდ:
„ის იყო კაცი“ — წამიწერე ეპიტაფიად.

ვაჟას სიკვდილი

ჩარგალს დაქუჩნდნენ ნისლები მღვრიე,
არაგვი ყეფდა ხმით უცნაურით.
ცამ ნაღდი ცრემლი ზღვას შეურია.
მნათობი სახეს იგლიდა მურით.

ლურჯა სხვა მხედარს არ იკარებდა,
ლაგამის ხვრით და თვალთა ფეთებით.
იქვე, ქუდმოხდით იდგნენ კარებთან
და ქოხში შესვლას ითხოვდნენ მთები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ კოგბერიძე

ფინ, ძლევამოსილ მარშით!

მიზანი,
ჩემი მიზანი —
ბურჯად მიდგია მხარში.
ბრძოლაში,
ის გადამარჩენს,
ის გამომარჩევს სხვაში.
წყურვილად შემომედება,
ფოლად მიჟღერებს ხმაში,
წავიდე, განვლო სავალი,

არ შემაღამდეს გზაში!..
არარად ჩავთვლი სიკვდილსაც —
ოღონდ არ შევრცხვე გვარში!..
ო. უძლეველო სურვილო...
ცეცხლად მედები ტანში!..
არა, გვირგვინი არ მინდა
და არც მქუხარე ტაში.
წინ, უნათლესი მიზნისკენ,
ძლევამოსილი მარშით!

ვარ დამსხვრეული მე შენი ხვედრით
და ადდგენილი ათასჯერ მკვდრეთით.
ვარ მუჭა მტვერი მე შენი მიწის,
ემირთა საფლავებს დაყრილი ფიცით.

ვარ გაცინება მე შენი დილის,
რომ დაგიამებს ყოველგვარ ტკივილს.
ვარ შენი სუნთქვა, შენი ღიმილი
და შენი სულის მძაფრი ყივილი!..

დიმიტრი ხორნაული

ლ ტ ო ლ ვ ა

ხვალ კი მოვირგებ წრიაპებს ცქაფად,
სულს გზას გავუხსნი, გვაშში ჩასერგილს,
იქნებ სიკვდილი არც კი მთვლის კაცად,
წავალ და... თვითონ გავეძრახები!..

წყარო ივერეთში

ლოდს რაად მოეფარები,
რაად იმალავ სურვილსა,
გადმოდი, გადმონათე
ლიბო ამ კლდეთა ყურისა,
მიამბე რამე აქეთის,
გზას ვეძებ დაკარგულისა,

აღარა ვიცი ხანია,
უჭირსაე თუ ულხინსა.
მენიშნა შენი სილურჯე,
სიწმინდე შენი სულისა,
ჰო, თორემ ისე ხევსური
სად როს მოუკლავ წყურვილსა.

გიორგი ხორგუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოთხრობა

ესე ერთმანეთს მიჩვეული გოგო-ბიჭი არც მინახავს და არც მსმენია.

ცხრა მთას იქით გაყოლა რომ შესთავაზოს, სიხარულით დაეაბულდება გულმინდობილი გოგონა.

დღესაც ხალისით გამოჰყოლოდა ბაღში. ახალი ნარწყავი ბოტანი გადაეთელახნათ, შეთვალული მოცხარისა და შემწიფებული მარწყვისთვის მიეგნოთ, ყელი ჩაეგემრიელებინათ, გვერდით რუში გაგრილებულიყვნენ და გოგრა-ბლის ძირში დამალვოდნენ საშუადღეოს მოტანებულ მზეს.

ბიჭი მწვანე ბეკობზე ჩამომჯდარიყო და რომელიღაც თხელ წიგნს კითხულობდა, ლურჯი ფანქრით აჭრელებდა გამოსარჩევ სტრიქონებს.

გოგონას ბლის ძირისათვის მიეყუდებინა ზურგი და იმასაც წიგნი გადაეშალა მოშიშვლებულ მუხლისთავებზე. წიგნი სახალისო თვალგასაყოლებელი იყო, მაგრამ გულაცმუკებულ გოგონას მაინცდამაინც არ ეგუნებებოდა კითხვა.

ბატონო გურამ! — დამცინავი ფერი მისცა ხაზრდილობო სიტყვას.

— რა გნებავთ, ქალბატონო მარიკა! — იმავე კილოთი მიუგო.

— რად ბღაჯნი წიგნს?! — მჭირდება.

— რისთვის?

— ჩვენს ეკლესიაზე დამავალეს დაწერა და...

— მღვდელი ხომ არა ხარ, შე შეჩვენებულო! — შეაწყვეტინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მღვდლები ეპატრონებოდნენ, თორემ სოფლისა იყო ის ეკლესია, ხალხის ნაოფლარი და ნახელავი.

— შენ იცი, იქნებ, ისეთი რამე დაწერო, ქეჟიანა გააკეთოვო!

— ბეგრს ნუ ლაპარაკობ, შენ შენს საქმეს მიხედე!

— ოჰ, ბოდიში მომიხდია თქვენი ბრწყინვალების წინაშე! — ირიბი ღიმილი გაიმრავლა და წიგნს დააცქერდა.

ვერც ამჯერად გაიყოლეს სტრიქონებმა. ბლის მარცვალი მოიშორეს, ესროლა და წიგნზე დაბარა თვალები, ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა და ღიმილს ვერ იოკებდა. ბიჭს შუბლზე მოხვდა ნასროლი, გული შეუერთა, მაგრამ გუნება არ ამღვრევია. გოგონა აფუსფუსდა. გურამმა გამაფრთხილებლად გაარაცოცა თავი.

მარიკამ ყურად არ იღო, კვლავ დასწვდა ბლის მარცვალს და ახლა ცხვირზე მოარტყა.

— გაჩერდი, შერეკილო, თორემ...

მარიკამ ფუტკუნს მოუტაკა.

ბიჭმა ყურადღება ალარ მიაქცია.

გოგონამ უფრო გამეტებით ესროლა გოგრაბალი.

— რა სისულელე ჩავიდინე, რომ წამოგიყვანე! — თავი ვიკიანია გურამმა.

— სულელი რა სულელია, თუ არ ისულელა! გოგონამ არა და არ მოახვეს ბიჭი.

გურამსაც მეტი არ უნდოდა. გაცხარებით მოისროლა წიგნი და დამოკრძალით გამოეკიდა გამფრთხალ გოგონას, მალე მოეწია, თმაში წაწვდა და მოიფიდეებლად ჩამოკაჭა.

— ვაი, ვაი, ვაი! — აკივლა გოგონა, თან სიცილს ფრენდა და წელში იკრიხებოდა. გურამი არ შეეშვა.

— გამიშვი, გური, რა, გამიშვი!

ბიჭმა უფრო ჩამოსწია.

— გეხვეწები, გური, გეხვეწები!

გურამმა არც ამჯერად შეიცოდა.

— შენი დაიკო არა ვარ?!

— არა, ასა თქვი რაცა ხარ!

— ხო, იმასაც ვიტყვი, შენი ძაღლი ვარ, ძაღლი!

— სამჯერ გაიმეორე!

მარიკამ, ბარე ხუთჯერაც დაიძახა ხმამაღლა.

ბიჭმა ახლა კი უშვა ხელი.

რაკი თავი დაანება, ისევ გამოსწვევად აკიაკინდა აბრუებული გოგონა და აცინცხლებული გულის მოსაფხანად მიაშელი, განზე გასხლტომიდან:

გური, გური,
ტუტუცი და მშური!

— ოჰ, შე მარილა ტუტუცანა! — სიცილით მიაძახა და ანაზდად მოსხლტა წასაწვდომად. აცეტებულმა მარიკამაც მიაულოდნელად იკივლა და გაუხსლტა.

მირბოდა და მიკისკისებდა გოგონა.

მისდევდა და მიპხარხარებდა ბიჭი.

ამ კისკის-ხარხარით მიადგნენ ტანას, მომცარო მდინარეს, კიდევ უფრო რომ დაეჩიავებინა ივლისის პაპანაქებას.

მარიკა წყალში შევარდა, მკვირცხლად მობრუნდა, ორივე ხელი ნიჩაბივით ამოუქნია და გამეტებით შეაშხეფა დადევნებულ ბიჭს, თან კისკისებდა და თან ჩქარ-ჩქარი მოსხმით ეგერიებდა აქაქანებულ მოძალადეს, რომელმაც ძლივს მოითქვა სული, წყალში შეერია და სცადა სამაგიერო გადახდა.

დაუნდობლად სწუწავდნენ ერთმანეთს. ორივე გაიწურა თავით-ფეხებამდე, ეგოგო უფრო მეტად ამას არ დასჯერდა ბიჭი, ხელი წაატანა ეგოგოსს, რათა წყალში ჩაეყურყუმელავებინა, მაგრამ მარიკა მიუხვდა, კვლავ გაუხსლტა, ჩქაფ-ჩქაფით გამოტაპა და კისკის-კივილით გაიქცა ფეხშიშველი. სულაც არ ეშინოდა, მაგრამ მაინც გარბოდა მდინარის ალმა, გაქცეული მაინც იმუქრებოდა:

— მოგალავ, გური, იცოდე, მოგალავ!

მერე უცბად შეეკოვნდა, შემობრუნდა და აბურძგნილ ქაჩრიზე სწვდა, ღონივრად დაუძაგრა, გამეტებით მიმოსწკლია.

გურამს სიამოვნებდა, რომ ასე იყრიდა ჯავრსა დაშეკრებული მტერკე, ვვიან ვაეშვებინა. ახლა ოვითონ დასწვდა მოშიშვლებულ მკლავზე და დაუნდობლად მოჩქიტა, ღილივით რომ დაშრეგოდა ნანეშარი.

ეგოგონამ კისკის-კივილს უმატა.

ისედაც სიფრიფანა კაბა, მოკლე და უსახელოები, ისე შემოტმასნოდა კენარ ტანზე, დედიშინილას ჩამოგავდა. ძლივს შესამჩნევი ბუსუსი ეეშვა ჩაჩერეტილ ლოყებზე, თხელი ტუჩები გალურჯებოდა, სველი, დაცინცხლული თმა მხრებამდე ჩამოსწეწოდა და აქეთ-იქით იქნევდა ისე, როგორც გაუხდნავი კვიცი, აბეზარ ბუზების მოსაგერიებლად. ბიჭს სახეზე ეხეტრებოდა ეოგონას თმის ნაბერტყი ცინცხლი.

ესეც სიმოვნებას ბგერიდა და უფრო ახლოს მიიწეგდა.

ეგოგონამ თავი ანება ბიჭს, კაბის კალთები შემოიწურა მუხლისთავების ზემოთ და თან უგულოდ შემოსწყრა:

— რა სძაველი ხარ!

— რათა?

— თავი ვიქეცი ქვათა!

— ცოდო ვარ, მარიკა! — და ბიჭმაც მოიწურა ზარელის ტატი.

ეგოგონას გაეპაპანა.

— ეცივა, მარიკა?

— ამდენი ცივი წყალი მასხი და მაშ რა მომივა.

— ეალმა ეავიდეთ, მარიკა, მზეს შევეფიცხოთ!

ეგორეი ხოროეუაშვილი

ეპალლეპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოღონდაც გამთბე და...

საცალფეხო ხიდზე რომ შედგნენ, ბიჭი უცებ შემობრუნდა და ნელა დააქანავა ლატანი.

მარიკამ იკივლა.

ბიჭმა ირონშიაც არ ჩაავდო გოგონას კიდეველდრება და უფრო გამეტებით დაბუქნა.

— დედაააა! — შეპკივლა და ფრთებივით ააქანავა გაშლილი მკლავები.

ფურამმა ხელი წაუშვა და მეორე ნაპირას გადაიყვანა.

— აი, აი, აი! — ჯავრის ამოსაყრელად წააკარა მუშტები სველ ბეტონზე.

ბიჭს სიცილად არა ჰყოფნიდა.

— რომ ჩაგეგდე, მერე?!...

— აი, ასე დაგწვდებოდი და ამოგიყვანდი! — და სველ მკლავზე სტაცა ხელი.

— გამიშვი, სულელო!

ფურამს არ ეთმობოდა გოგონას ხელი.

მარიკა ვერაც ეშვებინებოდა და გულითაც არ უნდოდა გამოსხლტომა. ეს ხელწაცდენილობაც ბავშვურ-ტეკობრული გრძნობის გამოხატულებად მიაჩნდა, გართობა-თამაშადაც სთვლიდა და სულაც არ ერიდებოდა.

სტუმარი ალარც ეოქმოდა მარიკას. ამჭერადაც დეიდასთან ბინადრობდა. რაც ასკინკილა ხტუნობა შეიძლო, ყოველ ზაფხულს აქ ატარებდა, ქართლის სოფელ ხიდისთავში. მშობლიურივით შეეჩვია ამ მისახედ-მოსახედსა და აქაურებს. ბევრისთვის დაუტოლებია გული. მათთან უთამაშია და უციცქლია, უღმერთოდ მოქანცული „ნიშნა-ნიშნათი" თუ „დავლა-ბურთათი", „ალასობანაში" უპირველობია, ტანის ტოტებში უმეუმაალავია, ორღონეებში უფანწყალია ფეხშიშველას, საწუნკესს ალბართში გასჯიბრებია სირბილში თანატოლსა, ზედველაზე ასდეგნია კომბალინს, ქუინტი ტაროები შეუწვავს ერისთავიანთეულში. ტლაშაანთ მაისის ბალზე გადაპარულა, რამაზაანთ ტელევიზორისთვის რადაც უზიანდრებია და გამოპარულა.

რაღა ალარ მოაგონდება ოკეე შეულორტებულს.

თანატოლები და თანაკეკუისანი ბევრი ჰყავს ამ სოფელში — გოგონებიც და ბიჭებიც. ვაეუბისკენ უფრო ისწრაფვის საამბანაგოდ, ცოტა არ იეოს, ჩამოუგავს კიდეც საქციელ-ხასიათი ბიჭსა. თავისზე პატარებსაც ეამხანაგება და დიდებსაც. ფურამ რამაზაშვილისკენაც გაუწევია მარიკა სიხარულთან ერთ. ბავშვ. ბ. ეულიც. მალე დაახლოვებულან ან დამეგობრებულან ერთ. ბავშვ. ბ. ეულიც. ერთად თამაშ-გართობით გაუხარიათ. უფრთმნეთოდ გაძლება გასძნელებიათ, მერე და მერე უფრო გასცხოველებიათ ყმაწვილურ-მეგობრული სიყვარული.

ცხელ ლამზე წამოგორდნენ, მცხუნვარე ზზეს მიეფაცხნენ და ხალისით საუბრობდნენ.

— ხომ კაი ხანია, წარმოდგენა აღარ დაგვიდგამს? — ღიმილით მიხედა ბიჭმა.

— მერე ვისი ბრალია?

— პირველ რიგში ჩემი. და ფალლოეს ხანში გამოვასწორებ, თუ შენ არ მიღალატებ...

— არ გრცხვენია, გური? მარიკა და ღალატი?

— ისეთი პიესა შევარჩიე, რომ... გადაირეკი.

— ვისია?

— ამ ბიჭის! — თავმომწონედ დაიკრა ხელი მკერდზე.

— არ გამაგიეო... რა დაარქვი?

— „ამაღლება".

მარიკამ გადაიკისკისა:

— მეხი კი დაგაყრიეთ შენცა და შენს ამაღლებასაც! — და წამოხტა.

— მოიცა, მარიკა! — მაჯაზე წაესწვდა.

— რა ფეხბავს?

— დაჯექი, კარგად გაშრი!

მარიკა ნებას დაუყვა. ისევ წამოჯდა სველ ლამზე. ფეხები შეიკეცა, მიტყუპებულ მუხლებზე ხელები მოიხვია, ზედ დებებინა თავაკუწული და დამცინავად შეაკრინეს იქვე მჯდომ გურამს.

— ჰმ! პიესა... „ამაღლება"... რატომ „აფრენა" არ დაარქვი, შე ნამდვილი აერონავეტ.

— „აფრენასაც"! დაეწერ...

— ჰი-ჰი-ჰი! — გულთანად იცინოდა, გაბმულ კისკისში უფრორე უთანხოვნედ მოშიშვლებული, თამამი, ახლად დაკოკრებული მკერდი.

ბიჭიც ამეოლოდა სიცილში და თან ეინთანად მიშტერებოდა.

გოგონამ თვალები არ გამოარიდა, უმზერდა თბილად, ალალი ღიმილით, თითქოს რაღაცა უხაროდა.

ბიჭის თვალებში სხვა, ახალი და უცნობი გრძნობა-აზრი ამოეკითხებოდა, გოგონას თვალებში — ჩვეულებრივი, უბრალო, მიმნდობი.

ფურამს შერცხვა თავისი სინდოისის წინაშე, თავი გაკიცხა, რატომ მეშალოთება ასეო, გადაწყვეტა ისევ იმ ხალასი, მართალი თვალით ემზირა, როგორც ადრე, ანდა სულაც არ შეეხედა იმ ბაკრეად, მაგრა? სიტყვა ვერ გაიმაგრა, მაინც გაეკარა თვალი.

ფურამი ორიოდე წლით იყო მარიკაზე უფრო სი. ტანიც აჭარიდა და ქკუაც შესთანხმებოდა. ბავშვური ქცევები მიმქალებოდა, ეფაკეტური თვისებები უმრავლდებოდა, ახალ ადამიანურ სამყაროში შეებიჯებინა.

მარიკასაც აულორტეოდა ტანი, ყვრიმალამდე შესტოტებოდა ფურამს. სავაკეკოდ გამზადებულ ქალაშვილს ჰგავდა, მაგრამ ჯერ არ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული

სულიყო ყმაწვილ-გოგოობის სამყაროდან. ისევ ბავშვურად ოქროდა და მოქმედებდა. მისი თანატოლები უკვე ქალიშვილობდნენ, საყმაწვილო თამაშობებს უკადრისობდნენ კიდეც. ქცევა-მოქმედებითაც თავმოწონებიდნენ, სიტყვა-პასუხითაც ქეიფლუფობდნენ, ამაყობდნენ. მარიკა კი ისევ თავისებურად გოგონობდა, ტინეიცობდა და ჭკუამხიარულობდა, არც ხალმეღლის ასწონდასწონიდა, არც საქმეღლის. ათასში ერთხელ თუ მოუუვლებოდა ჭკვიანური სიტყვა. მაგას ვინღა ჩივის, ზოგჯერ ისეთი ტუტრუცანულს წამოაყრანტალებდა, რომ ჭკუადამჯდარი ადამიანის ყურში არ ჩაისვებოდა; დედის კალთიდან ახალი ამდგარივით იოფლდებოდა თამაშში. ისევ იქანცებოდა მოქნეულ თოკზე ხტუნვით, ახკინკლეანობით თუ ელსახლანავით. მოურიდებლად გამოეკიდებოდა ხან ბურთსა და ხან გაქცეულ მოთამაშეს, იცოდა, რომ მოსელე კაბა გაქცევასა უფრო მალ-მალე აუფრიალდებოდა, მაგრამ აინუნშიაც არ აგდებდა კი თანატოლთა რჩევა-გაფრთხილებას და არც წუწკოვალება ბიეების შეუოკებელ მზრახს.

შინაურები ერთთავად ეჩიჩინებოდნენ ჭკუაუკითხავი ბავშვივით ნუ ტუტრუცანობა.

უფრო მეტად დედა გაუწყრებოდა:

— მთელ დღეს რომ დოღის ცხენივით დაპრაკუნობ და მაგხელა ტლინკებს ანახვებ ქვეყანასა, შენი თავი ხუთი წლის ბაღანა ხომ არა გგონია!

— არც ორმოცდახუთი წლის მანდილოსანი გეგონო ჩემო საყვარელო დედიკო! — ღიმილით, წარბების აშიმეთია და თავის ქნევით ბოლოდ მარიკა.

— თხუთმეტი წლის გოგონასაც მოეკითხება სირცხვილი.

— შე უსირცხვილო, რას ვაკეთებ.

— მკერდი ქე გაგვსებია, მაგრამ თავი ისევ ცარიელი გაქვს.

— ნუ ჩქარობ, დედიკო, იქნება ისე ამეკოოს, რომ მთელ სიხარულიძეებს ეყოს.

— ქალს დაუმზერ, შვილო, ქალს. პატარა ხომ აღარა ხარ, გასათხოვარი ქალიშვილივით დაკოკერებულხარ.

— გასათხოვარი წინეხი ვამიგია, კალმისტარი, ბარი, ნიჩაბი და ამნაირები, ადამიანის გათხოვება რა სათქმელია...

— შენ მაგ სიტყვის აზრი არ გაგეგება და ბეგბიშენი რომ შენი ტოლი იყო, საკუთარი ბაღანა ეკავა ხელში.

— საწყალი ქალი! ბავშვობიდანვე დაგიჩაგრავთ მაინც ხელს აუკრავდა მარიკა.

— იჰ, რა უნდა ეელაპარაკო! — თავისთვისღა დაიჩივლებდა და ზურგს შეაქცევდა. ის წყენა გაუვლდა, მერე მაინც მოუბრუნდებოდა მოვალე გული, დაისვამდა და კვლავ მოთმინებით დაუწყებდა საჭალიშვილო შეგონებებს.

მარიკა კი თავისებური ჭკუამხიარულობით ჩიფარაკისავდა დედის სიტყვას.

კიცხავ ხომ სიცილდადაც არა ჯყოფნდა.

თუ კვლავაც დაუცაცხანებდა, სულაც გავარდებოდა სახლიდან და საძებარი გახდებოდა. ხან იმავე სოფელში, გათხოვილ მამიდასთან დაიმალებოდა, ხანაც ამხანაგ-მეგობრებთან.

— რას სულელობ, გოგო! — ბორრილად უსაყვედურებდნენ.

— გახულელდები, მაშ რა იქნება, როცა ამდენს მეჩიჩინებიან და მეჩიზუბებიან კიდეც! — ვალის დადებასაც შეეცდებოდა. შინაურებსაც და გარეულებსაც უკვირდათ, რომ დედის კალთიდან წამომხტარი გოგონასავით იქცეოდა უკვე საქალიშვილოდ შეღერებული მარიკა.

ხიდისთაველ დეიდასთანაც ეგრე ლაღობდა. არავისთან არ დაიმორცხვებდა — არც შინაურთან და არც გარეულთან. ახალგაზრდებში უფრო თამამობდა. გაივლიდა გამშობლიურებულ სოფელში და ტალიკ-ტალიკი ბიეებიც ხარბად გააყოლებდნენ დაუმორრილებელ თვალსა.

— ივფ, რა არის, ბიეო!

— ცოდან ჩამოფრენილი ანგელოზია!

— შეხე, შეხე, რა ტანი აქვს!

— შენ თვალები თქვი!

— გულ-მკერდს დაუხედეთ!

— რაღა არა აქვს კარგი! — წასჩურჩულებდნენ ერთმანეთს.

პირშიე ეტყოდნენ ქებას, ოღონდ, ზრდილობიანნაგ და თავშეკავებულად. მარიკას მიამიტად უხაროდა კიდეც, მისი ტალეგი თუ უფროსები, თუნდაც უცნობები, თითლიბაზურ სიტყვას რომ ეგემბდნენ და ხარბ ბზრახსაც გააყოლებდნენ. არც თვალს არიდებდა და არც სიტყვას, ყველას ამხანაგად და მეგობრად მიიჩნევდა. იგი ისე გულუბრყვილოდ აუხვებდა ალალ ღიმილს და თბილ სიტყვას, ბიეებს კი ეშმაკური ფიქრი ასდოლოდადა.

— გამაჯრეს, მარიკა! — მოულოდნელად გადაუდგებოდა წინა ჭკუაშემღერებული რობერტი და ხელსაც უმაღლე გაუშვერდა.

— გაგიმარჯოს, ცერეტერ! — მარიკაც თამამად გაუწოდებდა მარჯვენას.

— როგორა ხარ, ძვირფასო! — ოდნავ მოუბერდა მარჯვენას.

— როგორც მეკითხლობ! — არც ეცდებოდა ხელის გამორიდებას.

— მე ძალიან კარგად ყოთხულობ! — ხარბად მიაცქერდებოდა.

— მეც ძალიან კარგად გაგხლავარ! — მარიკაც დაეინებით მიაშტერდებოდა და ვიდრე თვით

გიორგი ხორგუაშვილი
ამაღლება

ვაჟი არ დაიმორცხვებდა, თვალს არ მოაშორებდა.

— სალამი, ანგელოზო! — შორიდანვე გაუხუხებდა ღიმილს ელამი რომანოზა, ორივე ხელს ჩამოართმევდა და გატკბენილი მწყრის ჩოტორივით სათუთად მოეფერებოდა მარიკას ხელსა.

— სალამი, ტარტაროზო! — ღიმილითვე მიუგებდა მარიკა და თვითონაც შუში ალერსითვე მიმოიფაფრუნებდა ომაწყვდეულ ხელსა.

— როგორა ხარ, ჭირიმე? — ტუჩების მოტკბარუნებით ჰკითხავდა.

— კარგად, გენაცვალე! — კვლავ თამამად შეხედავდა.

ვაჟს ეშმაკურ გამოხედვად მოეჩეკენებოდა და უფრო გაბარბით მოწყრავდა თვალებს. მარიკა ვერ მიუხვდებოდა და ჩვეულებრივ ეთამამებოდა.

ვაჟს ფრთები ეხსმოდა.

— აქ რა გაკეთებ, მარიკა?! — მოშიშვლებულ ყელზე მორიდებით ჩამოუთათუნებდა ხელსა გალმაუნელი ოფარა.

— ხალია, შე ამბალო!

— მე ჭია-მარია მეგონა! — ღრმად ამოისუნთქავდა ვაჟი.

— დაგეგსო თვალები. ჭია-მარიას და ხალს ვეღარ არჩევ?

ზოგი გულსმრჩეველი ახალგაზრდა კი ნაზი კოცნით მიეხალმებოდა. გულმინდობილი გოგონაც კოცნითვე უპასუხებდა.

და მოსვენება დაეკარგებოდა ვაჟს. ყველას ცალ-ცალეკე მოსდიოდა თვალში მარიკა ხიბარულიძე, მაგრამ ერთმანეთს უმალავდნენ და ჩუმ-ჩუმად ისწრაფვოდენ, კიდეკ უფრო ახლოს მისულიყვნენ.

მარიკა არავის ირიდებდა, მაგრამ უწინარესად გურამს ეძახდა მისი თვალი და გული. ყველაზე მეტად ისასთან ყოფნა ახარებდა. ამა, ასე ქალიშვილივით წამოყალორტებულიყო და ისევ ბავშვობდა და ეთამაშებოდა. უფრო ხალამოობით იცლიდნენ სათამაშოდ. ყველი თამაში ახარებდა მარიკას, მაგრამ „მოშლილი ტელეფონი“ სულ სხვა სიხარულს ჰგვრიდა.

გურამმა კარგად იცოდა მარიკას გულის მუღამი და მოსაალმავდებოდა თუ არა, საიმიხოდ შემოკრებდა უბნის გოგო-ბიჭებსა. საკმეს მარიკათი დაიწყებდა.

— სიცილი არ გინდა, მარიკა? — გამომცდელად მიაკვერდებოდა.

— რავა არა, სიცილს რა სჯობია, მაგრამ ის უწმაწური ანეკდოტები აღარ გამაგონო.

— არა, მარიკა, მაგას როგორ გაკადრებ... „მოშლილი ტელეფონი“ ვითამაშოთ და...

— მოდი, გაკოცო, მაგ გახარებისთვის.

გურამი უმალვე მიუშვერდა ლოყას.

მარიკა დანაპირებს შეუსრულებდა.

გურამს თვალები გაუცისკროვნდებოდა.

მალე სხვებიც გამოჩნდებოდნენ, სულ ერთ-ერ-თ გროვდებოდნენ მთელი უბნის გოგო-ბიჭები, იმათაც თამაშ-გართობის ყინი მოეძალებოდათ, ყველა „მოშლილ ტელეფონს“ ირჩევდა, ქჭრიკი თოკის ეზოს ახმაურებდნენ. ერთმანეთის შენაცვლებით ჩამწყრავდებოდნენ ბიჭები და გოგონები და დაიწყებოდა თამაშები.

გურამი იმედს იცდილებდა, რიგის ბოლოს მოექცოდა და მარიკასაც გვერდით მოიყენებდა. გოგონაც სახარულით აკუნტრუშდებოდა, იმისგან მოეწლოდა ყველაზე მეტ სასაცილოს.

თამაშის დედა სახიფათო ნათქვეკლს შეარჩევდა, იგი კი სწორად იტყოდა, მაგრამ ესმამ ბოლოში გავიდოდა, ასნარად დამახინჯებოდა. ჩურრულითთ და ჩქარ-ჩქარა ნათქვამი. ყველა ცდილობდა თავის სახარგებლოდ და სასაცილოდ გადაეხსვანარებინა ნაეშმაკო სიტყვა.

დამწყები იტყოდა:

„მე ბევრი ბზე მაქვს“.

მეორე გადასაცემად მესამეს:

„მე ბევრი მზე მაქვს“.

მესამე მეოთხეს წასჩურრულებდა:

„მე ბევრი მზერრავს“.

მეოთხე მეხუთეს გადასცემდა:

„ბებერი ზერუნავს“.

ბოლოს გურამი მარიკას ჩაასმენდა:

„ბებერი ბზუნავს“

მარიკა ხმაშალა წამოიძახებდა ნაჩურრულებს და სიცილი აუტყდებოდა.

მოთამაშეებიც გულთანად გადაიხარხარებდნენ იმ დამახინჯებულ ნათქვამზეც და მარიკაზეც.

სათავეში ტუჩებს აიცმაცუნებდნენ:

„მაწონი ძვირად ფასობს“.

ეს ფრაზა დამახინჯებით ივლიდა ყურიდან ყურში და მარიკას ახე ჩაესმოდა გურამისაგან:

„ბოშეწინსარ, ძვირფასო!“

— ვაიმე ცოტა იქით, რავა ხმოს დრუნჩივით მოიმშვერ ხოლე? მაგ ტუჩებს! — ხმამაღლა წამოიძახებდა მარიკა.

— გაჩუმდი, გოგო, განა ქვეყანას უნდა გაგებინო!

— რა მაქვს საჩუმათო, ყურის ძირი გამიღლიკე წუწკი კატასავით და კიდევ მე გავჩუმდე? ხარხარი ვვიან ჩაცხრებოდა.

უფრო მეტი ხალისით გაგრძელდებოდა თამაში.

თამაშის დედა დაიწყებდა:

„ზველს მომცრო ყური აქვს“.

ეს ნათქვამიც ივლიდა, ივლიდა და მარიკას ყურამდე ასეთნაირად მივიღოდა:

„შენი კოცნა მწუარია“.

მარიკა ჯერ კისკისით იჭერებდა გულსა და მერე ხმამაღლა წამოიძახებდა:

— მომაშორეთ აი შტერი გურამი! ერთი სიტყვაც არ მომიტანა წესიერად. თვითონაც არ იცის, რას ბოდიალობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვედრილი ყმაწვილები გულიანად ხარხარებდნენ და ერთმანეთს უპაჰუნებდნენ თვალსა.

— თქვენს შორის რომელია შტერი, ეგ მერე გაირკვევა! — მაინც წამოიძახებდა სიტყვაშეუკავებელი მოთამაშე.

მარიკა ვერც ამჯერად მიხვდებოდა.

სხვა თანატოლებსაც ასე ალალგულად შესცინოდა და შეუბახოდა,

ბიჭები ამას სათავისოდ ითარგმნიდნენ გულში.

●

თანასოფლელ აჩიკოსაც ეგრე ეგონა, რახან მარიკა ასე ობლად მიცქერის და მეღიმება, ეგ არის და, გულში ჩავვარდნივარო.

საგონებელს მიეცა სისხლმაჭრილი ვაჟი.

მოფუვდომელ ნატეროდ ექცა თვალსაამო გოგო. აფიქრა, აიფოროიქა, თეთრად ამსხვრევინა შავი ღამეები. ერთი სული ჰქონდა, როდის გაუმხელდა. აბა, ეს ამინდიც დაუდგა, დიიმარტოვ და:

— მარიკა! — ხმა შეუკანკალდა.

— ჰაო! — თამამად შესძახა.

— იცი, რა კარგი გოგო ხარ?!

— შენ იცი და მე არა, შე შტერო?!

აჩიკოს სიტყვა დაეკარგა, წამოწითლდა და დაბნეული ღიმილით მიაშტერდა.

— რას შემომკრეხენებ თავქარიანი არისტოსავით, რა გინდა, არ იტყვი?

— მინდა სულ შენ გიმზირო, მეტი არაფერი, მარიკა!

— იმდენ ხანს მიქვრიტინე, მანამ თვალები დაგიბრმავდება!

— ოხ, შე... — ღრმად ამოისუნთქა.

— ცუდი არფერი წამიგაცდეს, ითრეგ... ჯერ მოქვრთო შემჯარა წარბები და მერე შუში ღიმილი გადაივლო.

— აუგს ვინ გაკადრებს, ზეციდან ჩამოფრენილ ანგელოზსა.

— ჰოო, მართლა?

— მართლა, მარიკა, მართლა... ლოცვის ღირსი ხარ! — უფრო აუკანკალდა ხმა.

— მერე, რაღას უცდი, დაეკუდე და მიღოცე!

— ეგრეც არის, მარიკა!

— ტყუილს ნუ კადრულობ! ჯერ ჩემს წინ პირჭკარი არ გადაგიწერია.

ვაჟი შეეოფნდა.

— ერთი რამ უნდა გაგიმეღვენო, მარიკა.

— ორი იყოს, რას ვკარგავ!

— ვიცი, გაგიბარდებაა...

— თქვი, მერე, რავა შეშინებულივით კანკალებ!

— მიყვარხარ, მარიკა! — და გულიც ამოაყოლა.

— დაიფიცე, აბა! — სიცილს გამოადევნა.

— ყველაფერს გეფიცებიან!

— რად უნდა ვძღულდე! — კვლავ მიამტად და სიცილით მიუგო.

აჩიკომ თანაგრძნობ პასუხად მიიჩნია. სიხარულმა აიტაცა. დაიბნა, ალარ იცოდა, რა ექნა. ტუჩები აუთრთოლდა, წამოიენთო, საკოცნელად წამოიწია, მაგრამ მარიკა ინსტინქტით მიხვდა, რომ რაღაც უარსაყოფი რამ ხდებოდა, თავი მოიშორა, სილა გააწნა, მოფრიდებელი ლანძღვა მიაყოლა. ამან არ დასჯერდა და ჭკეყანა შეუყარა:

— ეს რა წამოაყრანტალა აბდალმა აჩიკომ, მიეკარხარო და თან ტუჩები წამობზიკა, ძოძუთა ბზოსავით.

ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, მარიკას ოჯახშიც შეალწია. გულუბრყვილო გოგონას დაუცაცხანეს. დატუქსეს, ცხარე ცრემლებით ატირეს. აჩიკოს გალანძღვაც ეწყალთ გულზე ცეცხლმოყიდებულებს, ვერ მოიხელთეს. შორიდან შეეთვალეს მოქარა, ჩიფილიც დაუპირეს, უფრო იმ მიზნით, რომ ხხვებისთვის წამალი გამხდარიყო. მაგრამ ვერც ის მოუხერხდათ. რა იყო, თქვე დალოცვილებო, ჰკვარებია, ხომ არა სძოლებიაო, ეგ რა ხელზე დახახვევია და რა სალანძღავ-სარიგელია, პირიქით ამტკუნებდნენ. შინაურებმაც გაუარაფეს და სიხარულთქეებსაც გაიგრილეს გული.

მარიკა მაინც ვერ გარკვეულიყო, ასე დიდი მნიშვნელობა რატომ მისცეს ამ ციცქნა ამბავსო.

მას მერე სასალმედაც კი ეკრძალებოდა აჩიკო, მაგრამ გულიიან მაინც ვერ ამოიღო.

მარიკა კი ჩვეულებრივ თავისუფალ ექცეოდა აჩიკოსაც, სხვა თანატოლებსაც, უფროსებსაც და უმცროსებსაც. ვერ მიმხდარიყო, რომ მისი ალალი ღიმილი ბევრ ვაჟაცს უჩენდა ნატეროს, აფიქრებდა, აოცნებებდა, და ავიშვიშებდა კიდეც.

გურამისთვისაც გამოცანად იქცა მარიკა.

მაშინაც დაეინებით ჩასცქეროდა თვალებში, თითქოს იქიდან უნდოდა გოგონას გული დანახვა.

მარიკა კი უაზროდ მიშტერებოდა და გურამის წამწამების ხამხამს ითვლიდა. ისიც მალე მოსწყენინა და ხელი ხელი გადაუსვა ქვიშიან ბეჭებზე.

— როგორ მოსცრილხარ, შე ხამაველო!

— მიდი, მიდი, მარიკა, გადამაცალე ქვიშა, მსიამოვნებს!

მარიკაც ხალისით ასრულებდა თხოვნას.

— რატომ გიერთის ტანი! — მკვირობდა გოგონა.

— რა ვიცი, მარიკა!

— აბა, რა სიკვდილი იცი!

გიორგი სიოდუაშვილი
ამაღლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცივი წყლის ბრალია. რომ მაშხეფე და მაშხეფი. ძვალსა და რბილში გამატანა.

— მე ცხელი წყალი მასხი, თუ?

— ეჰ, მარიკა! — ღრმად ამოიოხუნთქა.

— მართლა კეთილ, გურო?

— მართლა, მარიკა, მართლა!

— მე გაგახურებ.

— არიკა, შენი ბერიმე!

— მომეცი ხელი, ღვთის ბლახასავით რომ ჩამოგიშვია.

გურამმა გაუწოდა.

მარიკამ გულმოგონილ მოუსრიტა მკლავებიც და ბეჭებიც.

ვაუს ცახცახმა უშატა.

— კიდევ ცივა, შე ამდალო?

—კიდევ, მარიკა, კიდევ!

— ახა, არ ყოფილა შენი საშველი.

— შენ მიშველი, მარიკა, მხოლოდ.

— მე მეტი არ შემიძლია!

— გურამი დაეინებით ჩაუშტერდა თვალებში.

— მა_რი-კა-�ა!

ყურები ცქვიტეს.

ძახილი გამეორდა.

— მერაბი მიძახის.

მერაბი მარიკას დეიდაშვილია, ხუთიოდე წლის ბიჭუნა.

— წავიდეთ, თორემ ცეცხლს დამინთებს დეიდაჩემი. — და წამოხტა.

— რა უნდა?

— რა ვიცი.

— რეპეტიცია როდის დავიწყოთ?

— როცა შენ გაგებარდება.

— მე ახლავე გაეხარდებოდა.

— ახლა ხომ ხედავ, მეძახიან.

— მაშინ საღამოზე იყოს.

— იყოს და იყოს.

ისევ წყალში გალივლივდნენ ტანქვეშიანები. უცებ შემშრალდნენ, ხელადახელ გადაიცვეს ტანისამოსი და სოფელსკენ დაეშვნენ. მარიკა ასკინკილობითა და ბტუნვა-ბტუნვით მარჯვდა ორლომეში. გურამიც დადგენებული მწეკარი-ვით მისდევდა.

მარიკა ხალისით მივიდა შინ.

დეიდა სახემოღეშული დაუხვდა. დისშვილს არ ესიამოვნა, მაგრამ აინუნშიც არ ჩაუგდო და გულში ჩაიოქვა, რომ გამოიდარებინა გუნებამოღრუბლული ქალი. თავი გვერდზე გადაიღერა, წარბები აიმშვალდა, ხახეზე ღიმილი გაიუბვა და თავისებური თბილი, თითქმის ამდერებული ხმით მიმართა:

— დეიდ!

დეიდა უფრო მოიღრუბლა.

— კიდევ დაიკიპე, საყვარელო კიდევ, კიდევ! — ნელ სიცილში შეუთია საყვარელი.

— მომშორდი! — შემოუტია.

— ვინ გაგაბრაზა, დეიდა?! — უფროსი ბიძაშვილი ხმა.

— ვინ და შენ!

— მეე?! — უცნაურად აჭიმა წარბები და გაცარცვლული თვალები მიაკიმცინა.

— ჰო, შენ! — უფრო მკვახედ მიახალა.

— არა ვრცხვენიან, დეიდ! — უგულოდ უსაყვედურა, უცებ მოსწყვდა ადგილიდან, გაკანდა, მუხლებზე შემოუსკუპდა დიკაზე ჩამომჯდარს, ყელზე მოხვია ხელები. ყვრიმალზე აკოცა და პატარასავით მიეფერა:

— ჩემი ერთადერთი დეიდა, ჩემი ოჯრის დეიდა, ჩემი ლამაზი დეიდა, ვინ გაგაბრაზა, საყვარელო, ვინა, ვინა! — თან მარჯვენა ხელს უცაცუნებდა ჩამოშვებულ თმაზე და ბავშვივით ელაქუცებოდა ენამოჩლიქუნი.

დეიდას გული მოუბრუნდა, მაგრამ სახეზე არ შეიმჩნია, უფრო მოიმკაცრა თავი და დაუტია:

— მომწყდი აქედან!

მარიკამ ამჯერადაც არად ჩაუგდო დეიდას წყრომა და უფრო მეტი ალერსი გამოატანა ნათქვამს:

— გაბრაზება რომ არ გიხდება, დეიდა ლუბა?

— რაც მიხდება, შენი საქმე არ არის. შენ ის მითხარი, სად ხარ დაკარგული მთელ დღეს, სად?!

— სად და გურინთან ვიყავით, ჯერ ბაღში წამიყვანა, მერე ტანაში გავგრილდით...

„გურამთან ყოფილა... ბაღშიც წაუყვანია... ტანაშიც უბანავნიათ“ — გულნატკენად ჩაილაპარაკა თავისთვის, მერე მიუბრუნდა დისწულს და შემოუტია.

— რატომ არ ეშვები იმ შენს გურის!

— არ გრცხვენიან, დეიდ? — ეშმაკურად მოწკურა თვალები.

— გოგო, მე უნდა მრცხვენოდეს თუ შენ! — უფრო გაფიცხდა დეიდა.

— შენა, ქალბატონო დეიდა, შენა! რად უნდა მოვეშვა, როცა ასეთი მშვენიერი მეგობრები ვართ.

— ჰმ! მშვენიერი მეგობრები ყოფილან. ხოხო-ხო, როგორ გამახარე! რაღა გინდათ... —ყაყანები დაებერა დეიდას.

— რაღა გვინდა, ჩემო სანატრელო დეიდა, და შენი დამშვიდება. — კვლავ ალერსით მიმართა.

— რამდენი უნდა გეჩიჩინო, შენი ტოლი არ არის-მეთქი.

— ახა, დამატოლე!

— ჭკუა, დაუტოლე, ჭკუა!

— არც ჭკუითა ვარ ნაკლები. ერთნაირი ჭკუაც რომ გვაქვს, სწორედ იმიტომ ვართ კარგი მეგობრები, ჩემო საყოველელო დეიდა!

— ეეჰ, აყარე კედელს ცერცვი! — ამოიოხრა დეიდამ.

— დეიდა ლუბა! კაი, გურიკო, ისეთი კეთილია, ისეთი ხალისიანი, ისეთი მოსიყვარულე, რომ ვერ აგიწერ. ძალიან გულმისავალი ბიჭია და ამიტომ მიყვარხ მასთან ყოფნა და გართობა-თამაში.

დეიდამ დაფიქრებით შეათვალიერა მარიკა. ეშვით ჩახედა თვალებში, კიდევ ბავშვური, ალალი გრძნობა ამოიკითხა და გული დაიცხრო.

— ჭკუას დაუმბე, მარიკა, ბავშვი აღარა ხარ.

— არც გურიკოა ბავშვი.

— ეხლა მაინც მოეშვი ინ შენ გურიკოსა!

— არც ახლა მოეშვები და არც მერე.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ხელები გადაბანე, ვისადილოთ!

— ეგ კი კარგი სიტყვა თქვე! — ერთიც აკოცა და წამოხტა დეიდას ბუხლებიდან.

მარიკას მოშიებინდა და გემრიელად შეექცეოდა ძმრიან-კვერცხიან ჩიხირთმას. ამჯერად კი ხმა აღარ გაუღია.

დეიდაც უხმოდ მირთმევდა. მალ-მალე შეხედავდა მარიკას, თვალწინ დაუდგებოდა გურამი და ისევ დაფიქრებდა ექვი.

სცენაზე მხოლოდ ორნი იყვნენ. არც დარბაზში ჩაჯანგები არავინ და არც ფოფილი.

ჯერ რეპეტიცია არ დაეწყოთ, ისე ხაუბრობდნენ ერთმანეთის გვერდით მსხდომნი.

— მოგწყენდი, მარიკა?! — გამომცდელად მიხედა.

— არა გრცხვენია, გური?! — წყენით მოიჭუეუნა თვალები. — უშენოდ როგორ გავძლებ!

— აბა, როგორ ვაძეი ამ სამ დღეს.

— ვაი, იმ გაძლებას.

— გუშინაც ველოდე, ველოდე, გადამელია გული და...

— ნაწყენი ხარ, ხომ?! მაპატიე, რა, გურიკო! — დამნაშავე მოსწავლესავით შეეხვეწა და ულვაშის კიდეზე აკოცა.

ვაეს გული შეუკრთა და სიამეს დაუარა, თავადაც დაამარა „სამაგიროს გადახდა", მაგრამ მოძალებული გრძნობა შეიოკა და მაინც საყვედურით დაფერა სიტყვა:

— არა, მაინც რად მომაკუეუე გუშინ?

— დეიდაჩემმა არ გამომშვა.

— დეიდაშენმა?! — უკმაყოფილოდ გაიმეორა.

— ჰო, ღღესაც დამიცაცხანა, მაგრამ...

— რად გიცაცხანეს?! — უფრო შეფიქრიანდა.

— რა ვიცი, უცნაური ქალია... გურიკოს ჩამოშორდიო... პატარა აღარა ხარო...

— ჩამოშორდიო! — ხმაჩახლეჩილმა თქვა და მარიკას მიაჩერდა.

— ჰო, ჰო, ეგრე თქვა, მაგრამ როგორ ფიქრობ, მართლა ჩამოგშორდები? ეზოდან გადადა თუ არა, მეც გამოვიკეტე კარი და შენს კედ. გამოფრინდი!.

— რა მოგაფრენდა, მარიკა?

— არაფერი, შენთან ყოფნა მინდოდა. — კვლავ ალალგულად მიუგო.

ვაეს ეხეკე ესიამოვნა.

— ყოჩაღ, მარიკა, ყოჩაღ!

— რავა გაშტერებულხარ ხბოსავით აქანავებ მაგ თავს.

— ჰმ! — მეტი ვეღარ მოახერხა და მწყურვალედ ჩახედა თვალებში.

მარიკაც მოურიდებლად უცქეროდა და რაკი ვერ დაახრევინა წამწამები, ენის გამოყოფით და ქლაქუნით გამოაჯავრა.

გურამმა გამოუცნობი ღიმილით ვაიქნია თავი.

— არ დავიწყოთ? — უცებ წამოხტა მარიკა.

— დავიწყებთ, რა ეგჩქარება... წაიკითხე პიესა?

— აბა, ისე მოვიდოდი?

— მოგწონს?

— შენ დასაწუხს დაწერდი?! — ირიბი ღიმილი დაიმჩნია. — ყველაფერი კარგია, მაგრამ სათაური ვერ გავიგე.

— რატომ?

— შენს თავს ჩკითხე... „ამალლება" რა არის, ბიჭო. ამალლება რელიგიური დღეობა ყოფილა ჩვენს სოფელში. პაპაჩემს იქ უკოცნია პირველად ბებიაჩემისთვისაც.

— აქ სხვა ამალლებაა, მარიკა! მერე აგიხსნი, ბოლოში რომ გავალთ. ახლა კი საქმე... როლი დაიზეპირე?

— თითქმის.

— აბა, ვიწყებთ! — ხელი ხელს შემოარტყა გურამმა.

— ვიწყებთ! — ასევე გაიმეორა მარიკამ.

— მაშ, ასე, პიესაში სამად სამი მოქმედი პირია: ქეთევანი, ლეონტი და აჩრდილი. ქეთევანის როლს შეასრულებს მარიკა, ლეონტასას გურამი.

— აჩრდილისას?!

— აჩრდილისას — არავინ, ამჯერად მხოლოდ ხმა გვინდა ამისა. ჯერჯერობით შეიძლება მისი როლიც მე შევასრულო.

— რა ხარ, გური, რა ხარ!

— ფენომენი... — თავადაც გადაიცვლო ირიბი ღიმილი.

— გენიალური თვითშეფასებაა.

— ხუმრობას დრო აღარ არის.. ვაგრძელებთ... ამ პატარა პიესას მცირეოდენი პროლოგიც აქვს. აჩრდილის პირით ეწარმოსთქმელი. ჰოდა, შემოდის სიცოცხლის ტკბილი, ცხოვრებასავით გამოცდილი და ღმერთივით დაბრძანებული აჩრდილი, რომელსაც ყველაფერი აბ-

---

გიორგი ხოროგუაშვილი
აპატლლება

ხოვს, რაც კი კაცობრიობას გადახდენია თავს, და დინჯად მიმართავს მაყურებლით სასე დარბაზს:

ნიყვარულია სული ყოველის,
რაც ხუნთქავს, ვიცით, ვხედავთ, ხმიანობს.
მზეც სიყვარულით არის ცხოველი,
და კაცის გულიც მისით მზიანობს.
სიყვარულს ვსწავლობთ ძუძუზე დედის,
სიყვარულია ჩვენი ღვთიება,
კაცს სიყვარულის შარავანდედი
თავზე ადგია, ვით უკვდავება.
ყველა სიხარულს მისგან ბოველით,
ყველი სიკეთე მისგან გვხვლება,
ბედნიერია, ვისაც ყოველი
დღე სიყვარულით გასთენენია.

— ხო-ხო-ხო! გენიალური პროლოგია, ბიჭო, გენიალური!

— კაი, ახლა, დაცინვას თავი გაანებე!

— სრულებითაც არ მეცინება! — მაინც იცინის მარიკა, — ბოლო ტერიტორიები მომწონს განსაკუთრებით... მაშ, მეც ბედნიერი ვარ?!

— რა ვიცი, შენს გულს ჰკითხე!...

— სიყვარულით მოლმდება და მითენდება ყველი დღე.

— მართლა, მარიკა?!

— დედას გეფიცებინ!... ყველაფერი მიყვარს, რაც კარგი ჩგონია ჩემს თვალს... ყველა მიყვარს, ვინც კი მინახავს და ვახსოვს...

— მეც, მარიკა?! — გაუმცდელად მიხედა.

— შენ დიდი მოხლე!...

გურანი კვლავ ხარბად მიაჩერდა.

— ხო, განვაგრძოთ, პროლოგი მორჩა. იწყება პირველი მოქმედება. მაშ ასე, ქეთევანი და ლეონტი მიჯნურები არიან... მიჯნურობა ხომ იცი, რაც არის?!

— როგორ, მარტო შენ წაგაკითხავს „ვეფხისტყაოსანი“? საზეპიროში „ფრიადი“ დამიწერია მადონა მასწავლებელმა.

— ჰო, კარგი... იქნება, ჩემთანაც დაიმსახურო „ფრიადი“... მაშ ასე, შენ ქეთევანი, სულ ახალი გამიჯნურებული ხარ... ახალი მიჯნური, ხომ გაგიგია, როგორ დაფრინავს მაღლა-მაღლა... ცა და ჭვეყანა თავიანი ჩგონია... თავის თავიც კი დავიწყებია. ერთადერთი არსება აგონდება მხოლოდ, ვინც გული მოსტაცა. ჰოდა, შენც ზიხარ მარტოკა და ფიქრობ მხოლოდ ჩემზე — ლეონტიზე... ერთი სული გაქვს, როდის მოგივა მიჯნური, თვალები გაწუდება ბის გზაზე ცქერით. ახა, გამოჩნდება, სიხარულით აღარ იცი, რა ჰქნა, წამოხტები, გამოქანდები, ყელზე მომეხვევი და... თან ხომ იცი, რაც უნდა მოჰყვეს მოხვევას.

— რა?

— მერე გეტყვი, ეხლა კი... აბა, მიდი!

ქეთევანი-მარიკა ჩამოჯდა „ტახტზე“, მოკლე კაბა გადმოიკიბა, თითებგადაკვლეული ხელები მუხლისთავზე წამოიდო, თავი გადმოხარა ფიქრ-ოცნებას მიეცა. ცდილობდა ისე დაეჭირა თავი, როგორც რეჟისორმა ასწავლა, ვითომ დიდდარდიანს ხახე, მაგრამ ვერ მოახერხა, ღიმილს ვერ ო�და.

ლეონტი-გურანი კულისებში იცდის და ხმი თვალებით უმზერს, თითქოს პირველად ხედავსო. ეხლა უფრო მშვენიერი ეჩვენება, ეხლა უფრო ძლიერად მოუწევს დაუმარცხებელი გული, რადაც აშინებს და აოკებს, თორემ ფეხაკრეფილი მიეპარება მომლოდინე მიჯნურს და...

ახა, წამოდგა, ჩქარი ნაბიჯით გამოსწია, ქეთევანს მიეახოო თუ არა, გული შეუფრთხიალდა, მართლად, იმაზე მეტად, ვიდრე როლი აკისრებდა. ლამის ერთმანეთში აერია როლი და სინამდვილე.

ქეთევანმა თვალი ჰკიდა თუ არა მიჯნურს, სიხარულის ფრთები გამოისხა და წამოფრინდა კიდეც.

— ეგრე, ეგრე, უფრო მეტად იელვე, დიდმა სიყვარულმა დიდი ელვა იცისო, — ხმა-შეცვლილად მიმართა თავადაც გულალელვებულმა.

— მარიკამ გამეტებით შეაკანა მკერდი.

— მერე, თან რა უნდა წამოიძახო, თუ იცი?

— „ოხ, როგორ მომწყურდა შენი ნახვა!“

— კარგია, მაგრამ უკეთესად შეგიძლია, უფრო დაინაზე ხმა, უფრო გაითქე და აიკანკალე!

მარიკა-ქეთევანიც ეგრე მოიქცა.

„რეჟისორი“ მაინც უკმაყოფილო იყო, რამდენიმეჯერ გაამეორებინა.

— „ოჰ, როგორ მომწყურდა“... კვლავ ათქმევინა ისე, როგორც თავად „რეჟისორს“ ეწადა.

„მე უფრო მეტად მენატრებოდი“ — გაიმეორა გურამ-ლეონტიმ და კვლავ იცადა ხმა.

მერე გადახვევის სცენა მოსდევდა. ასე მოითხოვდა წარმოდგენა. რომელი რომელს დაასწრებდა, სულ ერთი იყო, ოღონდაც ბუნებრივი უნდა გამოსულიყო. ჯერ ნაზად ეკოცნათ. ისე როგორც კრძალულ მიჯნურებს შეშვენით, ერთმანეთი რომ ანგელოზად ეჩვენებათ. ახა, გადაეხვიენენ კიდეც. ვაუმა დაასწრო, ოღნავ მოუცაცუნა ტუნები, უამესმა გრძნობამ დაუარა, ტუნებიც აუცაცახდა, გულიც. მიზანსაცენა გამორიდებას მოითხოვდა, მაგრამ მიზანსაცენა ვიდას ახსოვდა, უნებურად მიეზიდა და ველარც დაეხსნა. ნუგბარი ბაგეს დასწრეფებოდა ენებით, ენით, გადარეული. ძლიერ მოათქმევინა სული ქალიშვილს, რომელიც ნებაზე მიპყოლოდა ბაბუკ „მასწავლებელს“, მაგრამ გაბრუებულ-დაბნეულიყო და ველარც „რეჟისორის“ მოქმედება გამოეცნო და ვერც იმაში გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა მის თავს.

ვერ გამოეცნო, მაგრამ გრძნობდა, რომ მის მკერდში მოულოდნელად დაიძრა რაღაც უცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობა, საამო, მთორობელი. ჯერ არ განცდილი, თავდაჩრეულად რომ შეუშინეკლადდ, წეკეთწეკეთად მოეოროანდი, მერე უცეკ მოსკკდა და გოეი მდინარესავით შეეერა იმ გრძნობის საგაუბში, რომელშიც ტრიალებდა საკრთო-ადამიანური, ემაწეკეალურ-მეგობრული სიყვარული, შეერია და თავისი ფერ-გემო მისცა, კიდევ უფრო ადიდდა, აიმღერა. ამბოხდა, იმძალარა. ნაპირები გადაეხეეკ, ყველაფერი წალეკა... და მოულოდნელად აფორიაქებულ ასულს ვერ გამოეცნო, რა იყო ოგი. იმას კი ხვდებოდა, ეს გრძნობა დასძეროდა მისგან, ვისაც იმჯერად ჩაჭკონებოდა. თან აამებდა იგი, თან აშინებდა, ერთწამს მოიკრბა გონება, გამორიდება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. უფრო ახლოს მიეზიდა, მიეკრო, მიეთელი და ახალი ძალით წამოსკდა ის გამოუცნობი გრძნობა. ახლა უფრო ეტკბილი და ეკმა ვეეის ტუჩი, ახლა უფრო დადნა და ნატრობდა, რომ მარადისობად ქცეოდა ის წუთი, შიში გაჯერავდა, მაღე არ გარიდებოდა. ერთახანს რომ სულის მოსაკმეელად გაიწია ვაკმა, ქალაშვილი უმალვე მიეკალა, თავისკენ მიიზიდა და თავდავიწუებით მოღოლნა ტუჩები.

წუთით განერიდნენ. დაღლილ-დაკანცულებივით ჭშნავდნენ. შეშლილებს დამსგავსებოდნენ.

ქალწეული უფრო მეტად აფორიაქებულიყო. თმა ჩამოსწეწეოდა, სახეზე ალმური ასდიოდა, თვალები აშლეგრეოდა, ლოყები უცაბაცახებდა, ტუჩები ისევ უთრთოდა, მთელი სხეული უცაბაცახებდა.

— გური! — თრთოლვით ამოთქვა.

— რა იყო, მარიკა?! — ისიც კანკალებდა.

— რა ამბავია ჩემს თავსა?!

გურამმა პასუხი ვერ გასცა.

— ხმა ამოიღე, ბიჭო! — ცრემლები წამოსცვივდა.

— არ ვიცი, მარიკა!

ფუმოდ მიიჩერდნენ ერთმანეთს.

— მა-რი-კა-ა-ა! — მოულოდნელად შემოეკრათ.

მარიკამ და გურამმა ყური მოიოერუეს და ერთმანეთს მიეზიდნენ.

— მა-რი-კა-ა-ა! — ახლა ახლოდან მოეხმათ.

— მერაბია, ხომ! — თავი გაიქნია გურამმა.

— ის არის... დეიდაჩემის გამოზაგნილია.

— ოხ, ის დეიდაშენი!...

— წავედი, ... — და ნაბიჯი გადადგა.

— რა გეჩქარება, მარიკა!

— არა, უნდა წავიდე, ოორემ...

— ეგრე გეშინიან დეიდასი?

— არა, დეიდასი არ მეშინია, შენი მეშინია, გური, შენი!

— რადა, მარიკა?

— არ ვიცი! — ტირილი მოეერია.

— გურამმა ეს ტირილი მიხვედრისა და მარჩრჩილების ნიშნად დაიგულა, გადასახვევად შეტოკდა გახარებული, მაგრამ მარიკა უცეკ დაუხსტტა. შიშის ფრთები გამოესხა და უკანმოუხედავად ჩამოიფრინა კიბე.

გურამი ერთახანს გულდაწყეტილი და გაოგნებული გასცქეროდა ქალწეულს, თითქოს ხელიდან გაფრთხიალებული საოცნებო ფრინველი, ეგრე სინანულით უფრთხიალებდა გული. მერე ისიც უცებად მოსხტტა ადგილიდან და გაფრენითვე დაედევნა.

— მარიკა, მარიკა! — მისხედედა და მისძახოდა ნამტირალივე ხმაზე.

— არ მესმის, არა! — ხელის გასავსავებითაც ანიშნებდა უკანმოუხედავად.

— მოიცა, მარიკა!

— მომეშვი!

— კარგად დაფეკრდი!...

— დასაფერებელი არაფერი მაქვს. — მიაძახა კულტახალის ეზოდან გამოდწეულმა და ნაბიჯს უკლო, შეშფოთებული იხედეკნოდა აქეთ-იქეთ: ან გურამი ხომ არ მომდევს, ან სხვა ხომ არავინ გვიცქერისო. და რაკი მაეე მიეფარა, გურამის თვალსაც დაეკარგა და სხვაც არავინ შეშფოთებია. შიშის გრძნობა დაითრგუნა, მაგრამ გული ისევ უფრთხიალებდა.

გურამი კი ნაცხელებივით ცაცხაბედა და შეშლილივით თვალებამდერეული გასცქეროდა „გაფრენილი მერცხლის“ ნაკვალევს.

დასაფერებელი არაფერი არა მაქვსო, ვითომდა, არხეინად მიაძახა, მაგრამ ისეთი ხალვლებენი გაუჩნდა, რომ მთელი ღამე ატეხნინა და აწრიალა ლოგინში. თავად არ უნდოდა, უნებურად ეფიქრებოდა და ეშფოთებოდა. სხვა დროსაც მოხმალებია ფიქრი და ოცნება. რაც უდარდელ ბავშვს შეაფერის, მაგრამ ახლა სულ სხვა ფიქრები მობურავოდნენ, არმომსვენებელი, მშფოთვარი, შავ-თეთრადაც მღელვარი, ლურჯ-მწვანეზედაც, ერთმანეთში არეულნი, ყველისა და ყველაფრის დამვიწყები, რომლის მიღმა ვეღარაფერს ხედავდა ნაკვერჩხლებადქცეული თვალები. ხან ეგეთი ფიქრების ქარიშხალში იყო გახვეული, ხანაც ისე ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაცას ეკრას ხელი და ალეფვებული მდინარის პირას მოეკვდოს, აფაფრებული ტალღები ფეხზე მოხვეოდნენ, შიგნით ეძალებოდნენ და შთანქმით ემუქრებოდნენ, წოოდა და კიოდა შეშინებული, მშვიელეს ეძებდა გაფრთიენული თვალებითა, მაგრამ არავინ ჩანდა. ხან ეგრე ღელვადა და შფოთავდა ახალ სამყაროში შეორეული, ხანაც ჩაცხრებოდა, თითქოს გონსაც მოვიდოდა, გრძნობდა, რომ რაღაც უც-

ᲖᲘᲠᲐᲥᲘ ᲗᲘᲠᲑᲣᲨᲕᲘᲚᲘ
ᲐᲛᲐᲚᲔᲒᲘᲐ

ბო გარდაქმნა ხდებოდა მის არსებაში. რაღაც უჩვეულო განცდა დაძრულიყო მის გულში. ხან ეროვნულივით დაუფლიდა ის უჩვეულო�აური გრძნობა, დაუფლიდა და ხაამო განცდით გასთნაგავდა. ამ სიამეს მკერდში უფრო ძალუმად გრძნობდა, იქიდან დაეძვროდა, მთელ სხეულს შეუფაფინებდა, მერე ისევ მკერდში დაუბრუნდებოდა და უფრო ძლიერად დაუფლიდა ხელმეორედ. ხანაც ადუღებულ მაჭრად ექცეოდა, ძარღვებში აუშმშინდებოდა, ცხარედ აუჩქეფდებოდა, ამბობს მოიგდებდა, მთელ სხეულს დაუვლიდა ყრუ ლმეფილთ. მკერდს მიედგაფუნებოდა და ძალუმად შეაზანზარებდა.

ვერა და ვერ დამცხრალიყო, სულ სხვა არსებად ქცეულიყო ქალწული. ადგილს ვერა პოულობდა, წრიალებდა, შფოთავდა, გული უფრთხილებდა, გაშმაგებით დაეძებდა რაღაცას თუ ვინაცას.

ვის?

ვინც ამ ყოფაში ჩაადგო.

დაეძებდა, ლანდი მაინც იპოვა.

მის წინ ჩამომდგარიყო გურამი და ვეღარც აშორებდა. შეეცდებოდა სხვაზე გადაეტანა ფიქრი, იმ ლანდს მიმალავდა, სხვა თანატოლებს წამოიყენებდა წინა, მაგრამ გურამი იმ სხვას ჩამოშორებოდა და ისევ წინ წამოდგებოდა, უფრო თმილად გაუღიმებდა, გაეთამაშებოდა. გიეჭილიკებოდა, მისკენ მიისწრაფოდა და მიუბაროდა.

სხვა დროსაც გაუწვეია მარიკას გული გურამისკენ, მალე გათენება უნატრია, რომ შეხვედროდა თანატოლს და გული ეკერებინა მასთან თამაშითა და სიცილქით, მაგრამ ახე არასოდეს მოსძალეთია გურამის ნახვის ეინი. რაბრეკა ლამეა! ვინა თქვა, ერთი დამთქნარებააო ზაფხულის ღამე, ერთი ამოსუნთქვა კი არა, მთელ საუკუნედ ექცა, ალარა და ალარ თენდება, ოხ, ერთი, მალე ინათლოს, რომ წამოხტეს, გურამს მიეჭრას, თვალებური გიემაყური სილა გააწნას, რომ ახეთ დღეში ჩაადგო, ძილი და მოსვენება დაუკარგა, აიფორიაქა, უცნაურ არსებად აქცია. ნეტავი, მალე გათენდებოდეს! მაგრამ არა და არ თენდება. ნუ გათენდება, ჯანდაბას ეშმაკის თავი! ისედაც მშვენივრად წამოხტება ახლა, ამ შუადამისას. ზინ მიუვარდება, მძინარეს წამოადგება თავსა და თვითონ იცის, რახაც უზაბს... განა მართლა სილისთვის გაიმეტებს. ეგეთი ჭკუაშემღერებული ალარ გახლავთ მარიკა. ფეხაკრეფით მიეპარება და ჩუმად აკოცებს, ჩუმად კი არა, გიეივით მივარდება, აკოცებს ისე მოულოდნელად, ისე ვნებით, ისე ენით, როგორც თავად გურამმა აკოცა გუშინ, როგორც მას ჰყვარებია.

არა, მაინც რა უცნაური იყო ის გუშინდელი კოცნა!

მარიკას ტუჩები პირველად არ ეკამაცუნებულა ნაკოცნელად. ბევრჯერ უკოცნია დედიკოსთვის, მამიკოსთვის, დაიმძინისათვის, ნათესავებისათვის, პატარა ბავშვებისათვის, თანატოლებისათვის, უკოცნია და სიამეც უკრძნია, ხანერთობა-ადამიანური სიყვარულით ნაკონი სიამე, მაგრამ გუშინდელი კოცნა სულ სხვა იყო, რაღაცა განსაკუთრებული, არაადამიანური, ღვთაებრივი, უამური, მთელ სიცოცხლეს დასაჯილეფელი. ეწყო დასაკვნა, რომ ასეთი იყო ის კოცნა, მაშინ ხომ ისე იყო გაბრუებული, რომ ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს. ახლაც არ გამოწელებია ის კოცნა, ახლ უფრო გაბურებია ტუჩები, თავისდაუნებურად ეცმაცუნება, თავისსაარ მხუთავალე ტუჩებს ეძებს, გურამის ტუჩებს, აგერ შეეხო კიდეც, გადაეწაფნენ ერთმანეთსა. გაითანგა და თვალებიც მილულა, თითქოს მართლა ეწყობებოდეს, ისეთ სიამეს განაცდის ამ ჭარმოსახვა...ოცნებითა.

ჰო, კარგი, გვეყოფა, ძილი დაგვასვენებს, მშვიდობით, გურამ, ალარ შემაწუხო დილამდე.

მაგრამ ნურას უკაცრავად!

გურამი ძილშიც შემყვა.

არც ახლა მოახვენა. იმ პატარა მდინარისაკენ გაიტყუა. ისევ აცელქდნენ. მარიკა გარბის კისკისით, გურამი დაეწევა ხარხარით, ფახვნდება და მდინარეში შეინარეცს, წუწაობენ, ირიგე გაილუმპები. ამას არ დასჯერდებიან, ხელი ხამოს გაიძრომენ, ცივ წყალში გადაეშვებიან, ცურავით დაედევნება გურამი, ფეხებში სწვდება გაქცეულ-გაცურებულ მარიკას, უფრო და უფრო ღრმაში შეიტყუებს, ჩაყურყუმელავებას დაუპირებს, მარიკა ყელზე შემოხვევს ხელებსა, შეშინებული ეხვეწება, არ დაბახჩოო. გურამი თავისკენ მიიზიდავს, მაგრამ ამჯერადაც დაუსხლტება მარიკა, ოქროს თევზად ექცევა, სულ დაეკარგება ხელმოცარული ვაჟსა, მერე ისევ ქალწულად გადაიქცევა, გაგოგოდება, აცეტდება, თავისს არ იშლის.

„შენ მოუკვდი დედაშენს, გური!“ — ხიცილით სწყევლის.

„შენ დაფრინ დედაშენს, მარიკა!“ — ხიცილით პასუხობს.

დარბიან და კისკისებენ, იჭანცებიან, ქვიშაზე წამოგორდებიან.

— რა გაშტერებული ბომბერებიხარ, გური!

— არ ვიცი! — ღრმად ამოიხუნთქავს ვაჟი.

ახლა მიხვდება, რადაც მიშტერება, ახლა დაიმორცხვებს გაშიშვლებული ქალწული, შეუფუთავ ძუძუებზე დაიხედავს შეშინებული, უცაბ აიფარებს ხელებსა, ქვევით და ქვევით ჩამოუყოლებს თვალსა, ყურები წამოუწოლდება, მუხლებს მიატყუპებს შეცბუნებულ-შემკრთალი, ანაზდად წამოხტება, გამოიქცევა, ლოგინში შეიმალება, წიაბურდნის ხაბანსა, ფრთხილად ამოაპარებს თვალსა და გალიმებულ გურამს შეაფეთებს.

„აჰ რაღა ენნდ, გური?!“ — აუკანკალდება ხმა.

„არაფერი... შენთან ყოფნა მინდა!" — ასეთი ივე განცდით მიუგებს.

„მეც მინდა შენთან ყოფნა!"

„რადა?"

„არ ვიცი!"

„მე ვიცი!"

„მეც ვიცი უკვე!"

„ძალიან კარგი, რადგან მიბვედრილხარ!"

„თამაში ალარ მინდა".

„რატომ?"

„ბავშვი ალარა ვარ".

„ბაშ რა ხარ?"

„რაც შენ..."

ერთმანეთს ჩააშტერდებიან უქირო თვალებში.

„დავალება შემისრულე?"

„რა დავალება?"

„დაგვიწყდა?"

„მოო, არა... შენი არაფერი არ დამავიწყდება. მით უმეტეს ის... ეს რა კარგი როლი შემრჩენ... ჩემს გულისთქმას ლაპარაკობს შენი ქეთევანი... ესსიდერესენ ლეესიც რა დიდებულია... ის ჩემი სიმღერაა... რა ყოფლხარ და არ ვიცოდი... ისე დავიხუჭავდი, ისე, როგორც შენ გაგეხარდება... ვინდა ახლავე გიმღერო?!... აი, ვიწუეებ... ხომ კარგად დამისმენდი... მოგეწონა?!... მოო... რახან ასეა, კიდევ გიმღერებ... ბა-ბა-ბა-ბა! ბავშვი ხარო. ალარა ვარ ბავშვი, ალარა... რა უცნაურად მომჩერებიხარ... რა გინდა, ბიჭო... რას ჩამაცივდი... მოგაკლავ, იცოდე... ვეეოოფ, წადი ეჭედან... მომასვენე... ჩემს მეტი გასაგიჟებელი ვერავინ ნახე?! მარცლა მიდიხარ?!... ღმერთი არ გაგიწყრეს!... მაშინ, მეც წამოყვანე... არა, უშენოდ ერთ წუთსაც ვეღარ გავძლებ... ამიერიდან სულ ერთად უნდა ვიყოო... ვეღარ მოვიხვენებ, შენ თუ არ გიყურებ, შენი გულისფეთქვას თუ არ მოვისმენ... შენც ასე, ხომ? ვიიმე, რა ვქნა. გურო!... ეს რა ღღეში ჩამავდე!"

ასე ამოდებდა ძილ-სიზმარში მარიკას, ასეთი ეერძნობათა მოძალება-ეეიღლში დაამსხვრია ის გასოუკუნებული ღამე.

აბა, ცისკარიც ამოცოდინდა.

მერე ქალიშვილიეთ უმანკო მზემაც დაახმახმა წამწყმანები და მზესავით თვალგაცხელებულმა ქალწულმაც.

თვალები გაახილა და უმალვე წამოხტა. საშინაო ხალათი გადაიცვა, ოთახები მიმოთვალირა, გიეხარდა, რომ არავინ დაუუნდა, დიდ-პატარიანაგან გაურეფილიეეენენ სახლიდან. დეიდაც სამუშაოდ გაშორებულიეყო დილაუთენია, დეიდას ქმარიც. მერაბს მოგვიანებით გაძღეიძებოდა, მაგრამ წამომტარიეყო თუ არა, ხალისიან დილას გიეტყუებინა და ტოლ-მეგობრებთან თამაშით იქანცებოდა.

ეზოში გავიდა პირუბანელეა ქალწული, ხეხილით დაბურული ეზოში, მგალობელი ფრინველებიც რომ მოხჩეეოდნენ და უნიკო ჩიტებიც, ჩვეულებისა არ ფულალაკა, წელზევით მოიშიშვლა, დასაბანად მოემზადა, ჯერ სახეზე შეიხეხვა ცივ-ცივი წყალი, მერე ყელ-კისერი მოიბანა, ნაოფლარი იღლიებიც გამოიჩაჩხანა, გულმკერდიც დაიზველი სველი ხელებითა, ხელდახელ შეიშშრალა, ხალათი წამოიხსა, სუფლიოუოქმელად აირბინა კიბე, ტანსაცმლის კარადას მივარდა, სიფრფაფანა კაბა მოძებნა, მხიარულ ფერად დაჩითული, ამოღებული, მოკელსახელოებიანი, გურანი რომ უქებდა ხოლმე: ამ კაბაში უფრო ლამაზი ჩანხარო ისედაც თვალმოსატაცი ეყოფილიეა, ეს ეეიმ ბადაიცა, სარკის წინ ჩამოდგა, უცხოსავით, გაკვირვებით მიიაკერდა თავის თავს. ისე შეკრთა, როგორც ანალგაზრდობით გულუფრეტელი ქალი, პირველად რომ შეეამჩნეეს თმაში ჭაღარას. ასე როგორ შეეცალილიეყო ამ ერთ ღამეში, დიდი ფიქრ-გაწყდის დღი დამჩნეოდა მის უდარდელ სახეს; თვალები ამღვრეოდა, დასველებული ღაწვები დასუბუქვნოდა, შუბლზეც ხეეული ხაზები გასჩენოდა: „ეს რას დავსაგვიბენიარო", უკამაეოფილდ წაიჩურჩულა და ნაზად მოისრესა შუბლიც და ლოყებიც, ღიმილიც მოიმრავალა, ყოველმხრივ ცდილობდა უენიდელი მიმზიდველობა და სიხალისე დაებრუნებინა და ცკლავ გიეხარებინა ის, ვინი ლანდიც ამოსდგომოდა გვერდით და ნამდვილიეთ ექცევოცებოდა, ეღიმილეზოდა, ეჩურჩულებოდა, ხანაც გაუყურებოდა, თვითონაც ვერ გეტყოდათ, რატომ.

ამასობაში მოიკოსრაავა კიდევ თავი, საუზმე სულაც არ გახსენებია, დაბალკუთხლიან მაშინაში წადგა ფეხი, კიბეზე ჩამოწკაპუნდა, სიფრთხილითა და შიშით მიმოიხედა და გამოპარული ტუეესავით მალვა-რიდებით გაექცა.

მთავარ გზას აერიდა, მიმომსხელეენნ შემოშეეკრებიანო, მარქაფა ბილიკს დაადგა, ბაღ-ვენახეებზე რომ გადიოდა და მოკლეზე სჭრდა სანაკრელ უბნამდე მისახვლელ გზამ. ის ბილიკზეც ხვდებოდნენ ნაცნობნი და უცნობნი. ზოგს სულაც ვერ ამჩნეედა, ზოგს შორიდანვე ესალეემოდა, ვიეთს დამუნათებით დაუქნეედა თავსა, ვიეთს — პირმოცინარი, სხაუვას კი არავისთვის იმეტებდა. შემხვედრნი ჩკვრონობდნენ მარიკას ასეთ საქციელსა და უცნაურ გამომეტყველებას, ცნობისმოყვარედ მიადევნებდნენ თვალსა. ქალწული არავის და არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. მიდიოდა და მიფრინვადა იქითკენ, საიოკენაც მიექცოდა გამშაეებული გული.

აბა, მიადგა კიდეც ის ეზოს. ელექტროლილაკს დააჭირა თითი, შემომგებელს არ დაუცადა, ალაყაფის კარი შეადო, გამოქანებულად ცეგრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამსაც ყურები ეცქვიტა კრახს ჭრიალზე, გული აჩქარებლობდა და სიხარულით წამომხტარიყო. ხტუნვა-ფრენით გამოეგება და ზორადანვე მიაძახა:

— მოდი, მარიკა!

— ძალი არ მიშვებს.

— ეხლავე ჩავაძალებ, თუ ასეა!..

მაგრამ ძალს საამისო არაფერი ჩაუდენია. უთქმელი სიხარულით შემზარეს ერთმანეთს.

— რამ მოგიყვანა, მარიკა?

— გულმა.

— ააჰ! — კმაყოფილებით ჩაიღიმა.

— შენ გეკითხება და მე კი წუხელის..

ვაჟმა ღრმად ჩახედა თვალებში, გამოიცნო, რომ უჩვეულო განცდას შეეძრა ქალწულის გულიც და სულიც, შეეძრა და აეფორიაქებინა, ერთბაშად გარდაექმნა და გადაესხვანაირებინა, მის სასიკეთოდ მოექცია.. გამოიცნო და ჭკვიარობდა: როგორ უცეტ მომზდარიყო ყოველივე ეს, ერთ ღამეში როგორ კეთილიყო გულუბრყვილო გოგონა გულაცმუკებულო ყმაწვილქალად. როგორ ჰქცეოდა ის ბავშვურ-მეგობრული სიყვარული ქალ-ვაჟიანურ სიყვარულად და როგორ ცეცხლივით მოსდებოდა ეს უცხო ვრძნობა, რომელსაც დაეკარგვინებინა მოსცენება. იქნებ ეჩვენებოდა ასე. არა, ნამდვილად ასეთ. სიყვარულს შეუფოთებია, სიყვარულსა!... ლამის ხმაპაღლა წამოიძახა ფრთებშეხსნილმა და ნაკვერჩხალივით კალვივებულო თვალები მიანთო.

მარიკამაც უმალვე გამოიცნო, რა სიხარულსაც აეცმუკებინა ვაჟის გული და იმას უფრო გამეტებით შეუქანდა მკერდი, ის უფრო ცხელი თვალებით მიაშტერდა.

ახე უბრად მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

— მოდი შინა! — ხმა შეუქანკალდა ვაჟს.

მარიკა უხმოდ აჰყვა. მისდევდა და გულიც უკანკალებდა და მუხლებიც. გამოეცნოს შიშსიხარულს აეტანა. ნეტამც არ მოესულიყავი, ნეტამც ჩემს სახლში შევდიოდე, მარტოკა დამტოვა ჩემს თავთანა, გაიფიქრა და შეშინებულივით დაიცქცა თვალები. ოთახში რომ შევიდა, თვალები შეაფეთა გურამის უფროს დას და ედოდანაცემივით შეტოკდა.

— ოიოო მშვიდობისა, ქალ-ბატონო თამარა! — ძლივს ამოოლელულდა.

— მშვიდობა მოგეცეს ღმერთმა! — დამცინავი ღიმილი გადაივლო სახეზე.

მარიკა აილეწა. ვითომდაც გამოესუბრა უნერხულისაის დასაფარავად, მაგრამ უფრო აერია ენა, დაიბნა, მობოდიშებაც ვეღარ მოახერხა. გამორიდება არჩია, აივანზე გამოვიდა და:

— დედაა! — ლოყაზე ხელის წაწკაპუნებით და ბზრების წამოწეევით ამოთქვა.

— რა იყო, მარიკა! — გაიღიმა გურამმა.

— ჩემი სიკვდილი!..

— რადა?

— მადა.. მე წავედი!

— სადა?

— არ ვიცი...

— მოიცა, მეც მოვდიავარ.

— შენ სადდა მოდიხარ?

გურამმა ხმადაბლა უთხრა.

მარიკას გაეხარდა.

— ხომ წამოხვალ?!

— რა ვიცი.. მეც მაინტერესებს.. არა, არა.. ხო, ხო..

— ეხლავე! — და შიგნით შევიდა ვაჟი, ჩანთაში ხელდახელ ჩაილაგა სამუშაო ნივთები, ფოტოაპარატი მარიკას [illegible]ოჭკიდა კისერზე და თითქმის სიმღერით დაიძახა:

— თამრიკო!

— ბატონო! — ისეთივე კილოთი გამოსძახა და აივანზე გამოვიდა.

— წავედით, საყვარელო!

— სათ გასწეიეთ?

— ტეიესენ.

— რა დაგრჩენიათ ტეეენი?

— ძალიან ძვირფასი რამ.

— არ ითქმის?

— როგორ არა. ამალლების ეკლესია უნდა ვნახოთ და... მე ხომ მისი შესწავლა მაქვს დავალებული..

— მარიკას რაღა აქვს დავალებული?! — ეშმაკურად მოწკურა თვალები.

— ჩემთან ყოფნა... მომეხმარება, კეთილი და დაუზარელი გოგოა..

— გზა მშვიდობისა!

— დიდი მადლობა, თამრიკო! — დაბლიდანვე ამოსძახეს და გზაბრებულნი გაეჩქარნენ. თამრიკომ ღიმილით გააყოლა თვალი.

სოფელს რომ გასცდნენ, სატვირთო მანქანა წამოეწიათ. გაუჩერეს. კაბინიდან გადმოვიდა სქელ-სქელი კაცი და:

— დაბრძანდით, „ქალბატონო!“

— ნუ სწუხდებით! ძარაზე ავალ!

— როგორ ეეკადრებათ!

— არა, არა, მადლა მირჩევნია.

სატყეოს უფროსი არ მოეშვა, თავის ადგილას დაუბრძანა, თავად ძარაზე ამობდდა. გურამიც მადლა ახტა. მანქანა შეკიდებულ ადმართს შეეკიდა. ტაფობზე რომ ავიკეკეს, მარიკა და გურამი გადმოვიდნენ და მარქაფა გზას დაადგნენ, ვიწროს, ბალახიანს, ტყეში რომ იკარებებოდა. გზაშ მწვანე ველოზზე გაიეკანა. აჰა, გამოჩნდა კიდეც წიფლიან ღელეში მიეუფული ეკლესია. ეზოში ლორთქო ბალაბი ხასხასებდა, მოშორებით აყრილი ტეე შრიალებდა, გრილი და ხაამო ჰაერი იძერდა. მარიკას და გურამს გულიც უდიდინებდათ და ფილტვებიც.

— დიდი მშვიდობისა, თევდორე პაპა! — გვიან შენიშნეს ძეგლის მცველი, გალვანის კე-

დელს რომ ამოსდგომოდა გარედან და გადმოცვივნულ ჭვეს ასწორებდა.

— ღმერთმა შშვიდობა მოგაცეთ! — მიუგო მოხუცმა და სტუმრებისკენ გამოსწია. ხელის ჩამორთმევით ისალმეს და ერთმანეთი მოიკითხეს.

— ძაან მოფუნთრეთ აქ სიარულსა, ჰა! — ჯერ ვაუს მიხეილა მოხუცმა და მერე ქალიშვილისაკენ გაიპარა თვალი ცნობისმოყვარედ.

— ძალიან შეგვიყვარდა ეს ეკლესიაც და აქაურობაც.

— ღირსი არ არის, თუ... ცხრამთასიქითელებს მოსდით თვალში და..

— თვალშიც მოსასხელელი როა და გულშიც. იმიტომაც ვცდილობთ ამის შესწავლას.

— ეცადეთ, შვილო, ეცადეთ... ცდა ბედის მონახვრეაო... თუკი თქვენ ტკანი მოერევა, ამაზე უკეთესი რა უნდა შესწავლოთ!

— რასაც მოვერევით, იმას გავაკეთებთ.. მასწავლებლების თვალის შუქს მივდევ, იმათ გამაბედვინეს.

— ჰოო, მაშ არა გიშავთ რა, გუთნიდედ თუ კარგი ჰყავთ, მეხრესაც გაუხარია და ხარსაცა.

— თქვენ რომ იმ დღეს ლეგენდა ჩამაწერინეთ, ძალიან მოუხდა ჩემს ნარკვევს.

— თუ მოიხდესს, კიდევაც გეტყვი, უფრო უკეთესსა.

— მართლა?

— მოსაბუფარი რა მაქს. მაგრამ ეხლავე არა მთხოოთ... ჯერ არა მცალიან სამაგისოდა, თქმასაც თავისი დრო და გუნება უნდა...

— ჩვენც მერე გვარჩევენია, ამჯერად სხვა რამ გვაინტერესებს.

— მიდით, შვილო, მიდით, კაი საქმეა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — თქვა მოხუცმა და გალვნის კედლისაკენ გასწია.

ქალ-ვაუმა კი ეკლესიას შემოუარეს.

ვინ იცის, რამდენი მნახველის თვალი შეკლებია ამ ბებერ ეკლესიას, ოღლი ქვით რომ შეუმოსიათ გარედან იმ ხეობაშივე ამოყრილი ტუფის ქვის სამსხალი. თვალსაამოდ ეხამპინეს ერთმანეთს მორუხო-მოიშვაანი და მოლუურჯო ფერები, მოლიანობაში ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ერთდროულად დასცემია წელოწადის ოთხივე დროის შუქ-ჩრდილები. აკი იმიტომაც არის, რომ ეს ფერები მოურიდებლადაც ეკუნტრუსტება კიდეც ცვლებად გარემო-ფერს და ნიადაგ ეხამპა კიდეც. ოთხივე კედელი თანაბარი ძალა-უნარითია და სიყვარულით მოუჩუქურთმია უცნობ დიდოსტატს, მაგრამ დრო-ეამის სიავეს აკაც მოუაშრეია. თავი, რისხვად დასტყდომია, საძირკვლიდან ვერ დაუძრავს, მაგრამ კედელი მაინც შეუბზარია, ალაგ-ალაგ მოუნგრევია კიდეც და მთლად ივარსაკმეველად დამუქრებია. უარეს ჭირ-ვარამს მიჩვეული პატრონი ამ ქვით-კირითა და ბალ-ბალ ბეჭედ-ბეჭედ ამოყრილ ბელადურ ხელოვნებით ალუდგენია, მაგრამ არეულობის ხანის აღმდგენელ-ოსტატები ვეღარ ამალლებულან პირველ შემოქმედთა სიმაღლემდე. ეკლესიას მაინც უზვად შემორჩენია პირველი ოსტატთა ნახელავი. გუმბათის ყელი ისევ მშვენიეროსს წნულნეტყურთმიანი არშიებით, ვიწრო და მაღალ სარკმელებს რომ შემოვლებია. უმტესწილად ასეთივე არშია შემოუვლიათ დიდი ჯვრისთვისაც, ალმოსავლეთის კედელს რომ ამშვენებს. მის გვერდით ცოცხალივით ფართხალებს ფრთებგაშლილი ფასკუნჭი, იგი მოგვაგონებს ზღაპრულ ფრინველს, ვეფლეშაებთან მებრძოლი რაინდი რომ შეიხვა ფრთებზე და ქვეყანელიდან ზეხეკილში ამოიყვანა. სამხრეთის კედლიდან იმდვრიება ჯიღთავლება ხარი, სოფლის სიავ-სიკეთეზე დაფიქრებული ადამიანივით რომ შეუტრაეს ფართო შუბლი და ღონიერი ქედი. ცხოვრების ტვირთივით მძიმე ლოდისთვის შეუბჯენია, დასავლეთის მხარეს გამოუსახავთ ჭიგოზე შემოხლართული დედავაზი, ბრტყელი, დაძარღული ფოთლებითა და ქაღწულის მკერდივით ბარაკანის მტევნებით რომ ჩამოუზნექია მხსნელი ლერწი.

დიახ, უთვალავი თვალი შეკლებია ამ მოჩუქურთმებულ ეკლესებსა, დამტკბარან საამო სანახვის მზერით. მარიკა და გუნამიც ვითომდა გულმოდგინენი ათვალიერებენ. მათაც ეღვრებათ გუფში სიამე, მაგრამ ვერ აღიქვამენ დიდოსტატის ნახელავს. ერთმანეთისაკენ გაურბით თვალიც და გულიც, მალ-მალე გაიპარებენ მზერას გალვნის ბეშქინისაკენ, ძეგლის მცველი რომ დაფუსფუსებს. ერთი სული აქვთ, როდის მიეფარება მოხუცი, მაგრამ პაპა თევდორე სულაც არა ჩქარობს, ჩვეული გულმოდგინებით ეღოლიავება საფლავის ლოდებს, ფერმჭამელებს რომ გაუხუნებია და ნახევრობით ჩაუტანია ყოველისშთანმთქმელი მიწა. დაკოფრებული ხელით უმარგლავს ახალ ამოყრილ ნარსა და გულყვითელა ეკალს. ისიც მალ-მალე გამოაპარებს მზერას ჭაბუკი დამთვალიერებლისაკენ, ცდილობს, რომ არ დაეკარგონ თვალსა. რომელი მხარისაც მოექცევა ქალ-ვაჟი, იმ მხარეს გამოიჩენს თავსა პაპა თევდორე. სიფრთხილეე და შიში ამოქმედებს ასე. ემანდ ამათაც არ გაუწყრეთ ღმერთი და დანით არ ამოაყოლონ თავიანთი გვარ-სახელი თუ ისარგაყრილი გულია. ნაცნობები კი არიან, მაგრამ მაინც ვერ ენდობა. ეგრე მალულად უთვალთვალებენ ერთმანეთს.

მარიკა და გუნამი ჩრდილოეთის კედელს მიადგნენ. მოხუცმაც ამ მხარეს გადმოინაცვლა.

— შეხედე, გურო! — წარწერიანი ქვისკენ ანიდა მარიკამ, — რა წერია ნეტავ?

— ეხლავე გეტყვი!— და დაყოვნებით ამოიკითხა:

„ეს საყდარი აღვაშენე ამა უდაბნოსა შინა სადიდებელ ქრისტესა. რამეთუ ღმერთი არს სიყოვარული, ხოლო სიყოვარული არს ძალი და შეწევნა ყოველისა სიკეთისაი, დამთრგუნველი ბოროტისაი და შურისაი. ღმერთო, შეეწიენ მაშენოსთა ამა საყდარსა ამინ, „ჩრკ“.

— ვის აუშენებია?

— ფრანგთ დიდისტატს.

— ვინაობას არ აცხადებს?

— მას მზოლოდ თავისი სიყვარული და ნიჭი განუცხადებია, ავტორობის გამჟღავნება სულაც არ ეპიტნავება. მოწონებული იყო და ქმნილა. შეკმნაში პპოვებდა ბედნიერებასაც და სიამოვნებასაც.

— ხაზღაურს ხომ მიიღებდა?

— კი... ხაზღაურად შეიძლება მასაც მოკრეს მარჯვენა...

კარს მიადგნენ, კაკლის ხის კარს, ჯვარზე გაკრული ქრისტე რომ ამოეკვეთოთ შუაგულზე. გარშემო რომ შემოეკლოთ წნელი ჩუქურთმების არშია. შიგნითაც თვალსახარბი სანახავი დახვედროდათ, მაგრამ სულ სხვა მოლოდინით უცემდათ გული. ერთიდაიგივე ეფიქრებოდათ და ეოცნებებოდათ ერთმანეთის მაღლად. უაზროდ მიხსერებოდნენ სატეს.

ფლმერთოდ ნაწამები ღმერთი — იესო ქრისტე ი.ა.ს. იყო მოწყვეტოდა ცოდვილთან მწას და მაღლა-მაღლა მიიწევდა. დაბლა დაეშვირა შიშველი და დაძარღვული ფეხები, ოფლებამდე აეკეცა სისხლისფერი კაბა, წინ-მაღლა აეშვირა გრძელი ხელები, თითქოს რაღაცა სანუკვარი გასხლტომია და ხელახლა უნდა წასწვდეს. ანდა სულაც არა სჭერია და პირველად ახლა უნდა მოიხელთოს, თითქოს სადაცაა მოიქნეს ბანზე ცის სიღრმეშიო. მაღლა აღეპყრო უზნეაები ფიქრისა თუ ვერსაკმეკელი ტკივილ-სიხარულისგან დაშაშრული მოგრძო სახე. თვალები ჰქონდა ისეთი ღრმა, შორს, მარადისობისკენ ზმირალი, ნაქანცა-ნაოცნებარი, თითქოს მან შეეკმნას თვით „ადამიაც“, „ეფეზისტყაოსანიც“ და „ღვთაებრივი კომედიაც“. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ქვეყნიერების დარდიც მიეჯეგზოდა და სიხარულიც, თითქოს ხაკაცობრიო ფიქრ-ოცნებას მოეტაცა მისი შეუფოყრებელი გონება. თითქოს ეკედანვე ხედავდა საუკუნო სასუფეველს და გონების თვალით ზომავდა, გადასწვდებოდა თუ არა მისი ზმერა უსასრულო სამყაროს და ჩაალწევდა თუ არა მისი თვალი სამყაროს ტოლ გულს კაცისას.

ეგრეთი გამომეტყველებით მაღლდებოდა ზეცადა მაღალი ღმერთი, გამცილებელ მთავარ-ანგელოზებსაც გაეშალათ ფრთეები, უსასრულოობაში მზირალ თვალებში შესეცილინებდნენ ქვეყნისათვის მაშვრალნი და წამებულნა.

მწვანე ბალახზე ფეხშიშველნი იდგნენ მოცეკვეული, თვალებიც მაღალ აღეპყრით და ხელებიც, თითქოს მათ აეფრინათ მაცხოვარი, თითქოს, გულისტკივილითაც აცილებდნენ და სიხარულითაც. თითქოს ეევდრებოდნენ კიდეც, რომ მაღე დამშვებულიყო მიწაზე, ანდა თავად ისინიც გაეყოლებინა და აემაღლებინა, მაგრამ ამავე დროს გრძნობდნენ, რომ მხოლოდ ერთის ამაღლება შეიძლებოდა ცალა შინა, მხოლოდ მაღალ ღმერთს ჰკონდა ამაღლების უნარიც და უფლებაც. გრძნობდნენ და მათს თვალებში ამოეკითხებოდა სინანულიც და, ღმერთო შეგეცოდე, შურიც, წყეული შერიც, სწორედ ამიტომ, თითქოს, მზად იყვნენ ერთბაშად წასწვდომოდნენ ამ შიშველ ფეხებში, ისე მიწაზე დაეხსულიყვნენით და ახლა მათ გაეკრათ ჯვარზე. ისე მიელურსმათ, რომ ვერარა ძალასა და სასწაულს ვეღარ გარდამოეხსნა. თითქოს თავად ქრისტესაც გამოეცნო მათი მალული ზრახვანი, ფიქრობდა: ყველას ცოდვას ვერ ვიტკვი, მაგრამ ერთი თქვენანი კვლავ მიღალტებენო. სწორედ რომ მატმიაც დასხლტომოდა, ადარაფერ ჩაეგდო მათი ბილწი ვნებანი, უსასრულობისკენ აღეპყრო ცასავით ღრმა თვალები და მშვიდად მიიწევდა მაღალ-მაღალ.

— ღმერთო ჩემო, როგორა ჰგვანან ადამიანებს ღმერთიც, ანგელოზებიც, მოციქულებიც.

— ადამიანის შექმნილი არის და მაშ ვის უნდა ჰგვანდნენ.

ისევ დადგომდნენ. თვალს არ აშორებდნენ ფრტსკას. ხან სულ ახლოს მივიდოდნენ. ხან გამოიმანძილებდნენ, ფაარგნაირად ეცვლიენდათ ამაღლებული ღმერთი. ხან ადამიანად გადეიქცეოდათ, ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანად, ვინი ოფლითაც ხარობს სიცოცხლე, ოდნავი ტკივილითაც რომ შეძრწუნდება, მცირედი სიხარულიც რომ ჰყოფნის მთელი სიცოცხლის საგზლად. ეთქმეთო სიყვარულით რომ უკვაკვესებს გული. ხან ყველასაგან გამორჩეულ კაცად ეჩვენებოდათ, სამარადვანო ტკივილებით რომ შეძრწუნებია სული, კაცობრობას სიყვარული რომ დაუმწყვდევია გულში. თითქოს მწუხარებინი კი არა, სიხარულით ეცრემლებოდა თვალები. ის ღიმილის ბაზებიც მრავალსიმტკბეველად ეჩვენნა, ძლივს რომ შეაშენინეს ამდენი ხნის თვალიერებაში. თითქოს ამაყოფილების ღიმილი იყო, თითქოს უკმარბისა, თითქოს თანაგრძნობაც ამოეკითხებოდა და დაცინეაც, შეშფოთებაი დაცინეაი. ხან ქალღმერთად გადაქეცოდათ, სიყვარულისა და სიმშვენერის ქალღმერთად. ხან ჩვეულებრივ ქალად, ჯერ ხელშეუფლებლად, ნეტარებისად და სამოაწყურად დაბადებულად. ხან ისევ კაცდმერთად მოეჩვენებოდათ, ქვეყნიერებისათვის მზრუნველ კაცდმერთად. ხან ისე მოელანდებოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, თითქოს იმ ხელში ბატის ფრთის კალამი ეკავა და თავდაბრალი წერდა: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსაო. ხანაც თითქოს ეკლისა კი არა, დაფის გვრგვინი ედვა თავზე, მოციქულნი შენაბერდნენენ, იგი კი არად აგდებდა არც გვრგვინს, არც სხვათა ნატვრას და მაღლა-მალა მიიწევდა.

გამცილებელი ანგელოზებიც ასე ეცილებოდათ თვალში, მოციქულებიც, ხან ცხოვრებისეულ დაბრძენებულთ ადამიანებად ამოიკითხავდნენ, ხან სიყვარულით გულანთებულ ქალ-ვაჟს მიამსგავსებდნენ, ხან თავიანთ თავს ამოიცნობდნენ. კი არ მიაცილებდნენ, თან მისდევდნენ ამაღლებულ ღმერთს. ქრისტე ღმერთი კი მიფრინავდა და მიფრინავდა, უსასრულოებისაკენ მიიხწრაფოდა.

არ ვიცი რატომ მოსდიოდათ ასე. იქნებ თვით გენიალურმა მხატვარმა შექმნა ასეთი მრავალსახეობა, რთული, გამოუცნობი, მშვენიერი, ამაღლებული, სხვადასხვა მანძილიდან სხვადასხვანაირად რომ ეჩვენებოდათ, კომპოზიციის სიროფელე და სიღრმე, ფერთა შეხამებაც თუ უწყობდა ხელსა. რა ვიცი, ეს შემქმნელის საიდუმლოებაა და მე ვერ ჩავწვდებარ. ორიოდე ნაუცბათევი ხილვით, იქნებ თავად ქალ-ვაჟს ეჩვენებოდა ასე. ისეთი განცდას აეფორიაქებია მათი გული და გონება, რომ გასაოცებიც არ არის ეს საოცრება.

აბა, ერთმანეთს ახედეს, კიდევ ჩააშტერდნენ თვალებში. უფრო ძალუმად აუჩქროლდათ სისხლი, უფრო დიდი სიამით შეუთრთოლდათ გულები, ვეღარ შეიოყეს მოწოლილი გრძნობა, უნებურად მიეზიდნენ და შეთრთოლებული ბაგეები შეახეს.

რა უამესი განცდაა, ენით ვერ გამოითქმის, არც საჭიროებს გამოთქმას, მხოლოდ უნდა განიცადოო. აკი განიცდიან კიდეც, ნეტავ უსასრულოდ ექცეთ ეს წამი და წუთი, ნეტავ სულ-ასე იყვნენ დაწყებულნი, ნატრობდნენ ნატვრაახდენილები, „მშვენიერი ხარ, შერჩილი წამო!“

ძველის მცველი ფეიაკოფეთ მისულიყო კართან, გარედან შეაპარა თვალი. იმას თავისი შიშ-სიფრთხილე აწუხებდა, შეაპარა და თვალი ჩაკვა ერთმანეთს ჩაკონებულ ქალ-ვაჟს. შეცბა, ლამის უნებლიეად შესძახა, ენაზე კბილი დააჭირა, თვალებში სიბნო მოეშტა, ფრთხილადვე გაბრუნდა, მიეფარა, ჭაღარა ულვაშში ჩუმი ღიმილი გაუკრთა და თავის თავს წასჩურჩულა: „აი, თურმე, რის „შესასწავლად“ ამოსულან! ღმერთო, ხელი მოუმართე!“

მარიკა და გურამი ხან გაოგნებულივით მიშტერებოდნენ ხატებს, ხან ერთმანეთზე ეფიქრებოდათ. უფრო და უფრო ეძალებოდათ უამესი გრძნობა. მათს გულში ამოხეთქილ სიყვარულს ფუნცებივითა და ნაკადულებივით ერთვოდა ყოველგვარი სიყვარული, თავნკარა და სიცოცხლის ხის მრწყველი, რაც კი შეიძლება დაიბადოს და ბინადრობდეს ადამიანის გულში. ერთვოდნენ ფუნცები და ნაკადულები და ერთ დიდ მდინარედ ჩქეფდათ, სიყვარულის მდინარედ, საერთო ადამიანური სიყვარული რომ ჰქვია. დიდდებოდა ეს მდინარე და უნაპირო ზღვისკენ მიიღტვოდა, თითქოს მათს ძარღვებში ჩუხჩუხებდნენ ეს მდინარეები, თითქოს ის ზღვა იყო მათი გული, უფრო და უფრო ღელავდა და ბობოკრავდა ის ზღვა. უმადლეს სიამეს განიცდიდნენ ამ ბღელვარე ზღვა-გულის პატრონები, შეუტოკებელ ძალასაც გრძნობდნენ, ასე ეგონათ, მათზე უბედნიერესი არ მოიძებნებოდა მზისქვეშეთში, ასე ეგონათ, ქვეყნიერებას გაგებულნი იყვნენ ისინი, ვერავითარი ძალა ვერ მოერეოდათ, თვით ბოროტებაც და უძლეველი სიკვდილიც ფეხქვეშ გაჰგებოდათ.

ᲖᲘᲖᲘ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲠᲘᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲐ

სველი თოვლი მძიმედ ეშვებოდა აივნის ქვეშ შეყუჟული ფანჯრის წინ. ფარგებჩართული მანქანები ყრუდ გუგუნებდნენ, ფრთხილად მოსრიალებდნენ მოკლე ხიდის ფიცარნაგზე და როგორც კი საბურავების ქვეშ ასფალტის სიმტკიცეს იგრძნობდნენ, მარჯვნივ უხვევდნენ. ფერმიხდილი ქუჩა იშმუშნებოდა, წყლიანდებოდა, ავად შიშინებდა. დთრგუნვილი, სადაც ცალ კუთხეში მიხვეტილი მოგონებები როგორღაც თავისთავად აწრიალდნენ. ზოუდ გადმოლახეს და როცა მივიწყებული, ფარდის ჭიდმა გადაყრილი შთაბეჭდილებები იმ სამყაროში შემოზიდეს, რომელსაც თვალი უშუალოდ აღიქვამდა, დავიწროებულმა ოთახმა ცალი თვალით გახედა დათოვლილ მთას და მდინარის გაღმა აგებულ, ორსართულიან, იატაკიდან ჭერამდე შემინულ რესტორანს. ფანჯრიდან არაფერი ჩანდა ისეთი, რასაც ისევე არ შემოეხედოს ოთახში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ოთახი იყურებოდა გარეთ, არაფერი ირყეოდა და ირწეოდა ისეთი, რაც თოვლითა და მდუმარებით არ იყო მოსილი. ამ ცალკარიან და ორფანჯრიან ოთახში ორი თვე ეძინა, ზოგჯერ დაჯსხლინვით ცოდვილობდა, ზოგჯერ კი, როცა გარეთ გასვლა დაეზარებოდა, შიშველის მოსაკლავად რაღაცას გადაკრავდა და თეთრად შეღებილ ჭერსა და შიშველ კედლებს შესცქეროდა, მაგრამ ამის გამო ოთახი არც ბინად ქცეულა და არც უფრო თბილი და მყუდრო გამხდარა. ბოლოს, როცა შესაძლებლობა ამოიწურა და მარტოობა საღებავებში აიზილა, როცა მიხვდა, რომ ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ცოცხალი არსების ერთგული არ ყოფილა, დაყრუებული ოთახიდან დაკარიელებულ ქუჩაში გავიდა, ძველი, თლილი ქვით ნაგები შენობის ხვეული კიბე აიარა, ტელეფონით სამი წუთი ილაპარაკა და მოუთმენლობა ლოდინის ელასტიური ღვედით შეკრა.

ახლა ოთახის სიღრმეში, სწორედ იმ სავარძელში, რომელსაც არც შიგნეულობა უჩანდა და არც ვულგარულად ჭრაჭუნებდა, მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი ქალი იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და დაძაბულობისაგან ბეჭებში მოხრილი მდუმარედ ებრძოდა ყველაფერს, რაც მის ცხუნებას, დაყოლიებას, დიამედებას ცდილობდა. მას შემდეგ, რაც იგი ოთახში შევიდა, ორ საათზე მეტი დრო გასულიყო, ამ ხნის განმავლობაში საჭიროც ბევრი ითქვა და ზედმეტიც, მაგრამ მოკლე ტალღებად დაჭმუჭნილი სივრცის რხევა ჯერ კიდევ იგრძნობოდა მარტოობის სუნით გაჟღენთილ ოთახში. სახის თეთრი კანი ჯერ კიდევ ვერ ფანტავდა მწუხრსა და გაუგებრობას. ნამგზავრსა და დაღლილს არაფრის არ ეშინოდა ისე, როგორც უკან დახევისა, დათმობისა, რადგან თვითონაც არ იყო დარწმუნებული, რომ შეიცვალა, გაგულგრილდა, მტკივნეული გრძნობებისაგან გათავისუფდა.

გუშინ ვარაუდი სხვა აზრით იმსჭვალებოდა, თოვასთან და დროსთან საბრძოლოდ ენას პოულობდა, მაგრამ წარსული უფრო ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა, ვიდრე ლოდინი. სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, ამავე ფანჯარასთან იდგა, დათოვლილ მთის ფერდობს გაჰყურებდა და რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მათ შორის კვლავ დამყარდებოდა თანხმობა და სიამტკბილობა, კვლავ შეძლებდნენ დასავიწყებლის დავიწყებას, გასაღვივებლის გაღვივებას. ნაკვერჩხალს რომ ის ძალა აღარ ჰქონდა, რაც ხანძარს იწვევს, ეს აქ ჩამოსვლამდეც იცოდა, დრო სწორედ იმას ძარცვავდა, რაც შესამოსავი იყო, მაგრამ როცა წარსული მთლიანად გაშიშვლდა და ბრალდებებს შორის მეტისმეტად გაისვარა — ნაჯახირევი და ნაცოდვილარი აღმოჩნდა.

— ყველაფერი ეს რომ გუშინვე გეთქვა, აღარ გაწვალდებოდი, აქ ჩამოსვლა აღარ დაგჭირდებოდა, — უთხრა მან ქალს ისე, თითქოს გუშინდელს აქეთ დრო სხვაგვარად გამრუდდა, სხვა მზაკვრობით განიმსჭვალა.

ქალი ოდნავ შეირხა. ის სიმკვეთრე და სინატიფე, რაც ბუნებას მისთვის მიენიჭებინა, უხილავ კედელს ეფარებოდა, დამალვას, დაჩრდილვას ცდილობდა.

— მეგონა აქ რაღაც ისეთი დამხვდებოდა, რაც შემზღუდავდა, უკან დახევის საშუალებას არ მომცემდა, მაგრამ ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ერთი ფეხით შემომასწარი ოთახში, — უპასუხა ქალმა.

— ეს ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი დაირღვა, დაქუცმაცდა, მტვრად იქცა, მაგრამ ზიდვა მტვერსაც სჭირდება, მტვერიც ისევე მოითხოვს ოფლის ღვარსა და ხვნეშას, როგორც მძიმე ლოდი. მხოლოდ ესაა, რომ დაქუცმაცებული ტვირთი არ ჩანს, სიახლის არავითარ ნიმაწყალს არ იკარებს, — თქვა ბან და რომ არ განეგრძო, დათოვლილი ფე-

---

გიგი მალულარია
ალბერტ ჩამოკიდებული ფიფქები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდობის ფონზე გამოკვეთილ ღრმულებს დააკვირდა.

ქალმა წამწამები ისე დახარა, თითქოს ზემოდან ხორცშესხმული ჩრდილი დაეწვა და დაამძიმაო. პატარა ჩანთა, რომელიც თან ჩამოიტანა, სავარძლის ფეხთან იდგა გაუცხოებული ნივთივით და პატრონს მხარს უშერდა, მის ინტერესებს იცავდა.

— ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს რაღაც ამდაგვარს მეტყოდი და სწორედ ამას გაბუნდოვანებდი, რაც ხიცხადეს მოითხოვს, მაგრამ ამიერიდან არაფრის გადაფერადება, არაფრის გადავადება აღარ შეიძლება, — უთხრა ქალმა უფრო ნაღვლიანად, ვიდრე გამომწვევად.

— შენი სახის გამომეტყველება ვერ ამართლებს იმ იმედებს, რომელთა გამოცალკევებაში მოგეხმარნენ და აქ გამოგატანეს, — თქვა მან.

— იყო დრო, როცა არაფრის გაგონება, არაფრის გამოცალკევება არ მინდოდა, მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში ვერც ამან შეცვალა ვერაფერი. ეტყობა, ირგვლივ ან სულ არ იცვლება არაფერი, ან-და იცვლება ისე, რომ მე ვერ ვამჩნევ, — უპასუხა ქალმა.

— რას ვერ ამჩნევ?

— აქ მე მხოლოდ იმისათვის კი არ ჩამოვედი, რომ შენთვის ეს ამბავი მეუწყებინა და პატიება მეთხოვა. საბოდიშო არავისთან არაფერი მაქვს. ამ დილით იმიტომ ავდექი ადრე, იმიტომ ვიჯახირე რამდენიმე საათი მატარებლით, რომ აღარ მინდა ერთ დღეს ქვეყანას გერჩიო, მეორე დღეს კი აღარ გახსოვდე.

ის გზა, დაღლილობის ის გრძნობა, რის დამალვასაც მატარებლით ნამგზავრი ქალი არც კი ცდილობდა, მისთვისაც ნაცნობი იყო. სივიწროვეში, გამაბრუებელ ყაყანში და ჯაყჯაყში თვალი უნებურად ფანჯრისაკენ გარბის. დაცარიელებულ, ერთფეროვან სადგურებს შიშველი ბორცვები და გადახნული მინდვრები ცვლის. მინდვრებს ზემოდან რუხი ფერის მთები დაჰყურებს. თოვლი ჯერ მხოლოდ აქა-იქ [illegible]ნია, მაგრამ ხეობა თანდათან ვიწროვდება, [illegible] იზრდება, დათოვლილი ტყეებით [illegible]სება და გაორთქლილი ფანჯრის მიღმა დარჩენილი ქვეყანა ბუნდოვანდება, მდვრიე ნისლში იძირება.

— ნუთუ ამ ავდარში ამის სათქმელად ჩამოხვედი აქ? — ჰკითხა ქალს, როცა რკინიგზის ერთი მონაკვეთის დასურათება მოათავა.

— მიხმე და ჩამოვედი, მაგრამ აქედან ისე მინდა წავიდე, რომ მოლიანად ჩემს თავს ვეკუთვნოდე და მკვდრის ფერი არ მედებოდეს, — უპასუხა ქალმა.

— შენ შენს თავში რაღაც ისეთს აუფასურებ, რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია, მაგრამ რადგან სხვა ნაპირისაკენ ისწრაფვი და ღარაფერი გაბრკოლებს, უმტკივნეულოდ დაკარგვისა და შეძენის უნარიც უნდა შეგწევდეს და მკვდრის ფერი აღარ უნდა გედებოდეს, — თქვა მან და ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს ფანჯარაზე ჩამომდინარე წყლის წვეთის მაგვარი მის ზურგშიც ჩაიღვარა.

— მკვდრის ფერი იმიტომ მედება, რომ ჯერ კიდევ უკან ვიხედები, წარსულის არტახებისაგან ვერ გავთავისუფლებულვარ, — უპასუხა ქალმა.

— ჯერ კიდევ არის დრო, ჯერ კიდევ არ გადარეცხილა ყველა კვალი და ნიშანი. ახლა მთავარია, აქვს ამს შენთვის მნიშვნელობა თუ არა?

— კვალის გადარეცხვას და გადაურეცხაობას არასოდეს არ ჰქონია ჩემთვის მნიშვნელობა, — უპასუხა მან და საყვედურის აღსაქმელად მოეშზადა.

— რა იოლად იცილებ თავიდან ყველაფერს.

— იცი რა, ჩემო, ეს ცხოვრება მე არ მომიგონია, და საერთოდ, მე არაფერი მომიგონია, არც ის, რაც ტკივილსა და გაუგებრობას იწვევს და არც ის, რის გამოც ყოველი ჩვენგანი ხან ბრალდებულია და ხან ბრალმდებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უწინ თავის მართლება არ გიყვარდა, ახლა ამასაც შესჩვევხარ.

— ბრალდებულს სხვა გზა არა აქვს. სანამ მე აქ რაღაცას ვცოდვილობდი, შენ უკვე წარსულის გაყოფაც მოგისწრია.

— ეს იმიტომ, რომ ზოგი რამის გამოტირება მერე აღარ დამჭირდეს.

— წინდახედული ყოფილხარ.

— ჩვენს დროში სხვაგვარად არ იცხოვრება, — უპასუხა ქალმა.

რესტორანში მღეროდნენ. ნაცნობი მელოდიის ყრუ ბგერები ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა მის სმენამდე. ქუჩა გარემოს ეხამბოდა, ისე იცილებდა თავიდან ყველაფერს, რაც ცხადად დაამჩნიეს, როგორც გარეცხილი, გასაშრობად გაფენილი ზეწარი.

— არ მეგონა, დიდი უთანხმოების შეცლა თუ ასე მალე შეიძლებოდა თანხმობით, — უთხრა მან ქალს, როცა ნაცნობ ბგერებს შორის დიდი ბზარი გაჩნდა.

— მე ჯერ ნდობის მოპოვების უნარი არ დამიკარგავს, — უპასუხა ქალმა.

— ისიც ასე ფიქრობს?

— ამას დანახვა უნდა და არა ფიქრი.

— დანახვით, ეტყობა, ყველაფერი თავის დროზე დაინახა, რადგან იმედდაკარგულნი ასეთ ნაბიჯს არ დგამენ, — თქვა მან.

— შეიძლება, მაგრამ მიტოვებული ქალი ყოველთვის ერთნაირ ხასიათზე როდია, — უპასუხა ქალმა.

— დრო გიშოვა?

— არა, ამ ამბავს დიდი ხნის ისტორია აქვს.

— როგორც ყველაფერს ამქვეყნად, — ჩაილაპარაკა მან ისე, თითქოს ყველაფერი რაც მოხდა, ერთმა დამაიმედებელმა ღიმილმა გამოიწვია.

მსხვილი ფიფქები პეპლებივით ეჯახებოდნენ ფანჯარას და რამდენიმე წამის შემდეგ წყლად იღვრებოდნენ. შემობრუნებას ზარი არ ჰქონდა. ოთახის სიღრმეში ვერაფერს იპოვიდა ისეთს, რაც მძიმე წუთებს შეამსუბუქებდა, ბზარს ამოავსებდა. მეხსიერება წარსულს ეპოტინებოდა და ბევრ რამეს ისე ხლართავდა, რომ ოფლაც ცხადად ნავარაუდევი შესაძლებლობანიც კი ყურით მოთრეული ჩანდა. ყლორტი როგორადაც შეუმჩნეველად ამოიზარდა, შეფერადდა და ხელი ახოლოდ მაშინ შემოეკედო ფესვგადგმულ ძირს, როცა მისი ამოთხრა აუცილებელი შეიქნა. ცრემლი ბალიშს ასველებდა, კედლის საათის წიკწიკი მდუმარებას კორტნიდა, ქუჩიდან მთვრალი მამაკაცების ღრიანცელი ისმოდა. გაუვალ შამნნარში მხოლოდ ხელები იკაფავდნენ გზას, ათრთოლებულ სხეულს ირგვლივ ერტყმოდნენ და მცირე ხნით ამშვიდებდნენ. ამის შემდეგ წყნარად, გაუნძრეველად იწვნენ და განთიადს ელოდნენ.

ფანჯრის მინაზე ჩამონადენი წყლის მსხვილი წვეთები გარემოს სახეს უცვლიდა, სივრცეს ხან აფართოებდა, ხანაც ზოლივით ავიწროებდა და მარტო ქვეყანას კი არ ანაწევრებდა, არამედ იმასაც, რაც ხეირიანად არც ადრე იცოდა და არც ახლა ესმოდა. მაგრამ მაშინ ღრუბლიანი დღეც კი შუბლგახსნილი იბადებოდა, ყოველი მისი მოძრაობა, ყოველი გამოხედვა იმედდებდა და არაფრით არ შეეძლო არ შეხებოდა, არ მოფერებოდა, არ ეგრძნო მისი სხეულის სითბო და სიპატიფე. მაშინ არც დაძინება უჭირდა და არც გაღვიძება. კუთხეში ატუზული ჩრდილები ფერ-ხორცით ივსებოდნენ და მას, რატომღაც, სჯეროდა მათი, იმდენად სჯეროდა, რომ ამ რწმენამ მის წინ მჯდარი ქალიც შეაშინა და მისიანებიც. და სწორედ მაშინ, როცა ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო, შიშმა რაღაც ისეთი დააჩლუნგა, რის აღდგენაც შეუძლებელი აღმოჩნდა. მოგვიანებით აქა-იქ მოღიმარი კეთილისმყოფლებიც კი აღმოუჩნდნენ, რა სახის ბორკილებს არ სთავაზობდნენ, რა სისულელეებს არ ეჩურჩულებოდნენ, მაგრამ იგი სწორედ მაშინ მიხვდა პირვე-

---

ᲔᲚᲘᲖ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲠᲘᲐ
ᲙᲐᲖᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲪᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲤᲥᲔᲑᲘ

ლად, რომ ვერ მოდობავდა ისეთ ბუდეს, სადაც ორივენი დაეტეოდნენ, ორივენი შეძლებდნენ არსებობას.

— მეგონა, აქაურობით დაინტერესდებოდი, თოვლში ბილიკს გაიკვლევდი, რაღაც ისეთს დაისაკუთრებდი, რაც აქამდე არ გაგაჩნდა, მაგრამ, ეტყობა, შენთვის ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, — უთხრა მან ქალს ისე, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ მარცხი არ ასცდებოდა.

— მეხსიერებამ იმდენი რამ შემომინახა, რომ მოგონებები ჯერაც ვერ მომიწესრიგებია, ჩემს ნებაზე ვერ მომითოკავს, — უპასუხა ქალმა.

— არაფერი დაგვიწყნია?

— ცოტა რამ დამავიწყდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დიდი სისულელე ჩავიდინე და მოგეხდე, შენი თვალებით დავუწყე ყურება ქვეყანას, ქუჩაშიც კი ვერ გამივლია ისე, რომ რაღაცამ არ შემმოროს, თავი არ შემახსენოს, — უპასუხა ქალმა.

— ამიტომ ვერ ელეკი წარსულს?

— მარტო ამიტომ არა, მაგრამ ერთი რამ მაინც მაკვირვებს. როგორ შეიძლება კაცს ერთგულების იმხელა გრძნობა ჰქონდეს, რამხელაც შენ გაქვს და არავის ერთგული არ იყოს?

— არ ვიცი, ყველაფერს სჭირდება თავისი სტარტი, თავისი გზა და თავისი ფინიში. ეტყობა, მე იმათ შორის ვერ მოვხვდი, ვინც საპაპარეზოდ შეარჩიეს, — უპასუხა მან.

ქალის ქმუნვა და ღიმილი ხან გულწრფელი იყო, ხანაც ხელოვნური, გარეგან შემოტანილი და როცა ამას ამჩნევდა, მის ყურადღებასაც გარეშე ხმაური იპყრობდა. დერეფნიდან შრიალის მსგავსი ბგერები ისმოდა, დამლაგებელი იატაკს წმენდდა, მაგრამ ეს შრიალი წარსულის ოხვრას უფრო ჰგავდა, ვიდრე მტვერსასრუტის ყრუ შიშინს. აქ, ამ საგარძელში მასაც საათობით შეეძლო ჯდომა, მარტოდმარტო, უსიტყვოდ, უსაქმოდ ჯდომა და ფიქრს არც რული მოეკიდებოდა და არც ბინდი აეფარებოდა. რასაც აშკარად ვერ მისწვდებოდა, ... უმალი გზით დაითრევდა. თვალი ნომ ყველა ქურდია და ყველა მაქციერი. ეტანება ბნელ ხვრელებს, საეჭვო დერეფნებს, გადანახულ საუნჯეს, დაუსაკუთრებელ უმანკოებას და ჰაერში გაბნეულ ზმანებებს, რომელთა ხანგრძლივობა ისევე ხანმოკლეა, როგორც ფანჯარაზე ჩამომდნარი ფიფქისა. თუმცა უკვეთეს დღეში არც მიწაზე მიჯაჭვულნი ჩანდნენ, ყველგან მოჩანდა რაღაცისაკენ გაწვდილი ხელი, ყველგან ბოგინობდნენ სიმბიოტიკები — გაძარცულ, გასვრილ, არასაიმედო კალთას ჩაბღუჯებული სულდგმულები, რომელთაც სხვავგვარად არსებობა ვერც კი წარმოედგინათ.

— ვერ გავითვალისწინე, ეს ოთახი რომ ღამის გასათევად არ გამოგადგებოდა, — უთხრა მან ქალს და ხელი ისე ჩამოისვა სახეზე, როგორც მაშინ ისვამდა, როცა წვერს შემთხვევიდან შემთხვევამდე იპარსავდა.

— მე აქ ღამის გასათევად არ ჩამოვსულვარ, — უპასუხა ქალმა.

— ეტყობა, ჩვენს შორის რაღაც ისეთმა დაჰკარგა ფასი, რასაც ადრე ვერ ველეოდით.

— ისე, როგორც შენ გინდა, მე აღარ შემიძლია.

— ერთხელაც არა?

— არა.

ხეობიდან ნიავმა დაუბერა და დათოვლილი ჯადრების კენწეროები ისე შეარხია, რომ თოვლი არ ჩამოცვენილა. ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ბოთლი ხელისფათურით მონახა, უხეიროდ მოსვა და ისევე იმ ადგილას დადგა. ახლა უკვე შეიძლებოდა საკუთარ თავთანაც ყოფნა და სტუმართანაც, სიცხარე მცირე ხანს საყლაპავ მილთან შეჩერდა, შემდეგ ნელ-ნელა დაბლა ჩაცოცდა და სითბოდ და სიამოვნებად იქცა.

— დღეს ალბათ ლუკმა არ ჩაგიდია პირში. ხომ არ ჩავიდეთ დაბლა, ხომ არ ვივახშმოთ? — ჰკითხა ქალს და რატომღაც მოეჩვენა, რომ გარეთ გასვლა შვებას მოგვრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამდენი დრო არა მაქვს, — უპასუხა ქალმა.

— ლაპარაკი იქაც შეიძლება.

— არ მიყვარს, როცა სახეზე რაღაც მაწერია და შეზარხოშებული მამაკაცები მიყურებენ.

ფანჯრის მიღმა მდებარე სივრცე მცირე ხნით გაიპო და ახლა უკვე ღარ ეჩვენებოდა, რომ ბეტონის რიკულებიან ჯებირებს ზემოდან დიდი ტილო ჰქონდა გადაფარებული, თეთრი, გაუკერავი ტილო, რომელიც მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირს აერთიანებდა.

მან კიდევ ერთხელ მოიყუდა ბოთლი და ამჯერად სითხე ნაკლებად ცხარე მოეჩვენა. მოციმციმე ნათურები, რომლებიც სიბნელისა და სინესტის ყოველსმომცველობას აზვიადებდნენ, სადღაც შიგნითაც ბეუტაჯდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ წარსულის უზარმაზარ ნაფლეთებთან ერთად ჭვრილმანებიც გამოჰქონდათ საამკარაოზე, მათი ერთმანეთთან დაკავშირება მაინც არ ხერხდებოდა. ქალი გამართული, დაძაბული იჯდა, მოუკიდებელ სიგარეტს აწვალებდა და ალბათ ფიქრობდა, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ერთად იყვნენ, ატყუებდა, უფრო სწორედ, ტყუილსა და მართალს ისე ოსტატურად ურევდა ერთმანეთში, რომ არ დაეჭვებულიყო, იმედი არ გადასწყვეტოდა. მისი სიტყვები, იმ საღამოს ნათქვამი სიტყვებიც კი, რომელთაც შინაურობისა და სიმყუდროვის არაფერი ეცხოთ, ალბათ კიდევ უფრო ყალბი და უხამსი ეჩვენებოდა, მაგრამ როგორც არ უნდა დაედანაშაულებინა ქალს, იგი ვერც დიდხანს მასთან ყოფნას უძლებდა და ვერც ხანგრძლივ მარტობას. ხეირიანად თვითონაც არ იცოდა, რა არღვევდა — უზნეობა თუ უგუნებობა, გონიერებაზე უფრო დიდი უგუნებობა, რადგან ზოგჯერ გათოშილსა და დამშეულსაც კი მის კალთამდე არ უშვებდა, ღამეებს გარეთ ათევინებდა.

— გახსოვს, რა ცივი იყო შარშანდელი ზამთარი, როგორი ივსებოდა ბნელი სითალხით და სიცარიელით, ჰკითხა მან ქალს, როცა მოციმციმე ნათურების სხივები მახვილ კუთხეებად შეჭრა.

— მე უარესი დღეებიც მახსოვს, ლოდინითა და ნაღველით დამძიმებული დღეები, რომელთა უთავბოლობის გამო მხოლოდ მე უნდა ვაგო პასუხი, — უპასუხა ქალმა.

— რა მალე დაგისაკუთრებია ყველაფერი.

— როგორ არ გრცხვენია?

— რომ არ მაწუხებდეს, შემრცხვებოდა.

— შენს წუხილს იმდენი წახნაგი აქვს, რომ ვერ გამიგია, რომელია ნამდვილი, მაგრამ ახლა მე დანამვლილებით ვიცი, რომ უთანხმოების მიზეზი შენ იყავი და არა მე. ღამე ცივი და ბნელი შენ გეჩვენებოდა და არა მე. სწორედ იმ ღამეების გამო ჩამოწვა ჩვენს შორის ძმიმე, უძრაგი ჩრდილი. მას შემდეგ რამდენი ვიჯასნიე, რამდენი ვეფერე და ვეფერე, მაგრამ ვერც შენ მოგერიე და ვერც საკუთარ თავს მოვუხერხე რამე. ამიტომაც განვიცდი იმ დღეთა მოგონებას მტკივნეულად, — უთხრა ქალმა და გასაბობად თუ გასაძნეველებლად ცოტაოდენი ღვინო მოსვა.

ის ზამთარი მარტო ცივი კი არ იყო, არამედ უღატაკესიც, იმდენად ღატაკი, რომ ლუკმა პურის შოვნა და ბინის გათბობა ბევრად უფრო ჭირდა, ვიდრე თავზე ხელის აღება. ცივ ბინას, ცივ ლოგინს და ცივ ნაკვთებს მხოლოდ გარედან მოსული, ახალგაზრდა, თვალისა და ხელისათვის ნაცნობი სხეული ათბობდა. შეკუმშული, სოროდ ქცეული ბინა ფართოვდებოდა, სიტყვები სხვა აზრს იძენდნენ, გათოშილი გონება მხოლოდ ისეთ რამეს ეტანებოდა, რაც თავისთავად ცხადი, ადვილად ამოსახსნელი იყო. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ძველი ავეჯის და-

---

გივი მაღულარია

ქაჯზე ჩამოკიდებული ფიფქები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრული ჩუქურთმები, დახეთქილი კედლის ბზარები და მტვრიანი წოგნების ფორნჩაცები ადგილს არ მოინაცვლებდნენ და ფანჯრას არ მიაჩერდებოდნენ. ნივთთა ბზართა ადგილმონაცვლეობას ყოველთვის თან მიჰქონდა სითბო და სიმყუდროვე. იწყებოდა ნისლიანობა, უამინდობა, თოვა, იზრდებოდა სიცარიელე და ამ დროს საწოლის ან დივანის ფეხთან ყოველთვის ენდა მდგარიყო რაღაც ისეთი, რაც არ ინრწნება, ჰმუნვითა და მწარე ნაღველით არ იყლინთება.

ხიდზე ყვითლად შეღებილი რძის გადასაზიდი მანქანა გამოჩნდა, რომლის ფარების შუქმა ისე გამოსტაცა ბურუსს უჩინარი ველოსიპედისტი თითქოს მისი დევნა და შეპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი. ველოსიპედისტი ერთხანს ყურადღებას არ აქცევდა უკან მოპავალ მანქანას, შემდეგ თავი მოაბრუნა, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და საცალფეხო, თაღოვანი ხიდით მეორე ნაპირზე გადავიდა. დღე, რომელიც მსუსხავი ყინვით დაიწყო და თოვლის წმასილის შემდეგ თანდათან შეთბა, ახლა ისევ ითოშებოდა.

— შენ ალბათ გკითვა. ეს ოხერი ბატარეები ხეირიანად ვერ ათბობენ ოთახს. აიღე საწოლიდან საბანი და შემოიხვიე ფეხებზე, — უთხრა მან ქალს ისე, თითქოს მისი ბრალი იყო, რომ აქ თოვდა და ციოდა.

ქალს არაფერი უთქვამს. ფეხზე ფეხგადადებული ისე უძრავად იჯდა, თითქოს სავარძელს შეეზარდაო. მის მზერაში ჯერ მხოლოდ უკმაყოფილება და წყენა იგრძნობოდა, ჯერ ბევრი რამ ელოდა წინ ისეთი, რისი იმედიც ჰქონდა, რაც თუ ბედნიერებად არა, ხსნად მაინც მიაჩნდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა მისთვის აღარავინ აღარაფერს გიმეტებდა, როცა ყოველდღიურობა ცხოვრებისეული წვრილმანებით აყროლებულ ჭაობში ჩაითრევდა და ახალგაზრდობასთან ერთად სილამაზესაც გამოსტაცებდა ხელიდან, უკმაყოფილებას მტრული განწყობილება შეცვლიდა, წყენას კი — დაუფარავი ზიზღი.

სანამ იგი ხეთა დამძიმებულ ტოტებს აკვირდებოდა, ქუჩაში ვიღაცეებს ჩაევლოთ და ჭუჭყიანი კვალი დაეტოვებინათ. თოვლი ამ კვალს მალე გადაშლიდა, მაგრამ ამის დანახვა ოთახის სიღრმიდან შეუძლებელი იყო. ყოველთვის, როცა ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ქალის უფლებები და მოთხოვნილებები, მისი წინ ყურება და რაღაცის გადარჩენისათვის ზრუნვა უფრო ანგარიშგასაწევი და სიფუძვლიანი ეჩვენებოდა, ვიდრე საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ ზოგჯერ ცხადზე ცხადი ამბებიც კი ისეთი ბუნდოვანებით იმოსებოდა, ისე ინლარებოდა და ინასკვებოდა, რომ აღარაფერს უჩანდა თავი და ბოლო.

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სადაცაა ოთახი ადგილიდან დაიძვრება და ვაგონივით დაიწყებს რწევას, — თქვა მან და ამგვარი რამ მართლაც რომ მომხდარიყო, არ გაუკვირდებოდა.

— ახლა მესმის, რატომ არ იცვლი ფეხს ადგილიდან, იმედი გაქვს, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არაფერი დაგეკისრება, — უპასუხა ქალმა.

— აი, თურმე რა გაწუხებს. როგორ შეგიძლიათ რამე გაიღოთ და ვინმეს ვალი არ დაეკისროთ. მიკვირს, როგორ გამოგიშვეს, როგორ გაგიმეტეს ასეთი ძვირფასი საუნჯე მატარებლით მგზავრობისა, ყინვისა და ისეთ უმადურ კაცთან შეხვედრისათვის, როგორიც მე ვარ. — ჭკითხა მან ქალს ღვარძლიანად და იგრძნო, რომ სულმოკლეობა ეძალებოდა.

— შენი გესლი ისე აღარ მოქმედებს ჩემზე, როგორც ადრე მოქმედებდა, მაგრამ აქამდე არ მამცირებდი, აბუჩად მაინც არ მიგდებდი, — უთხრა ქალმა.

— ნუ გეშინია, ერთი კაცის თვალში ფასის დაკარგვა არაფერს ნიშნავს. დამფასებლებსა და დამსაკუთრებლებს რა

ამმოლუკს ამქვეყნად. შენზე დარდით ვიღაც ახლა ან მწარედ კვნესის, ანდა უგონოდ თვრება. ასე რომ არ იყოს, ისეთ ბედზე ხარ დაბადებული, რომ კუთვნილი არაფერი დაგაკლდება. მაგრამ ამდენ შეხლა-შემოხლაში და ერთმანეთის ჯიჯგნაში ჩვენვე ვისვრეთით, ჩვენვე ვიცითებით და რადგან ღვთის კრავი არც ერთი არა ვართ, ამიტომ მაინცდამაინც ნუ დაგადარიანებს იმაზე ფიქრი, რისი არც განმეორება შეიძლება და არც შენერება, — თქვა მან ისე, რომ ხის კენწეროსათვის თვალი არ მოუშორებია.

— პირადად მე არაფერს გამადლი, მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს. რატომ გგონია, რომ ქალად არ ვვარგივარ, ვერაფერში გამოგადგები, — ჰკითხა ქალმა.

— იმიტომ, რომ არ მინდა საკუთარ დამარცხებაში მოგეხმარო, — უპასუხა მან.

— რა დამარცხებაზე ლაპარაკობ?

— ყველანი ერთხმად ცდილობდით დაგერწმუნებინეთ, რომ განსაკუთრებული ბედნიერება მხვდა წილად, რასაც ვერ ვაფასებ, ვერ ვიფერებ, მაგრამ როცა ამან არ გაჭრა, შურისძიების გზას დაადექით, რადგან სხვაგვარად არა მარტო სხვების თვალში დაკარგავდით ფასს, არამედ საკუთარშიც.

— შეიძლება შენ არც მაშინ მაგდებდი რამედ, როცა მშიერ-მწყურვალს ქუჩებში დამათრევდი ან ცივ ბინაში მელოდებოდი, მაგრამ არის ქვეყანაზე ხალხი, რომელთაც გადასაგდებად არ ვემეტები, — უპასუხა ქალმა.

— ვიცი, რომ უპატრონო არა ხარ, მით უმეტეს, ახლა, როცა მათ კიდევ ერთი პრეტენდენტი შეემატა.

— შენ კი გერჩია, უპატრონო ვყოფილიყავი, არა?

— რა თქმა უნდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენს ბედსა და შენს ცხოვრებას თვითონ გადაწყვეტდი და ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევდი, — უპასუხა მან.

ლი რამდენიმე ადგილას გაიხა და ალმოსავლეთის ცივი ქარი ისე დაუბროკოლებლად იჭრებოდა თოვლით დაფარულ, ცარიელ ქუჩებში, თითქოს ყველა სხვა გზა მოჭრილი ჰქონდა. მთებზე შეფენილი სახლები თავისთავად ნაგებს გავდა, ნაცნობი კონტურები თავისთავად შემოფარგლულებს. ღამენათევი კაციასათვის თბილი ზამთარიც კი ცივია, მაგრამ როცა თხლად გაცვია, სახლში გული არ გიდგება და ვერც იმასთან პოულობ საერთო ენას, ვინც გვერდით მოგყვება, ზამთრის სუსხი ათკეცდება, ასკეცდება, გათოშილთა რიცხვი კატასტროფულად მატულობს და ქვეყანაზე აღარ რჩება არც ერთი თავისუფალი სორო. ამიტომაც დაუცურდა ფეხი მოლპაულ ტროტუარზე. დაეცა ისე, რომ წამოდგომა გაუჭირდა. მოკლებაწვიანი ქუჩა ერთ ადგილას გაერღვა, გახეული წინდიდან შიშველმა მუხლმა გამოყო თავი. მის მშობლებს ქუჩისა და წინდის ყიდვა არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ იგი მაინც ატირდა. ატირდა მწარედ, ჭირვეულად, რადგან დარწმუნებული იყო რომ იმ საღამოს მის გარდა ყველა ეცცდებოდათ და ყველას ეფერებოდნენ.

— ამ დილით ვფიქრობდი, ყოველი სადგური, რომელსაც გამოვცდებოდი, გარკვეული მანძილით გვაახლოებდა, მაგრამ არ ვიცოდი, რომ მანძილს ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, როგორსაც ერთ დროს ვანიჭებდით, — თქვა მან და სიგარეტის მოწევა მოუნდა, მაგრამ ადგილიდან დაძვრა დაეზარა.

— მეც ასე ვფიქრობდი, სანამ ამ ოთახში ფეხი არ შემოვდგი და კიდევ ერთხელ არ დავრწმუნდი, რომ ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი, რასაც ახლა ამოკლებ, ისევე დაგრძელდება და გადმოულახავ ზღვარად იქცევა, — უპასუხა ქალმა.

მან უკვე იცოდა, რა იყო მიზეზი ასე-

თი სწრაფი და მკვეთრი ცვლილებისა, მაგრამ მხოლოდ გარე მხარეს, კონტურებს ხედავდა მთელისას და როცა წარსულიც საეკვო ელემენტებით ივსებოდა, გარედან მომდგარ ბნელს სხვა სიბნელეც ემატებოდა — მზერას გამმრუდებელი, გამომაცალკევებელი სიბნელე.

— დადიხართ სადმე? — ჰკითხა მან ქალს და იგრძნო, რომ შიგნით რაღაც აიმღვრა, გაუხამსდა.

— სტუმრად ვიყავით რამდენჯერმე, — უპასუხა ქალმა.

— გილოცავენ?

— ჯერ მხოლოდ გვიღიმიან.

— შენ რას გრძნობ ამ დროს?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ გვიღიმის.

— მე სხვა რამეს გეკითხები.

— სხვა რამეზე პასუხის გაცემა არ მინდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ საიმედოდ ხარ შეჯავშნული.

— ამ საღამოს არა.

— ერთ საღამოს მნიშვნელობა არა აქვს. შენ ჩემს თვალში უკვე დიდი ხანია ხარ ის კაცი, ვინც ყველაფერს პიროვნულ შესაძლებლობაზე აგებს და არა კანონიერ და უკანონო უფლებებზე. ახლა რომ ნება დაგრთო, დამიტკბები და დამიყვავებ, შეიძლება დამიყოლიო კიდეც. მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება, — უპასუხა ქალმა.

დამძიმებული ცა გუმბათივით ეხურა პატარა ქალაქს, თოვლს დიდ ფანტელებად ცრიდა და მხოლოდ თეთრ ფერს ირეკლავდა, მაგრამ როცა იგი აქ ჩამოვიდა, ფანჯრიდან წითლად შეღებილი სახურავები, ნესტით დალაქიანებული კედლები და ქარვისფერი ფოთლებით შემოსილი ხეები მოჩანდა. შემდეგ საგნებმა და მცენარეებმა სახე იცვალეს, რაღაც დაჰკარგეს ისეთი, რასაც მის თვალში ვეღარასოდეს შეიძენდნენ და როცა დაზამთრდა, როცა ფერისცვალება დღეთა ნაღვლიან დინებას შეერწყა, საგნებისა და მცენარეების სიშიშვლე მეშუნვარებად იქცა, იმგვარ მეშუნვარებად, რისგანაც ადამიანს ვერავითარი ჯავშანი ვერ იფარავს.

რესტორნის ღია კარიდან ჯერ სინათლე გამოიკრა, შემდეგ კი მუქი ფერის პალტოებში გამოწყობილი მამაკაცები გამოვიდნენ და როცა კარი დაიხურა, ისინი ერთხანს ისე ცხარედ უმტკიცებდნენ ერთმანეთს რაღაცას, ისე იქნევდნენ ხელებს, როგორც ცოცხალი თოჯინები. თოჯინებს ფონს ფანჯრებგანათებული რესტორანი უქმნიდა, რესტორანს კი დათოვლილი მთის ტყიანი ფერდობი, რომლის მუქი ღრმულები ისე მოჩანდნენ შორიდან, როგორც თეთრად შეღებილი გემის ჩამქრალი ილუმინატორები.

— არ მეგონა, ორი თვის უნახობა თუ ამდენ ძალას და მიმზიდველობას შეგმატებდა, — უთხრა მან ქალს და მდინარის გაყოლებით დაძრულ მბეჟუტავ შუქს დაედევნა.

ქალმა თავი ისე ასწია, თითქოს რაღაც გახსენდაო, რაღაც შორეული, სხვა თვალით დასანახავი და მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ ჰკითხა:

— როგორ შეგიძლია მხოლოდ ის გამოიცალკევო, რაც გწადია, რასაც ვერ ერევი, და არაფერს ანგარიში არ გაუწიო?

—ანგარიშის გაწევა ყოველთვის სურვილის ხარჯზე ხდება და კაცს, ქალსა და ცხოვრებას მოსაწყენს ხდის, — უპასუხა მან.

— რამდენადაც სხვებს ვაკვირდები, ეს არც ისე ძნელი ასატანია, — უთხრა ქალმა.

— სხვების შენ რა იცი, სიძველე მერე და მერე იწყება.

— ამიტომ ვიღაცამ ყოველთვის უნდა დაგითმოს რაღაც, არა?

— გამჩენს იმისათვის, რასაც ადამიანები ერთმანეთს უთმობენ, ფასი არ დაუდვია, — უპასუხა მან.

— ამის გამო დაკარნინდი შენს თვალში?

— პირიქით, გაიზარდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს როგორ ხდება?

— ამას მე არ უნდა გასწავლიდე.

— უკეთესი იქნებოდა, არც შენ ეცოდე.

— შეიძლება, მაგრამ წავიდა ის დრო, როცა არცოდნა არცოდვად ითვლებოდა, — უპასუხა მან.

წინ აყუდებული მთის გასწვრივ, უფრო ღრმა ხეობაში რაღაც გამოიკვეთა და სანამ თვალი გარკვევით აღიქვამდა, ისეე გაუჩინარდა. მან იცოდა, რომ ეს დღე ბოლოსდაბოლოს დადგებოდა, მაგრამ არ ეგონა, ყველაფერი თუ ასე სწრაფად მოხდებოდა. მატარებლით ერთადაც ბევრჯერ უმგზავრიათ და ცალცალკეც, მრავალჯერ წაჩხუბებულან და შერიგებულან, მრავალჯერ ვაკიდებიან მატარებელს და თანდათან დაპატარავებულან, სირბილით დაღლილან, მაგრამ მაშინ ყველაფერი წინ იდო და თრევა არ სჭირდებოდა, ახლა კი ხვნეშასა და ოფლის ღვრას ითხოვდა.

ჭადრის განზე გაშვერილ, სხვა ტოტებისაგან გამოცალკევებულ ტოტს დამძიმებული თოვლი მოწყვია და ის ადგილი, სპეტაკი თოვლით რომ იყო დაფარული, გაშიშვლდა, შავ ლაქად იქცა. ამ ტოტს ფოთლებიც სხვებზე ადრე გასცვივდა. ეეეზოვე ყოველ დილით უყრიდა თავს ასფალტზე ფარჩად დაგებულ ფოთლებს, ყუთში ყრიდა და მოგვიანებით სანაგვე მანქანას ატანდა. შემდეგ საიდანღაც ნიავს დამწვარი ფოთლების სუნი მოჰქონდა. მაშინ ფერები ან იცრიცებოდა ან სინათლით ივსებოდა, ნასხლეტებად იბნეოდა და ეჩეეულო სამდიდრეს ისე ფანტავდა, თითქოს ჭკნობა და კვდომა აგულუხვებდა. ახლა კი ყველაფერი, რაც ღია ცის ქვეშ იდო, თეთრად იყო შეღებილი და ეუკეყი რომ არ დამჩნეოდა, ზედაპირს იფაფუკებდა.

— ერთი წლის შემდეგ ალბათ ძნელი საცნობი იქნება, — უთხრა მან ქალს და დამტვერიანებული წიგნების ფორხაცები გაახსენდა.

— რატომ? — ეკითხა ქალმა.

— იმიტომ, რომ სხვა თვალებს გადმოეცემა, სხვა ხორცს შეისხამ.

— ერთი წლის შემდეგ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება, — უპასუხა ქალმა და მისი ტუჩების მოხაზულობაში რაღაც ისეთი გამოიკვეთა, რაც თვალის დახუჭვას მოითხოვდა, მაგრამ ამგვარი რამ არ მოხდა და ამიტომ დრო დროს შეენაცვლა.

იმ საღამოს ჩხუბი არ მოსვლიათ, მაგრამ სახლში მაინც ვერ გაჩერდნენ და ქუჩაში გასელა ამჯობინეს. ქალი, ფაფადშელახული სახლები მიბარებულ საუნჯესავით ინახავდნენ სითბოსა და სიმყუდროვეს. გაძარცული ხეები ქალაქს აშიშვლებდნენ. ბოძებზე დაკიდებული ნათურები ავად ციმციმებდნენ. მოფლოდნელი მარცხის შემდეგ ჯობდა სახლში წასულიყო, თბილ კალთასა და ზოლებიან პიჟამოს ამოფარებოდა, მაგრამ სახლში წასვლა არ ისურვა და რადგან არც ის იცოდა ამხანაგთან თუ ნათესავთან შეეფარებინა თავი, თავჩაქინდრული მიჰყვებოდა ტროტუარს. რამდენჯერმე მოგრძო, ფერმკრთალ, კრიალა სახეზე მუქმა ჩრდილმა გადაურბინა. ღმერთმა იცის, რა იყო ეს — შეგნებული თვალთმაქცობა თუ მართლაც ვეღარ ერეოდა ტკივილს. ასე ცხადად, თვალში საცემად იშვიათად იმჩნევდა რამეს. თუმცა იმ საღამოს რაც უნდა ეთქვა და როგორც უნდა დამწუხრებულიყო, ყრუ კედელს მაინც ვერ მოარღვევდა. პირიქით, ყოველი ბზარი უფსკრულის სიღრმეს შეიძენდა, ყოველი წერტილი ავისმომასწავებლად გაშავდებოდა და ისიც კი არ ეცოდინებოდა, საით ექნა პირი, სად შეჩერებულიყო, სად შემობრუნებულიყო.

როგორც კი თოვამ ცოტათი იკლო, რესტორნის განათებულ ფანჯარაში სილუეტები გამოჩნდნენ. ერთ მათგანს ნაცნობი კონტურები აღმოაჩნდა. თხელი, ოდნავ გვერდზე მოქცეული ცხვირის პატრონს ზურგს უკან დგომაზეც

კი ეტყობოდა, რომ ალდო იშვიათად ღალატობდა. იგი თვალის ერთი შეკვეთით ანსხვავებდა სამსახურში მოკალათებულ ქურდს პროფესიონალი ქურდისაგან, უფლებამოსილ მოძალადეს კანონგარეშე გამოცხადებული ავაზაკისაგან, სპეკულანტს ფალსიფიკატორისაგან, მექრთამეს თაღლითისაგან. მკვირცხლი და სმენგამახვილებული ყველაფერს ხედავდა, ყოველ წვრილმანს ანგარიშს უწევდა, იცოდა, ვისთვის რა ეთქვა, ვის როგორ მომსახურებოდა, მაგრამ საკმარისი იყო მაგიდასთან უცხო კაცი გამოჩენილიყო, ვინმე ისეთი, ვისი არც ასავალი გაეგებოდა და არც დასავალი და მაშინვე ეჭვი, უნდობლობა და სიფრთხილე იპყრობდა. ჭროღა თვალები უვიწროვდებოდა, თხელი ტუჩები როგორღაც სხვანაირად ებრიცებოდა და ამ დროს მისი აზრის ამოსაკითხავად თავის მობრუნებაც კი არ იყო საჭირო: „თუ ვიგინდარა არა ხარ, რა გინდა ახლა აქ და ისიც მარტოს“. მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა და ახლა ქალთან ერთად რომ დაენახა, შემოეგებებოდა, სანდომიანად გაუღიმებდა, მაგიდასთან მიიწვევდა.

— რამდენი დარჩა მატარებლის გასვლამდე? — ჰკითხა მან ქალს და ტურისტებით დატვირთულ უცხოურ ავტობუსს თვალი გააყოლა.

— იმის სათქმელად, რაც ჯერ არ გითქვამს, გეყოფა, — უპასუხა ქალმა.

— რომ არ მეყოს, დარჩები?

— არა.

— მე შენ უფრო გულმოწყალე მახსოვხარ.

— მას შემდეგ ჭკუა ვისწავლე.

— ქალურ სიმდიდრეს სწორედ ის კარგავს, ვინც ჭკუას იძენს.

— შენს თვალში მე ყველაფერს ვკარგავ, მაგრამ ისე ადვილად ვეღარ მომატყუებ, როგორც ადრე მატყუებდი, — უთხრა ქალმა და თვითონვე მიხვდა, რომ უხამსობა წამოროწა.

— შენს სიტყვებს შენიანების სუნი უდის, შეიძლება იმისაც, ვისაც ალბათ ჯიბეში სამი თუ არა, ორი დიპლომი მაინც უდევს და თავი პატიოსანი ადამიანი მოაქვს.

— ჩემთვის ყველა პატიოსანია, ვინც არ მატყუებს, — უპასუხა ქალმა.

— ტყუილების გამო ჯერ თავი არავის შეუშვერია ქვისათვის და ცხადია, არც შენ შეუშვერ. ტყუილების დრო ჯერ კიდევ დადგებებათ. მე ხომ ვიცი, მერე და მერე მისგან გაცილებით მეტს აიტან, ვიდრე ოდესმე ჩემგან აგიტანია.

— შენგან მეტს მოვითხოვ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ გიცნობ.

— ის, რაც შენ იცი, მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც სინამდვილეში ხდება, ხომ გახსოვს, რა დღეში ვიყავი შარშან ამ დროს.

— ამიტომ დამირეკე?

— სამაგიროს ვერაფრით გადაგიხდი, მაგრამ იმაზე დიდ სიკეთეს, ამაღამ რომ აქ დარჩე, შენს სიცოცხლეში ვერ ჩაიდენ, — უთხრა მან ქალს და ისე მოიხარა ბეჭებში, თითქოს შიგნით რომელღაც ძარღვი გადაუჭრეს.

— არ შემიძლია, არ შემიძლია ხვალ, ზეგ ან მაზეგ ბარგი ჩავალაგო და უშენოდ გავემგზავრო აქედან. თუ ყველაფრის თავიდან დაწყებაა საჭირო, სჯობია, ისე დავიწყო, როგორც გამოცდილება მიკარნახებს.

ქალმა ათრთოლებული ხელით სიგარეტს მოუკიდა და როცა ფეხი შეინაცვლა, მუხლის თავები გამოუჩნდა. შიშველი იგი ბევრად უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ჩაცმული. კაბა, წინდები და მთელი მისი ავლადიდება ზურგგაქცეულ სკამზე ეყარა. კედლის საათი ეკლესიის ზარივით რეკდა. ღამეს იმდენი სიბნელე მოჰქონდა თან, რომ საწოლს ზემოთ დაკიდებული ლამპა საწყალობლად ბჟუტავდა. ყოველი ასეთი შეხვედრა ძრწოლითა და მტკივნეული სიტკბოებით იწყებოდა, მაგრამ შუაღამის შემდეგ, როცა ლოგინი იმდენად თბებოდა, რომ ცივ ოთახს ეთიშებოდა, ოდნავ მკვახედ ნათქვამი სიტყვა ან მკვეთრი, ხელის კვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგვარი მოძრაობა უთანხმოებას, დავასა და საწოლზე წამოჯდომას იწვევდა. გვერდიდან ძუძუ უფრო მეკრავი და ამობურცული ჩანდა, ვიდრე წინიდან. ელვარე თვალები სივრცეს კაწრავდნენ, ზურგზე დაყრილი თმა ელავდა, ღელავდა, დავაში მონაწილეობდა. წინ იგი რატომდაც უფრო მეტ ფასეულობას ხედავდა, ვიდრე ხელთ ეპყრა, ვერაფერით ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ხვალ, ზეგ ან მაზეგ სულ შემთხვევით, მათგან დამოუკიდებელი მიზეზით, შეიძლება ყველაფერი დამთავრებულიყო და პასუხისმგებლობა არავის დაკისრებოდა.

ბეტონის ელექტრობოძებს შორის გაბმული, მაღალი ძაბვის დათოვლილი მავთულები ცოტათი ჩამოწოლილიყვნენ, მრუდხაზოვნად კვეთდნენ ხიდის დაჭიმულ ბაგირებს და ხაზთა ეს მრუდი და სწორხაზოვანი ურთიერთკვეთა ხან იშლებოდა, ხეობაში იფანტებოდა და არაფერს ტოვებდა დაუსაკუთრებელს, ხანაც ისე ისლართებოდა, რომ მდინარის გაღმა ჯარისაკაცებივით ჩამწკრივებულ ფიჭვებს გზას ეღობავდა.

— ეს პატარა ქალაქი ასე დარბილებული და გადახალისებული, როგორც ამ საღამოსაა, ჯერ არ მინახავს, — თქვა მან და მზერა ისევ მთის ფერდობის ღრმულებზე გადაიტანა.

ქალს არც კი უფიქრია ფანჯარასთან მისვლა და გარეთ გახედვა, რადგან აქაურობის ცნობა და მიღება, რაიმეზე შეთანხმება — მის მიღებასაც ნიშნავდა. ამიტომ ხელებით ისე დაეყრდნო სავარძლის სასელურებს, თითქოს მისი სიმძიმის იმედი ჰქონდა და მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა:

— ხვალ ეს ქალაქი დარბილებული და გადახალისებული კი არ იქნება, არამედ ჩამკვდარი და ჩაშავებული. ისიც კი ვიცი, რა სიტყვებით გამოხატავ ამას, რას როგორ გააშიშვლებ და რას როგორ შემოსავ.

— თუ ყველაფერი ეს წინასწარ იცოდი და გუშინაც ასე ფიქრობდი, აქ რისთვისღა მოდიოდი, — ჰკითხა მან და მოეჩვენა, თითქოს ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული ფიჭვების ერთმა ნაწილმა უკან დაიხია, მწკრივი გაამრეცა.

— ჩამოვედი იმიტომ, რომ გარდაქმნის, სწრაფად გადასხვაფერების უნარი მაკლია და ცივი სისხლის ისეთი ნაკადი, როგორიც ზოგჯერ შენს ძარღვებში სჩქეფს, — უპასუხა ქალმა.

— სიცივე ზამთრის გრძელ ღამეებს და ჩრდილებს მოჰქონდათ.

— არ ვიცი, ვის რა მოჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ ისე ვითოშებოდი, რომ განძრევის თავი არ ჰქონდა.

— მიუხედავად ამისა, მაინც მიკავდი.

— რისგან, ვისგან?

— უსახლკარობისა და იმისგან, ვისაც ვერ ხედავდი.

ზოგჯერ ვერც თვითონ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ კუთხეში იდგა და საკუთარი სახის უსახურობას ეფარებოდა. ამ დროს ყოველი სიტყვა ცალკეულ ბგერებად იშლებოდა, იფიტებოდა, აზრის ნასახსაც კი არ შეიცავდა. რომ სცოდნოდა ვინ იყო, საიდან მოვიდა, რა ჰქონდა საერთო ან მასთან, ან ამ ბინიდან გატანილ მიცვალებულებთან, თავაზიანად გამოელაპარაკებოდა, თუ იმ წყაროს ვერ მიაგნებდა, საიდანაც უსახურობა, იდუმალება მოქონავს, მეთვალყურეობისაგან მაინც იხსნიდა თავს, მაგრამ ის, ვინც კუთხე დაისაკუთრა, ადგილიდან არ იძოვია, ისე ჩუმად, ისე მორიდებით იდგა ბნელში, თითქოს სხვა საყუდარი არსად ეგულებოდა. გარეთ კი ციოდა, ისე ციოდა, რომ ძაღლი არ გაიგდებოდა. თუმცა მისთვის ალბათ სულერთი იყო რა ხდებოდა გარეთ, შეიძლება „გარეთ“ არც არსებობდა, შეიძლება არაფერი არ არსებობდა, გარდა ბნელი კუთხისა და დუმილისა. დუმილი ხშირად მარტო მას კი არ იცავდა ფანჯარაზე მომდგარი ბნელისა და უსიამო, ჟრუანტელისმომგვრელი ბგერებისაგან, არამედ გამთბარ საწოლსაც. ასე გრძელდებოდა მანამ-

გიგი მალულარია

ლაფზე ჩამოკიდებული ფიფქები

დე, სანამ ერთ ყინვიან ღამეს კოშმარების მთელი ქარავანი არ მორეკა და ბინა მოჩვენებებით არ გამოავსო. მას შემდეგ ღამეები ერთმანეთს გადაეცა, ჰაერი მოიწამლა და ნებისყოფა რომ არა, ვიღაცას ან ლოგინში იპოვიდნენ მკვდარს ან კუთხეში. მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. ქალმა და უსახურმა სტუმარმა როგორღაც იგრძნეს ერთმანეთის არსებობა და შეერთნენ, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ქალს სიშიშვლის შერცხვა, ლანდს — უსახურობისა, მაგრამ ბოლოს უსახურობას ისევ შიშველი სხეული სახიერებამ ამძლია და იმ ღამიდან კუთხე კუთხეს დაემსგავსა, თავისი ადგილი დაისაკუთრა. ქალსა და უსახურ ლანდს რომ ერთად არ ედგომებოდათ ერთ კერქვეშ რომ ვერ გაძლებდნენ, ეს ფანჯრისაკენ პირშექცეულმა საგნებმაც კი იგრძნეს.

— შესახედავად როგორია? — ჰკითხა მან ქალს და თავი მიაბრუნა. მოულოდნელმა კითხვამ ქალი შეაკრთო.

— თუ სახის სწორ ნაკვთებს და ნავარჯიშებ სხეულს სილამაზე ჰქვია, — ლამაზია.

— რას იკვლევს?

— სულერთი არაა, რას იკვლევს? მთავარი ისაა, რომ დამშვიდებული სინდისით შემოდის სახლში და საეჭოსა და მიუღებელს არც სხვებში ხედავს და არც საკუთარ თავში, — უპასუხა ქალმა.

— თუ ასეა, ყველაფერი უდავიდარაბოდ მოგვარდება და როგორც არ უნდა გიღიმოდნენ, გამართლებას მაინც მოგინახავს.

— შენი თანაგრძნობა მას არაფერში სჭირდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენი გესლი შენ უფრო გწამლავს, ვიდრე სხვებს, — უპასუხა ქალმა.

— რა საჭიროა ამდენი გაფრთხილება. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ჩვენ რაღაც სისულელის ჩადენა შეგვეძლო. ამიერიდან გულახდილნი ვერ ვიქნებით ერთმანეთთან ისე, — ეს საშიში ან სახიფათო იყოს, — სთქვა მან.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ერთმანეთი უკვე გამოვცადეთ.

მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინისა, ნაღლული ჭიქისა და სიგარეტის კოლოფის მეტი არაფერი იდო, მაგრამ ქალის ხელის მოძრაობა და სახელოზე დაკერებული ღილის შიშველ ფიცარზე ცემის ხმა მაინც ეთანხმებოდა, ეხმიანებოდა რაღაც ისეთს, რაც ფერებს და საგანთა მკვეთრ მოხაზულობას არბილებს, ზამთრის პირქუშ საღამოს ღრმა ნაოჭებისაგან იცავს. ამ დროს მძაფრი აზრი უკან ისევს, გესლისაგან იცლება და ლმობიერდება, რადგან ხელახლა იმის განცდა და გადატანა, რამაც გაგარეულა, ადამიანს მხოლოდ ერთხელ შეუძლია და ისიც ადრეულ სიპუბუკეში. იყო დრო, როცა ერთ ადგილას ჯდომა, ღვინის სმა და ძალდატანებლად ფიქრი მიუწყდომელ უპირატესობად მიაჩნდა, მაგრამ ახლა ამგვარ უპირატესობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მთავარი მეხსიერების დაჩლუნგება, მოუშუშებელი ტკივილის უკუგდება იყო. ვინც არ იცის, რას ნიშნავს ყველა ღილის დაკრა, ყრუ კედელთან დგომა, ელექტროშოკი, წარმოდგენა არა აქვს, რამდენად მგრძნობიარეა შიშველი კანი, რა უსუსურია ადამიანი. ამის შემდეგ რაღაც სხვაგვარად უნდა გადაინასკვოს, რაღაც უნდა დამოკლდეს ან შიგნით ან გარეთ, თორემ დაეჭიმვისაგან სისხლძარღვები ალაგ-ალაგ დასკდება და სწორედ ვერაფერს მიიტანს იმ ადგილამდე, სადაც გონიერებისა და სიგიჟის იმპულსები იბადება.

ბეტონის ხორთუმიან ბოძებზე დაკიდებული ნათურები ტოკავდნენ, ცახცახებდნენ. თოვლის მსხვილი ფიფქები თავიანთ ჩრდილებს ეთამაშებოდნენ, ქვეყანას აბრელებდნენ. გალმიდან უცხო,

ხალისიანი ხმები ისმოდა. მალე ხიდზე სხვადასხვა ფერის კურტაკებში გამოწყობილი ჭაბუკები და ქალიშვილები გამოჩნდნენ. ფერთა ღრეობამ ზამთრის სიმკაცრე და სიმშვიდე შეაშფოთა. ზურგზე მოკიდებული ჩანთები, წოწოლა ქუდები და მხარზე გადაკიდებული თხილამურები ფოტოაპარატით გადაღებას, ფერადი ჟურნალის წინა ყდაზე გამოხატვას მოითხოვდა. ერთხელ, როცა გრძელი ღამეები კიდევ უფრო დაგრძელდა და გამუქდა, ზურგჩანთები გატენეს, მატარებელში ჩასხდნენ, რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ პატარა სადგურში ჩამოხტნენ და ახალაშენებულ პანსიონატს თუ სპორტულ ბაზას მიადგნენ. მთებისა და ხეობების სითეთრემ ბნელის თან გამოყოლილ სიხიერებას უკან დაახვევნა, ბავშვების ქიეელ-ხივილმა და ძირგაკრილებული რკინის მშრალ თოვლზე ხახუნმა შიგნით რაღაც გაალხო, მაგრამ როგორც კი მთვარის სხივები ჩამოიღვარა, მშვუნვარება ნაცრისფერი ბუსუსებით შეიმოსა, უხილავი კლანჭებით ქუთუთოებს ჩაეჭიდა და თვალს ძილი არ მიაკარა. მეორე დღეს ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურებოდა, ახალგამომცხვარ პურსაც კი სხვანაირი ვემო ჰქონდა. რამდენიმე ლუკმის გადასაყლაპავად კონიაკის ბოთლის განახვერება გახდა საჭირო. საღამომდე მშვშვარებამ ისე უცვალა სახე ყველაფერს, რომ ღარჩენა სახიფათო შეიქნა, ამიტომ ნაქირაევები თხილამურები გამქირაველს ჩააბარეს, ბარგი შეკრეს და თითქმის ცარიელი ვაგონის ბნელ კუთხეში მოკალათდნენ, მოკალათდნენ ისე, თითქოს პანსიონატიდან უსაქცელობის გამო გამოყარეს. მაშინ რომ იგი გვერდით არ ჰყოლიდა, უკან დაბრუნებას ვერც კი მოახერხებდა, ისიც კი არ ეცოდინებოდა, ვის დაყრდნობოდა, ვის მხარზე დაედო უსაშველოდ დამძიმებული თავი.

ფიფქებიდან დასერილი სივრცის მუქი ლაქები ისე ირეოდნენ ერთმანეთში, ისე სწრაფად იცვლიდნენ ადგილმდებარეობას, რომ იმას, ვისაც [illegible] რაღაცის დანახვა უნდოდა, მოძრავი ფიფქების აფუებული კედელი უნდა გაერღვია და იმ საუფლოში გასულიყო, სადაც ერთი კითხვის მეტს არ იძლევიან.

— აქედან ისე მიდიხარ, რომ კვალს არ ტოვებ, მაგრამ ეს ოთახი შენს აქ ყოფნას მაინც დაიმახსოვრებს, — თქვა მან ფაქტს შეგუებული კაცის უხეირო ღიმილით.

— შენ და ეს ოთახი რაღაცით ჰგავხართ ერთმანეთს, და იცი რით? — მხოლოდ იმისათვის გამოდგება, რისთვისაც მიხმე, — უპასუხა ქალმა.

— ამ ოთახს ერთი სხვა თვისებაც აქვს. როცა მასთან პირისპირ რჩები, ოთხივ მხრივ გეკერის და მოურიდებლად გეუბნება, იცი იმან, ვინც შენამდე აქ ცხოვრობდა, რა დატოვა ჩემს კედლებს შორის? — სიბერის, მარტოობისა და რევმატიზმების მეგვე სუნი.

— განა ყოველივე ამის მოპოვებაში მე ხელს შეგიშლიდი?

— პირიქით, დამეხმარებოდი.

— ამიტომ გამირბოდი?

— არა, მე მართლა მიჭირს იმ ელემენტების შეერთება, რომელთა დაშლას ვერავითარი კეთილი სურვილები ვერ უშლის ხელს, — უპასუხა მან.

— გაქეს კი ამგვარი სურვილები?

— გრძელვადიანი არა.

— ცხოვრება რომ გრძელვადიანია?

— ამაში მე ბრალი არ მიმიძღვის.

— როცა ცხოვრებას იმაზე მეტს სთხოვენ, რასა მოცემაც შეუძლია, მაშინ ბრალეულნი ყოველთვის ჩემისთანები გამოდიან, — უპასუხა ქალმა და ხელი ისე მიიტანა საფეთქელთან, თითქოს მის თხელ თითებს ტკივილის დაყუჩება შეეძლოთ.

ფანჯარაზე ჩამოდენილმა წვეთებმა ისევ მკვეთრად გაამრუდა სახლებისა და ელექტრობოძების სწორხაზოვნება. ელმავლის საყვირის ხმა ირმის ბღავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივით მოაწყდა ფანჯარას. ნახევარი საათის შემდეგ მატარებელი უკან გაბრუნდებოდა და თან წაიყვანდა იმას, ვინც თავდაუზოგავად ცდილობდა აბურდულ-დაბურდული ძაფის გამოხსნას, ვისაც ადრე თუ გვიან, საკუთარი მეცადინეობით თუ სხვისი დახმარებით იგი საკუთარ თავში უნდა დაემარხა.

საღამო უკვე ღამის სიმძიმეს იძენდა და ღალატისათვის ემზადებოდა. ყველაფერი რომ ძველებურად ყოფილიყო, დაბლა ჩავიდოდნენ, ორ-სამ საათს სუფრასთან ისხდებოდნენ, ეგი იმდენს ილაპარაკებდა, იმდენ კონიაკს დალევდა, რამდენიც შიგნით დაგუბებულ სიცივეს და გათოშილ ქვეყანას გათბობდა და შემდეგ მის გვერდით დაწვებოდა, მისი სხეულის რბილ ნაკვთებში ჩაიძირებოდა, გაუჩინარდებოდა, ინატრებდა ძილს, სიმშვიდეს, მოსვენებას, მაგრამ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მრავალჯერ გამოეღვიძებოდა, რაღაც კენესის მაგვარი აღმოხდებოდა და დაიწყებოდა სადღაც შორს დარჩენილი, ნამდვილად არსებული თუ მოგონილი ქვეყნის ბნელ შუკებში ხეტიალი: უცხო ფერების გაუფერულება ან გამსუყება, გაბუნდოვნებული კონტურების ოღვევა, ყოველივე იმის ამოქექვა, რაც სარკეებს ამრუდებს, კედლებს ავიწროებს, ჰაერს მხუთავი ნაწილაკებით ავსებს.

— დღეს ისეთი სახე გაქვს, როგორიც შენს მომავალს არ შეეფერება, — უთხრა მან ქალს და ცივ მინაზე შუბლის მიდება მოუნდა.

— როგორი?

— ნაღვლიანი.

— ვიცოდი, ჩემი აქ ჩამოსვლა რომ ვერაფერს შეცვლიდა, მაგრამ ერთი რამ მაინც მაწუხებს. ჯერ კიდევ ვერ შევჩვევივარ იმ ზზრს, რომ სხვას უნდა გავყვე, სხვის გვერდით უნდა დაეწვე, — უთხრა ქალმა.

— შენ რომ ფეხქვეშ მიწა გერყეოდეს, მაშინ ეს სახიფათო იქნებოდა, მაგრამ გავა ცოტა ხანი და ყველაფერი თავისთავად მოგვარდება, — უპასუხა მან.

— მოგვარებით შეიძლება მოგვარდეს, ამქვეყნად რას არ ეგუებიან, მაგრამ გავუძლებ კი დიდხანს?

— ნუ გეშინია, გაუძლებ, დიდხანს გაუძლებ, რადგან არც მაღლა ახედიან სურვილი გექნება და ვერც მანკიერება ჩაგითრევს უძირო მორეკვში.

— რატომ გგონია, რა დაღი მაზის ასეთი?

— ჩვეულებრივი, შეგნებულად ისწრაფვი იმისაკენ, რასაც შეუგნებლად გაურბი.

— იქნებ მე სხვაგვარად არ შემიძლია?

— რას იზამ, შენი ცხოვრებით შენს მაგვარად სხვა ვერ იცხოვრებს, — უპასუხა მან.

უეცრად ქალს თვალებში ისეთი შუქი ჩაუდგა, ისე გაცოცხლდა, ისე აღიგსო უჩვეულო ძლევამყოფლობით, რომ სწრაფად წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ვაკის მხარზე ხელი დაადო და წყნარად, თითქმის ჩურჩულით ჰკითხა:

— გინდა დაკრძე?

— აღარა.

— მაპატე.

რესტორნის ფანჯრებიდან გამომავალი შუქი კვადრატებად ეცემოდა თოვლით დაფარულ, ცუდად განათებულ პატარა მოედანს და ყველა სხვა კვალთან ერთად იმასაც სტაცებდა სიბნელეს, რასაც გვერდი არ აევლებოდა, რასაც აწი უნდა დამჩნეოდა კვალი. სილუეტი ხიდს გადაივლიდა, ნელა შემობრუნდებოდა, ყველაფერს გამოეყოფოდა და თოვლით დაფარულ მოედანზე მარტო გაჩერებული იმდენ რამეს დაისაკუთრებდა, რამდენის გზაში წაღებაც არ შეიძლება, მით უმეტეს, იმისთვის ვინც მარტო მგზავრობს და ერთ ადგილზე მიჯაჭვული ადგილს ვერ პოულობს.

— რამდენი წუთი სჭირდება აქედან სადგურამდე მისვლას? — ჰკითხა მაგიდასთან მისულმა ქალმა და ჩანთაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაალაგა ყველაფერი, რის მაგიდაზე ამოლაგებაც დასჭირდა.

— ათი გეყოფა, — უპასუხა მან.

ოთახი ხეირიანად არ თბებოდა, მაგრამ უეცრად ირგვლივ ისეთი სიცივე გამეფდა, თითქოს სახლს კედლები შეეხსნა და ყინვის მარწუხებში აღმოჩნდა.

— ვგრძნობ, რაღაცის შეჩერება, დაოკება მჭირდება, მაგრამ არ ვიცი, რის, — უთხრა ქალმა ნაღვლიანი ღიმილით და ჩანთა დაკეტა.

დრო იყო ფანჯარას მოსცილებოდა, ქალისათვის პალტო მიეწოდებინა. რაღაც ეთქვა ისეთი, რაც ძმიმე წუთს ცოტათი შეამსუბუქებდა, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებდა. ისე უძრავად იდგა ფანჯარასთან, თითქოს მხრით კედელს მიეწებაო. ოთახი ითოშებოდა, ცხარე სითხით სავსე ბოთლშიც კი სიცივე ისადგურებდა.

— მე შენთვის რაღაც მაქვს, ჩემი ნაცოდვილარია, ვიცი, მოგეწონება, ხომ არ წაიღებ? — ჰკითხა მან ქალს.

— არა, — უპასუხა ქალმა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს კარის გაღებაზე უფრო ძნელი არაფერი იყო ამქვეყნად.

მას სხვა დროსაც უნახავს რას და როგორ იცვამდა იგი, უნახავს ხალისიანიც და მოწყენილიც, ჩაფერფლილიც და აღგზნებულიც, ალერსიანიც და გამწყრალიც, მაგრამ ისეთი დამოუკიდებელი და დამწუხრებული, როგორიც ახლა იყო — არასოდეს. მის დაღლილ თვალებში უკვე იხატებოდა ძმიმე ტვირთი იმ ქალისა, რომელმაც არაერთხელ იწვნია უთავბოლობითა და გაუგებრობით გამოწვეული ტკივილი და მარცხი.

ერთი წუთით ყველაფერი გაქვავდა, გაუშეშდა, თოვლის ფიფქებიც კი ძაფზე ჩამოკიდებულებივით ეკიდნენ ჰაერში. მოგონებები ისევ აწრიალდნენ, აშიშინდნენ, ისე აფორიაქეს ტვინის ერთ კუთხეში მიყუჟული, მეხსიერებით დამძიმებული უჯრედები, რომ დაღლილობას არავითარი ანგარიში არ გაუწიეს და მათი განზრახან დათრგუნვა თავისა და წელის ტკივილად აქციეს. ხელი თავისთავად გაცოცდა ფანჯრის რაფისაკენ. ოდნავ ნაკლული ბოთლიდან ცივი სითხე გადმოიღვარა, კუჭამდე ჩაღწია, ყინულის ბასრწახნაგებიან კრისტალად იქცა. ადგილიდან დაძრულ, თითქოსდა მწყობრ, მკაცრ ფიქრებს რაღაც უნდა მოეწესრიგებინათ. ან საბოლოოდ უარეყოთ უარსაყოფი, ანდა ეცნო საცნაური, მაგრამ ყველაფერი გარდასაქმნელი უსაშველოდ იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ისეთ ბურუსში ეხვეოდა, რომ არც მათი გაფანტვა ხერხდებოდა და არც რღვევის შეჩერება.

— მშვიდობით! — მოესმა ამ დროს ნაცნობი, მაგრამ საგრძნობლად შეცვლილი ხმით წარმოთქმული სიტყვა და როცა თავი მიაბრუნა, მის წინ ღია კარი აღმოჩნდა. კარი სხვა დროსაც ბეჭრჯერ გაღებულა. რამდენჯერმე ღიაც დარჩენილა, მაგრამ ისეთი სიცივე, ისეთი გამთოშავი სუსხი, როგორიც ამჯერად დერეფნიდან იჭრებოდა, არასოდეს უგრძვნია, იყინებოდა, ინით იფარებოდა კედლები და ჭერი, იკრუნჩხებოდა ყოველი ნაკვთი და მან მხოლოდ მაშინ შეამჩნია პატარა, ცუდად განთებულ მოედანზე გაჩერებული, ერთი წუთით მისკენ შემობრუნებული სილუეტი, როცა ძაფზე ჩამოკიდებულმა თოვლის ფიფქებმა ცვენა დაიწყო.

ᲥᲔᲗᲝ ᲮᲐᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲐᲤᲘ

მოთხრობა

მამაჩემი შრომისმოყვარე, დაუღალავი, მდინარესავით მოძრავი და ჭინჭველასავით მოფუსფუსე კაცი იყო. ინათებდა თუ არა, სამუშაოდ კოლმეურნეობაში მიეშურებოდა, იქიდან მობრუნებული, დაღლილი, არც დაისვენებდა, ვენახში შევიდოდა.

თვალი გზისაკენ მეჭირა, გაიჭრიალებდა თუ არა ჭიშკარი, მაშინვე ფაციფუცით, ქარივით გავკარდებოდი, შეეგებებოდი, ტაშტს სკამზე შემოვდგამდი, დოქით წყალს გავარბენინებდი, ხელპირს დავაბანინებდი, არ მინდოდა, რომ მრავალრიცხოვან და-ძმებიდან ჩემთვის ვინმეს დაესწრო. მამა შემომხედავდა მშვიდი ღიმილით, ღიმილს ულვაშებში ჩამალავდა და მომიალერსებდა: ჩემი ყოჩაღი გოგო, ჩემი ცქრიალა, ჩემი ფაციფუცა, ყველაზე პატარა, ყველაზე ყოჩაღი, ყველაზე ჭკვიანი... ამ უკანასკნელ სიტყვებს ისე იტყოდა, რომ არ გამეგონა და არ გავყვინოზებულიყავ. ტუჩებსა და ულვაშებს შორის ჩაიფუჩუნებდა, მაინც გავიგონებდი და მიხაროდა, არც კი ვაგრძნობინებდი. ვცდილობდი, მართლა ისეთი ვყოფილიყავ, როგორიც მამას უნდოდა, პირსაწმენდს ხელში შევაგებებდი, შეიმშრალებდა ხელებს და სახლისაკენ არც გამოიხედავდა. მაშინვე ვენახისაკენ გასწევდა.

ვენახი ჩვენი დიდი ეზოს გაგრძელებას წარმოადგენდა, მაგრამ ვენახსა და ეზოს შორის ხეხილის ღობე გასდევდა, რაღა არ ეხარებინაო დედაჩემისა და მამაჩემის გამრჯე ხელებს: კოში, ატამი, ვაშლი, მსხალი, უნაბი, ალუბალი და ფშატიც.

დოქსა, ტაშტსა და ხელსაწმენდს დავაბინავებდი და მერე დედაჩემის დამზადებულ საუზმეს მივარბენინებდი. ვენახის თავში იდგა ჭანჭურის ხე, რომელზედაც ასული იყო თითა ყურძენი. ჭანჭურის ხის ტოტებში ჩაშვებული მტევნები სამკაულებივით ეკიდა კენწეროებს. თვითონ ნაყოფით დატვირთულ, დამძიმებული ტოტები დაბლა დაშვებოდა. ჭანჭურის ქვეშ მამას დიდი ლოდი დაედო. იქ ყოველთვის სასიამოვნო ნიავი უბერავდა, ჩრდილი იყო და გრილოდა. მამა ლოდზე ტომარას ან ქეჩის გადაფენდა და დაჯდებოდა, სანამ მივიდოდი, მუხლებზე ჩამოასვენებდა ხოლმე დაღლილ მხარძკლავს, ფაციფუცით მივურბენინებდი საჭმელს და სურით წყალს, ან ხელადით ღვინოს. ნამუშევარი, დაღლილი მამა ისე გემრიელად შეექცეოდა, მეც ავყვებოდი, რაგინდ გამაძღარი ვყოფილიყავ.

— ეგრე, შვილო, ეგრე, ჩემო ფაციფუცავ, — შემომძახებდა მამა — კამპანია გამიწიე, თორემ ხომ იცი, ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც შესაბრალისიაო.

გასაოცარი ენერგიის პატრონი იყო მამა, დროს მარტო ჭამისთვის თუ დაკარგავდა, არ მახსოვს, რომ ეზოში ან ვენახში ტაუილუბარალოდ გაეკელოს. უეჭველად რაღაცას საქმიანობდა, ახლაც, შეჭამა თუ არა საჭმელი, მაშინვე ადგა და ვაზებს მიაშურა. ისე გაეწმინდა ჩვენი ვენახი, რომ სანლითან გეძებნათ, ბალახს წამლადაც ვერ ნახავდით. ხან ფურჩნიდა, ხან ახვევდა, ხან მარგლიდა, ხან თოსნიდა. მეც ფაციფუცით ავკრებდი საჭმლის ნარჩენებს, ჭიანჭველები რომ არ დახვევოდნენ და გავქცევდი შინ. ისევ მამასთან მივრბოდი. ხან ფურჩნაში ვეხმარებოდი, ხან ამომარგვლაში. განსაკუთრებით მიყვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვენახის გვერდით გამოყოფილი ნაკვეთი, სადაც გვეთესა სიმინდი, გოგრა, კიტრი, საზამთრო, ნესვი, ყოველნაირი მწვანილეულობა. როცა საზამთრო და ნესვი შემოვიდოდა, ჩაჯდებოდი კვლებში, თან შევექცეოდი და თან გავყურებდი მამას. ის იყო მაღალი, მოხდენილი გარეგნობისა, სწორნაკვთოვან სახეზე ძალიან უხდებოდა აწეკპილი ულვაშები, რამდენჯერმე შემინიშნავს, ჭამის დროს, მუშაობისას თუ ეზოდან გასვლისას ულვაშზე მარჯვენა ხელის თითებს გადაისვამდა და გადაიგრეხდა.

ჩემი უფროსი და შორსა გვყავდა გათხოვილი. როცა ის მეუღლით გვეწვეოდა, გახარებული მამა მთელს მეზობლებს მოიპატიჟებდა, სამაგალითო სუფრას გაშლიდა, ქალ-სიძესაც ასაბოლვნებდა და მეზობლებსაც პატივსა სცემდა.

მოგეხსენებათ, ქვეყნად ავი კაცი არ დაილევა, სიმშურესა და სიხარბეს ისე აქვს ფესვები გადგმული ზოგიერთი არსების გაუმაძღარ გულში, როგორც ხვარილა ბალახს მიწაში.

მამაჩემის შრომისმოყვარეობა და ხელგაშლილობა, როგორც ეტყობა, ბევრს აღუძრავდა შურს. მამა, გარდა იმისა, რომ გათენებიდან კოლმეურნეობაში მიდიოდა, ჩვენს ვენახსა და ბაღ-ბოსტანსაც უელიდა, დაღამებამდე მუხლჩაუხრელად მუშაობდა. საპასუხოოდ დაიწყო, წისქვილშიც დადგა დარაჯად. ორ დღეში ერთხელ იქ თევდა ღამეს, რისთვისაც იქიდან კიდევ ჯამაგირს იღებდა.

— ადამიანი უხანო ბალახივით არის, მოვა და, ჯერ მოსვლა არცკი მოუსწრია, ცხოვრება მოთიბავსო. — იტყოდა ხოლმე მამა. — სანამ ცხოვრობ, ისე ცხოვრე, მხოლოდ სიყვარული დაიმსახუროო — არ გაუმართლდა მამას იმედი.

ჰოდა, ერთხელაც საღამო ხანზე მე და მამა ვენახის თავში ჭანჭურზე ასულ თაღარის ქვეშ ვისხედით, მამა საჭმელს შეექეცოდა. ფაცაად ძახილი შემოგვესმა:

— ვიქტორ! ჰაი, ვიქტორ!

მამას შინ ყოფნის დროს დედა არავის არ გაეპასუხებოდა, თუ მამაკაცი იყო. კაცმა კაცს უნდა ელაპარაკოსო.

— აბა, წამოხტი ჩემო ფაციფუცავ და ის ძია აქ მომგვარეო. ხუმრობა ხუმრობაში მამამ ნათლობის სახელი შემიცვალა. ხან ფაციფუცას შეძახდა, ხან ფაცოს, მე არ მწყინდა, მიხაროდა, ახლაც სიხარულით წამოვხტი და როგორც დედამ იცოდა, ისე გავაგონე:

—ბატონო! აქეთ მობრძანდით! ერმილე ძიაა, მამა ვენახშია!

ერმილე ძია ჭიშკარში შემოვიდა, შეეხედე და თვალი ავარიდე, ისეთი გაწაზებული ჯერ არ მეპახა, საშინელი ფერი ედო სახეზე. განრისხებული მივიდა მამასთან და მიუგდო:

— საღამო მშვიდობისა!

ერმილემ სალამიც კი არ დაიცალა მამას, მაშინვე სეტყვასავით მიაყარა:

— ძაღლსა და მამძაღლს, რომ შენს ჭერქვეშ ეპატიჟები, ალალმართალი გულით სუფრასთან იწვევ, დღეგრძელობასა და დოვლათს უსურვებ, ყველა როდია ამის ღირსი. მარტო ხარავით ქედმოხრილი მუშაობა კი არ უნდა იცოდე, კაცის გამოცნობაც უნდა შეგეძლოს! იმასაც უნდა გრძნობდე, ვის რა უნდა შენთვის! დღე და ღამე ვენახში რომ ზიხარ და არც კრებაზე მოდიხარ, არც არსად ერევი, იქნება გასახლებას გიპირებენ, თვალები გაგხელ, მიიხედ-მოიხედე, აქეთ-იქით!..

— ყვირილით ეუბნებოდა ერმილე ძია. როცა სულის მოსაბრუნებლად შეჩერდა, მამამ პირზე შეყინული სათქმელი მაინც გაალხო.

— მობრძანდი, ერმილე, — ქვიდან გვერდზე გაიწია, — ჯერ დაბრძანდი, აი ჩემს გვერდით, ერთი ჭიქა ღვინო დამილიე, ჩემი ფაციფუცა გოგო დამილოცე, გაოცებით რომ შეშოკკურებს და სხვა რამეზე მერე ვილაპარაკოთ, შე დალოც�sელო, მე გულთმისანი კი არა ვარ, რომ კაცს ერთხელ შეეხედო და მივხედე, რას მიპირებს.

ქეთო ხარიაშვილი

ჩაფი

ერმილე დაბალი კაცი იყო, ქვაბის ძირივით შავი, პატარა მუშტივით სახე ჯავრისაგან უფრო ჩაშავებოდა. შავი გასაოცრად ჭკვიანი და კეთილი თვალები აახამხამა, ამოიხვნეშა, თითქოს მამაჩემის სიტყვებმა გულში მალამო ჩაასხეს და მთელი ჯავრი მოუშუშესო. კოჭლობით მიუახლოვდა და მამას გვერდით ქვაზე დაეშვა. ჩემს მიერ საველდახელოდ მიტანილ ხორაგსა და გაშლილ სუფრას ცერად გადახედა და მარჯვენა ხელის დაკოჭრილი თითები ჯერ კეთილ თვალებზე გადაისვა, მოისრესა და მერე სახეზე ჩამოისვა.

მამამ დოქიდან თიხის ჯამში ღვინო დაუსხა და მიაწოდა.

— დამლოცე, ერმილე. ხომ ხედავ, — ახედა ჭანჭურზე გასულ ადესის ოსტატრს, — ღმერთი უხვად მაჯილდოვებს, შრომას უქმად არ მიტარებს. შეხედე, ჩემს ნალოლიავებ ვაზებს მტევნები სამკაულებივით აყრია, გაიხედე! — ჯერ თალარს შეხედა გაღიმებული პირით, ულვაშებზე საჩვენებელი თითი გადაისვა. გადაიგრიხა, მერე ვენახის მწკრივებს ჩაყოყლა კმაყოფილი შეხრა და კიდევ გაიმორა: — ღმერთი ჩემს შრომას ერთიათასად მინაზღაურებს, რას დამაკლებს ავისული, დასამდური არავისთან არაფერი მაქვს, — არც ღმერთთან, არც კაცთან. მშვიდად, აღუშფოთებლად ელაპარაკებოდა მამა.

ერმილე ძია თითქოს ქეჩაგადაფარებულ ქვაზე კი არა ეკლებზე ზისო, ისე იყო აღშფოთებული.

— შენცა გალობ, რა, სხვა ქვეყნიდან მოფრენილი შროშანივით, ამ ვაზებს ღმერთმა კი არ გადმოაყარა ეს დაშაქრული მტევნები, შენმა დაუღალვამა მარჯვენამ, შრომამ, გესმის, კრებაზე უნდა ყოფილიყავ ახლა და მოგესმინა რა ილაპარაკა შენზე ორდანაანთ დათიკომ და თუ მაშინაც ეგრე იტიკტიკებდი, იმასაცა ვნახავდი!

— მე დათიკოსთვის პატივისცემის მეტი არაფერი გამიკეთებია, კეთილი მეზობელია და კეთილი სტუმარი იქნება ჩემი ოჯახისა! — იტტაბარი [illegible] გაიტეხა მამამ, — გონების თვალით წარმოიდგინა ქერა, შესქელებული ორდანაანთ ბიჭი და მისი ბორტი გამოხედვა თითქოს ამ წუთში დაიჭირაო, თავი აიქნია.

— შენ, ძმაო, თვალები დახუჭე, კეთილმეზობლად მიიჩნე, გაშლილ სუფრაზე ყოველდღე ეპატიჟე და ის კი, შენი „კეთილი მეზობელი“, კრებაზე გამოვა და დაგაბეზღებს: იმასაო, გაშლილი სუფრა ქანდი კეთილით აქვს საესეო, ჩვენ მშადი გვენატრებაო, კოლმეურნეობიდან შემოსავალი აქვს, საკუთარი ვენახიდანაც. ეს სამსახურიო ოღაცთ უნდა, იმას არ უჭირსო, მთელი კრება შენს წინააღმდეგ აამხედრა, ხოიცი, ხალხი ქვევრივით არი, რასაც ჩაუყრიან იმას ამოვამბებს.

მამამ უსმინა, უსმინა, ნეტა რა ნებისყოფა ჰქონდა, წარბიც არ შეუხრია, როგორც მე მომეჩვენა თუ ვიგრძენი, ახლა კი ნაძალადევად გაუღიმა, ერმილე ძიას ხელი გადახვია, თავისკენ მიიზიდა და უთხრა:

— ჩვენ კარგად ვიყვნეთ, ერმილე, და მაგან შეგაწუხა, კაცო, რა ვუყოთ. ადამიანო, ზოგიერთის გული ხომ უძირო ორმოსავით არის, რამდენიც უნდა ჩაეყარო, მაინც ვერ ამოავსებ, ზოგიერთს ქვეყნის ქონება რომ ჰქონდეს, მაინც ტირის, არა მაქვსო. აბა, დამილე ამ ჯამით ეგ ღვინო, და შარშანდელი თოვლივით დაივიწყე ეგ ამბავი, ერმილე!

— რას ამბობ კაცო, კრება მივატოვე, გამოვიქეცი, ჩემი კოჭლი ფეხით რო წავიყვანო და პასუხი გასცეს-მეთქი და როგორ თუ შარშანდელი თოვლივით დავივიწყო, რა ქართულია?! პატიოსანმა, მშრომელმა კაცმა ვეღარ უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაზე ცრუ მაბეზღარების და მეშურნეების შიშითა?!

— გამიგონე, ერმილე, მე და შენ მაინც იმათზე კარგად ვიცხოვრებთ!.. რითა? წმინდა სინდისითა და შრომით, გამრჯე მარჯვენითა. კაცო, მარ-

ჯვენთა! და მარჯვენა ხელი უმისამართოდ აიქნია.

ერმილე დიდხანს ეხვეწებოდა მამას, ერებას მივუსწოროთო, პასუხი გიეცოო, მაგრამ მამამ შეაგდო ქვა და თავი შეუშვირა, ერთი სიტყვა აღარ ათქმევინა იმ ავ კაცზე და არც კრებაზე გაპყვა. ის კი არა, დაარიგა:

— აღარასოდეს გამახსენო, ავი სიზმარი იყო და კეთილად დამთავრდესო, ასვა, აჭამა და გაისტუმრა.

ამის შემდეგ აღარ მახსოვს, დიდი დრო გავიდა თუ ცოტა, მე და მამა ისევ ვენახში ვფუსფუსებდით. საღამო ხანი იყო, მაღლიდან მოკრილებული მშვიდი ცა დაგვყურებდა, მწიფე მტევნებით დაყურსული ვაზები მშვიდად სუნთქავდნენ, ქლიავის დახუნძლულ ტოტებს ნელი ნიავი აშრიალებდა. თითა ყურძნის გრძელ მტევნებს ქარავსავით ფერი დასდებოდა.

— ვიქტორ, ჰაი, ვიქტორ!.. — იძახის ვიღაც, ღიდას არც ახლა გაუგონებია, მამამ მე დამიფალა იმ კაცისთვის პასუხის გაცემა.

ფაციფუცით მივიქერ ჭიშკართან, გავაღე და ვისა ვხედავ, ორდანაანთ დათიკო კი აღმოჩნდა. სამწვერა ნერვის ანთებისაგან სახე მოგრეხოდა. თვალი ავარიდე, მის ქერა გაფუყულ სახეს, გაოცება განრისხებად გადამექცა პატარა გოგოს და გაბრახებულმა ვიკითხე

— ვინ იძახის? — თითქოს არ დამენახოს. იმის შეხედვა აღარ შემძლო.

— მამა შინ არის? — დამტკბარი, ალერსიანი კილოთი მკითხა. პირში უნდა მიმეხალნა, რა შენი საქმეა? აქ რისთვის მოსულხარ-მეთქი! მაგრამ თვალწინ წარმომიდგა მამა, მისი კეთილი, თავდაქერილი სახე, დინჯად ნათქვამი სიტყვებიც გამახსენდა — ვიცოდი, გამიწყრებოდა, მეტყოდა, ბავშვებს რა ხელი აქვთ უფროსების საქმეში ჩარევისაო. ტყვიანაკრავივით გამოვბრუნდი და მამასთან მივიქერი.

— მამა, ის ბოროტი კაცუნაა, ორდანაანთ დათიკო, წადი და ახლავე გაგიგდე ჩვენი ჭიშკრიდან.

მამამ წყრომით შემომხედა, და გადმომიგდო.

— შენი საქმე იცოდე, უფროსების საქმეში ნუ ერევი, მერე ხელები გადაიფშვნეტა, გაიბერტყა და ჭიშკრისაკენ გაეშურა. მე დავინახე, როგორ თავაზიანად მიესალმა მამა მეზობელს და ღღანაც, ვითომ არაფერიო, ისე უტიფრად სთხოვა:

— ჩაფი მათხოვე, ვიქტორ, ძველი ღვინო მინდა გადავიღოო!

ბრაზით გული მიხდებოდა, განა საწყაო ჩაფი თვითონ არა აქვს? მამამ ეზოში რად შემოუშვა, რატომ არ გალანძღა და არ გაგდო-მეთქი, ჩვენ ორსართულიანი სახლი გვედგა, დაბლა სარდაფი იყო და ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ შიგ შემსვლელს გარეთ გამოსვლა აღარ უნდოდა, ყველაფერი მცოფნე კაცის ხელით ელაგა თავის ალაგზე: კასრები, საწნეხელი, ღვინის ჭურჭლები, მიწაში ჩადგმული ქვევრები და თაროებზე სხვადასხვა ზომის ჩაფები.

მამამ მარაწში შეიყვანა, ღვინოც დაალევინა, გაუმასპინძლდა და ჩაფიც გააატანა, არაფერი არ ამერძნობინა

მე რომ ვკითხე, რატომ მიიღე ასე კარგად, რატომ არ უსაყვედურე-მეთქი, დინჯად მიპასუხა:

— ასე უნდა შვილო, ზოგჯერ ასეა საჭირო, ბოროტი კაცის გულს ისევ სიკეთით თუ ამოქოლავ, თორემ სხვა ვერაფერი ამოავსებს, გარდა შავი მიწისაო. ვაკვაცობა ის არის, სიკეთით დათრგუნო ბოროტება, სიკეთე ვერც ჩაფით აირწყვება, ვერც საზომით გაიზომება, სავალალოდ ასევეა ბოროტებაც. ვერც ჩაფით არწყავ, ვერც არშინით გაზომავ, ასე მოსდევს კაცობრობას ეს ორი რამ, მაგრამ ყოველთვის სიკეთე სძლევს ბოროტებას, აკრე რომ არ იყოს, კაცობრიობა აქამდე დაინგრეოდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ჩოგდელი

სამი დღე ჩემს თავს არ მეკუთვნი

მოთხრობა

მანქანაში ოთხნი ისხდნენ: რეზო, არჩილი, გურამი და ციცო.

გურამი არ ჩამოსულა მანქანიდან.

— რას შვრები, შენ არ ჩამოდიხარ? — გაიოცა რეზომ.

— რა აზრი აქვს, მანქანით როცა ვარ, — ცოტა შეჩერდა გურამი, მხრები აიჩეჩა, მერე გვიან დაუმატა, — თანაც შინ მეჩქარება, მეულლე უნდა წავიყვანო-სადღაც.

— კი, კაცო, არ დამიწყო ახლა ბაიათები. ჩამოდი, ჩამოდი!

— რეზო...

— არ უნდა ახლა იგი და აგი, ერთოთახიანი ბინა დამილოცე; ისე დაილაპარაკე და წაიყვანე მერე არჩილი, არ დამიტოვო აქ, ხომ ცხოვრობთ ახლო-ახლოს?

— მალე, ლიფტი გელოდებათ! — დაიძახა ციცომ.

გურამმა ჩაკეტა მანქანა და ფეხათრეული შევიდა ლიფტში.

— ჩართე, მეცხრე. — თქვა რეზომ.

— ღმერთთან ავდივართ? — იკითხა ციცომ.

— შენ კი მიდიხარ ღმერთთან, მე ვიკითხო თორემ! — დაუმატა არჩილმა.

ლიფტი გაჩერდა, კარი გაიღო და რეზო ნავაქრით თავის ოთახის კართან აღიმართა.

— ჩართე სინათლე, ამ ღამეში თვლები არ წამომთხარო ანგელოზივით კაცს. — დაიჩივლა არჩილმა.

— აბა, კაცო, აბა!

— შენ ციცოს უკმინე, მე ნუ მკბენ! — არ დააყოვნა პასუხი არჩილმა.

— ციცო საკბენად არ მოსულა, დიასახლისია დღეს! — თქვა ციცომ და გასაღების ძებნაში რეზოს დაეხმარა.

— თუ ვერ იპოვნე, შეამტვრიე, მე შენ გეტყვი, მუხისაა! — არ მოისვენა არჩილმა.

რეზოს მეზობლები, ალბათ, არავინ არ იყო სახლში, სინათლე რომ აენთოთ. მეზობელი კორპუსიდან კი საერთოდ ვერ აღწევდა შუქი და საკმაოდ ბნელოდა. გურამმა ასანთი გაჰკრა, წამით გაანათა იქაობა და მერე ჩამრთველი გააკაცუნა.

— ეგრე, კაცო, არ დაგვანახე ერთმანეთი? — გაუხარდა არჩილს.

რეზომ კარი გაიღო

კიბეებიდან ფრთხილი ნაბიჯის ხმა გაისმა. რეზომ ერთი წამით ათოვა ყური ფრთხილ ხმას და მერე ოთახში შევიდა.

არჩილმაც მიიბრუნა თვალი.

ნაბიჯები თვლიდნენ საფეხურებს.

ზარმა დაიწკრიალა.

— ვაჰ! — შეჰყვირა რეზომ, როცა კარი გამოიღო, — არჩილ, გამოდი, ნახე ვინ მოვიდნენ!

— გოგონებმა კარის ზღურბლს გადააბიჯეს...

— არჩილ, ნახე, რა? — კიდევ სთხოვა რეზომ მეგობარს.

როგორც იქნა, გამოჩნდა არჩილი.

— ბიეზოს! საიდან ჭირიმე! — გადაკოცნა ლალა არჩილმა.

— იცნობდეთ, ეს ლელაა.

— რეზო! — თავი დაუკრა რეზომ.

— არჩილ! — წელში მოიხარა არჩილი.

— კი, მაგრამ, რა იცოდი, რომ შინ ვიქნებოდი? — დაინტერესდა რეზო.

— უნივერსიტეტთან რომ არ მობრძანდით, აქეთ გეგულოთო. ალბათ, რაღაც გუმანით. საშინელი ავარიაც ენახეთ. — დააყოლა ბოლოს.

— ჩვენც ენახეთ ავარია, იქ, წრესთან.

— ჰო, მართლა?

— მაშინ მაინც მენახე, არჩილი ნერვიულობდა. — ქალინაური თქვა რეზომ.

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს. — გაიცინა ლალამ.

— არა, ჭირიმე, აგრე იცნობ არჩილს!

— ჰო, კი, ყველა მამაკაცი ერთი შალაშინით ხართ შუბლგათხელებულო!

— გურამ, გამოდი,ბიეზო, სტუმრები გვყავს, ნუ იტყვე! გამოდი, კაცო, გამოდი, მაგ მაგნიტოფონს მთელი იაპონია ვერ აწყვობს, ისეთი კაცის დაშლილია. — გასძახა ლოჯიაში არჩილმა გურამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოებმა პალტოები გაიხადეს და რადიატორთან მივიდნენ.

ციცო ხელებაკარწახვიული დიასახლისობდა უკვე.

რეზოც დაბუხუნებდა იქით-აქეთ და ხელებს იფშვნეტდა.

არჩილი შემოვიდა ოთახში, სიგარეტი გააბოლა და ლალას თმაზე გადაუსვა ხელი. მერე არჩილი გურამთან გავიდა.

გურამი ისევ მაგნიტოფონს უჩხირკეფდენდა.

— ეს რა მოგივიდა, კაცო, ციცო მაინც არ იყოს. ახლა, ისე გამოდის, რომ პურის ჭამა უნდა ჩამეშალოს. თუმცა, რატომ, ციცო და ლალა ერთმანეთს იცნობენ, ლელა ახლა გაიცნო ციცომ, გამოდის, რომ შენ დაგვირდება რომანის გაბმა მაგ გოგოსთან. არადა, რა კარგი ვინმეა, ჩემი ქაღა რა! — ხელები მოიფშვნიტა არჩილმა და სამზარეულოში შევიდა.

სამზარეულოში რეზო იფშვნეტდა ხელებს, არადა ციცოსთან რამდენი ხანია რომანის გაწყვეტაზე ფიქრობდა!

გურამმა ჩართო, როგორც იქნა მაგნიტოფონი. მერე ჰალტუში შეისწორა, პიჯაკი ერთ ღილზე შეიკრა და ოთახში შევიდა.

— გამარჯობათ. — თქვა წყნარად გურამმა. ფანჯრისაკენ მიბრუნებული ბოგონები შეეიანსმბულებივით ერთხმად შემობრუნდნენ.

გურამი ლალას იცნობდა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— იცნობდეთ! — თქვა ლალამ.

— გამარჯობა, ლელა!

— გაგიმარჯოს.

— ვა, თქვენ ნაცნობები ყოფილხართ, აი!

გურამმა მსუბუქად ჩამოართვა ხელი ქალს.

— ჰო, აღრე ვიცნობდი. — მოგვიანებით თქვა გურამმა.

ლელას სახე წამოიწითლდა.

ლალას სამზარეულოში დაუძახეს.

— კი მაგრამ... — რაღაც წამოიწყო გურამმა, მაგრამ ყელში ბურთივით გეეჩარა სათქმელი. მერე ქვედა ყბა მოისრისა, სიგარეტი გააბოლა და ფანჯრის რაფას ჩამოეყრდნო, ქალი შებრუნდა ფანჯრისკენ.

გარეთ, ფანჯარასთან, სიცივე ძაღლივით მიწოლილიყო და ოთახში შემოხვლას ლამობდა. სადღაც შორიდან ტრამვაის ბორბლების ღრჭიალი ისმოდა.

— მაშ, შენ...

— გურამ, ყველაფერი შემდეგისათვის გადავედოთ.

ლელა ღელავდა.

გურამი ფანჯრის მიღმა ქალაქს ჩასჭირებოდა თვალებით. ლამპიონები ნაირფრად ანათებდნენ.

„მეცხრე სართულზე დანახული და დამარხული სიყვარულია“! — გაიფლო გულში გურამმა.

„დიასახლისი“ ბუფრას აწყობდა. რეზო ბოთლებს ხსნიდა. ლალა სკამებს ალაგებდა. არჩილი ბოლოთას სცემდა, თან ქოთმის ნაპირა და პურს შეეკვლიდა.

— ნუ მოიკლავ ჭამით თავს, აცალე სხვასაც.

— ეჩხუბებოდა არჩილს რეზო.

— მე, ძმაო, სამსახურიდან მოვედი.

— არც სხვა მოსულა რესტორნიდან.

— კაი, რა, ნუ მაწუხებ.

— ლელა და გურამი მიტოვებულებივით დარჩნენ.

— გურამ, რა ენა ჩაგივარდა, ესაუბრე ღმერთივით გოგოს. — თქვა არჩილმა და ლელას ლოყაზე აკოცა.

გურამს ლოყა აეწვა. იცის რა გულითაც აკოცა არჩილმა „ღმერთივით გოგოს“ და იმიტომ.

— ლელას ადრე კარგად ვიცნობდი, მერე მოგვიძველდა მეგობრობა. — გვიან თქვა გურამმა.

— მართლა? კარგია! — გაიკვირვა არჩილმა.

ლელასაც აელეწა სახე. ნამდვილად ეუნერხული (გურამს მოეჩვენა ასე) გურამის წინაშე უცხო მამაკაცის ქმთის ქონით მოსვრილი ტუჩების მწკლაპუნი.

გურამს შუბლი ოფლით დაეცვარა.

— აბა, სანამ თამადას ავირჩევდეთ, მანამ ერთს ვიტყვი: ერთიდ ყოფნის სურვილს გაუმარჯოს! — თქვა არჩილმა.

— აბა, ლელა, ციცო, ლალა, ერთხმად! — ბრძანა რეზომ.

გურამს არაფერი უთქვამს, ცოტა მოსვა.

— კაი, კაცო, არ დამიწყო ეგეთები, დალიე!

გოგოებმა ცოტ-ცოტა მოწრუტეს.

— ვინც თავის გოგოს არ ასმეკ, იგი თავისა მტერია! — ისროლა ლიზუნგი არჩილმა.

„თავის გოგოს, — გაიფიქრა გურამმა, — საღაა თავისი გოგო!“

ბოთლი ბოთლზე ამოიცალა...

სასმელმა თავისი გაიტანა.

სიგარეტები გააბოლეს...

გურამმა ოჯახის ამბები მოკითხა ლელას.

— ერთი წელია, რაც ვავცილდ ქმარს. დედასთან ვცხოვრობ. აქამდე არ ვმუშაობდი, ახლა კი სამუშაოს ვეძებ. ლალამ აღმითქვა, არჩილი და რეზო დაგეხმარებინან სამუშაოზე მოწყობაშიო, დიალომი კი მაქვს. ჩემი პროფესიით მინდა მუშაობა. — მძიმედ ლაპარაკობდა ლელა.

გურამი ისევ ქვედა ყბას ისრესდა, ნიკაპს აწვალებდა.

მაგნიტოფონი აარღიალა რეზომ. სინათლე ჩაქრო და მყრთალ შუქზე, რომელიც სამზარეულოდან იქერტებოდა, ციცო გიიწვია საცეკვაოდ. მერე ლალა აცეკვა.

— რიგმა, ლელას მოუწია! — თქვა რეზომ და ლელას მკლავს მისწვდა.

ვაჟა ჩუქრიდელი

სამი დღე ჩემს თავს არ ვეკუთვნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმედ ცეკვავდა რეზო და თან გრძელ თითებს ლელას თმებში მიაცურებდა.

გურამს სული ბილიონი ეკარნა...

მუსიკა უეცრად მიწყდა. რეზო შეჩერდა. ლელამ სცადა მისი ხელიდან გათავისუფლება.

— გურამ, ჩამიროე რა! — შეეხვეწა რეზო.

— გეყოფა, ჩვენც გვინდა ცეკვა. ყველამ თავის გოგოს მიხედოს. — გვიან დააყოლა გურამმა.

— კეწყინა? ჩემი თავი შენ გინაცვალოს!

— სწორია! — გოგოებმა ერთხმად დაადასტურეს.

რეზომ სინათლე ისევ აანთო და უხმოდ დაჯდა სკამზე. ლელაც ფრთხილად დაჯდა გურამის გვერდით.

გურამს ერთი სული ჰქონდა, როდის დატოვებდა აქაურობას. წარამარა საათზე იხედებოდა, ღრმად სუნთქავდა და ნიკაპს ნოკდაუნში ჩავარდნილი მოკრივესავით იზლუდნა.

ნათურებით განათებული დეკემბრის ღამე თბილისის მკლავზე იწვა, იწვა და ძილი არ ეკარებოდა!

— თუ შეიძლება, თუ არ მიწყენთ, მე უნდა დაგტოვოთ! — გურამს მოთმინების უკანასკნელი ნერვიც გაუწყდა.

— ჰაა! ცოლ-შვილი! აი, ხად იჩინა ოჯახმა თავი! — თქვა არჩილმა.

— სწორია, წავიდეს!! — დაადასტურა ლალამ და იქვე ხელი მოუწერა ციცომ.

გურამი ფეხზე ადგა. ჭიქა აიღო, ყველა სათითაოდ დალოცა, ისევ დადგა და დააყოლა: — ახე სავსე ღული გკონოდეთ!

— გმადლობთ!

— იცოცხლე!

— მეგობრებო, მეც წავალ, გურამს მარტო ხომ ვერ გავუშვებ? — ითხოვა ლელამ და ფეხზე წამოდგა.

— რა გიყვარს..., ოჯახის უფროსი თანახმაა! — დანანებით დააყოლა რეზომ და ღვინო გადაკარა.

სუფრა გასაცილებლად აიშალა.

— აბა, ლელა, არ დაგვიგიწყო, ხვალ სამსახურში დამირეკე და იმ შენ სამსახურს ორ დღეში მოგიკარახუნებ, მოგიკვდეს რეზო თუ არა! — თქვა რეზომ და ხელი მკერდზე დაიჩქყა.

— გმადლობთ, რეზო!

გურამმა ღია ლილისფერი „ეროვლის" კარი გაალო, საკუესთან დაჯდა და, როცა ლელაც დაჯდა, მთელი სალამის დაგუბული ჰაერი ერთად ამოისუნთქა.

მანქანა ქალაქის არტერიას შეუერთდა.

ლელა აეროპორტის დასახლებაში ცხოვრობდა. გურამმა იქით აიღო გეზი.

— დიდი ხანია იცნობ, ლალას? — გახსნა ფარდა გურამმა.

— არც იმდენი.

— ლალა ცუდ გზას ადგას! — რაღაცნაირად თქვა გურამმა.

ლელამ ფიქრიანი არჩია.

— ახე არ არის? — პასუხი მოითხოვა გურამმა.

— შეიძლება.

— შეიძლება კი არა, ახეა. ძალიან მწყინს, შენ რომ მასთან მეგობრობ. — დაყოლა გურამმა ბოლოს და სიგარეტის ასანთებად სანთური ჩართო.

ლელამ ღრმად ამოისუნთქა.

მანქანამ დასტოცა ქალაქის ცენტრი და ჩქარისნელ გზაზე გავიდა, თუმცა გურამს სიჩქარისაგის მიხსალიც არ მოუმატებია.

ლელას ცრემლი მოერია თვალზე...

— თუ ძალიან არ გეჩქარება, ბენზინს ჩავასხამ.

— შენს გვერდით როცა ვიყავი, არსად არ მეჩქარებოდა...

გურამი ჩამოვიდა მანქანიდან, ლულა საბენზინე ავზში ჩაყო. მერე, მოგვიანებით, თვალი შეავლო ძარას.

ლელას გონიოსავით მოეკიცა მუხლები და საზურგეს მიეყრდნობოდა. კაბა წამოწეოდა და თეთრ მუხლებზე დაცცმელ სანათლეს გამქვირავალე წინდები სასიამოვნოდ ფარტავდა.

გურამმა თვალი მოარიდა...

მანქანამ სვლა განაგრძო.

გურამმა რადიომიმღები ჩართო.

ლელამ, უხერხულობა რომ გაეფანტა, ხმის ასაწევს მოუფაფუარა ხელი.

ტრანზისტორთან ხელი ხელს შეეხო.

მანქანამ უკლო სვლას.

გურამს შინაგანი ღელვა მოემატა.

— ლელა, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ! — თქვა გურამმა გვიან.

ლელამ უპასუხოდ დატოვა გურამის ნათქვამი.

— უკანასკნელი შეხვედრა იყოს ჩვენთვის ეს საღამო? — ისევ დაარღვია დუმილი გურამმა.

ლელამ არც ახლა უპასუხა.

— ყველაფერი ასე რომ დამთავრდეს, არ მინდა.

— გურამ, შენს უკან ოჯახია...

— ლელა, ჩვენ უნდა შევხვდეთ!

— არაა საქმირო!

— რეზოს ხომ შეხვდები, სამუშაოზე უნდა მოგაწყოს! — დამცინავი კილოთი დააყოლა გურამმა.

— დამცინი კიდეც, ხომ?

— შეიძლება, ასეც ჩათვალო.

გურამი ერთი წუთი დაფიქრდა, მერე მოკრით გაარჭრა მანქანა.

— გურამ!..

— როდის შევხვდეთ!

— არ ვიცი..

— მე ვიცი, შაბათს, 12 საათზე, სად მოვიდე?

— შენ ნუ შეწუხდები, მე მოვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადრე მე მოვდიოდი ხოლმე; შეიცვალა პოზიცია?

— ხარისხი სხვას შეეწირე და ახლა რა მნიშვნელობა აქვს?

გურამმა სვლა გააგრძელა.

— მარჯვნივ შეუხვიე, შემდეგ პირდაპირ. — თქვა ლელამ.

— ეხე იგი, შაბათს...

— შაბათს, მეტრო რუსთაველთან, აეროპორტის საავენტო რომ არის, დიპლ, მანქანების სადგომთან. — შეაწყვეტინა ლელამ.

●

— დედა, მამიკო მოვიდა! — სამზარეულოში მიიხარა გოგომ დედას.

— მამიკო მოხულა! — გამოვარდა ლევანი და გურამს პიჯაკზე ჩამოეკიდა.

— ოჰ, ვაუკაცს ვიმეჩარკოს!

— რა მომიტანე, მამიკო?

— სიყვარული, დიდი სიყვარული.

— სად გიქვს?

— გულში.

— მაჩვენე?

— მამიკო, მეც მომიტანე სიყვარული? — თქვა გოგომ.

— აბა როგორ!

— მაჩვენე, აბა, როგორია?

გურამმა ხელი პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო. ორი ცალი შოკოლადი ამოიღო და შეიღლებს გაუწოდა.

— შენ ხომ თქვი, დიდი სიყვარული მოგიტანეო, ეს რომ პატარაა?

— როცა შეშვამ, გაიზრდება და დიდი იქნება.

— დედიკო, მამიკომ სიყვარული მოიტანა. — ახლა დედას მიუტანა ამბავი ბიჭმა.

გურამმა ტანსაცმელი გამოიცვალა, მერე ტელევიზორი გადართო სხვა არხზე და დივანზე წამოწვა.

— მამიკო, ხვალ კიდევ მომიტან სიყვარულს?

— კი, კაცო, კი, შენ ყველაფერს მოგიტან...

სამზარეულოდან მეუღლე გამოვიდა და გურამს გაუღიმა...

●

ფიქრების ჭყლეტაში დაათენდა გურამს.

„არ წავიდე შაბათს?.. უნდა წავიდე... არ... არ უნდა წავიდე. ჯანდაბას მისი თავი". მერე გურამს საიდანღაც ჩაესმა კოჭლი ბიკენტის ჯიშანი ოროლი ცხენის ფართე ფლოქვების თქარათქური.

— „ბიჭო, გურამ, ლელა ჩამომსვერდა თბილისიდან.

— ვა, კაცო, მართლა?

— ჩემი თვალით ვნახე.

— შენი თვალითა მერე?

— რა მერე, რომ გაბარე, წამოდი და შენც ნა[illegible]ხე შენი თვალით.

— ჩამოდი ცხენიდან.

— მერე ფეხით წამოვიდე.

— სიყვარულის გულისთვის ფეხით კი არა, შეიძლება ყირაც გაკვლიო და ისე იარო.

— შენ გიყვარს, მე ხომ არა!

— ჩამო, ჩამო, შენც რომ მოგომსვრდება შეუყვარებელი, რა იცი, რომ მეც არ მოგცე ცხენი".

ტელეფონის ზარის ზეკრიალმა გამოთიშა ბავშვობასთან ჩართული გურამი.

— ამ უთენია ვის გავახსენდი, ნეტავ? — თქვა გურამმა და საწოლიდან წამოდგა.

— გათენება ველელია მაინც, შე ღმერთძალო, არ დამიფრთხე ძილი?

— ჰო, კაი, წამოვალ, აბა, პანაშვიდს ვინ გააკეთებს. იმის მერე დაბადების დღეზე უნდა წავიდეთ? კაი ვინმე ხარ შენც, აი! პანაშვიდს ქეიფი თუ არ დაიყოლე, გული გაგიხდება ცუდად.

გურამმა ყურმილი დადო, მერე ნიკაპი მოიხრახა, თმაზე ხელი გადაისვა და საძინე ოთახში შეიხედა. მშვიდად ეძინათ მეუღლესა და ბავშვებს. ცოტა ხანს უცქერა მათ. მერე სამზარეულოში შეეფდა და ჩაიდანს გაზი შეუნთო.

„ჰა, რა კარგი დიალოგი მქონდა, ჩამოდი ცხენიდან-თქო" — დაუბარუნდა ქაბუკობის ამბავს გურამი.

გასახსენებელი ბევრი აქვს გურამს, პატარა რომანს რომ ეყოფა, იმდენი მაინც. ბაშინ სოფელში ცხოვრობდა გურამი, ლელაც სოფელში ცხოვრობდა ერთ დროს, მერე წავიდა ქალაქში...

გურამს ახლა რეზოს თითები გაახსენდა, ლელას თმებში რომ მიეცოცავდნენ და სუნთქვა შეეკუშშა.

გაზქურა ჩააქრო, მერე ფრთხილად ჩაიცვა, წერილი დაუტოვა მეუღლეს, „მანქანას გავრეცხავ და მოვალო" და კარი გამოიხურა.

დეკემბრის ახლად ამოწვერილი მზე ალმაცერად ანნეგდა ხხივებს. გურამი სამრეცხაოსთან გაჩერდა. კარგა გვარიანი რიგი იდგა.

— ყველგან და ყველაფერში რიგია. ამოვიდა ყელში, რა! — გაბარაზებულად თქვა გურამმა. მერე საათს დახედა, — მანქანის გარეცხვას ვერ მოვასწერებ, სამსაზურის საათი დაწყებულია. — დაიყოლა ბოლოს.

დღე ისე მიიწურა, გურამს ერთიც არ გაუღიმია.

— „ბატიჟით გალინლულს გურამიკას გოგოს გავაკან?" — უცბად ლელას მამის სიტყვები მოიტანა ქარმა.

„ყველაფერს ჯანდაბამდე გზა ჰქონია, ძველსაც და ახალსაც. მაგრამ რაღა მე მომიწია ყველაფერმა ასე? ნამდვილად, ჩემს დაბადებისას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რალაც არ მოეწონა ჩემი ბებია-ქალს და საჯდომზე ხელი ისე არ მომარტყა, როგორც უნდა, ალბათ".

— ბიჭო! — გაუკვირდა გურამს, როცა გარეთ გამოვდა, — გაზვიმებულა კიდეც, ასე უცბად რა მოხდა. დილით მშვენიერი ამინდი იყო. თუმცა, შეიძლება, დილითაც არ იყო კარგი ამინდი, ეგებ, მომეჩვენა კიდეც. ეეჰ, ჯანდაბა ამას!

უკადგილობის გამო მანქანა ხამსახურის შენობიდან ცოტა მოშორებით ეყენა.

საყელოაწეული მამაკაცები თუ ქალები სწრაფად მიბიჯებდნენ, ცდილობდნენ, ძალიან სწრაფად გაქცეოდნენ დეკემბრის ფთქორსა და სიცივეს.

გურამი ნელი ნაბიჯით გაუყვა ტროტუარს. ქადარამ შეჩერდა. სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ქადრის ტოტები ჩიტებით გავსებულიყო. ფრინველთა ურიამულ-ყივილვი დაპატრონებოდა ახლო-მახლო ხეებსაც.

გურამმს მაღლა იხედა. თითქოს ჩიტებმა ხაშინო

ი ინგრძნეს. აფრინდნენ და ხადენებზე ჩამოსხდნენ. ელექტროსადენებზე ფაქიზად ჩაწოყდებულ წვიმის წვეთებს თითქოს მაღალი ძაბვის დენმა ურთნტელილვი გაუჯარო, ისე მიწოობთ, ბოლოსდე ჩამოცვიდნენ ასაფატზე.

ფთქორდაყრილი მანქანა პატრონივით უგემურად გამოიყურებოდა.

„ძრავის თუხუუზე უფრო უკეთ ფეცავენ შეუვარეგუოთან, ვიდრე რეგაზის მაგნეტოფონზე. ხად ეშოვნა, ისიც კარგი ვინმეა, ეი!"

ცეცვი გახსენებზე რეზოსა და ლელას ი

მოვალ, ლა? — სიზმარში ეხვეწებოდა ბავშვი გურამს,

— არ წავალ, შვილო, არა, აბა, უშენოდ სად დავდივარ, დაიძინე, დაიძინე. — მშვიდად გაეპასუხა გურამი ბიჭს და ქერა თმაზე ხელი გადაუხვა.

„რა ტკბილი იყო ხუთი ივლისის საღამო, რა კარგი მოსაგონებელია.

— ლელა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?!

— კი ვიცი.

— ჰოდა, უნდა გაკოცო.

— მაკოცე.

— არც მიშლი?

— არა?

— მართლა?

— მართლა!

— მაშინ, არ გაკოცებ, არ მჯერა შენი რაღაც.

— თუ აგრეა, „წი ვერც მაკოცებ.

— ლელა, რატომ ხარ აგრე თამამად?

— გურამ, შენ რატომ ხარ აგრე თამამად? ლა-პარაკი გავიწყდებოდა ჩემს დანახვაზე და ახლა"...

— მამიკო, ლატომ წახვედი? მე ხომ გითხარი, ალ წახვიდე-თქო? — ბავშვი სიზმარში ელაპარაკებოდა გურამს.

— არა, მამი, არ წავალ, დაიძინე...

ბავშვმა მშვიდად გაკრძალა ძილი. გურამი კი ისევ ილიოს კაკლის ქვეშ აღმოჩნდა...

ვინ იცის, რამდენი სიყვარულად დადგრილი საღამოს მოწვეა ცასა და მიწას საკრავივით გამოკერებული ილიოს ვეებერთელა კაკალი.

„კაი კაკალი ხარ, შე ღმერთმაღალო, ილიოს კაკალო!..“

გურამმა ქალაქს გახედა სიცივისგან დაორთქლილ ფანჯრიდან. ქალაქს ადარ ეძინა, აფუსფუსებულიყო და ხაქმეს დილაბნელიდანვე შეხდგომოდა.

სამმართველოს ეზოში საქმიანი ატმოსფერო სუფევდა.

— შეიძლება, ბატონო? — იკითხა კარებში მაღალმა, ცივი ვამშიტყუელების კაცმა.

— მობრძანდით. — უთხრა გურამმა.

— მეორე საამშენებლო უბნიდან გახლავართ.

— გიცნობთ, ბატონო.

— იმ მშენებლობის თაობაზე ვარ, ადრე რომ ვიყავით მოელი ბრიგადა. კარგი მშენებელი ბიჭები ყოვნ, კარგი საქმისთვის საქმეს შეაკვდებიან. თქვენთან მიგიმ მოვედი, რომ ახალგაზრდები მეტის გაკეთებლები ხართ. ქთილაურში არ ჩამომართვა ეს ბოლო ხიტვა, კაცური კაცის ღონით ვამბობ. — ხელებდაკოცრილი, ღელლწარბებიანი, ძალალი კაცი დინჯად ელაპარაკებოდა გურამს.

— კი „ბატონო, მესმის, ვთხოვით განყოფილების უფროსს, ტრესტს, სამინისტროს და სხვას, კი ბატონო! — გურამი ლაპარაკში ფეხზე ადგა.

— არჩილ, — შესვლისთანავე დაიწყო გურამმა, — იმ განცხადებას მოაკოთხ დაწერინ, ბიჭებმა მშენებლობის განსაზღვრულ დონეს მიაღწიეს და არ ამირეზენ ბეტონით გადაკეტვას, დაბალ ჭერზე ვერ ავაშენებთო. სადღაცდან გამოვძებნოთ ორიოდე აგური, ააშენონ მაღალ ჭერზე, ჩვენ ამისთვის ხეტიტყნოვლის ამშენებელიცოდ მკლავს არავინ არ მოგვეჩრის.

— კი ბატონო, მესმის, რომ საბავშვო ბაღი ნათელი, კარგი, მაღალქერიანი და რიგიანი უნდა იყოს, მაგრამ მოსულ სტანდარტს ვერ დაკარგავეგ, იცი? მკლავს ანა, მაგრამ მეტ დაკარგავ, დიახ, მეტს! — ცოტა ხმამ აუწია არჩილმა.

— ბრიგადის სიტყვას ვამბობ, რომ დანაზოგი აგურით, ჩვენ თვითონვე. — თმაშევრცხლილმა კაცმა არჩილს თვალი თვალში გაუყარა.

— არა, ძმაო, მაგაზე მე ვერ ვაგებ პასუხს, აგერ ტრესტია და მმართველი ჰყავს, მე რა შუაში ვარ! — მთლად იოანა არჩილმა.

— თუ არ ვცდები, საბავშვო ბაღებში მოტანილ ბაშვებისთვის ვვინდა ყველფერი, იქ მილიონანირი არმიები იზრდება ჩვენს შესაცვლელად, თაობები უნდა მოვიდეს, ძმაო, რამდენიც გნებავთ და ყველან იქ უნდა გაატაროს რამდენიმე წელი და, მითხარით, რაღაც უნდა გაიზრდონ ჩვენი ბაშვები დახუთულ ჭერქვეშ? ავაშენოთ, ავაშენოთ, ძმაო, ჩვენთვის, სანამ სხვა წაიღებს, გაიგე? წამგლეჯი ბევრია, შემომტანი კი არავინ. — აღელდა გურამი.

— გურამ, შენ აჭარებს! — დაუუკავა არჩილმა.

— კი არ ვიჭარბებ, სიმართლის თქმა არავის არ გინდათ!

— მართლის თქმელს ცხენი შეაჯზმული უნდა ჰყავდესო, უთქვამთ პაპისპაპებს. — ხუმრობაში გადაიტანა ბრიგადირმა გურამის ხმამაღალი სიტყვები და გალიმებული გავიდა კაბინეტიდან...

— სულ შეიცვალე ამ დღეებში შენ, რა გეპარიება, არ ვიცი, — ბრიგადირის გასვლისთანავე გურამს ეცა არჩილი, — პრეტენზიებით მოდისარ, ყველაფერი შენს გემოზე გინდა გაკეთდეს. აქ, ძმაო, ტრესტია, მმართველია და სხვა რამდენიც გინდა, იმდენი ვიღაც.

— დიალლაი რომ გაკეს ინეინრის და თანამდებობაც გაკეს ხაბიანო, კიდეც უნდა შეგიძლოს ერთი საბავშვო ბაღის აშენება, სხვა რომ არაფერი, იმ რაღაც-რაღაც ფონდებიდან წვავამატებ ერთ-ორ აგურს და კარგ ხახლს წამოვეკიდ ბავშვებისათვის. ჩვენთან რისკი კი არ აუკრძალავთ, გაფლანგვა და სხვა უბედურობები აკრძალეს!..

— ტრიბუნიდან ნუ მელაპარაკები, წადი და

დაწუნარდი, ხალმოთი მე გპატიებთ მეცამეტე თვის ხელფასის ხარჯზე. — შეაწყვეტინა არჩილმა გურამს.

გურამი ერთ წუთს გაჩერდა, მერე სიგარეტი მოძებნა პიჯაკის ჯიბეში, ამოიღო და გაანთო.

— დაწუნარდი, ყველფერი აშენდება და დაშენდება, ჩვენ არა, სხვა გარისკავს... თუმცა, ჩვენც გავრისკეთ და ეს არის.

— ეეს, არჩილ, არჩილ! — სათქმელი არ დამთავრა გურამმა, ისე, უგემურად გაიხუარა დერმანტინით საგანგებოდ შეფუთული კარი.

— რა თაობა მოდის, კაცო! — ხმამაღლა თქვა არჩილმა.

გურამი მძიმედ დაეშვა სკამზე.

„მგონი ცუდად ვარ, რაღაც ხომ არ მიაბლოდედბა?"

ტელეფონის ზარმა დარეკა.

— დიახ, ბატონო, სამმართველოა!

— რომელი ბრძანდებით? — ქალის ხმა ძლივს ისმოდა ყურმილიდან.

— გურამი ვარ.

— გურამ, გამარჯობა, მე ლალა ვარ, აჩიკოსთან ვრეკავდი და შენთან მოვხვდი?

— რას გაიგებ ამ ტელეფონის ამბავს, ისე როგორა ხარ?

— ჩვეულებრივად.

— რომ არ გამოგვიარე, ხომ არ გვემდური?

— არა, რატომ. არჩილი არის?

— კი. დავუძახებ.

— ჰო, არჩილი ვარ.

— ლალა ვარ!

— სად ხარ დაკარგული, ლამის გაგეყიდი კაცი და ეგ არის, — თან გურამს თვალი მოუჭუტა არჩილმა, — ისე უნდა ერთმანეთის დაკარგვა?

— მშენებლობას მიხედე შენ! — თითქოს დასცინა ლალამ ყურმილის იქიდან.

— დღეს მეცამეტე თვის ხელფასის ხარჯზე გპატიებ. ლელი არ დაგავიწყდეს, ოორემ აგერ, გურამი გამიგიედა და ეგ არის. დღეს სახლიდან მომატანინა აგური და ისე მაშენებინებს საბავშო სახლს.

— გურამი სხვა ბიჭია! თქვა ლალამ.

— ჰოდა, სხვა ბიჭი რომ არის, ამ სალამოს ლელი მოიყვანე ოორემ, ლამის დაგვეპამის ამ ვერანამ რა! ლელი არ მოვა? არ გადამრიო, უთხარი, არჩილმა და გურამმა გთხოვეს-თქო...

ტელეფონი გაითიშა.

— უყურე, ეხეე ყურმილს მიკიდებს! რა იყო, ძმაო, ყველი მე მერევთ? შეიძლება, — არჩილს ტუჩები ხიჩანლივით მოეკუნტა, — ბულლტერმა მეცამეტე თვის ხელფასიც არ მომცეს და გადავირევი კიდეც!..

— ნუ ბრაზობ, არჩილ, შენი ნერვიულობა არ შეიძლება. — ხუმრობა სცადა გურამმა.

— კაი, ბატონო, იყავით და იბატონეთ! — თქვა არჩილმა და კარი გაიჯახუნა.

„დედიკო, მამიკომ სიყვარული მოიტანა", — უცბად ბავშვის ხმა ჩაესმა ყურში გურამს.

„ტელეფონი მაინც ჭკნინეს. მოდი, სახლში მივაკითხავ, ხომ არ უნდა მოვკვდე კაცი. თუმცა, რაზე მივაკითხო? მოდი, საერთოდ არ მივალ და ის იქნება. — გაიფიქრა გურამმა და გაშლილი ხელი მაგიდაზე დაარტყა.

გურამს ახლა ის აზრი აეკვიატა, დღეს, არჩილის მეცამეტე ხელფასის „ზეიმზე" თუ მოვიღოდა ლელა და თუ მოიყვანდა „ლეჩოოვიეთ გოგოს".

„რომ მოვიდეს, ქუჩის ქალი იქნებას!.."

ლელი მართლაც არ მოვიდა, ახლა კი ძალლისთვის გადაგდებული ძვალივით ბოლომდე გამოხრა ექვი გურამმა და შეეძინა ამოისუნთქა.

„შენ ან ეე მატყუებ, ანდა, რაზე უნდა მომატყუო. არა, შენ არ მატყუებ! შენ კარგი გოგო იყავი, იყავი და იმ გოგოდ მინდიხარ მე და არა იმად, სამსახურში მოწყობისთვის რეზოს რომ თითებს ათამაშებინებ თმებში!.."

დეკემბერი და ქალაქი ცელის ტარზე ჩახუტებოდნენ ერთმანეთს; მარტო გურამი ვეღარ ეტოდა ვერც მანქანაში, და ვერც ქუჩაში.

„რა მიყო ერთმა სალამომ, ერთმა შეხვედრამ — რა ვაკეთო, უკვე არ ვიცი, რა ხდება — არ ვიცი. ვერც ვამბობ ვერავინთან და ეს უფრო მკლავს, მღრღნის და ლამის მტკივდ მაქციოს ამოდენა კაცი! ნეტა, სტუმარი დამხვდებოდეს ვინმე, ან დავლევ, ან ვითამაშებ და ამით მაინც მოგალოვ დროს. მამ მანქანაშაც გამიერია საქმე, ოორემ დალეკვდა კაცი არჩილთან, თუმცა რას დავლევ იმათთან, როცა დაწყვილებული არიან. ჯანდაბა იმათაც, არ გადამიოლეს კაცი?"

გურამს სტუმარი არ დახვდა სახლში. მეზობელმაც კი არ გადმოკითხა დღინონის სათამაშოდ. მანამდე საქმეს უჭირებდა, ვითამაშოთო! ეოტახანს ბავშვებს ეთამაშა, მერე წიგნი აიღო ხელში, გული იმასაც ვერ დაუდო, მერე ტელევიზორი აწვალა სხვადასხვა არხზე, მაგრამ ვერაფერით ვერ მოიხსნა ზურგზე ტომარასავით მოყიდებული კოშმარი.

— რა მოგიდიდა, ასე რომ შეიცვალე ამ დღეებში? — ბოლო-ბოლოს ენაკვირი ამოიღო მეუღლემ.

— საბავშვო ბაღის დაბალ ეერზე აშენებას ცდილობდნენ და... — ისე თქვა, არც მოუბედავს გურამს.

— შენ რა შუაში ხარ!

— ეხეე ამას მეუხნება და გადავირევი კაცი!

— დაწუნარდი, ბატონო, დაწუნარდი, გადასარევად კი არ მითქვამს ოროოდე სიტყვა, შენი საქმისა შენ იცი, ბატონო, მაგრამ ოჯახი რა შუაშია. ჩვენ... — დააყოლა ვგიან.

გურამს ხმა არ ამოუღია, კიდევ ერთხელ მოსინჯა ტელევიზორი სხვა არხზე.

— საწოლი გაშალე, დავწვები. — საბანში თავის დამალვა მოუნდა გურამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება? — კარებზე დააკაკუნა და ნება ითხოვა ბოხმა ხმამ.

— მოდი დათო, მოდი, თუთაშხია თუ არა ხარ, მოლაშვილი ხომ ხარ! — კარი გაუღო გურამმა მეზობელს.

— დათა, დომინოს სათამაშოდ თუ მოხვედი, მაგისთვის არ ვარგიხარ, მთვრალი ხარ, ისე, აქა ვარ მე.

— „პასტა“ დავარტყაო. შენ რომ იცი თქმა, ქუთაისურადო, თითოჯერ დავიჭიანრთ.

— შენ აგაშენა ღმერთმა, კარგ დროს კი მოგისწარი! — დალევის შემდეგ საწვიმელივით დააყოლა გურამმა.

— ახე ვიცი მე. ახლა კი უნდა წავიდე, — კარებისკენ გაიხედა დათომ.

— ორ ფეზზე გბატაროს ღმერთმა. — არ ეშვებოდა გურამი.

— არა, „ბრატ“, უფრო დაეთვრები და ცოლი დამცოფავს.

— მეორე ვაქციანსაც რომ მიიღებ, ცოფისგან დაზღვეული იქნები.

— შენ აგაშენა ღმერთმა? — ახლა დათომ დააყოლა მწარე არაყს საწვიმელივით და გავიდა.

გურამს არავმა და დათას გამოჩენამ უცბად ყველაფერი დაავიწყა, წამოკოდებული გუდას ცოტა დაუგარძელდა სახელურები, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, არც ეს დაგრძელება იყო იოლი მაინცა და მაინც.

ნახევარი ღამე სახლიდან გაგდებული მოჯამაგირესავით ილიოს კაკლის ქვეშ ვაატარა გურამმა.

მეუღლეს არ გამოეპარა ქმრის მოუსვენრობა. რამდენჯერმე დააპირა რაღაცის თქმა და თავი შეიკავა. ბოლო-ბოლოს სათქმელმა სანთელივით ჩამოლვენთა:

— ახალ პროექტზე ფიქრობ?

გურამმა არაფერი უპასუხა.

— რაზე ფიქრობ? — გამოკვეთა ქალმა.

— რომანზე! რომანი უნდა დავწერო!

— რომანი? — გაუკვირდა ქალს, რადგან გურამმა მოლოდინს გადააპარა.

— ჰო, რომანი. რომანი შეზნეულობაზე, ცხოვრებაზე, სიყვარულზე, კიდევ, — ცოტა შეჩერდა გურამი, — სიყვარულზე და ბავშვებზე, შენისთანა კარგ მეუღლეზე, მოკლედ, ყველაფერზე...

— გურამ, ძალის მოსაგვარებელი აბი რომ გადაყლაპო?

— კარგი იქნება, გვაქვს? — დაუფიქრებლად თქვა გურამმა.

კედელზე დაკიდებული სანთური მესამე პერსონაჟივით შემოვიდა სცენაზე...

გურამს გამოეღვიძა, თავი დამძიმებოდა, თვალები გაწითლებოდა. უგრუნებობამ გული მოაგონა. პულსი გაისინჯა. რა ჯანდაბა მემართებაო. — იფიქრა და ადგა.

მეუღლისაც იმ წამში გამოეღვიძა. ახე ადრე რა გეჩქარებაო, უთხრა და ბავშვებისაკენ იცვალა გვერდი.

— პროექტზე ვმუშაობ, ადრე უნდა წავიდე. — თქვა გურამმა.

— თუ რომანზე. — შეახსენა მეუღლემ.

— ინფინერი კაცის რომანი პროექტია. — ღამის ნათქვამი გადააკეთა გურამმა.

მეუღლემ არაფერი არ უპასუხა.

შესვენებამდე ათასი ვინმე მოვიდა მშენებლობებიდან. იყო სჯა, ბაასი, დავა, ბრძოლა, ხანდახან ყიყინიცა და ყვირილიც, ხან დაბალი და ტკბილი, კარგი ქართულით ნალაპარაკები. ერთი სიტყვით, ყველაფერი იყო შესვენებამდე. სწორედ ამან რამდენადმე თავის თავს დაუბრუნა გურამი, თითქოს დაავიწყდა ყველაფერი, თითქოს დაიხურა ფარდა, მაგრამ როცა ლალამ დარეკა, მაშინ მიხვდა, რომ მეორე მოქმედების ფარდა დაშეებულა და არა ფინალისა, როგორც მას მოეჩვენა.

სამსრობისას ობიექტებზე გაიკრიფნენ თანამშრომლები.

გურამიც გავიდა ქუჩაში. მერე უცბად ობიექტზე მისვლა, ბიეების ნახვა მოუნდა, აი, იმ კაი ბიეების, სამაგვარო ბალს არჩილის ხელით მოტანილი აგურით რომ აშენებენენ, მანქანაში ჩაჯდა და უცბად ვეფრიალ სარკეში სოფლისა და სკოლის მეგობარს მოკრა თვალი. ძარიდან გამოვიდა და დაუძახა. სმაურიანმა ქუჩამ შთანთქა დაძახილი. გურამმა გადაკრა ქუჩა და წამოეწია.

— ოჰ, გურამ! — შესძახა სოსომ.

ერთმანეთი გადაკოცნეს.

— გცალია? — ჰკითხა გურამმა.

— არა გრცხვენია?

სოფელში როგორ არიან მოხუცები? — ჰკითხა გურამმა, მანქანაში როცა ჩასხდნენ.

— მოხუცები კარგად. ახალგაზრდები ვართ ცუდად!

— რა გეჭირთ?

— არ იცი, რა გვეჭირს? ქალაქში წამოსვლა ვეტაკვა!

— ეგ ხენი ყველგანაა მოდებული, წამალი მითხარი შენ თორემ!

— სსეა, როგორ არის საქმე, ილიოს კაკალი ხომ არ მოუქრიაო?

— ჰო, მართლა, მაგ კაკალმა გამახსენა, წელან ლელა შემხვდა, შენ არსად შეგეხვედრია?

— ერთხელ. — თქვა გურამმა და ღიმილი ბაგეზე შეეყინა.

— ქმარს გაცილებია. ცოდვაა. კარგი გოგო იყო. ისე, ხომ არ დგაგიწყდა ძველი რომანი?

— მაშინ ძალიან მიყვარდა!

— ახლაც შეიძლება რომ გიყვარდეს, კი არაკინ დგიშლის, მითუმეტეს...

ვაჟა ჩოდელი

ს

— შენ ხუმრობ, ხოსო, ხომ იცნობ ჩემს მეულლეს? — შეაწყვეტინა გურამმა ხოსოს.

— მამიკო მოსულია! — შეუვარდა ბავშვი მეორე ოთახში.

...ხოსომ იმდენი არ დალია, გურამს, რომ უნდოდა, ორიოდე ჭიქით ოჯახს ეერი დაულოცა და წვიდა.

ხოსოს მერე დათა მოლაშვია შემოვიდა. დომინოც ითამაშა და ჭიქებიც ათამაშა. დათასაც შეეტყო ხასმელი. იმანაც დალოცა ეერი, მერე ცოლი დამცოფავსო, მოიბოდიშა და წავიდა.

ადრე გამოეღვიძა გურამს, ძალიან ადრე. მერე თვალის უპეები დაუფაფრთოდდა და ისე, თვალმოუხუჭავად მისჩერებოდა გარეთან შემოსულ მკრთალი სინათლით ეერზე გამოხატულ რაღაცის ამრდილს. აჩრდილი ხან მრგვალდებოდა, ხან რაღაც ცხოველს ჰგავდა და ხან რას... ადერ-ადერ გათენდა, გურამიც ადგა გაიპარსა, ჩაიცვა, წერილი დაბეჭა, მანქანას გავრეცხავ, პროფილაქტიკაში გამოვვეთი და მერე მოვალო და კარი გიიზეკი.

ისევ ღრუბლიანი დღე იყო. მანქანის გარეცხვა მოინდომა გურამმა. მერე ცას ახედა, თუ გაწვიმდებაო და სამრეცხაოსკენ წავიდა.

„ამ მამლის ყივილზე ამსდელი რიგი რამ დაავენეო". — გაიფიქრა გურამმა.

მანქანა უცხოური სარეცხი მექანიზმის კეკუ ნელ-ნელა შედიოდა. წვრილად მოსხურებული წყალი მინაზე ცრემლებივით ღვრებოდა.

საკოლეეფნეო ბაზართან ხალხის გნიასი არგალილიყო. ოქვე ჩამოკიდებული საათი თერმომეტს ნახევარს უჩვენებდა. გურამმა თავისი საათი შეამოწმა.

„ცოტა დარჩენილა დანიშნულ დრომდე. არა, ისე მეც კარგი ვინმე ვარ. რას ვიწვალებდი თავს. მივსულიყავი და ხასლში მენახა. ალბათ, ტელეფონი რომ ჭკონოდა, აქამდე ხუთჯერ შეეხვედებოდი. აქეთაც რომ არ დამრეკეს? ნუთუ არ მოვახდინე რაიმე იმ დღეს ის ცხოვრებაში? ალბათ, არა, თორემ დამრეკავდა. უეცოდ ღამრეკავდა. თუმცა... ჯანდაბა ყველას და ყველაფერს".

გურამს უცბად მოეჩვენა, რომ ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა, ყველაფერმა, ლიკის კაკლიდან დაწყებულმა დღემდე, წისქვილის ბორბლის ერთ შემობრუნებასავით დაამთავრა წრის შეკვრა.

„ცოტა ნახვამი უნდა მივიდე. არა, მერე დავლევ, თუმცა, ოხ, ამ მანქანამაც გამიშორა ხაქმე. იმ მოციენში რომ არ მყოლიყო, რა კარგი იქნებოდა, რას გადავეყარე ამას, კაცო. მოდი, ამ მანქანას აჯერ, სადგომზე დავაყენებ, დათასი არ იყოს, ქუთაისურად ერთი-ორჯერ დავიჯღანები და სანამ ოქ მივალ, ცდუნების ეამიც ჩამოჰკრავს. არა, მერე მანქანა? მანქანა ხომ მეკრიდება? თუმცა, მანქანა რა გაკრიკებია, მე შენ გეტყვი და არ არის, აი! ეს ყველაფერი კი, მაგრამ მარტო როგორ უნდა დავლიო, მოსულიალი ხომ არა ვარ? რა ეულეში მაქვს თავი გაყოფილი? ან და რა მოხდა, დავლევ, დიდი საქმე, ზოგი უსტტუბროდ უყეთ ხვამს, ალბათ, სადღეგრძელოებსაც არ ამბობს, ისე, თავის გუნებაში, თავის ქეიფზე. არა, რომ ვინმემ დამინახოს ძმაკაცთაგანმა, ხომ უნდა დავიწყა კაცი სირცხვილით?"

— ცოტა წინ მოსწიე, ეერე, ნაღდად კარგია, როღის გაიეკანთ? — ავტომანქანების სადღეგრძისო სადგომის მორიგემ მანქანაშივე ჰკითხა გურამს.

— ალბათ. ხვალ. ალბათ კი არა, ხვალ. — დაუბუსტა გურამმა.

— ორჯერ რომ არ დავიჯღანო, ერთ დაჯღანვაზე გადამარჩენე, მისაყოლებელიც მომეცი რაგე. — უთხრა დახლიდარს გურამმა ლუდხანაში შესვლისთანავე.

არც იმ კაცმა დააყოვნა. ორასგრამიანი ჭიქა პირამდე ავსო და ლუღლაბამთან ერთად გადმოაწოდა გურამს.

გურამი კარგად დააკვირდა მელუდეს.

— შენ, შალიკო არ ხარ, იასონის ბიჭი? — ჰკითხა ღახლიდარს.

— კი ვარ.

— ეერ მიცანი?

— ვიდაცას კი გამგავანე, მაგრამ...

— ვაჭრებმა ნუ იცით ეგრე, — ეწყინა გურამს, — მე თუ გიცანი? შენ შეიცვალე მე ხომ არა? მე გურამიკა ვარ, ბიეო!

— სულ გამიცვლილხარ. — თავი იმართლა შალვამ.

— არც ისე. შენოვისაც დაისხი, თუ, არა სვამ ეუშაობის დროს?!

— ხანდახან. — თქვა შალვამ და ასგრამიანი ჭიქა გაიეხო.

— არაფი დაილია.

— ცოლ-შვილი ხომ გეკვს? — შალვას ჩაიხა გურამმა.

— ორი გოგო მყავს, ლელი და ეკა. — თქვა შალვამ.

— ლელი და ეკა! კარგია, ძმაო. შალვა, ბავშვების დასახელებაგად თითოც გავიმეოროთ. — მიაყოლა გურამმა.

შალვამ ჭიქებში დასხა.

— დალევით კი რა გითხრა, როცა ვმუშაობ, არ შეიძლება. — უკან დაიწია ჭიქა არაყზე შალვამ.

—კაი, თუ ძმა ხარ, თორემ გადავჭაცევ ამ მოგონებალს. — უცბად აფეთქდა გურამი.

შალვას შერცხვა და ჭიქას ალმაცერად გახედა.

— ბიჭებს ვერ ვნახულხარ, დავიფანტეთ. — თქვა გურამმა.

— შალვამ მხრები აიჩეჩა.

— აბა, დავლიოთ, თორემ მაგვიანდება.

ღახლიდარმა ისევ ალმაცერად შეხედა ჭიქას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, შენ ნე დალევ, მე დავლევ. — უცებად გამოიცვალა კილო გურამმა. და თავის ჭიქას წაატანა ხელი.

— არ გამოდის, ძმაო, ნომ იცი. — შეწუხდა შალვა.

— ესეც ასე! — დააყოლა ჭიქას გურამმა.

— მარტო ქეიფობ? — გვერდიდან მოესმა გურამს.

სანამ გვერდით მოიხედავდა, გურამს ოფლმა დაუნამა შუბლი. ეს რა ხარცხვილში ჩავარდიო, გაიფიქრა. მერე როდის მოიხედა არ იცის და შვებით ამოისუნთქა, როცა მის ახლოს მეზობელი ზაქარა დაინახა. იდგა ზაქარა და ხელი უკანკალებდა, უკანკალებდა მანამ, სანამ, ალბათ, არ დალეოდა მწარე არაყს.

— სად დამეხატე ახლა შენ, ჰა!

— რა ვიცი, მეც არ ვიცი, ისე, სულ აქა ვსვამ მე. მიცნობენ და ულაბარაკოდ მიუსვებენ ხოლმე ჭიქას. — თქვა ზაქარამ.

— გურამ, რას შერები, გეეოფა, ამდენი არაყი როგორ შეიძლება, თანაც არაფერს არ ეჭამ. — შეწუხდა შალვა.

— ზაქარ, თითოც დავარტყათ?

— მგონი კი.

— მაშინ შენი ბიჭის შესანდობარი დავლიოთ. ზაქარას ცრემლები მოერია. მერე ხელი უფრო აუკანკალდა, ტუჩები აუთამაშდა და სახე მოეღრიცა.

— დალიე, ზაქარ, გიშველის, გამოგასწორებს. — უთხრა გურამმა ზაქარას, როცა გამოცალა თავისი ჭიქა.

ზაქარამ კანკალით დალია არაყი და მართლაც გასწორდა, დაულაგდა სახე, მიაკოცა კანკალი.

— ცოლი რომ არ გამქცეოდა, ალბათ, უკეთესი ბიჭი ვიქნებოდი. — ისევ მოერია ცრემლი ზაქარას.

გაქცეული ცოლის გახსენებაზე, ქმართან გაყრილი ლელა მოაგონდა გურამს. ეწყინა, ისე ეწყინა უცებად, რომ ახლა მას აუვარდა კანკალი, ტუჩი მოეღრიცა, სახე დაეღრეჩა და ცრემლი მოაწვა.

—შალვა, არაყი, ბიჭო, თორემ დავიხრჩობი. — ძლივს ამოიღერღა გურამმა.

— გურამ, შენ უკვე მთვრალი ხარ, გეეოფა, რა, შენი ბერიმიე, რა! — ეხვეწებოდა შალვა.

— ვიხრჩობი, არაყი! ჩემი ხაქმის მე ვიცი. მერე ერთგან უნდა წავიდე. — გვიან დააყოლა გურამმა.

შალვა, უკან, ქვაბებით ავსებულ სამზარეულოში გაიყვანეს.

— აბა, ზაქარ, შე ღმერთძაღლო, რა კარგ დროს მომისწარი, თორემ მარტო ვაპირებდი პურის ჭამას.

ზაქარა არსებაში ალარ იყო.

— უნდა გაკოცო, შენ კარგი ბიჭი ხარ. — ზაქარა კისერზე ჩამოეკიდა გურამს და დაუწყო კოცნა.

— კაი, გეეოფა. ერთიც დავლოოთ და წავიდეთ, მეჩქარება.

შალვას გამოსვლა დააგვიანდა.

გურამს უცებად დაუარა თავით ფეხებამდე რაღაც უსახო, უხილავმა ძალამ. მერე თვალები დახუმა და გახელა დაეზარა.

— ამას, არაყი უშველის. — გაიფიქრა და შალვას პარტნიორს, ტრაქტორისტ ალიკოს იქით იდგა და მუშაობაში იყო ჩაძირული, არაყის დახმა მოსთხოვა.

იმ მეორე დახლიდარმა, რომელმაც სახელოთი შეიმშრალა ოფლი, გურამი აათვალ-ჩაათვალიერა, მერე უდიერად ამბრაზე მიანიშნა, სადაც დაახლოებით ახე ეწერა: „ნასვამ მდგომარეობაში მოქალაქეებზე სპირტიანი სასმელი არ გაიცემა“.

— როგორ მიბიდავ მაგას, შე ვირო! — აფეთქდა გურამი და დახლიდარს გაექანა. მრგვალი მაგიდა გადაყირავდა, ლუდიანი კათხები, ჭაბაბი და ხინკალი იატაკზე დაენარცხა და ერთმანეთში აითქვიფა. ვოლაცას შარვალი დაეხვარა, ვოლაცას ნამსხვრევები მოხვდა...

— თავ-პირს დაგამტვრევ, შენი!.. — უშველად შეიგინა დახლიდარმა და ბრტყელ, პირმოცვეთილ დანას ხელი სტაცა.

ზაქარა პიჯაკზე ჩამოეკიდა გურამს და მერე იატაკზე დავარდა.

აფურ-ზაფრით უცებად დაინტერესდა ხალხი. ისედაც ხავსე ლუდხანას ქუჩიდანაც შემოემატნენ.

— ეკუთზე ხარ? გამაგებინე, შენ, ბიჭო, აზრი დაკარგე? — მკლავში მძლავრად მოჰკიდა ვოლაცამ გურამს.

გურამი შემობრუნდა. თვალები მოკუტა, მერე ფართოდ გაახილა და შეჰკივარა:

— ნუგზარა, ბიჭო, შენი ქვეყანა ვატირე! — თქვა გურამმა და სვედი, ბოლმა, ნერწყვი და ყველი ჭანდაბა ერთად გადაყლაპა.

— —რა მოგივდა, ბიჭო, რატომ ლუწავ აქაურობას?

— —ნუგზარა, ბიჭო, იცი სად უნდა წავსულიყავი? არ იცი, ჰოდა რომ არ იცი, აქ შემოვიარე შალვასთან და ამან, ეგერ რომ არის, ეს ნაბიჭვარი, არაყი არ დამალვინა.

დახლიდარი იქიდან მოიწევდა, რომელსაც შალვა აკავებდა და აწყნარებდა.

— მაგას შევხვდები და მე მე ვიცი მერე! — შეკრულ მუშტს წრეებს ახაზვინებდა გურამი.

ეაჟა ჩორდელი

სამი დღე ჩემს თავს არ ვეგუთვნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ყველაფერი მაწუნარდა. გურამი და ნუგზარი გრეთ გამოვიდნენ. მათ შალვაც გამოჰყვა.

— გურამ, წავიდეთ სახლში, რა! — ეხვეწებოდა მერხის მეგობარი გურამს.

— ნუგზარა, ბიჭო, ხომ გახსოვს, ლილა რომ მიყვარდა?

— კი, მახსოვს.

— ჰოდა, მიყვარს, მიყ... — სათქმელი ვერ მოამთავრა გურამმა, ალბათ, დათქმული დრო მოაგონდა და ანაზდად საათზე დაიხედა.

— წამოდი, სახლში მიგიყვან, თუ ძმა ხარ, შენი ჭირიმე, რა? — ფერხთით უვარდებოდა ნუგზარი გურამს.

გურამს ლუდში, ბინკალსა და ჭაბაბის წვენში ჩურჩხელასავით ამოვლებული ზაჭარა ამოუდგა გვერდში.

ნუგზარს შერცხვა და გურამს სახლში წასასვლელად მიეძალა.

— იცით, ძმებო, მე, სამი დღეა, სამი, ღმერთიც ხომ სამობით არის, სამი, დიახ, სამი, მე ამ პერით ალერ ვსუნთქავ, მე სხვა პაერი ალერ სხვა მიწით ვცხოვრობ, მე სხვა პურს ვჭამ. მე, ეს დღეებია, ყველაფერი უარვყავი, ოჯახი, ცოლი, შვილი, ალერსი, ყველა და ყველაფერი, ალერ ვარსებობ, გამიგეთ? მე ლილა მიყვარდა... ვუყვარდი... ყველამ იცოდა... მე არ ვცხოვრობ ამ დღეებში ამ პაერით, ამ წყლითა და მიწით, მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი, გამიგეთ? — ყვებოდა გურამი ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

— გურამ, თუ ძმა ხარ, წამოდი, სახლში მიგიყვან! — ეხვეწებოდა ნუგზარი.

— მე არ ვეკუთვნი, გამიგე? — თავისას იმეორებდა გურამი.

ღამით, როცა გათენება ცხრა მთას იქით იყო კიდევ, გამოეღვიძა გურამს. გამოეღვიძა და შეუდგა წიხქვილის ბორბალივით დატრიალებულ გუშინდელი ამბების მოგონებას.

„ლილა, ლილა... ნეტა, გუშინ თუ მოვიდა დანიშნულ ადგილზე?!.“ — არ ახვენებდა ფიქრი გურამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ხარაძე

ამბავი ჩემი წინაპრისა...

დღეს დღე ცვლიდა, წელიწადს — წელიწადი. უმოწყალოდ გადიოდა დრო და ქვეყნად მრავალი რამ იცვლებოდა. დავით გარეჯის უდაბნოში კი ცხოვრება დაწესებული ადათით მიდიოდა — ნელა, ზანტად, ღოცვასა და შრომაში. არაფერს არ ელოდნენ ბერები ამქვეყნიური ცხოვრებისაგან. მორჩილად მიეთრევნენ თავიანთ მძიმე ტვირთს და მორჩილადვე ელოდნენ მიქელგაბრიელის გამოჩენას. ერთი ბერი ვერ დიმოორჩილა მონასტერმა და მისმა უნდილმა, უსიხარულო ცხოვრებამ. გარეგნულად იგი სხვა ბერებისაგან არ გამოირჩეოდა ისინიც ვერ ამჩნევდნენ ამას. მოწყენებით ეკურთხოდნენ, გულისყურით ისმენდნენ მის ცეცხლოვან, ამაღლებულ ქადაგებას, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მუშობაში — არ აწუხებდნენ, როცა მამა სულმან-საბა ფიქრობდა, სხვა ბერებზე ორჯერ მეტ სანთელს აძლევდნენ მას.

ხიცოცხლის წყურვილი მის გულს ვერ ჩაუალა ვერც გადამწყვარმა უდაბნომ, ვერც ქვა-ხენელმა, ვერც ხალხისა და ახლობლებისა ნაშორეულ, ვერც ზარების ნაღელიანმა ხმებმა და ვერც შავოსანმა მეზობლემა...

...არც ერთელი პირველის დასცალდა დიდ ხანს პარაპში. მისიეე ხალხი აუჯანყდა დ ალეკსე აირია ქვეყანა. ფამფრთხალმა მეფემ შაპის კარს მიაშურა. საქართველო უმეფოდ დარჩა. და ამ აშლილობის ჟამს მეფის შემცველად, ჯანმშინად, ბაბუკი ვახტანგ VI დანიშნეს.

აფრთხიალდა და თბილისისაკენ გაფრინდა ოცნება. მის კვალს ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა სულმან-საბა ორბელიანიც...

* * *

მე, უმცირესმან ძმათაგან,
ვახტანგმან სახელდებულად,
ვჰქმნე ოთხწელ მცხეთა, ურბნისა,
სადგურ — კამარა — ვებულად,
ტფილისს სიონი ხელახლად
შეეძერნე ქანდაკებულად,
ჩემთვიცა სახლი სარკისა,
შიგ ლბინი მოწონებულად.
სტამბა მოვიღე ვლახეთით
ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს წავიღე,
გადმითალ მოვრწყე ველანი,
მაშავრის რუ ხომ ტბას შევრთე,
შიგ თევზი ჩავჰსხი ყველანი,
ახე მთა მოვინადირე,
ეზოცე ირემი, მგელანი.
სამრთლის წიგნი დავბეჭწერე,
მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფსს-ტყაოსნის თარგმნობა
უქმნია კარგა — ზრდილობა,
ბოლოს მიმიღო სოფელმან
სიმდიდრე მეფეთ შვილობა,

...მუსლიმანური რკალი სულ უფრო ვიწროვდებოდა. ორი ნახევარმთვარე — თურქეთი და ირანი სალტეხავთან შემოვდიოდა კავკასიას და საცა იყო, დაახრჩობდა კიდეც მას. ქართი და პოლიტიკური მღელვარებანი, ურიცხვი გარე მტერი და მოშურნე, თავად-აზნაურობისაგან თითქმის ბოლოდე შერყეული ტახტი. გამეყოველთან, ვერაგთა, უნდობლობა, შური, მოყვასის ტკრცნა და საერთო დაბნეულობა, უიმედობა და შიში...

საქართველო, დაქუცმაცებული და ილაჯგაწყვეტილი, მსოფლიოსაგან მოწყვეტილ ფოთოლსა ჰგავდა, ქარი თავის ნებაზე რომ აფრიალებს. ქარი კი ყოველი მხრიდან უბერავდა. და ვინ იცის, საბოლოოდ რომელ ჯაგნარში დაიფლითებოდა ისედაც დაფლეთილი და ლაფში ამოსვრილი ფოთოლი...

მეფეს მეფობა არ ჰქონდა, თავადებს — სინდისი და ერთი პირი, გლეხკაცს — პური და გმინვის თავიც.

„მე ჩემმა ბედმა არ მომცა
ჟამი ჩემისა ნებისა“,

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 10.

მზე აღმოვიდა, მიადგა
ბარაბიეო თუ მთებია,
მაგრამ მე მისი მწვერვალი
არსით არ მომნათებია...

ჭაბუკ ვახტანგ მეფეს ისე, როგორც არავის, არასდროს სჯიდნენ მრჩეველი და გეზის მიმცემი. საჭირო იყო ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანი, ვინც დიეზმარგალიდ ვახტანგს ქართველულ აღორძინებას სათავეში ჩაედგომოდა. გონებრივი შეზღუდულობის ყინული გაელვო, მუსლიმანური ბანგისაგან ეხსნა ქართველი ერი.

„... არს ერმი რაოდენმე არღარა ისახელების ცოდნა თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა. გალობა — სიმღერისა და სამხედროსაცა კიდე და ჰგონენენ დიდ მეცოდინაურობაღ". გალი ეწერებოდა ორბელიანს, აღზრდილს საქმაოზობას რომ უცქერდა. გარეკის უდაბნოში გატარებულმა წლებმა კიდეკ უფრო დაადასტურა და დაამძიმა ისედაც დინჯი და აუჩქარებელი მწერალი.

ვახტანგი კი ცეცხლი იყო. მასთან გვერდით ყოფნა დაწვას ნიშნავდა და ბეერი მისიანი ვერ უძლებდა მუდამდღე დაძაბული შრომასა და სიცეცხლ გზის გაკვალვას. შეკარმაგდა ორბელიანი, მაგრამ გული და სურვილები ჭკვლისს შერჩა. იცნობდა თავის აღზრდილ — წეროთან არ მოისვენებდა და არც სხვას მოასვენებდა. ოღესა და სისხლს დაღვრდა მიზნის მისაღწევად და აუარება გეგმასა და მიზნდასასულოობაში ხშირად უკიდა უმთავრესისა და უპირველესის დანახვა.

გული ეწერებოდა ორბელიანს — ვახტანგი წულედან ამოვარდნილი თევზივით ფართხალებდა და საიმედო ხელს კვლავ ამობიკრეტულ მდინარეში რომ არ ჩაეყოდა იგი, უთუოდ დაიღუპებოდა მზის გულზე.

რამდენჯერ დათენებულიათ თავზე მასწავლებელსა და შეგირეს. წვაში, კამათსა და შრომაში გადიოდა დრო. ოდნავ დაეტყო კიდეც გავერანებული ქვეყანას მზრუნველი პატრონის ხელი. მოკლე ხანში გაეკანონ და აღდგენილი იქნა ნაგებნს, ქცილს, მაშვარის, ლისის, ზოლას, სალთვისის არბები. აღშენდა და დასახლდა ძველი ხუნანი და სხვა „ძველთაგან ირბრეულნი", „უშენი" ადგილები — თრიალეთი, გუჯარეთის ხეობა...

განახლდა და კვლავ შეიმკო მცხეთის, ურბნისის, თბილისის, სართნის ტაძრები, კოკრისა და გორის როსტომისეული სასახლეები. „გარდაშენებული" ქართველი გლეხკაცი მამა-პაპისეულ მიწას დაუბრუნდა...

შეკმნა „ოოქის სპა", ანუ დაკრიალებული ჯარი, რომელსაც უნდა განეშტაკცებინა მეფის ძალაუფლება... „მეფე თუ გლეხი განუსვენებს, მას ეა მიხედეს განსვენებაზ", „მართლმსაჯულ მა მეფესთანა უსამართლომეფერ ისაროს", „მეფე თუ მიპყეა სამუდამოდ ყმასა, სიცეცხლეზედ მეერას გაუცოდებენ ანაზდად მასა ბელ[illegible] წერასა"...

ქართველ კაცს ეროვნული სახე და ზნე-ჩვეულებანი უბრუნდებოდა, ეს იმ დროს, როდესაც „აიცვლებოდა ქეეკა-ზნენი ქართლისანი", იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოველთაა უწესოებითა"...

დაიწერა სჯულისდება, ანუ „სამართლის წიგნი"...

ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა ვახტანგს, ლეკსიც ეწერა. თავისუფალ წუთს მოიხელთებდა თუ არა, ქაღალდზე გადმოჰქონდა ცეცხლოვანი სტრიქონები და მერე შიშითა და მოკრძალებით აჩვენებდა სახელოვან მასწავლებელს.

... როგორც იქნა, ვლასეთიდან ანთიმოზ იბერიელის მიერ გამოგზავნილმა ოშტკვანოვიჩმა თბილისს მოაღწია. ის დღე იყო და ის დღე. ვახტანგ მეფე მერე დიდხანს არავის უნახავს, ხელვები სალებავში რომ არ ჰქონიდა ამოსაკრავი. ორბელიანიც გაკვირვებითა და სასოებით ათვალიერებდა შორეული ქვეყნიდან გამოგზავნილ დაზგასა და ქართულ ასოებს.

ფანდენიანებმა მუშები ფეხზე ეველარ იდგნენ, ოშტკვანოვიჩი ღიმილს ვერ იკავებდა, უპირველ მოქალაქეებში გარეულ და მოფუსფუსე მეფესა და მის აღმზრდელს რომ უფარებდა.

საფუძველი ეყრებოდა დიდ ეროვნულ საქმეს — ქართული სტამბა ძალე წიგნების ბეჭდას დაიწყებდა...

ხნრიდ აქ გაიცნო სულხან-ბაბა ორბელიანმა ერის საამაყო და უბედური პირმშო — თავადი დავით გურამიშვილი... ხშირად უთქვამს ორბელიანს — კიდეე კარგი, დრო არ მეყო ამ ნიჭიერ ჭაბუკს დავახლოებოდეო, თორემ ნამდვილად ვერ გადავიტანდი მის ტკივილ გაყიდვასო...

გადიოდა დრო და ვახტანგს გამოცდილება ეძატებოდა. დაბრძენდა საქართველოს მეფე. რუსეთთან დაახლოება და მეზღარო კავშირი ოცნებად გადაქცეოდა. მაგრამ მეფე-პოეტ მხოლოდ ოცნებას არ სჯერდებოდა. ხორცშესხმული ოცნებისაკენ მიისწრაფოდა მისი სული და გონება.

... დიდი ხნის ძილს თავი დააღწია ჩრდილოელმა მეზობელმა. სისხლითა და ცრემლით კანონაბა ხავსმოდებული ტანი. ძველი ბოიარული ცხოვრების მტკრევის ხმა საქართველომდე აღწევდად და სისხლს უდღიდებდა ვახტანგსა და მის თანამოაზრეებს.

მალე ამ ქვეყნებს შორის მეფერ-მოწერიც გაჩანრთა. ორივე მხრიდან გამეფელი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ რუსეთს ჯერ ძალა არ შესწევდა საქართველოს გულისთვის აზნის ორ უძლიერეს სახელმწიფოს შებმოდ. ვახტანგი იმედს არ კარგავდა. ერთმორწმუნე რუსეთა შეეძლო ღონემიხდილ საქართველოსათვის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმარების ხელი გამოეწვდინა და ავადმყოფი ფეხზე წამოეყენებინა.

ვთარო ირემსა მაშვრალსა,
წყაროსა წყალი სწყუროდა,
აგრეთ მეფესა, რუსეთის
ხელმწიფის ნახვა სწყუროდა...

ვახტანგისა და მისი ბანაკის მტრებისათვის რუსეთთან დაახლოების ცდა შეუმჩნეველი ვერ დარჩა.

„... ამ საქმით ყეენიც დაგვემდური, კახთ ბატონიც აგვეშალა, და ხონთქრიც წყენობს, მაგრამ ჩვენ თავი მაგთს ერთგულებასა და სამსახურზე დაგვიძს, რაც უნდა გარდგეზდეს, წმეანთნი შეგვრიცხია, ოღონდ ეს იქნას, წერილი გაატანა ვახტანგმა რუსეთში მალემსრბოლს“.

...გამოხდა დრო და ატყდა ეკლესიებში ზარების რეკვა. რეტდასხმულივით, ქანდაკებასავით უძრავად იჯდა სვარძელში სულთან საბა ორბელიანი და მწარე ფიქრებში გახვეული. უაზროდ შეპყურებდა წმინდანების სახეებს. იცოდა მოსუცმა, რომ რაც უფრო ხანგრძლივია სიმშვიდე, მით უფრო მოულოდნელი და ვერაგული შეიძლება გამოდგეს მომავალი...

... ვახტანგ მეექვსე სასწრაფოდ იხმეს ყეენთან...

დაიხარა საქართველოს ბედნიერი მომავლის კიდეე ერთი ფურცელი.

●

დიდი, ბრწყინვალე, მდიდარი, ბინძური და ღატაკი ქალაქია ისპაპანი. სიხსნად ღილით იწყება ყაჯარი და მზის ჩასვლისას თუ წყდება ხოლმე.

გაზზომილი უფლებებით სარგებლობს ზაკი ბუსეინი. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ქალაქში ორჯერ, შაპის სასახლის წინ, მოედანზე ჯალათი მღიდარ ჩალმებით შემკობილ მოკვეთილ თავებს წამოაცობს ხოლმე სარეზზე. ეს თავები ჯერ კიდევ გუშინ მლიქნელურად იხრეზდნენ შაპის-შაპის წინაშე, ღღეს კი გაყინული, უმოძრაო თვალებით, გაკვირვებითა და იმქვეყნიური ხედვით გასცქერიდნენ მოედანზე შეკრებილთა. ცარიელი სარეზი კი ახალ თავებს ელოდა.

... ნახეეარ წელიწადზე მეტია, რაც შაჰ ბუსეინთან „სასპაღო სტუმრად“ ვახტანგ მეფე და მისი ამალა იმყოფება. ქართველ დიდებულთა არაფერი აკლიათ. უცხო თვალს ისინი მარილეაც სტუმრები ეგონება, ისეთი ყურადღებითა და პატივისცემით არიან გარემოსილი „ამაყი გურჯები“.

ბევრი ასეთი „სტუმარი“ ახსოვს შაპის სასახლეს. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაბრუნებულა სამშობლოში ისე, რომ ჩრდილი არ გამოეცვალოს და ისლაპი არ მიეღოს. განსაკუთრებულ ჯიუტებს კი თავი სასახლის მოედანზე დაუტოვებიათ.

ქრისტიანებისათვის შაპის კარიდან მბოლოდ ეს ორი გზა არსებობდა.

კარგად იცოდა ყოველივე ეს ქაბუკმა ვახტანგ მეექვსემ. ვერაფერ საიმედოს ურჩევდა ალმრდილს უკვე მოხუცი ორბელიანი. დღენიადაგ სჯა-ბაასსა და სულ ახალ-ახალი გეგმების დაწერობასა და გადასინჯვას უნდებოდნენ. ღილითადა ვახტანგი. ანუგეშებდა მეფეს სულხან-საბა, ანუგეშებდა და თვითონ არ სჭეროდა თავისივე ნუგეშისა.

... ამბები ეან რიშარი არავის დაუპატიჟებია. დინჯად მოუახლოვდა ქართველებს და გამოეცხადა. დინჯად, სასიამოვნოდ ილიმებოდა. ქეკვანი თვალები ნდობითა და ერთგულებით უყურებდნენ მოსაუბრეს. ხმელ-ხმელი, ტანდაბალი ეან რიშარი მოხდენილად ატარებდა ბერის ანაფორას, ჩინებული მიბრა-მოხრა ჰქონდა და კარგი მოსაუბრეც აღმოჩნდა. ქართველები ერთ საათში ისე შეეჩვიენ მას, როგორც დიდი ხნის ნაცნობს. რიშარი უცბოლთის მისიების წევრი იყო. დიდი ცოდნის, გამოცდილებისა და ტაქტის მქონე ლაზარიტ ბერს დიდი გავლენა ჰქონდა როგორც შაპის კარზე, ისე უცხოელებზეც. ვახტანგი და სულხან-საბა ორბელიანი მან თავისი სათნოებითა და გულგახსნილობით ბრძეულ დღესვე მოიბიბა. ჩაეკარა საღუძეელი მათ მეგობრობას.

დღე არ გავიდოდა, ეან რიშარს ქართველი „სტუმრები“ არ მოენახულებინა. ისხდნენ, ქვეყნის ამბებზე საუბრობდნენ, ვახტანგის ტყვეობიდან დახსნის გზებსაც შეეხენ.

შეეშჩნე

ევროპის პოლიტიკური ვითარებაც ზედმიწევნით ზუსტად იცოდა ყან რიშარმა. ქართველები აკვირვებდათ ბერის სინერგესო მსჯელობა და მოვლენათა სალი, არამიკერძოებული ანალიზის უნარი. თვლი ნოყიერ ნიადაგში იყო მოხვედრილი და ორიოდ კვირაში აღმოცენდა კიდეც.

მალე ვახტანგ მეექვსეს და საფრანგეთის მეფეს შორის მიმიწერა გაიმართა. ირანელებს ექვი რომ არ დაბადებოდათ, წერილებს ყან რიშარი ფრანგულად ან ტალიურად წერდა.

პასუხის მოლოდინში კვლავ საინტერესო საუბრებში გადიოდა დრო.

პუსენინ შაჰი კი ვახტანგის გამაპმადიანების დასტურს ელოდა.

გვიანი გაზაფხული იდგა. უკვე იერძნობოდა, ზაფხული ულმობლად ცხელი იქნებოდა. სახიათმენი იყო ეარეგნინი მოფენილ ბალში, შალრეენებთან ჯდომა, ყავახა და შერბეთის სმა, მაგრამ ტყვეობა ცივ საკანშიც და ნიარფერი, სურნელოვანი ყვავილნარის გარემოცეაში მაინც ტყვეობაა.

... იმ დილით ჯან რიშარი ჩვეულებრივზე მეტად ადრეადგებული იყო. არც ცდილობდა ამის დაფარვას.

გუშინ საღამოს მან შაჰის საგანგებო დავალება მიიღო. მისიონერი საფრანგეთს უნდა გამგზავრებულიყო, რათა ირანის განმაგებლის სასახურო წერილი წაეღო ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან. შაჰს სურდა, რიზრთან ერთად საფრანგეთს სპარსეთის ელჩიც გამგზავრებულიყო, რომელიც მისიონერს ერევანში უნდა შეხვედროდა. შაჰის ეს დავალება საგრძნობლად ართულებდა ვახტანგისა და ორბელიანის გეგმის განხორციელებას. (მთ რამდენიმე დღის წინ გადაწყვიტეს, სულხან-ხაბა საფრანგეთ-იტალიას საგანგებო მისიით (ეწეოდა). ღიღნანს ითათბირეს იმ დღეს და, როგორც იქნა, შეთანხმდნენ. ორბელიანი ხვალვე ვეიმგზავრებოდა სპარსეთიში და ჯან რიშარს გორში დაელოდებოდა. მისიონერი კი როგორმე აიცდენდა ირანის ელჩთან ერთად მგზავრობას და საფრანგეთისაკენ გზას სპარსეთის გავლით აირჩევდა.

დაახლოებით იმავე, 1713 წლის ბგვიტლოსათვის ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ და თავიანთი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა უნდა დაეწყოთ.

ბმა დაირხა — სულხან-ხაბა ორბელიანმა ჭეშმარიტ სარწმუნოებას უღალატა, მართლმადიდებლობა დაგმო და კათოლიკობა მიიღოო. როგორც ყოველი ჭორი, ესეც გაბერილ, ამოძოძოდა, ზვავივით დაგორდა. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭალმა ქრისტიანობა მიიღო და ბუნებრივადვე შეიყვარა ახალი სჯული. ეხლა კი... ნუთუ კვლავ გამოაცხელვებენენ სარწმუნოებას?

ოფლავ შესაბმნელი ღამილით ანუგეშა ორბელიანმა დაბნეული ჭალი.

— ვახტანგმ თუ ისლამი მიიღო, ეს არაფერს შეცვლის. გულითა და სულით იგი კვლავ ქრისტიანად დარჩება და ეს იმდენად სარწმუნოების გამოცალკე კი არა, ტყვეობიდან თავის დაღწევა იქნება. ნეტარხსენებულმა გიორგი XII-მაც მიიღო მუსლიმანობა, მაგრამ როდესაც იგი ყარდაანში ვერაგულად მოკლეს, მას, შაჰის პირველი მოადგილისაგან, გულზე ლეონიმშობლის ხატი უპოვნეს...

დედოფალი თითქოს ცოტა დაწყნარდა და კვლავ ქმრის მახსოვდებელს და მეფობის მიაჯერო ნამტირალევი, დიდრონი თვალები.

— ღვთის სამსახური, დედოფალო, ყველა სულიერს მორჩილებასა და ერთთანმეწინ ავალებს... ქართველებს, მოგეხსენება, ჩვენი ღელ ბერისა და ვარამში დაგვიფევნ. ავმდელნა ქართველს აკენის ირტახებიეთ აკრავს. ბრძენი ზოთახი არ იყოს, „არვის ძალუძს სულიერსა განგებისა გარდაკალენ". ეს წესია წუთისოფლისა, მაგრამ ნამა ვერავინ დამაჯერებს, ჩვენი ერის ალსახრულო, მწუხრის ვამი დადგა...

დედოფალს შეშფოთება ვერ მოეცალებინა და ნუგეშის მთხოვნელი თვალებით უყურდა ორბელიანს:

— მთელ საქრისტიანოში, ჩვენს მეფეზე ტაწყოენი ალმათ წმინდანიც არ მოიძებნება, ჩემო ბატონო... ლოცვად, ლოცვად დავდგეთ, ვიღლიცოთ... ისპასანს ფრაწულოა და ბიწერის ჰკავს ძმეკალი მეცსედრეი ჩემი! ღმერთო მოხედეს!..

— „ხარწმუნეფრა თვინერი საკმრისა მკედარ არს". ლოცვა გონიერებას არ გამორიცხავს, დედოფალო, თუ ახლა ბეკუა და გონება არ მოვიკრიბეთ, ავმდელნა მოსრავს მეფესაც და ერსაც. სისხლიდან დაცლილ საქართველოს მოკვეშირე უნდა, დედოფალო, მოიმე უნდა, რადგან...

— მოიმის ძებნაში ალმოგვსდა სული... მერე სად არის მოიმე, მამამ?

ორბელიანი კარგახანს დდუმდა. დედოფლის მიღმა, ფანჯარაში იცქირებოდა. ზედა ღრუბელი თავზე ეკლენოდა საწვიმრად გამზადებულ ფიქ ღრუბელს. უაზროდ აწვალებდა გულზე დაკიდებულ ჯვარს.

— რამდენი საუკუნეა, საქარველოში ყველა გონიერის ჩრდილოეთისაკენ უქირავს თვალი. ერთმორწმენე რუსეთია ზეელა... დიდი მომავალი აქვს ამ ერს, ძალზე დიდი. დღითიდღე ძალას იკრებს და მალე დაადებს დათვურ ტორს ისლამის მობერებულ ლომს. მაგრამ იგი ჯერ მოზარდია, ბელია... ამჯერად არ სცალია საქართველოსათვის რუს ხელმწიფეს. გაუთავებელი შინა და გარე ომებით არიან გაწამებულნი... ნუთუ მიგვატოვა საქრისტიანომ — ორბელიანმა ცოტა ხანს კიდევ იყუჩა. მერე ღრმად ჩაინუნთქა და იმედიანად გაუღიმა ჭალს.

— დღისდღეობით ევროპაშია ხსნა, დედოფალო! დიდი ფრანგთა მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტეა...

— შორსაა საფრანგეთი...

— დიდი ფრანგთა მეფე ლუდოვიკო...

— ცხრა მთას იქითაა... გაფეკრებაც კი მეშინია...

— დიდი ფრანგთა მეფე... დედოფალო!

დედოფალი წამოდგა. ხელების ფშვნეტით ვაიარ-გამოიარა დარბაზში და ორბელიანის წინ გაჩერდა. რაღაცის ფმა სურდა. ჯერ ვერ ბედდვდა, ბოლოს, როგორც იქნა, შეეკითხა:

...„ხოლო პეტრე ჯდა გარეშე ეზოსა შინა, მოუხვდა მას ერთი მხეკელი და ჰკუთა მას: და შენცა იყავ იესოს თან გალილეველსა. ხოლო. მან უარყო წინაშე ყოველთასა და ჰრქუა, — არ ვიცი, რასა იტყვი.

და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე ბჯეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესოს თან ნაზარველელსა. და მერმეცა უარყო პეტრემ ფიცით და თქუა, ვითარმედ არა ვიცი კაცი იგი.

და მცირედ მცირედსა მოუხდეს მუნ მდგომარენი იგი პეტრეს და ჰრქუა მას: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, და რამეთუ სიტყუეაიცა შენი გამოგაჩინებს შენ, მაშინ იწყო შეჩუენებლად და ფიცად, ვითარმედ არა ვიცი კაცი იგი და მეცხეულად ქათამმან იყივცა და მოახსენა პეტრეს სიტყუაი იგი იესოსი, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ ვიდრე ქათმის ხმობამდე სამ გზის უარ-მყო და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ...“

კათალიკოზი შუბლშემპუნნილი უსმენდა ქადაგებას. დიაკვანი სახარებიდან ზუსტად იმ ადგილს კითხულობდა, რომელზეც ამ დილითვითონნვე მოეთითა. მოციქულმა პეტრემ უარჰყო ქრისტე. სულხან-საბა ორბელიანმა უარჰყო ეკუმენიკი ღმერთი. ნიადაგი განდგომილი ორბელიანის ჩაქოფილისათვის მზად იყო. დადგა სანაღრეული დრო. ფრთამორტყმული არწივი ძირს უნდა დაეცა და თავი გაეჩეჩქვა, თორმე... თორეს ფრთას მოიშუშებდა და...

დიაკვანი სახარებას ემთხვია, დაბურა ზმანდა წიგნი და საკურთხეველში შეეიდა. გაქვავებულიყო კათალიკოსი, ოდნავშუსაჰნენვად უთრთოდა ქვედა ტუჩი. სასოებით ჩამოართვა გამოწეფდილი სახარება და ფერმკრთალი ტუჩებით ემთხვია ყდაზე გამოსახულ ჯვარს. ქორო ხმადაღმა გალოცდა. კათალიკოსმა ქადაგება რომ დაიწყო გალობა ისე ხვეერდოვნად მოეფინა ტაძარს, თითქოს ხატებს, სანთლებს, ვიწრო სარკმლებსა და ჯვრებს ესალბუნება, საუკუნეებით დაფენილ მტვერს ფრთხილად სწმენდსო...

„...სახელითა მამისათა და ძისითა და სულისა წმიდისა მამისა დაუსაბამოისაგან გამომავალისათჳს ძველისა ალქმის ჴალარა მოსილი მამამთავრის იაკობის მსგავსად მოგიწოდებთ შეიღთა ჩემთა: შემოკრბენით ჩემდა მამამთავრისა თქვენისა და ყურნი მოუპყართ სიტყვათა ჩემთა. დღეს როცა ერი ქართველთაი გარე-მოცულია უცხოთესლთაგან მტერობითა და შინაურთაგან შურითა და გაუგებრობითა, ადგია გზასა განკეკრძოებისასა და დანაწილებისასა, რაისა გამოცდა სუსტდება შემოქმედებითი ნიჭი მისი და ეცემა სახელმწიფოებრივი ძალა მისი, ეკმსა ამას ძნელებდებისასა დგება იგი უალმაებულებისა საფრთხისა წინაშე. ხოლო ოქმნა დღესა შეკრებანი ჩვენნი, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებისა ზედა მტკიცედ დგომისათვის ქართველთა, რამეთუ მეითმინენი სამწყოსისაგან ჩვენისა მდაბალნი და გამოჩინებულნიცა ლათინთა სარწმუნოებასა შეერთებენ, სხვათაცა შეართებენ და განუდგებიან წმიდათა შვილთა მსოფლიოთა კრებათაგან აღსარებულსა, დამტკიცებულსა და შეწუნარებულსა, რომელსაცა აღიარებენ და დამტკიცებენ, შეიწუნარებს და მიიღებს დღეს წმინდა ეკლესია აღმოსავლეთისა, რომელ არს კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა, იერუსალიმისა და საქართველოისა. ჩვენ, ქართველებს, რა ეკმა ერთ გზის გვიცნობიეს სჯული ქრისტესი, არღარა მიდრეკელ ვართ მარცხულ გინა მარჯულ.

გარნა მართლმადიდებლობისა ემბაზსა შინა

ნათელდებული, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მოწესე, ორბელის შვილი მონაზონი საბა, რომელმაც ფრიად ღვაწი მიიღო სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ვითარცა აღმზრდელმან და მრჩეველმან, მწიგნობარმან და მოწესემან, დღეს ხედითა ღვთისითა მიეცა ნებასა ეშმაკისასა, გამოეთიშა მამათა სამეუფოხეველისა საჭირველოსასა და აღიარა ნარწმუნოებანი ლათინთანი.

აჰა, წარწყმედილი კაცისა და ტირილი და ღრეჰაილი კბილთაი. „აკცაშე გონიერმან მოღვაწეობა მოიგოს“ — ბრძანებს სოლომონი. მონაზონმა საბამ კი აბა მოღვაწეობისა სახედ დაიწერა წიგნი საქრისტიანო მოძღვრეცა, რათაცა უმეშვარიტესად დაამტკიცებს თვისსა განდგომილობასა მართლმადიდებლობისაგან.

კადნერმან საბამან წიგნსა ამას უწოდა „სპასოხის კარი“, ხოლო ჩვენი იგი ვეიცნობოს ბეჭეთა ჯოკოხეთისადა.

წმიდასა ტაძარსა ამას შინა შემოკრებულთა ჩვენთან ხელიერთა ძმათა და თანამწყრალეთაგან, შთაგონებითა სულისა მიერ წმიდისათა —მონაზონსა საბას აღეკრძალოს საღმთო ზიარებაი, ვითარცა შემცრეულსა სიწმინდით მშობელისა ჩვენისა ეკლესიისა და განმცემელსა სიკადილისა ჩვენისა მართლმადიდებლისა. უკეთუ მოეგოს სიტყვასა სოლომონისასა რომელი იტყუის: „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა და ზრახვა წმიდა“ უკეთუ მოეხსენ�სიტყუანნი პეტრე მოციქულისანნი, რომელმან მამლისა ყივილამდე სამგზის უარჰყო მაცხოვარი, უკეთუ მოეგოს სინანულისა ცრემლსა მდფლარესა პეტრესსა, უკეთუ მოიძიოს მამაი თვისი, ვითარცა შვილმან უძღებმან; მაშინ ვითარცა მონანული, აღსარებასა ჭეშმარიტებისასა მობრუნებული ცოდოცოთა უცოდველსნი, მტირალი და გლახაკი მონაზონსა საბა ამბორსყოფით შეწყალებულიოს ყოველთა მართლმორწმუნე ქართველთაგან, მაშინ ზეცასთა შინა განიხარონ გუნდთა ანგელოზთამან სულთა მოშურნე მართლმადიდებელ ქართველთა, რომელნი მეოთხ გვეევნიან წინაშე მაცხოვრისა ჩვენისა აწ და უკუნისამდე, ამინ!..

...დაიკუთხა კათალიკოსმა — „ამინ!“

შეშინებული მეელურების გუნდიგით გაიტრუნა ქორო და მერე ერთბაშად, ხმამაღლა წამოიწყო — „უფალო, შეგვიწყალე“...

●

მეორე კვირა იყო, თბილისში გაუთავებელად წვიმდა. ზამთრის პირი იდგა, თოვლი აგვიანებდა, მაგრამ ზენა ქარი და გაუთავებელი თავსხმა ძველ-რბილში ატანდა ადამიანს. დავით გარეჯის მოხუც ბერებს სიონის ტაძრის ახლოს, მტკვრის ნაპირზე პატარა სახლი ჰქონდათ. ვინ არ იფარებდა თავს მის სიფრიფანა, დროისა და უამინდობისაგან დამსკდარ კედლებს. ქარი წვიალითა და ხრინწიანი შეძახილით ეჯავშნურებოდა ღრეჩოებიან კარს და ანჯამებიდან მოგლეჯას ლამობდა.

ევროპიდან დაბრუნებულ ორბელიანს ყველა განუდგა — ბაკარ მეფე, სამღვდელოება, თავად-აზნაურობა...

სულნლა-საბას მწარე ფიქრები ეძალებოდა. სოფლის უმადურობას შეჩვეული იყო ბერიკაცი და ახლაც არც არა უკვირდა ადამიანთა მოდგმისაგან. არ უკვირდა, მაგრამ... მაგრამ ისიც ადამიანი იყო და ძნელად ურიგდებოდა თვისტომის უგნურობასა და სიბეცეს.

ეკ როგორც ყოველთვის, გაეცრეების ჟამს, წიგნებსა და სწერ კალამს იშველიებდა. ლარდს უკარგებდა შრომა, საოცარი რამ იყო — რაც უფრო რთული, თითქმის გამოუვალ ვითარებაში ვარდებოდა ორბელიანი, მით უფრო გაშმაგებით იწყებდა მუშაობას.

მისი საყვარელი პირშო — „სიტყვის კონა“ თითქოსდა დამთავრებული იყო, მაგრამ მისი ფიქრი მაინც ამ საშველიშველო წიგნს დასტრიალებდა, კიდევ და კიდევ შეჰქონდა შესწორებები, ახსნები, გამარტებები... და როგორც ზშირად იცის ხოლმე მოხუცებულობაში, ნათელი ხილვა ეხატებოდა ხოლმე: გიორგი იაშვილი ბოლთას სცემდა ოთახში და ზეციხეკენ თითაპერობილი ქადაგებდა:

„დიდი საკმისათვის ერთი სიცოცხლე საკმარისი არაა. მოელი შენი ძალები მთავარს უნდა დაუთმო. მაგრამ რაა ეს — მთავარი! რა არის ხიკეთე? რაშია სიცოცხლის აზრი? მეფის გვარისადმი ერთგულ მსახურებაში? ლოცვა-ვედრებაში? სულის ხსნაში? ხი-ხი-ხი! სისულელეა ყოველივე ეს, სისულელეა! შენდედ ბერებს — მუხლმოდრეკილნნი საათობით რომ დგანან წმიდა კედლებში და ლოცულობენ, ლოცულობენ... თავს იფიტავენ მარხვით, იმედოვნებენ, რომ ამ გზით მიაღწევენ ციურ ნეტარებას და ლოცვით უშველიან კაცობრიობას... და კარისკაცნი? წინა დამით გამომთვრალ-გამოლეშილებს მიინც არ ავიწყდებათ მოყვასისათვის სამარის გათხრა და ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ნაბიჯით, გოჯით წინ წაწევა... ეს გაზზულუქებულ-გამორანჭული ჯამბაზები გაიეკვნენ ფოსს ერს? ხი-ხი-ხი! სისულელეა, სისულელეა ეს! სულნნა, გახსოვდეს — თავისუფლებისა და სიკეთისადმი სწრაფვა — ადამიანის უზენაესი მოწოდებაა! და კიდევ: როცა ადამიანი მთლიანად ეწირება ამ მიზანს, იგი ნებისმიერ სიძნელეს ლაბავს, არავითარ ზიფთს არ უშინდება, აღარც სიკვდილის ეშინია, აღარც უმადურთა შეურაცხყოფას აგდებს რამედ და ეზიზღება სხეულის ხსნაზეც...“

გაჭრა ზამანება და ორბელიანს კიდევ ერთხელ ყურეფ, მაგრამ გაუნელებლად, მწარედ დასწუდა გული იაშვილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

...ქუჩაში კი გაუთავებლად წვიმდა. ორბელიანის გარდა ოთახში ორ ბერს დაედო ბინა. ერთ-ერთმა სველი შუშა შეუკეთა ბუხარს, სული შეუბერა ცეცხლს და ისევ ჭრიალა ტახტს დაუბრუნდა.

— ძალი არ გიგდება გარეთ... — ჩაილაპარაკა.

— ჯერ ხელრიანად არ დაზამთრებულა და უკვე ძვალრბილში ატანს თოში... საწყალი კაცის ბრალი! შიმშილს ყინვაც რომ დემატება... ღმერთო, დაიფარე ყველა ღარიბი და ქვრივ-ობოლი, — ამოერჩიენდა მეორე.

ორბელიანი კი მაგიდას მიჯდომოდა და რაღაცას გამალებით წერდა. ბერებს არ უყვირდათ, ორბელიანნი საუბარში ხშირად რომ ჩყვებოდათ ხოლმე. იცოდნენ — განსწავლული კაცია და ხერი, მომავალი თაობისათვის ვიღწვიო. სჯერიდეს, შესაძლოა მართლაც ასე იყო, ვინ იცის...

— ღირსო მამაო, შეიხვენე, ხვალაც ამ თვისაა. დღენადაგე შრომა თვალისჩინს წაგართმევთ...

— ბუხართან მოიწიო, ძმაო საბა, ძველები გაითბეთ...

მოხუცი გამოერკვა. სარკმელს ახედა. დღე იწურებოდა და ქაღალდზე ასოების გარჩევა ძნელი ხდებოდა. სანთელი კი შემოლეოდთ ბერებს. ნელა წამოსწია ვეება ტანი და ბერებისაკენ დაიძრა. ერთხანს ჩუმად ისხდნენ, მაგრამ იცოდა ორბელიანმა, ყმდიის დიდხანს არ ეყოფოდათ მოთმინება და უსათუოდ დაიპრებდნენ საუბარში მის ჩაბმას... — ძმაო საბა, თუ ღმერთი გწვანს, გაგვიგებინე, მაინც რას უპირებს ბაკარი იესე მეფეს?

სულხან-საბა უძრავად იჯდა და ცეცხლს ჩაშტერებოდა. ბერებს გადაუწყვდათ პასუხის იმედი, ორბელიანმა უცებ ჩურჩულითი რომ წარმოთქვა ფსალმუნიდან: „ცოდვასა სიკეთეასა და უმეცრებასა ჩვენისასა ნუ მახსენებ“...

კვლავ იყუჩეს.

სიონის ტაძარში ზარებს შემოკრეს. ლოცვა დამთავრდა. დღეს კათალიკოსი დმიენტი ჰქადაგებდა.

ეორი და ტყეული მერცხალზე უსწრაფესად დაფრენს. მისი დაგდებულია ხმა — ორბელიანი მესამედ აპირებს სჯულის შეცვლას და მეჩეთში მუეძინად დგებოა...

საბას გული მოეკუმა. ცეცხლს ჩაშტერდა. კარგა ხანია, შეწყდა სიონში ზარების რეკვა. კარგა ხანია, ბერებმა ხვრინვა აწყოს. სულხან-საბა კი კვლავ ბუხარს ჩასცქეროდა. უცებ ქუჩიდან ჯერ გაიგონეს, შემდეგ კი მკაფიოდ მოისმა ხალხის ხმაური.

ხმაური თანდათან ყვირილსა და მრისხანე გუგეუნში ადეიზარა. ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ, თან-ალეკვებულნი. ქუჩა გაანათა ჩირაღდნების შუქმა და ოთახის ჭერზე მოჩვენებებივით აცეკვდნენ ლანდები.

„ვახტანგ მეფე ხომ არ დაბრუნდა... ღმერთო, მომეცი ძალა. უსათუოდ ვახტანგთა“...

ზე წამოიერა ბერიკაცი და სარკმლისენ გაემართა, ბერებმაც გაიღიძეს და უაზროდ მიაშურეს ფანჯრებს. უეცრად ვეებერთელი ქვა მოხვდა სარკმელს და მინა ჩალეწა. თოფნაკრავივით შეკრთა მოხუცი, მაგრამ მაინც ახლოს მივიდა სარკმელთან. კარზე კი უკვე გაშმაგებით აბრახუნებდნენ: — ქრისტეს გამეყოფელო... გამოდი, ორბელიანნო... იუდა ისკარიოტელო... ერის მოღალატეე...

— თავს უშველე, მამაო, შენს მოხაკლავად მოვიდნენ! — აკანკალებული ხმით შეეკითხა ერთი ბერი და მუხლებზე დაეცა: — ღმერთო, შენ გვიშველე.

ალტაენებული ბრბოს ღრიანცელი კი უფრო მატულობდა. სულ ახლოს იყო, ფანჯარასთან... ჩირაღდნების შუქმა იმატა, ბრბო გათამამდა, ფანჯრას ისევ მოხვდა ქვა.

მალე ქალის კივილი გაისმა:

— სადა გაკვს ის ოცდაათი ვერცხლი, ქრისტეს ბალადაში რომ მოგაცა რომის პაპმა?

მოულოდნელად კარს ურდული მოსძარა და აკაშნიებულთო, თვალებჩასისხლიანებულთო ხალხი ჩირაღდნებთა და ჯოხებით ოთახში შემოვარდა. ფანჯარასთან მისული ორბელიანი, ოთახის სიღრმისაკენ ნახეერად შემობრუნებული, შედგა. მკერდზე ხელი მიიდო და გაკვავდა, ბრბო გარს შემოერტყა — მუჭარისა და მელვინარებისაგან გათამამებული. საბა იდგა შუა ოთახში. თავი ოდნავ უკან გადაეწია და ქუჩიდან შემოვარდნილი ქარი გადათეორებულ თმას უკვე ღონეგამოცლილ კისერზე ცემდა. ოდნავ ქუთუთოებდახრილს, გაკვირვებული, ნათელი მზერა ბრბოსათვის მიეპყრო და გარდუვალს მოლოდინში გარინდულიყო. მთელი მისი უზარმაზარი, დალლილი სხეული უკარებელ და ბრწყინვალე დიდებულებას გამოხატავდა; კეთილშობილი, ესოდენ ნაცნობი თოვლისფერი წვერი ასჩეჩოდა; მწუხარებისა და წყლთა სიმრავლისაგან გადაკანცული ბერი თავისი ზეციდი და კეთილშობილური გარეგნობით ისეთი გადაუოსახავი და ხელშუფუნები ჩანდა, რომ ბრბო ტალღასავით დაიდინაკა. და როცა გულლელდაკრეფილ სულხან-საბას ცრემლები სახეზე სანთელივით ჩუმად ჩამოეცვენთა, ოთაღში მდგმარება გამეფდა. მხოლოდ ქუჩიდან თუ ისმოდა კანტიკუნტად ყვირილი. წინა რიგებმა უკან-უკან დაიხიეს, მერე უსიტყვოდ და ნელა კარის ზღურბლსაც გადაადგეს, მერე ვიღაცამ ჩამოლებული კარი ფრთხი-

---

ბურაბ ხარაძე

ამბავი ჩემი წინაპრისა...

ლად მიაყოდა დრეს და... ყველაფერი სიზმარივით უეცრად გაქრა.

შუა ოთახში დედაბოძისეთი იდგა ამ საშინელ, ქარიან ღამეს დიდი სულხან-საბა ორბელიანი, ცრემლიანი თვალებით გაპყურებდა უკვე თითო-ოროლა მაშხალითილა განთიადსენ, ოდნავ მოხმაურო ქუჩას. ცრემლს იქით ვეღარაფერს არჩევდა. უცად, რატომღაც, გიორგი იაშვილი მოენატრა.

...რიოერაჯა თუ არა, ღამენათევმა მოხუცმა, დიდი ხნის დამთავრებული რომ ეგონა, იგავ-არაკების წიგნი, „სიბრძნე სიცრუისა“ ამოიღო თავისი კიდობნიდან, კარგა ხანს ფურცლა, ათვალიერა და შემდეგ კალამი აიღო. ღიმილით დაიწყო წერა:

„იყო ერთი მოურავი. დიაღ კარგი კაცი იყო, მაგრამ მისი სახლის კაცნი გუშმტერდნენ, შეახმენენ მეფესა. მას წაართვა მოურავობა და სხვას მოსცა. ახალი იგი მოურავი ავი კაც იყო და ბეერი ძალა უყო. დაღონდნენ იგი კაცნი და თქვეს: ეს ხომ აძაღლგვიც, მეფეს კიდევე სხვა მოურავი გამოვთხოვთო და აწ რა ექმნაო? შეიყარნენ კაცნი დედაკაცამდის, და ათასავე თითზე სანთლები დაინთეს და ფოლორცნი სვლა დაიწყეს.

იკითხა მეფემან: რას ეტყრებიანო?

მათ მოახსენეს: მაშინ რომ მოურავი გავაძეთ, მას ვეძებთო და ვერ გვიპოვნიაო“,

●

ვახტანგ მეფის მდგომარეობა შაჰის კარზე დღითიდეე უარესდებოდა. ის გულუხვობა და პატეკი, პირველ ხანებში რომ ახლდა მის „სტუმრობას“, დიდი ხანია გამქრალიყო. საქართველოს მეფე ნამდვილ ტყვედ გადაიქცა და ისე ჩანდა, ტყვეობა სულ უფრო მკაცრი გახდებოდა.

ჯიუტობდა მეფე ქართლისა, არ უარყოფდა ქრისტიანობას, არ სურდა ისლამის აღიარება. არ სჭირდა მასზე არც ფერება, არც ნაბიძები წოდებანი, არც დროის ტარება და ფუფუნება. არ სჭირდა მასზე არც სიმკაცრე და შეკრა. ვაი რომ გაუფუძნალი სენი შეპაროდა ირანის ლომს, თორემ ვახტანგზე რამდენად ძლიერი და ჯიუტი მონარქი დაუჩოქებია და მლალ უქცევია... ცუდი ამბები მიდიოდა შაჰის კარიდან. მშვიელელი კი არსაით ჩანდა.

გულს აწვა კაეშანი ორბელიანს. ვახტანგის ტყვეობითა და ელჩობის ფუჭად ჩავლის დარდს ისიც დამბაკი, რომ მეფე გულცრუებული ჩანდა — ბოლო დროს არც ბარათსა და არც სიტყვიერ მოკითხვას არ უთვლიდა მასწავლებელს. ბოლოკ ენებს თავისი გაეკეთათ — მოეღწიათ მეფისა და მწერალს შორის ნაპრალის გაჩენისათვის. ვერ მიმხვდარიყო ორბელიანი, რად იყო უზრახად ვახტანგი. ბერიკაცი ღამეებს თეთრად ფენებდა იმის ფიქრში, რა უნდა დაებრალებინათ მისთვის, რომელ „მზაკვრობაში“ სდებდნენ ბრალს. ადამიანთა მოდგმის უმადურობა ზმორად გაწუდეია თავის თავზე, მაგრამ უმადურობაც არის და უმადურობაც... განა სიყვარული, ნაკი, უნარი, ემაწვილკაცობა და ჯანრთელობა მეფისა და ხალხის სამსახურს არ შეალია? განა მედამეამს პირად ან ივიწუედდა და საკეკუნო საქმისათვის არ იყო ამოლებული ხმალივით? ნუთუ მასაც არ შეეძლო სხვა კარაკსკაცებივით ფუფუნებაში ეცხოვრა, სასახლეები ჰქონოდა, თავისი ქალთან შეექმნა ოჯახი და ეწერა, ეწერა, ეწერა?

დასაწერი კი უამრავი იყო. როცა ღონე ერჩოდა ცცირედის შექმნა მოასწრო — სხვა, გადაუდებელი საქმით იყო დაკავებული, პირადისა და საზოგადოს გარჩევა და აწონვა არასოდეს ეშლებოდა.

ახლა კი გაფლანგული ნიჭი, დაკარგული წლები, წყალში ჩაყრილი ჯანრთელობა და სიმდიდრე.. შერჩა მხოლოდ თვისტომთა უმადურობა!

„ვა სოფელო, რა შიგან ხარ!“

ღამით, სხვები ძილს რომ მიხცემდნენ თავს, მაშინ უყვარდა სულხან-საბას მუშაობა. აზრები მაშინ უფრო ნათლად ესახებოდნენ და გამოცდილების საცერში გაცრილნი, ნათლად გადმოდიოდნენ ქაღალდზე.

ხშირად მუშაობის ეს სიხარულიც არ გაჰნდა — ის ორი გროშიც კი, სანთელი რომ ღირდა, ისიც არ ჰქონდა მოხუცს. თავად-აზნაურობის უმეტესობა კი ნიშნისმოგებებით უყურებდა ნამეხარ ბერმუხას, ოდესღაც „ხაკრთველის მამად“ წოდებულ ორბელიანს. უცქერნენ და ბოლოსდე მის ჩაქოლვას ლამობდნენ.

თავად-აზნაურობაზე უფრო კი სამღვდელოება იფოფრებოდა, არაფერს იშურებდა ხაფულველი ორბელიანის მოსახპობად. სხვადასხვა ხრიკებით უმწარებდნენ ისედაც გამწარებულ სიცოცხლეს. სიელესსო კათედრებიდან კრულვის ნიადგრასაც ანთხევდნენ და როგორც სურდათ, ისე ლანძღავდნენ „ქრისტეს გამეოდველსა“ და „ერის მოღალატეს“. თითქოს დავიწყებოდათ ერთმანეთის ქიშპი და ზურგს უკან ორმოს თხრა. როცა საქმე ორბელიანს ეხებოდა, უმალ შეერავდნენ ხოლმე პირს და გაერთიანებული ძალებით ესხმოდნენ თავს...

„...ორი მოღა იყო ერთმა ქალაქსა შიგან. ესენი ტმერნი იყვნენ, ერთად ვერ მოთავსდიან. არცარა ერთად სვიან და სუმინან. ამას ცდილობდნენ, ერთნი მეორესა წაეხდინონ.

ღღესა ერთსა ერთი მოღა ნახეს სხვისა დიაცისა თანამწო�e. კაცთა მათ იგი მოღა და დიაცი ორნივ შეიპყრეს და ერთს ორმოსა შიგან ჩაყარეს. ენებათ მეორეს ღღეს მოასხნან ყადი და მოწმენი და ორნივე დახოცონ. სცნა

მეორემან მოლამან, მტერმან მის მოლისამან, ირბინა, მის ოლოს სახლში მივიდა, მისი ცოლი მოიყვანა, მას მოლას ჩაუსვა ორმოსა შიგან და ეგრე უთხრა: მაგ დიაცის სამოსელი მაგას შემოსეო და მაგისი მაგასო, და ეგ ამოუშვეო.

ეგრე ჰყო ყოველივე, რომელი მტერმან უთხრა.

განთიადდ მივიდა ყადი და მოწმენი და იგი მტერი მოლაცა მივიდეს. ამოიყვანეს იგი მოლაცა და დიაციც ნახეს; მას მტერმან მოლამან თქვა: მე ხომ ყოველნი მიცნობთ, მაგისი მტერი ვარ, მაგრამ რას ემარილებით უბრალოს, თავისი ცოლი ყოფილაო? გაუშვეს.

მერე მან მოლამ ასე უთხრა: შენც იცი, როგორი მტერი ვარ შენი. მაგრამ ეს ამისთვის გიყავ, მეც ავის მქნელი არ ვეკარნო ვისმე, რომ ჩემის სახის მსგავსება გაქეს, მისთვის მოგარჩინე, შენც მოლა ხარ და მეცაო...

...დღეთიდღე აუტანელი ხდებოდა თბილისში ცხოვრება: მტერი და მოშური მრავლდებოდა, ორბელიანს კი მათთან ბრძოლის არც ძალა ჰქონდა და არც სურვილი: დრომ განგვსჯოს და დრომან გიმომტანოს განაჩენიონ — იტყოდა ხოლმე მოხუცი და ცდილობდა, ავისმქნელებზე არ ეფიქრა; მაგრამ ამა რიმელ პატივაყრილ დიდაცს არ დასეევიან ლეშიჭამია ტურებივით დადარაჯებული ხელმოცარული, მისი ყოფილი დიდებით გაღაზიანებული მეღორაფენი?

„ვა სოფელო, რა შიგან ხარ...“

იყდა და დღეინადაგ წიგნებს ჩიჩკარკიტებდა. ბეგებში მოხრილს, თვალისაჩინაც დაკლებოდა.

...ქვეშეფთიდან ზოსიმე ჩამოვიდა. გიახარა ორბელიანმა და უმცროს ძმასთან ერთად გაბედა ქალაქში გასვლა. სუფთა ჰაერმა ერთბაშად დაათრო და მოთენთა მოხუცი. სიარული გაუჭირდა — ორ თვეზე მეტია, საკანიდან არ გამოსულა. ქალაქის ფუსფუსს გადაჩეული, გამგელელებს კრთომით უცქერდა — ვინ იცის, რომელი მათგანი მიაკენებდა შეურაცხყოფას ან დამცინავი ქრიქელი მოხვდებოდა მის ეეფას... მაგრამ, რაღაც იღლავდ, ეერავინ ცნობდა ორბელიანსა და მის ძმას.

— სახლში წავიდეთო, — თხოვა სულხანსაბან ზოსიმეს და ნელა აუყვა ვიწრო შუკას.

იმ ღამეს ცუდად იგრძნო თავი. სიცხეშ აუწია. ოფლად იღვრებოდა. ზოსიმემ მეზობლის ბიბი ექიმთან აყარინა. სამი საათი გავიდა, ექიმი კი არსად ჩანდა. ძველი ნაბადი და რაღაც ძონძები დაეყარა ავადმყოფს ზოსიმემ. ძალით გააღებინა პირი და ორი ყლუპი არაყი დაალევინა. აგური გაახურა და ფეხებთან ჩაუდო: შუბლზე სოველ ტილოს წამდაუწუმ უცვლდდა.

ბორგავდა ორბელიანი. ვიღაცას უხმობდა. წამოჯდომას ლამობდა, ოხრავდა და კბილებს აღრეკილებდა: მთელი ღამის ნაბრძოლს, გამოთენილას ჩაეძინა...

...ციცინათელები დაფრინავდნენ ოთახში. მოხუცის წვერზე, ჭუთუთოებზე კვეხავდნენ და მერე კელავ ფანჯრისკენ მიფარფატებდნენ. ოთახი ციცინათელებით გაივსო. მერე გიორგი მეფის ხმა ჩაესმა მომაკვდავს — ადექი, ხულხან, ხელი გამომიწოდეო.

მერე სარკმელთან პატარა ვახტანგ მეფე აკოსკოსდა: შეწუდდ მისი სიცილი და ოთახში გაბმულმა ბზუილმა დაისადგურა. გაკრნენ ციცინათელები და მათ ნაცვლად ჭერზე, კედლებზე დავით-გარეჯის ჯოჯოებმა დაიწეს ცოცვა. ცოცავდნენ და ადამიანივით დიდროონი, გაკვირვებული თვალებით უმზერდნენ ყოფილ მეზობელს... მერე ისინიც გაკრნენ. ოთახში მზის სხივი შემოიჭრა, აანთო, გაიცალა, აალალპაპა ძველი საგნები. ოთახში პატარა, თმახუფუჯა ბიჭი იდგა. მორცხვად აბუზულიყო შუა ოთახში და ორბელიანს უცქერდა.

— ვინა ხარ, პატარა ბიჭო, ვინა ხარ? — ჰკითხა მოხუცმა. ბიჭმა ხელები მოიფშვნიტა, უხერხულად გაიღიმა:

— შენი ვარ... შენი ვარ...

— ჩემი? — გაუკვირდა ორბელიანს:

— ჰო, შენი... სტამბული არ გახსოვს? გიორგი იაშვილი არ გაგონდება? შენი ვარ... შენი გამოსყიდული...

— ჰო... მაგონდები... მაგონდები, მაგრამ... მას შემდეგ ხომ ამდენმა ხანმა გაიარა... შენ ისევ ისე პატარა ხარ?

— არ ვიზრდები... ღმერთმა დამწყევლა, ერთხელ მაინც რომ არ ვინახულე...

გაკრა ბავშვი და ოთახი წკვდიადში გაეხვია. ცოტა ხანიც და კელავ ციცინათელებმა დაიწყეს ფარფატი...

ორი კვირა ტანთგაუზდელად ეწევა სასთუმალთან ზოსიმე მომაკვდავ ძმას. სიკვდილს ძლივს გამოსტაცა. კიდევ ორი კვირის შემდეგ კი თავისთან, ქვეშეფთში წაიყვანა.

ხურაჩენებით ცოტაოდენი საგზალი და წიგნები მიჰქონდათ ორბელიანებს.

ქვეშეფთში ზოსიმე გრიგოლ გუდაძის სახლში ცხოვრობდა. მასპინძელი ორბელიანების დიდი ხნის ნაცნობი იყო და დიდ პატივსაცემდა სულხან-საბას ნამოღვაწარს. ცას ეწია სიხარულით, მოხუცი მწერალი რომ ეწვია და აღარ იცოდა, რით ეხიარებინა მისთვის. ყურადღებას და პატივსადაჩვეული ორბელიანისადმი გუდაძის ეფინა თბილი მოკარეობა მალამოსავით მოეფინა გულს და თვალებ-

---

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲐᲠᲐᲫᲘᲫᲘ

ᲐᲛᲐᲪᲐᲕᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲕᲘᲜᲘᲐᲠᲘᲡᲐ...

ზე ცრემლიც კი მოადგა. გრიგოლის სახლი ქვაშხეთის თავზე იდგა და იქიდან ხელისგულივით ჩანდა მტკვრის ხეობა, ისლნოვანი ფშვინს ტყეებით მოფენილი მთის კალთები, ქიქლუცი ტაშისკარი და ახალციხის მთები.

საათობით იჯდა ალვანზე ფიქრებში წასული მწერალი და ახალციხისაკენ მიმავალ გზას გაჰცქეროდა: მერამდენედ იგონებდა იქ გატარებულ დღეებს, „ძალად ცოლს“ — თამარს, სიმამრს, გუთარმან ჯაყელსა და მის ოჯახს. ალბათ ბედნიერად ცხოვრობდა თამარი. მის შესახებ იშვიათად თუ რამეს გაიგონებდა ორბელიანი. არც ერთი მთაგანი არ ეს‍ერავთვალ შეხვედრას.

თამარს ვაჟი შესძენოდა და ისიც ახალციხეში ცხოვრობდა. უკვე მოწიფული ვაჟაცი იქნებოდა. რამდენჯერმე შეუთვალა სულხან-საბამ: შვილი გამომიგზავნე, ალვზრდი, კაცად გავდი, თბილისში ბევრს რამეს კარგს შეიძენსო, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ისე უნდა მომკვდარიყო, შვილი ერთხელაც არ უნდა ენახა... ორბელიანის ფიქრებივით ნელი მიედინებოდა მტკვარი. ქვაშხეთელი და ტაშისკრელი ვლეხები ბადით თევზობდნენ.

გრიგოლ გუდაძეს თითქმის ყოველ დღე შემოჰქონდა ორბელიანებისათვის განიერ ლავნარზე ლამაზად დაწყობილი მოერწა, ციმორი, ცოცხალი, პატარა დოქით ქვაშხეთელი მომავვო, მსუბუქი ღვინო.

მასპინძელთან ზშირად ვლეხებიც შემოიკრებოდნენ ხოლმე. ხან რას მოიმაზუნებდნენ და ხან რას, ოღონდ სახელოვანი ორბელიანისათვის შეეგლოთო თვალი...

მზე ჩავიდოდა თუ არა, სულხან-საბა საწერ მაგიდას მიუჯდებოდა და გათენებამდე წერდა. კვლავ და კვლავ ჯერეზდა ერთმანეთის სხვადასხვა ლექსიკონებს, შლიდა დაწერილს და კვლავ წერდა. ბევრჯერ ეგონა — დამთავრდა ლექსიკონიო, და ისევ არ იყოფოდა სამუშაო. მოხუცი აშლაშინებდა შებღალულ ქართულს და ეს იყო მისი ერთადერთი სიხარული... უცხო ენებიდან მრავალად შემოხიზნულიყვნენ უცხო სიტყვანი. გული ეკუმშებოდა მოხუცს, უამრავ თათრულს რომ ხედებოდა ქართულში...

„... .ბადარი — წყალთმენე, ასასი — კერეტონი, ბაყალი — მეხილე, ბელადი — ეტიკეტი, ბეგლარბეგი — პატრიკი, დაბალი — მეკობაკეკი, დალალი — ფერეზეიკი, დიკანბეგი — მსაჯული, ელჩი — დესპანი, ვეზირი — მდივანი, თარეში — მირბიელი, ნაზირი — აბრამადი, სულთანი — იმპარხი, ჩაფარი — მალემსრბოლი, ჭალათი — კაბიკლარი და ქონდაკარი, ჯაზეში მსტოვარი, აზარეფში — ნოღრათო, ჩიხრა — მოთხელი, გულქანდა-ფულრთბარა, დარიჩინი—ეასია ვარაყი ქანდა, ვარჯიში — სეფური, ზაფრანა — ეროკოო, მაშხალა ფალეკა, მიხაკი-ყარამფილი, მურაბა-ბარაბანჯი, ფანარი — ლიფლიფი, ქაფი-ბური ქალაქარი-ქიტო, ყალბი-ბროშა, ჩაი-თერმონი, ხალიჩა-ძოლო, ჯაყვა-ცილი, ბარათი-ავთრათი...“

გადიოდი დრო. ხანდახან ორბელიანს კვლავ მოეწვენებოდა, დამთავრდა ლექსიკონიო და ნელი მოიწმენდდა დასივებულ, გაწითლებულ კუთუთიებს.

ოროოდ დღეს შეისვენებდა და კვლავ იჭვის ვია შეეპარებოდა სულში — ვაითუ, გამორჩა რაშე, ვაითუ...

„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოთა ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხვდი თქვენთანას დასარწუნოთა. ეს რა შეეპარიბე, მიქებდნენ მაშინ, აწ გასაგდენოთა. და ყურდგელს გამდრეკესა ჯორაკს ძაღლსა არ სდებენ საძაბუნოთა ამ ლექსიკონნი არ იყო დაცდაკარგათ ქართველთა, უკრძალველობით ფურცელი გაებნაიყე ქარ ვეღთა. ახლად შეეპარიბე, შეეაწყე, ჩემი გიშრიმე სულ ხანი და საბამ ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანო“.

...ქართველი, მამაპაპისეული სიტყვები ხალხისაგან ამოეკრიბა ორბელიანს და ხალხი უნდა გამდღარიყო მისი ლექსიკონის მსაჯული. შიში იპყრობდა მოხუცს: ვაითუ აქაც მომუხლოს ბედმა, ვაითუ... გულზე მოწოლილი შიშს კვლავ მუშაობაში ჩკლვდა, მუშაობით უკუაგდებდა იქვისა და ორეოფობის ურჩხულს.

გამოხდა ხანი და ქვაშხეთს ამბავი მოვიდა — მეფე ვახტანგს შაჰმა ტახტი დაუბრუნა და ტაკვედოფოფილი მეფე თბილისს დაბრუნდაო. მერე კვლავ მოვიდა ამბავი: ვახტანგმა მაჰმადინობა მიიღო, მხოლოდ ფინდაცეკეთაზე უარი თქვაო. როგორც ჩანდა, ვახტანგ VI იძულებული გახდა შეგუებოდა გარდუვალ უბედურებას, შაჰის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და ამ გზით კვლავ დაებრუნებინა ტახტი. მეფე თბილისს კი დაუბრუნდა, მაგრამ ქვეყანა სულ ერთიანად აშლილ-აწეწილი და გაფრანებული დახვდა.

თავად მეფეც ის აღარ იყო, როგორიც ხალხს ახსოვდა. კაეშანსა და განცდილს გაეტეხა მგრძნობიარე სული, მის ყოველ ნაბიჯსა და მოქმედებას დაბნეულობა და გაუბედაობა ეტყობოდა.

თავდაჯერილი, ზრდილი ვაჟკაცი უმალ ღიზიანდებოდა, წონასწორობას ჰკარგავდა და ზშირად ავს კეთილისაგან ვეღარ არჩევდა. გამოფიზზლების წუთები კი მეტად ძნიმე და მეფისათვის შეუფურებლად დამამცირებელი იყო.

თავგასულ კარისკაცებსა და ხმვადასხვა ჯურის მედროვეებს კარგი ამნნდი დაუდგამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც რა სურდა, იმას აკეთებდა და ისედაც დარღვეულ ქვეყანას უფრო წეწდა და ანიავებდა.

ახლა, როგორც არასდროს, მეფესა და ქვეყანას გამოცდილი და კეთილი მრჩეველი სჭირდებოდა.

ვინ? ისევ სულხან-საბა ორბელიანი?

შერიგებისაკენ პირველი ნაბიჯი კვლავ ვახტანგმა გადადგა.

...ხალმოთი გრიგოლ გუდაძის სახლს მალე მსრბოლი მოადგა. მოხუც ორბელიანს მეფის სალამი და პატარა ხურჯინში ჩალაგებული ხელნაწერები გადასცა...

...ჯერ კიდევ ზაპის კარზე გამგზავრებამდე მოგზადდა მწიგნობარმა მეფემ ძველი ინდური ოგივ-არაკების კრებულის — „ქილილა და დამანას“ თარგმნის ხელი.

ორბელიანი გულისყურით ადევნებდა თვალყურს მოწყობის შრომას. „ქილილა და დამანა“ მხოფლიოს მრავალი ენაზე იყო ნთარგმნი. უწონ ქართულადაც ყოფილა ეს წიგნი, მაგრამ ავბედით ეამს თან წარუტანია ქართული პირი და ვახტანგი თავიდან შეუდგა თარგმნას. ზაპის კარზე გამგზავრებამ ხელი შეუშალა მეფე-პოეტს დაესრულებინა ჩანაფიქრი მხოლოდ შავად თარგმნა მოესწრო.

ახლა კი... როგორც ჩანდა, მეფეს არც დრო და არც ხალისი ჰქონდა დაწყებულის დასამთავრებლად, ხოლო ამოდენა შრომის წყალში გადაყრა და შთამომავლობისათვის დაკარგვა არ უნდოდა.

„...ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემოიანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრეთვე ქართველად ლექსები ჩართვა“, — წერდა ვახტანგი მოხუც მასწავლებელს.

ხაქმის გადადება არასდროს ყვარებია ორბელიანს და აბა ახლა რა ღმერთი გაუწყრებოდა — საყვარელი, განაწამები შეგარდის თხოვნას უარს როგორ ეტყოდა. კარგად იცოდა გამოცდილმა მწერალმა, რომ „...სხვას ენის წერნი სხვას ენაზედ, თუ არ კი მცოდნარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წონა უკან უნდა მიიყვანოს და ზოგან ართრონი ან მიუმტოს, ან დააკლოს, თვარად სწორადეე ეგვმარი მოვა“...

..დღეთიდეე იჩალხებოდა და კოხტავდებოდა „ქილილა და დამანა“. ფიფქს ორბელიანსაც წლები მოაკლდაო — უფრო მხნედ დაარებოდა, ტყეში სიარულსაც მოუხშირა, თოქოს სასიცოცხლო ახალი ძარღვი გაუჩნდაო. მუშაობიდან გადაღლილი მოხუცი ქვიშხეთელი ელეზების ბავშვებს შემოიკრებდა, ალვაზზე დასხმადა და მონდომებით ასწავლიდა წერა-კითხვას.

პატარა შეგარდების რიცხვი დღითიდღე მატულობდა. ბალღები ტაშისკარიდან და რვალიდანაც დაიარებოდნენ. მალე მოხუცმა მეცალინეობა ორ წყებად დაანწია... ხოლოს ღობეებსა და სახლების კედლებზე კიბეკვით, ჯერ კიდევ გაუბედავი ხელით დაწერილი სიტყვები გაჩნდა: „ბალახი“... „ილია“... „გოდერძი“....

ვინ იცის, ამაზე ბედნიერი წუთები ორბელიანს თავის სიცოცხლეში ეგება არ გასუფდა. ასოებიდან სიტყვები ჩნდებოდა, სიტყვებიდან — წინადადებები. ბავშვებს გაკვირვებული და შეშინებული თვალები ჰქონდათ: მოხუცს კი შეუშინებელად ეღიმებოდა.

შებინდებისას ძმები ორბელიანები ლექსიკონს ჩაჰკირკიტებდნენ.

●

უბედურებას მიჩვეულ თბილისს გოდებისა და მოთქმის თავიც აღარა ჰქონდა.

გაუფიფხულდა თუ არა, დადნა თუ არა თოვლი მთებში, ქალაქს მაჰმადაყულიხანის მიერ დაქირავებული ლეკები შემოესივნენ. ველური ყიჟინით დააჯენებდნენ გაკაფულ ტაიებს, გასისხლიანებულ ხელის ტანებს ეჭიდნენ, ძოძუმწოვარა ბალღებს ცეცხლში ისროდნენ. კვამლსა და ალში გაეხვია თბილისი. ზარი და ჯლოვა დამთავრებული არ იყო, ნაოხრალი ჯერ კიდევ ეჭიეზში ეყარა, თბილისსა და შიდა ქართულ ოსმალთა პირისხლიანი ჯარი შემოასკედა.

...ვახტანგ მეფე იმერეთს გაიხიზნა. იქიდან კი თავის მოკავშირესთან, პატრე პირველთან აპირებდა გადასვლას.

...ათას სამასამდე კაცი, მოწონავე ქართველობის ნაწილი, თან გაჰყვა ვახტანგ მეეკვსეს. მათ ხაკართველო დატოვეს 1724 წლის ზაფხულში...

...შეძინწეულებული, თავზარდაცემული ორბელიანი ადგილს ვერ პოულობდა. რა გაჩერებდა შინ. ვერც ავადმყოფობამ, ვერც სიბერემ, ვერც სოფლის უმადურობამ ვერ დაჰბა იგი ადგილზე.

„მეფეს გაუჭირდება უჩემოდ... კინკლაობის დრო არ არის... პატრე პირველ მე თავად ვეახლები... ამჟამად მხოლოდ რუსეთს შეუძლია ერთმორწმენე ხაკართველოს ხსნა“...

...ხამშობლოდან გადმოხვეწილი ქართველები ხოლაღის ციხეში შეჩერდნენ. ვახტანგ VI პატრე პირველს მისწერა: ბრძანება ჰქონ ამ დგვეზედ, ვეღარ გავბედეთ და ვართ აქ დიდებულის ბრძანებლის მაყურებელნინო.

ვახტანგის წერილი რუსეთს ვახტანგ ამილახვარმა და ფრანგიხტან თოქაჩისანიშვილმა წაიღეს. ეს მოხდა 1724 წლის 5 სექტემბერს, ხოლო 12 სექტემბერს ხოლაღიდან მოსკოვს მეორე პატარა ჯგუფი გაემგზავრა.

გურამ ხარაძე

ამბავი ჩემი ფინაპრისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალ-მაიორ კროპოტოვის „ორდერში“ ჩამოთვლილია ჯგუფის წევრები: თავადი ორბელიანები, მონაზვნები — საბა და ზოსიმე, აზნაური ინთეევი, მათთან მსახური ბალა, არქიმანდრიტი არსენი, მასთან მისი ძმა აზნაური რომანი, დიაკვანი დავითი, მათი მოსამსახურე არტემონი... დიპლომატიაში დახელოვნებულ ორბელიანს გადაწყვეტილი ჰქონდა, ვახტანგ მეფის ჩასვლამდე ვეახლები არჩილ მეფის ასულს, ბატონიშვილ დარეჯანსო (მისი გავლენა საიმპერატორო კარზე და პეტრე დიდთან მის ახლოს ურთიერთობაზე არაერთხელ სმენია ორბელიანს.).

...პაპარა ჯგუფი ვიწრო ბილიკებით მიპყვებოდა რუსეთისაკენ მიმავალ გზას. შესვენების დრო აღარ იყო: ხეობაში თერგი ღრიალებდა მყინვარწვერი ლაპლაპებდა მზის სხივებში და უცებ...

...ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ორბელიანი გონს რომ მოვიდა. ძლივს წამოსწია ნაგვემი ბეჭები: ჯიბეები ამოებრუნებინათ. დაცარიელებული ხურჯინები ქვებზე იყო მიმოფანტული. ჯგუფის სხვა წევრები ხელსახოცებით იწმენდნენ დასისხლიანებულ პირსახეს. ალმართზე კი მძარცველ მთიელთა ცხენების თქარათქური ისმოდა...

...გზას ბოლო არ უჩანდა. მთები უკიდეგანო ტრამალებმა შეცვალა.

მოხუცს გამოუმებული შიშშილი აწუხებდა. არქიმანდრიტ არსენს სარჩოდ დღეში 25 კაპიკი ეძლეოდა, სულხან საბა ორბელიანს კი ხუთად ხუთი კაპიკი...

...საბოლოოდ გაგაცდა ბერმუხა ორბელიანის ჯანმრთელობა. 1724 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, თხელ ანაფორიანი სულხან-საბა თოვლიან მოსკოვს მიადგა. ის კი მოახერხა სნეულმა, რომ მეორე დღეს საგარეო საქმეთა კოლეგიის კანცორაში გამოცხადებულიყო ბატონიშვილ დარეჯანის სასახლეში, სოფელ ვსესვიატსკოში („სესენცკაში“) ლოგინად ჩავრდა. ცოტა ხნის შემდეგ კი გრძნობა დაკარგა. არ გაუგია მოხუც გოლიათს, რომ მისმა თხოვნის პარათმა და დარეჯან ბატონიშვილის რუდუნებამ თავისას მიაღწია — ვახტანგ მეექვსეს პეტრე პირველი პეტერბურგში ელოდებოდა...

1725 წლის 26 ივნვარს (ძველი სტილით) ზოსიმე ორბელიანმა უფროს ძმას თვალები დაუხუჭა...

სიკვდილის წინ მოხუცი ბორგავდა, წამოდგომას ლამობდა და გაფითრებული ტუჩებით რაღაცას ჩურჩულებდა. ზოსიმემ გაარჩია კიდეც მომაკვდავის ჩურჩული:

ვაჰ, სოფ...

სადაურსა სად...

„საბა მიიცვალა დიდს მოსკოვს, სესენცკას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში და იმავე საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თან-წყოლითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანისათა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის ეერიდიანები

სერგეი ესენინი

●

შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე
მე, ჩრდილოეთის მიწის ვარ შვილი,
მზად ვარ გიამბო ზღაპარი ტკბილი,
მთვარით შვერცხლილ ჭვავის ყანაზე,
შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე.

მე ჩრდილოეთის მიწის ვარ შვილი,
იქ ასჯერ უფრო დიდია მთვარე,
თუმც ლამაზია შირაქის მხარე
ჩემი სამშობლო უფროა ტკბილი.
მე, ჩრდილოეთის მიწის ვარ შვილი.

მზად ვარ გიამბო ველთა ზღაპარი,
ჭვავს დავესესხე ხუჭუჭი თმები,
თუნდ კულულები წვწე თითებით
ტკივილს ვერ ვიგრძნობ, ტრფობით
დამტკბარი,
მზად ვარ გიამბო ველთა ზღაპარი.

ჭვავის ყანაზე ზღაპარს შაგანე,
მოგიყვებიან თვით ჩემი თმები.
შემომაფრქვიე ღიმილი გზნებით;
მხოლოდ იცოდე, მთვარიან ღამეს,
ნუ გამახსენებ მღელვარე ყანებს.

შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!
იქ, ჩრდილოეთში, ერთი ქალწული
შენ საოცრად გგავს წარბგადაწნული,
ჩემზე ფიქრებში დღეებს აღამებს,
შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე.

●

გიცქერ და სევდით მევსება სული,
გულში გამივლის ტკივილი მწარე.
გვერგო ტრირფის სიყვითლე სრული
საშემოდგომოდ განწყობილ მგზავრებს.

სხვათა ტუჩებმა უხვად გაფანტეს
შენი სხეულის ორთოლვა და სითბო.
ახლა შენს სულში მზე არ ანათებს,
ახლა შენს სულში წვიმა სცრის თითქოს.

და მაინც შიში არა მაქვს ბედის,
სხვა სიხარულის გამეხსნა ფარდა.
არა დარჩა რა: უღვივი სევდის,
სიყვითლისა და სინესტის გარდა.

მეც დავიფერფლე ვნებათა გზნებით,
წყნარ ცხოვრებაზე ვოცნებობ მხოლოდ.
ძალზე ცოტაა განვლილი გზები,
ხოლო შეცდომებს არ უჩანს ბოლო.

შუღლი და დავა წილად გვხვდა ბედით.
სასაცილოა წუთისოფელი.
სასაფლაოს ჰგავს ბაღების ხედი
გაღრღნილ არყის ხის ძელებით მოფენილს.

დრო გაივლის და დავჭკნებით ყველა,
ბაღის სტუმრებად გავიშრიალებთ.
ზამთრად თუ ვერ ვჭერეტთ ყვავილებს
ველად,
ნუ დავღონდებით, ნუღარ ვინაღვლებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავტოვე სახლი, მშობელი მხარე,
ვერ ვხედავ ცისფერ რუსეთის მთა-ველს,
ხამი არყის ხე ტბის პირას მდგარი
მოხუც დედაჩემს უქარვებს ნაღველს.

მთვარე ოქროსფერ ბაყაყს წაგავს,
წყლის ზედაპირზე გულმშვიდად მძინარს,
ვაშლის ყვავილს რომ ფერი გადაკკრავს, —
მამის ჭაღარა წვერებზე ბრწყინავს.

არ დავბრუნდები მე დიდხანს, მგონი,
დიდხანს იმეფებს ქარბუქი ველად,
ხე ნეკერჩხლისა, ცალ ფეხზე მდგომი,
მეგულვის ცისფერ რუსეთის მცველად.

და სიხარულით მიტომ ვარ მთვრალი,
იმიტომ ვკოცნი ფოთოლთა წყებას,
რომ მშობლიური ის ნეკერჩხალი
აქოჩრილ თმებით ოდითგან მე მგავს.

●

არის ხორასანში კარები სპარსული
ზღურბლთან მობნეული წითელი ვარდები,
იქ ცხოვრობს ფერია ფიქრებში წასული
არის ხორასანში კარები სპარსული,
მსურდა და ვერ შევძელ გაღება კარების.

მკლავებში ძალა მაქვს თუმცა საკმარისი
და თმაშიც ოქრო და ბრილიანტი ბევრი მაქვს,
ფერიას სახე აქვს ნაზი ვით ნარგიზი,
მკლავებში ძალა მაქვს თუმცა საკმარისი,
მაინც ვერ შევძელი კარების გაღება.

რად მინდა, რას მარგებს ტრფობის სიმამაცე,
ან ვისღა ვუმღერო არ მსურს სხვა ქალები.
როდესაც შაგანე სულაც არ მაფასებს,
რად მინდა, რას მარგებს ტრფობის სიმამაცე?
ვერ იქნა, ვერ შევძელ გაღება კარების.

დროა დავუბრუნდე მშობლიურ ველ-მინდვრებს.
გადაწყდა, მივდივარ, ნამდვილად ასეა.
გტოვებ სამუდამოდ, სპარსეთო შემინდე.
ეს გული სამშობლოს ტრფიალით სავსეა!
დროა დავუბრუნდე მშობლიურ ველ-მინდვრებს.

მშვიდობით ფერიავ, მშვიდობით ძვირფასო!
თუმცა ვერ გავაღე სასახლის კარები,
ეს გული ლამაზმა განცდებმა აღავსო,
მივდივარ, მომყვება თან შენი თვალები,
მშვიდობით ფერიავ, მშვიდობით ძვირფასო!

რუსულიდან თარგმნა **ზურაბ გაბუნიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი შემთხვევა

მომხდარიყო შეიძლება.
მოხდებოდა კიდეც.
მოხდა უფრო ადრე. უფრო გვიან.
უფრო ახლოს. უფრო შორს.
მოხდა, მაგრამ — შენ არ შეგემთხვა.

გადარჩი, რადგან პირველი.
გადარჩი, რადგან უკანასკნელი.
რადგან თვითონ, რადგან ხალხი.
რადგან მარჯვნივ. რადგან მარცხნივ.
რადგან წვიმდა. რადგან ჩრდილი იყო.
რადგან მზე ანათებდა.

საბედნიეროდ, ტყე იყო იქ.
საბედნიეროდ, ხე არ იყო იქ.
საბედნიეროდ, — რელსი, კაუჭი, დირე,
მუხრუჭი,
ნიში, მოსასხვევი მილიმეტრი, წამი.
საბედნიეროდ, ხავსი ტივტივებდა წყალში.

საბოლოო ჯამში, იმიტომ რომ,
მიუხედავად ამისა, და მაინც,
რა მოხდებოდა, რომ ხელი, ფეხი,
ერთი ნაბიჯით, ერთი ბეწოთი
გარემოებათა დამთხვევისაგან.

მაშასადამე, არსებობ? ჯერჯერობით
დაუძვერი წამს?
ბადე ერთუჯრედიანი იყო და შენც — იმ
უჯრედში?
არ შემიძლია გაკვირვება, დამუნჯება ამით.
ყური უგდე,
რა გამალებით მიცემს
შ ე ნ ი გული.

ს ა დ გ უ რ ი

ჩემი არჩამოსვლა ქალაქ №-ში
ზუსტად მოხდა.

შენ გაფრთხილებული იყავი
გაუგზავნელი წერილით.

მოასწარი არგამოცხადება
დათქმულ დროს.

მატარებელი მესამე ლიანდაგზე ჩამოდგა.
ბევრი მგზავრი ჩამოიყვანა.

მგზავრებს შორის გასასვლელისკენ
მიემართებოდა
არყოფნა ჩემი პიროვნების.

ამდენიმე ქალმა აჩქარებით
შემცვალა
ამ ფაცა-ფუცში.

ერთ მათგანს ვიღაცა ეცა
ჩემთვის უცნობი,
მაგრამ ქალმა იცნო იგი
იმწამსვე.

მათ გადაპკოცნეს ერთმანეთი
არაჩვენი კოცნით.
ამასობაში მოიპარეს
არაჩემი ჩემოდანი.

ქალაქ №-ის სადგურმა
კარგად ჩაბარა გამოცდა
ობიექტურ არსებობაში.

მთავარი ადგილზევე რჩებოდა.
წვრილმანები მოძრაობდნენ
თავიანთი მიმართულებით.

დანიშნული შეხვედრაც კი
შედგა.

ჩვენი ყოფნის
ფარგლებს იქით.

ალბათობის
დაკარგულ სამოთხეში.

სადღაც სხვაგან,
სადღაც სხვაგან.
რა უცნაურად ისმის ეს სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდისფერი ყური

მე მეგონა კარგად ვიცნობდი ამ ქალს
დიდი ხანია ერთად ვცხოვრობდით
ვფიცნობდი მის ნისკარტა სახეს
თეთრ მხრებს
მუცელს

სანამ ერთხელ
ზამთარში საღამო ხანს
წინ არ დამიჯდა
და ლამფის შუქზე
რომელიც უკნიდან ანათებდა
დავინახე
მისი ვარდისფერი ყური

კანის სასაცილო ნაჭერი
ფორთოხლის ლებანი
ნიჟარა რომლის შიგნით
ცოცხალი სისხლის არსება მოძრაობდა

მაშინ არ მითქვამს არაფერი

კარგი კი იქნებოდა
ლექსი დამეწერა ვარდისფერ ყურზე
ისეთი კი არა ვინმეს რომ ეთქვა
აირჩია ამანაც თემა
ორიგინალობს ვიღაცაა.

ისეთი რომ არავის გასცინებოდა
რომ გაკვირვებულიყო ყველა
ჩემი აღმოჩენით
მაშინ არ მითქვამს არაფერი

ღამით კი როცა ლოგინში ვიწექით
ვარდისფერ ყურს
ტუჩებით ვეხებოდი
ეგზოტიკურ გემოს ვუსინჯავდი
და მიხაროდა

ქვეყანა

ამ ძველისძველ რუკაზე პატარა ქვეყანაა, რომლის გახსენება ცუდ გუნებაზე მაყენებს. ეს გახლავთ ვაშლის, მთაგორების, ზანტი მდინარეების, მწკლარტე ღვინოების და სიყვარულის სამშობლო. სამწუხაროდ, დიდმა ობობამ აბლაბუდაში გაახვია იგი და თავისი ლორწოვანი ნერწყვით ოცნების ყველა მისასვლელი ამოლესა.

ახეა მუდამ: ანგელოზი ცეცხლის მახვილით, ობობა, სინდისი.

შეშლილი დედაკაცი

მაჩი ანთებული მზერა ისე მაგრა ჩამჭიდებია, თითქო გულში ვყავდე ჩახუტებული. ლაპარაკობს სიზმარეულ სიტყვებს. მეპატიჟება. ბედნიერი იქნები თუ დამიჯერებ და შენს ურიკაში ვარსკვლავს შეაბამო. თვინიერია, როცა ღრუბლებს ძუძუს აწოვებს, მაგრამ სიმშვიდეს რომ კარგავს, ზღვის სივრცეს გამალებით თავს ეკლება და ცისკენ ხელებს იშვერს.

მის თვალებში, ჩემს გვერდით, ორ ანგელოზს ვხედავ: ირონიის ფერმკრთალ ბოროტ ანგელოზს და შეზარხანიის ძლევამოსილ კეთილ ანგელოზს.

მიცვალებულები

ბნელ და გაუნიავებელ სათავსოებში რომ არიან გამომწყვდეული, იმიტომაც აქვთ ასე საფუძვლიანად გადაბრუნებული, ცუდ პირზე შეკერილი სახეები. ძალიან უნდათ დალაპარაკება, მაგრამ ტუჩები მიწამ შეუჭამა. ღროდადრო, მუჭებში ჰაერს ბღუჯნიან და უხერხულად, ძუძუთა ბავშვებივით, თავის წამოწევას ცდილობენ. მათ არაფერი არ ახარებთ: არც ქრიზანთემები, არც სანთლები. ვერაფრით ვერ შეეგუნ თავის მდგომარეობას — საქმის ასეთ მდგომარეობას.

პოლონურიდან თარგმნა **მიხეილ ქვლივიძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ თეატრებში

უილიამ შექსპირი

ამაო გარჯა სიყვარულისა

სურათი II. პარკი.

(შემოდიან არმადო და მისი პაჟი, ფარვანა).

არმადო

ბიჭუნა, რაზე ეტყობა დიდსულოვან ადამიანს მელანქოლია?

ფარვანა

პირველ ყოვლისა, იმაზე, რომ მოწყენილია.

არმადო

ეს ხომ ერთი და იგივეა, ჩემო პაწიავ.

ფარვანა

არა და არა; ისევ არა, ჩემო ბატონო.

არმადო

მერედა რითი ანსხვავებ ნაღველსა და მელანქოლიას, ნაზო ბაბუკო?

ფარვანა

ურთიერთმსგავსი გამოვლინებით, უხეშო სენიორ.

არმადო

რატომ უხეში სენიორი? რისთვის უხეში სენიორი?

ფარვანა

რატომ ნაზი ბაბუკი? რისთვის ნაზი ბაბუკი?

არმადო

ასე იმიტომ მოგმართე, ნაზო ბაბუკო, რომ ეს ეპითეტი ესადგება შენს ნორჩ ასაკს, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ნაზი.

ფარვანა

მეც იმიტომ დაგიძახეთ უხეში სენიორი, რომ ეს გამოთქმა შეეფერება თქვენს მცოცავ ასაკს, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ უხეში.

არმადო

მშვენიერია და მოხდენილი.

ფარვანა

რისი თქმა გსურდათ, სერ? მშვენიერი ვარ და მოხდენილად ვლაპარაკობ თუ მოხდენილი ვარ და მშვენიერი ლაპარაკი ვიცი?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმადო

შენ მშვენიერი ხარ, როგორც პატარა.

ფარვანა

პატარათი ვყოფილვარ მშვენიერი, რადგან პატარა ვარ. მოხდენილი რაღაზე?

არმადო

მოხდენილი იმიტომ, რომ მოკნილი ხარ.

ფარვანა

საკვებრად მეუბნებით ამას, ჩემო ბატონო?

არმადო

გაკვებ, რამდენადაც დაიმსახურე.

ფარვანა

ახე გველთევზასაც შევაკვებდი.

არმადო

ნუთუ გველთევზა საზრიანია?

ფარვანა

გველთევზა მოკნილია.

არმადო

მე იმის თქმა მინდოდა, სიტყვა-პასუხი გაკვს მოკნილი, პირდაპირ სისხლს მიდუღებს.

ფარვანა

ეს უკვე ნამდვილი პასუხია, სერ.

არმადო

მეჯავრება, როცა ვინმე ამეტუზება წინ.

ფარვანა

(განზე)

სულ საპირფარეშოს ლაპარაკობს: ეტყობა, ჯვრის ტუზები არა სწყალობენ.

არმადო

მეფეს სიტყვა მივეცი, სამ წელიწადს ვისწავლო მასთან ერთად.

ფარვანა

თქვენ ერთ საათში შესძლებდით ყველაფრის სწავლას, სერ.

არმადო

შეუძლებელია.

ფარვანა

მითხარით, რამდენი იქნება სამჯერ ერთი?

არმადო

ანგარიში არ მეხერხება, ეგ მედუქნის საქმეა.

ფარვანა

თქვენ თავადიშვილი და მოთამაშე ბრძანდებით, სერ.

არმადო

უნდა ვალიარო, ორივე ვარ; ერთიცა და მეორეც ამშვენებს სრულყოფილ ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარვანა

მაშ მე დარწმუნებული ვარ გეცოდინებათ, რამდენია ერთად ორიანი და ტუზი.

არმადო

მათი ჯამი ერთით მეტი იქნება ორზე.

ფარვანა

ის, რასაც მდაბიურად სამს ეძახიან.

არმადო

სწორია.

ფარვანა

ხედავთ, სერ, რა იოლად ითვისებთ. სამამდე დათვლა ისე ისწავლეთ, სამჯერ არ დაგიხამხამებიათ თვალი, ახლა სულ ადვილია სიტყვა „სამს“ მივუყენოთ სიტყვა „წელი“ და სამ წელს ორ სიტყვაში ვისწავლით, ამას მოცეკვავე ცხენიც გეტყვით .

არმადო

ზედმიწევნით ზუსტი გამოთვლაა!

ფარვანა

(გვერდზე)

როშლითაც ნული გამოდიხარ.

არმადო

შემდგომ ამისა უნდა გამოგიტყდე, რომ შეყვარებული ვარ. და რამდენადაც მეომარი კაცისათვის დამამდაბლებელია მიჯნურობა, იმდენად მდაბალი არსებაა ის ქალი, ვინც მე მიყვარს. ხმალი რომ მეშიშვლა სიყვარულის სალმობათა დასათრგუნად და აღვირახსნილ ფიქრთაგან დამეხსნა თავი, საკუთარ ვნებას შევიპყრობდი და ვინმე ფრანგ კარისკაცს შევაძლევდი რაიმე ახალგამოგონებული თავაზიანობის სანაცვლოდ. მძაგს ოხვრა და კვნესა; ვფიქრობ, არ გამიჭირდება კუპიდონის აღკვეთა. დამაშშმინე, ბიჭუნავ, დამისახელე დიდი ადამიანები, შეყვარებულები რომ იყვნენ.

ფარვანა

პერაკლე, ბატონო!

არმადო

ო, უნეტარესი მერაკლე! მეტი მაგალითები მჭირდება, ძვირფასო ბიჭუნა, მეტი განთქმული სახელები. ისეთები, ჩემო უმაწვილო, გავლენა და წონა რომ ჰქონდეთ.

ფარვანა

სამსონი, ბატონო ჩემო! იმას მართლა ჰქონდა წონა და საკმაო წონაც. შეეძლო ქალაქის კარიბჭე მოეგდო ბეჭებზე და წაელო. ისიც შეყვარებული იყო.

არმადო

ო, რვალად ჩამოსსმულო, მტკიცედ აღნაგო სამსონ! მე გჯობნი რაპირის ხმარებაში, როგორც შენ კარიბჭის ზიდვაში მჯობებდი. ვინ უყვარდა სამსონს, ძვირფასო ფარვანავ?

ფარვანა

ქალი, ბატონო ჩემო!

არმადო

რანაირი ტემპერამენტის?

ფარვანა

ოთხივესი ან სამის, ან კიდევ ორის, ან ერთის იმ ოთხიდან.

არმადო

ზუსტად მითხარი, რანაირი ტემპერამენტი ჰქონდა.

ფარვანა

ზღვის წყალივით მწვანე, სერ.

არმადო

მერედა ოთხ ტემპერამენტში ასეთი ურევია?

ფარვანა

თავად წამიკითხავს, სერ. თანაც ყველაზე უმჯობესია.

არმადო

მწვანე, რა თქმა უნდა, სიყვარულის ფერია, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ფერის მიჯნური მაინც არ უნდა შეერჩია სამსონს. ალბათ ჭკუის გამო უფრო შეიყვარა ის ქალი.

ფარვანა

სწორი ბრძანებაა, სერ. იმ ქალს მწვანე ჭკუა ჰქონდა.

არმადო

ჩემს შეყვარებულს უბიწო თეთრი და წითელი ფერი დაკრავს.

ფარვანა

ჭრელი ფერების მიღმა, ჩემო ბატონო, ჭრელი ზრახვები იმალება.

არმადო

ამიხსენი, კარგად ამიხსენი, ჩემო ღრმად განსწავლულო ბიჭუნა.

ფარვანა

მამაჩემის გონებავ და დედაჩემის ენავ, შემწედ მეყავით!

არმადო

რა ტკბილად ღაღადებს ბალღი, რა ამოდ და აღგზნებით.

ფარვანა

ვისაც სახეზე ფერი ადევს წითელი, თეთრი,
ვერ შეატყობენ თუ რამე სცოდა;
გაფითრებაა შიშისა და შეკრთომის ხვედრი,
ლოყებს აწითლებს სირცხვილი ცოტა.

ცოდვის ალმური აღბეჭდილა თუ შიშის ზაფრა,
ვერას შეატყობ დაღლილი ცქერით,
დაბადებიდან ერთდროულად სახეზე აკრავს —
სიწითლე, ფითრი — ორივე ფერი.

ფრიად დამფიქრებელი ლექსი გახლავთ, ბატონო, თეთრი და წითელი ფერების თაობაზე.

არმადო

მითხარ, ბიჭუნა, გსმენია მეფისა და მათხოვრის ბალადა?

ფარვანა

სამი საუკუნის წინათ დაიდო ქვეყნიერებამ საამისო ცოდვა, ეგ ბალადა მაშინდელია. მეეჭვება, ამჟამად იპოვოს კაცმა; რომც აღმოჩნდეს სადმე, არა მგონია, ტექსტმა ან მოტივმა რაიმედ ივარგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმაღი

მე მინდა, ახლებურად დავამუშავო ეს სიუჟეტი, რათა ჩემი უკანდახევა შთამაგონებელი მაგალითით გავამართლო. ბიჭუნა, მე მიყვარს სოფლელი გოგო, იმ მოლაპარაკე ცხოველთან, გოგრასთან რომ შევიხწარი პარკში. იგი ნამდვილად ღირსია.

ფარვანა

(გვერდზე)

გაროზგვისა; ან უკეთესი მიჯნურისა, ვიდრე ჩემი ბატონია,

არმაღი

მიმღერე, ბიჭუნა, ჩემი სული სიყვარულმა დაამძიმა.

ფარვანა

ძალზე გასაკვირია, თქვენ ხომ ხაკმაოდ მსუბუქი ქალი გიყვართ.

არმაღი

იმღერე-მეთქი, გეუბნები.

ჯერ კეთილ ვინებოთ და ეს ხალხი გავატაროთ.

შემოდიან რეგვენი, გოგრა და ქაკნეტა.

რეგვენი

სერ, მისი უდიდებულესობის სურვილია, რომ თქვენ გაუწიოთ ,ოგრას მეთვალყურეობა; თავის ნებაზე არ მიუშვათ და ნურც სულს ამოხდით; ისე გაიკეთეთ, რომ კვირაში სამი დღე იმარხულოს. რაც შეეხება ამ ქალბატონს, პარკში უნდა დავიტოვო; მეძროხედ გაამწესეს. კარგად ბრძანდებოდეთ.

არმაღი

სიწითლით გავცემ თავს, ქალიშვილო!

ქაკნეტა

რაო, მამაკაცო!

არმაღი

ბოსელში მოგაკითხავ.

ქაკნეტა

აქვეა, ახლოს.

არმაღი

ვიცი, სადაც არის.

ქაკნეტა

რა ჭკვიანი ბრძანდებით, ლორდ.

არმაღი

საოცრებებს მოგიყვები.

ქაკნეტა

მაგ სახით?

არმაღი

მე შენ მიყვარხარ.

ქაკნეტა

მომისმენია ეგ სიმღერა.

არმაღი

მაშ ახე, ნახვამდის.

ჟაკნეტა

გზაც იქით გკონია.

რეგვენი

წამო, ჟაკნეტა, დავიძრათ.

(რეგვენი და ჟაკნეტა გადიან)

არმადო

არამზადავ, იმ შენი ცოდვების გამო მანამ უნდა იმარხულო, სანამ პატიებას ელირსები.

გოგრა

კეთილი, სერ, იმედი მაქვს, მარხვას ცარიელი კუჭითაც შევინახავ.

არმადო

მძიმე სასჯელი გელოდება.

გოგრა

ამის გამო მე უფრო მადლიერი დაგრჩებით, ვიდრე თქვენი შინაყმები, ასე მსუბუქ განამრჯელს რომ აძლევთ.

ერმადო

წაიყვანე ეს არამზადა და ჩაამწყვდიე.

ფარვანა

აბა, წამოდი, კანონის დამრღვევო მონავ.

გოგრა

ნუ დამამწყვდევ, სერ; თავისუფალი შევინახავ მარხვას.

ფარვანა

არა, სერ, სად გაგონილა მარხვა და თავისუფლება. შენ ციხე გელოდება.

გოგრა

ასე იყოს. მაგრამ თუ ოდესმე კვლავ ვიხილე ჩემი ნაღველის მხიარული დღეები, ზოგიერთი დაინახავს.

ფარვანა

რას დაინახავს ზოგიერთი?

გოგრა

არა, არაფერს, ბატონო ფარვანა, იმას, რასაც დაინახავენ. ტუსაღს არ მართებს ზედმეტი სიტყვაძუნწობა. ამიტომ არაფერს ვიტყვი. მადლობა ღმერთს, მოთმინება მეც სხვებივით ცოტა მაქვს, ამიტომაც, შემიძლია მშვიდად ვიყო.

არმადო

მე მიყვარს თვით მდაბალი მიწა, რომელზედაც იგი დაიარება, თელლილი მისი კიდევ მეტად მდაბალი ხამლებით, ნაბიჯთა წარსადგმელად მისი ყოველის უმდაბლესი ფეხები რომ წარმართავს. გამიჯნურება ფიცის გაღებას ნიშნავს, ეს კი სიცრუის უმთავრესი ნიშანია. არსებობს კი ქეშმარიტი სიყვარული თუ მას სიცრუე ურევია. სიყვარული ავი სულია, სიყვარული თვით ეშმაა, არ არსებობს უფრო ბოროტი ანგელოსი, ვიდრე სიყვარულია. სიყვარულმა აცოფუნა სამსონი, მას კი გასაოცარი ღონე ჰქონდა; მანვე შეაცდინა სოლომონი, ნამდვილი ბრძენკაცი. კუპიდონის ისარს ჰერაკლეს კვერთხი ვერ გაუძლებს და მითუმეტეს, ესპანელის დაშნა რას დაუდგება. პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი და მეორე სიბაბი გამოსაწვევად არ გამომადგება **passado**[1]-ს იგი უპატივცემულოდ ეკცევა **duello**[2]-საც არად აგდებს; იგი შეურაცხყოფილია, ბალღს რომ ვეძახით, მაგრამ ზეიმობს, რადგან მამაკაცებს იმორჩილებს. მშვიდობით, შემართებავ; ჟანგმა შეგეამოს, დაშნავ; იყუჩე, დაფდაფო; თქვენი პატრონი შეუყვარებულია. დიახ, იგი გამიჯნურდა. მეოხად მეყავ, ჯადოქარო მეუფევ ლექსისა, რადგანაც მწამს, სონეტების შეთხზვას დავიწყებ. გამოიგონე, გონებავ; წერე, კალამო; მზადა ვარ, ვეება ფოლიანტები ავავსო.

(ვადიან)

---

1. დარტყმა, ვარდნა (იტალ.)
2. დუელი (იტალ.)

ინგლისურიდან თარგმნა **ემზარ კვიტაიშვილმა**

გაგრძელება იქნება

ნოდარ კაკაბაძე

„კავკასიური ცარცის წრე“

„ნუ დაგიჯერებიათ თვალები ასე რომანტიკულად“ (ბრეჰტი) ანუ ბერტ ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრის“ რუსთაველის თეატრში დადგმის გამო.

ლიტერატურის ერთი სპეციალისტი ავსტრიელი რომანისტის რობერტ მუზილის შესახებ წერდა, რომ თუ გინდა მას გაუგო და მას მიჰყევ, ლიტერატურაზე არსებული ძველი, მანამდელი წარმოდგენები უნდა დათმო და ისეთ გზებზე გახვიდე, სადაც არ ჰკიდია ძველი, ჩვეული, ძველსა და რბილში გამჯდარი ქუჩაში მოძრაობის აღმნიშვნელი ნიშნებია.

დაახლოებით იგივე ითქმის, ოღონდ დრამის სფეროში, ბერტოლტ ბრეჰტის თაობაზეც: მას რომ გაუგო და „გემოც“ ჩაატანო, საჭიროა ბრეჰტის დრამის თეორიისა და მისი თეატრალური პრაქტიკის ცოდნა და, რაც მთავარია, ანტიილუზიური, ანტიმემეტური თეატრით ტკბობის ჩვევა და ძველი, ტრადიციული, ილუზიური, მიმეტური, ჰეროიკულ-რომანტიკული, მელოდრამატიული და ა. შ. თეატრის მიხედვით შექმნილი ესთეტიკური კატეგორიების დათმობა.

ერთხელ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ელექტროქიმიური კომბინატის თანამშრომელი აღშფოთება და თავისი აღშფოთება გდრ-ის ერთ-ერთ გაზეთში ბეჭდურადაც გამოთქვა: ახალი პოეზია გაუგებარია, არავის ესმის, სპეციალისტებს გარდაო. გდრ-ის ცნობიერმა პოეტმა, პაულ ვინსმა გაზეთისავე საშუალებით უპასუხა თანამედროვე ლირიკის ამ მოწინააღმდეგეს: „ჩვენ დაესხდებით, დაავაჭრენთ პირს, გავაფარეთოებთ ყურებს, თვალებს და ენულტურის ნეტარი ქვეყნის შემშვარი მტრედები პირდაპირ ხახაში შეგვივარდებიან. სკატის თამაშიც კი (ბანქოს ერთ-ერთი სახეობაა ნ. კ.)... შეუძლიათ მხოლოდ იმათ, რომლებმაც იციან მისი წესები“.

ბრეჰტს რომ გაუგო, ბრეჰტის ენა უნდა გესმოდეს, უნდა იცოდე ბრეჰტის დრამის „თამაშის წესები“.

საქართველოში ანტიილუზიურ, ანტიმიმეტურ თეატრს არავითარი ტრადიციები არა ჰქონია. ჩვენში აქამდე ერთპიროვნულად ბატონობდა ილუზიური, მიმეტური თეატრი და განსაკუთრებით ამ თეატრის ჰეროიკულ-რომანტიკული და მელოდრამატიული განშტოება.

ჩვენში ჯერ კიდევ, როგორც ჩანს, ძველსა და რბილშია გამჯდარი რწმენა, რომ ფაქტიურად არსებობს ერთადერთი თეატრი, ერთადერთი თეატრალური სტილი და სკოლა — და ეს არის კლასიკური, ტრადიციული, ემპირიული სინამდვილის ილუზიის შემქმნელი თეატრი, ხოლო ქართული ეროვნული ხასიათისა და ტემპერამენტისათვის თითქოს შესაფერისია მხოლოდ და მხოლოდ ამ ტრადიციული, ილუზიური თეატრის ჰეროიკულ-რომანტიკული განხრა. ამის თაობაზე არაერთხელ დაუწერიათ და ინტერვიუებში ვანუცხადებიათ ჩვენს თეატრალურ მოღვაწეებს.

რომელიმე ჩვენი თეატრალისა თუ რეჟისორის წერილსა და ინტერვიუში ეკითხელობთ ხოლმე: მე რომანტიკულ-გმირული თეატრის მომხრე და წარმომადგენელი ვარო და ამავე დროს საკუთარი გეგმების მეკითხველებისათვის ვაცნობისას შენიშნავს, განზრახვა მაქვს განვახორციელო ბრეჰტის „დედა კურაჟი“ ანდა დიურენმატის „ოხუცი ქალბატონის სტუმრობა“; რომანტიკულობა, საერთოდ, ბუნებრივი ეროვნული თვისებაა ჩვენი ხელოვნებისა, მით უფრო, ჩვენი თეატრისაო; საქართველოში მხოლოდ რომანტიკული თეატრი გაიმარჯვებსო და იქვე, ვერ ამჩნევს რა ვერაფითარ წინააღმდეგობას, დასძენს, ჩვენმა თეატრმა უნდა დადგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარტრი, ბეკეტი, სტრინდბერგი და სხვები; ძალიან სასნაგრესოა „აბსურდული თეატრის“ წარმომადგენელთა პიესებიც.

ჯერ ერთი, იმის მტკიცება, რომ ქართული თეატრი შეიძლება იყოს მხოლოდ ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრი, აცალმხრივება, ალარებს, ზღუდავს ჩვენს თეატრს. მეორეც, ჰეროიკულ-ამაღლებულად შეიძლება ესკილიე, ევრიპიდეს, სოფოკლეს, კორნე�t, რასინის, შილერის, ჰიუგოს და სხვათა დადგმა, მაგრამ რომანტიკული ინტერპრეტაცია აბსოლუტურად შეუფერებელია ბრეშტის, დიურენმატის, ბეკეტის, ფასბინდერის და სხვათა თეატრისათვის. თანამედროვეობის ფასადური დრამატურგიას არა აქვს რომანტიკულ-ამაღლებული შინაარსი და როგორ შეიძლება ანტირომანტიკული პიესების რომანტიკული ინტერპრეტაცია?!

ჯერ კიდევ სოფლიად ახალგაზრდა ბრეშტმა გააღოქმერა თეატრში რომანტიკული ხაზის წინააღმდეგ და თავისი ანტირომანტიკული პროტესტი თავისსავე მეორე დრამაშიც („ლამის დფდფაები“) გამოხატა: „ნუ დგიქუეტით თეატლები რომანტიკულად!“

ჩვენს მსახიობთა, თეატრმცოდნეთა და, რასაკვირველია, მაყურებელთა შორის ბევრია ისეთი, რომელსაც ნერეგეს უშლის ბრეტი და ანალი თეატრალური სკოლა. ბევრჯერ მომისმენია მათი აზრი, რომ ბრეკტი მხოლოდ დროებითი მოდაა, თეატრალური მსოფლიოს უნებლიე ცდომილება, ზედაპირული გატაცება, სნობისტური ფეხის ხმის აყოლა და ა. შ. მათ ემოციური თანაგანცდის, კათარსისის, საკუთარი თავის მოქმედ პირებთან იდენტიფიცირების, მათთან ერთად ტირილის, გულის ჩუყვანის და ა. შ. გარეშე უჭირთ სპექტაკლის აღქმა და ყოველივე ეს თეატრის აუცილებელი ატრიბუტები ჩგონნათ.

რასაკვირველია, ქართულ თეატრს (ისევე როგორც სხვა თეატრებსაც) აქვს უფლება დადგას ამაღლებულ-ემოციულ-რომანტიკული პიესები, მაგრამ იმის განცხადება, რომ ქართველის ეროვნული ხასიათი, ბუნება და მენტალობა რომანტიკულია და ამიტომ მხოლოდდამხოლოდ ჰეროიკულ-რომანტიკული სპექტაკლები უნდა შეექმნათო, ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენი ხელოვნების განვითარების შეჩერების მოთხოვნაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან არ გავიდეთ, განა შეიძლება დავით კლდიაშვილის პიესების, ილია ჭავჭავაძის „კაკაი ადამიანის?!“ მიხეიდით შექმნილი ინსცენირების, პოლეკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“, შალვა დადიანის „ბუშინდელნის“ რომანტიკულ-ამაღლებული ინტერპრეტირება?!

ცხადი, რეჟისორების, მსახიობების, თეატრმცოდნეების და მაყურებლების ნაწილის (თუნდაც დიდ ნაწილს) უფლება აქვს უყვარდეს მხოლოდ ემპირიული სინამდვილის ილუზიის შემქმნელი თეატრი, მაგრამ განსხვავებული თეატრალური სტილისა და მანერის გამო აღშფოთება, განრისხება და ლამის მისი აურძალვის მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. სულ სხვა საკითხია, როცა საქმე გვაქვს გარეგნულ მიბაძვასთან, როცა შინაარსი, სათქმელი, სარეკენდელი სხვა ფორმას, სხვა მეთოდს, სხვა გამომსახველ საშუალებებს მოითხოვს და ჩვენ მოდას აყოლილნი მანიფადმანიც „აბსურდის“ ანდა ე. წ. ეილუზიონ თეატრის მეთოდის გამოყენებას ულამობთ, ანდა ჩამორჩენილობად არ ჩაგვთვლოსო. ხერხი, მანერა, მეთოდი, თუკი იგი შესაბამისი არ არის შინაარსისა, თვითმიზნური, უფუნქციო მანქვა-გრეხად გადაგვრდება. ჩვენ საკმაოდ გვინახავს ასეთი სპექტაკლები რუსთაველის თეატრშიაც, როცა რეჟისორს აბსოლუტურად არაფერი აქვს სათქმელი (ისე კი რეჟისორს საკუთარი სათქმელიც უნდა ჭქონდეს დრამატურგის მიერ ნათქვამის გარდა), და ხერხების გამოყენება თვითმიზნად გადადუქცევია. ასეთ შემთხვევაში ე. წ. თანამედროვე ხერხები უაზრო, უმიზნო ტაციმასხროზის ფორმას იღებს და სახელს უტეხს თანამედროვე თეატრს. ფორმას, მეთოდს, ხერხებს ალცილებდა სჭირდება თავისი შინაარსეული ეკვივალენტი, უამისოდ თეატრალური წარმოდგენა აუხსნელ, გაუგებარ ინფანტილობას ემსგავსება.

ილუზიური ანუ მიმეტური, თეატრი ისეთი თეატრია, რომელიც იყენებს მიმეხსნის ე. ი. მიბაძვის, მიმსგავსების (ემპირიული სინამდვილის, ცხოვრების მიბაძვის, მისსგავსების) **მეთოდს** და ცდილობს შექმნას **ემპირიული სინამდვილის, ნამდვილი ცხოვრების ილუზია,** რომ თითქოს რაც სცენაზე ხდება **რეალური სინამდვილის ნაწილია, ნამდვილი ცხოვრების ნაგეტხია;** ცდილობს ნაჩვენები, განსახიერებული გარეგნულადაც დამსგავსოს რეალურად. ემპირიულად ანსაბუოს და მოიმდარს, იქეთკენ მიისწრაფვის, რომ სინამდვილე ასახოს თვით სინამდვილისავე გრძნობად-კონკრეტული ნაშენებით, მოახდინოს ცხოვრების რეპროდუცირება თვით ცხოვრებისავე ფორმებით.

მიმეტური ანუ ილუზიური თეატრი ემყარება შთაგონებასა და იდენტიფიკაციას (ბაბგრავებას), ე. ი. მაყურებელი პერსონაჟების გრძნობებს, განცდებს, საქციელსაც თავისად განიცდის, მათში გადადის და თქვენფება, მათთან ერთად იცინის და ტირის, ერთი სიტყვით, პერსონაჟსა და საკუთარ თავს აიგივებს და, რაც მთავარია, მაყურებელს ექმნება ნამდვილობის, ნამდვილად მომხდარის ილუზია. ამ თეატრის

ნოდარ კაკაბაძე
„საქართველოს ცარცის ფრე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნია თანალმობის, თანაგანცდის ნაფუძველზე მაყურებლის გრძნობათა კეთარსისი („განწმენდა").

ბრეჰტის „ეპიკური თეატრი", რომელიც ანტიმიმეტიკა და ანტიილუზიური თეატრის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს, მიზნად არ ისახავს ემპირიული სინამდვილის გარეგნულ მიბაძვას, ე. ი. არ იყენებს „**მიმეხისის**" მეთოდს, რასაც ჯერ კიდევ არისტოტელეს ესთეტიკაში ეზედვინი (ამიტომაა, რომ ბრეჰტი ძველ, ტრადიციულ თეატრს **არისტოტელურ თეატრსაც** უწოდებს), და არ ცდილობს ხილული რეალობის ილუზიის შექმნას — ემპირიული, გარეგანული სამდგომლობა-დამაჯერებლობა არ არის ბრეჰტის თეატრის მიზნი. ბრეჰტის მიერ ნაჩვენები თუ გამოსახული, სახედეცეული საგანი **გარეგნულად არა ჰგავს** ემპირიულად, რეალურად არსებულ საგანს (ბრეჰტს გარეგნული, ემპირიული მსგავსება აბსოლუტურად არ აინტერესებს). ბრეჰტმა დრამაში მოახდინა საგნის დეფორმაცია, პროპორციების გადანაცვლება. ბრეჰტი ამის თაობაზე ერთგან წერდა: „ჩვენ გვინდა დავადგინოთ, რომ წერის ე. წ. სენსუალისტური მანერა (როცა შეიძლება ყველაფრის დაყნოსვა, შეგრძნობა, ვემოს გასინჯვა) არამდგარამეც არ შეიძლება გავიგიოთ რეალისტურთან" (აქ ბრეჰტი XX საუკუნის რეალიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს მე-19-ე საუკუნის რეალიზმს).

ბრეჰტისეული თეატრი უკიდურეს პირობითობას, მაყურებელთან თავისებურ „შეთანხმებას" მოსთხოვს, რაც ერთგვარი მსატვრული „შემოკლებებით" („აბრევიატურებით"), მინიშნებებით, პირობითი ნიშნებით, სიმბოლოებით, გროტესკითა და ეგზეთხრობით (პარაბოლურობით) მიიღწევა.

ბრეჰტის თეატრში ცხოვრება, სინამდვილე „კონცენტრირებული", „კონდენსირებული", „დაკრისტალებულია"; ბრეჰტი ცდილობს გამოსახოს, განასახიეროს, წარმოსახოს (და არა ასახოს, აირეალოს) სინამდვილის, ცხოვრების, საგნის არა გარეგნობა, არა გარეგანი ოპტიკურ-ვიზუალური მხარე, არამედ სინამდვილის არსი, ესენციალურ-ესენცია, საზრისი, „შინაგანობა", ემპირიული, ხილული სინამდვილის უკან არსებული სამდგელი სინამდვილე, აზრი (მე-19-ე საუკუნის კლასიკურ რეალიზმს საგნის გარეგნობაც ინტერესებდა და გარეგნობის მეშეეობით შინაგნობის ასახეა).

ბრეჰტის „ეპიკური თეატრი" არისტოტელური, დრამატიული, მიმეტური ანდა ილუზიური თეატრის სცენური მოქმედების თანგანცდის საპირისპიროდ, რაც მაყურებელს სუგესტურად და გრძნობისმიერად შეიპყრობს და აქტობის, კრიტიკული აზროვნების უნარს უკარგავს, მოითხოვს მადემონსტრირებელ-თხრობით ფორმას (აქედან ხასიათწოდება — „ეპიკური თეატრი"), რაც მაყურებელს უბიძგებს — მიიღოს საკუთარი დამოკიდებული გადაწყვეტილება და სცენაზე მოსახდარის მიმართ დისტანციირების მეოხებით ზრდის თის ბრეჰტს. ბრეჰტს შემოაქეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური კატეგორია — „გაუცხოვნის ეფექტი". „გაუცხოვნის ეფექტს" ქმნის დისტანციება, კრიტიკულ-სკეპტიკური მიმართება მსახიობისა როლის, ხოლო მაყურებლისა სცენაზე ნაჩვენების მიმართ. სცენური მოქმედება მაყურებელმა სეროზულად, ბირდაპირი, სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით არ უნდა მიიღოს. იგი სინამდვილესთან, ცხოვრებასთან არ უნდა გაიგიგეთოს. საკუთრია სცენური მოქმედების კრიტიკული აღქმა, „შთაგრძნობის" , „იდენტიფიკაციის", „თანალმობის", „კათარსისის" გამორიცხვა.

„გაუცხოვნის ეფექტი", მეორე მხრით, გამომსახველ საშუალებათა და მსატვრული ხერხების კომპლექსია, რომელიც უცხოა და უცნობს ნაცნობად, ხოლო ნაცნობს უცხოდ და უცნობად წარმოგვიდგენს, ანდა სხვაგვარად, ნაცნობი, ჩვეული, ყოველდღიური, თითქოსდა ბანალური სიტუაციები ისეა შეტრიალებული, თავდაყირა დაყენებული, რომ მაყურებელი მათ ახალი თვალით, წინასწარ აკეთებებული აზრის გარეშე უყურებს. „გაუცხოვნის ეფექტი" უპირისპირდება ილუზიური თეატრის „იდენტიფიკაციას", ე. ი. მსახიობის მიერ თავის სათამაშო როლთან, ხოლო მაყურებლის სცენაზე მოსახდარ-ნაჩვენებთან გაიგივება-დაფიქსეგვას (ილუზიურ-მიმეტურ თეატრში მსახიობი მთლიანად გადადის სათამაშო როლში, ხოლო მაყურებელს საკუთარი თავი გადაჰყავს სცენურ მოქმედებაში).

ბრეჰტის თეატრი, მაშასადამე, აპირობებს არა თანგანცდას, თანალმობას, არამედ თანაზზრონვებას, თანაფიქრს, დაკვირვებას ანდა ეკამთს. ბრეჰტმა გაათავისუფლა მაყურებელი ძველი „მონობისაგან". არა მონა-მაყურებელი, არა პასიური, „ამყოლი", „ნაორეული", „მონეულსული", „მოყოდოებული", ტრანსში ჩავარდნილი მაყურებელი, არამედ აქტიური, მოქმედი, მოაზროვნე, განსმჯელი, განზე მდგარი „თანაავტორი".

„გაუცხოვნის ეფექტი" ერეცლდება მთელ მოქმედებაზე, ენაზე, მსატვრობაზე, ფუსიკაზე, ქორეოგრაფიაზე, ჩაცმულობაზე. „ეპიკურ თეატრში" დაძაბულება (Spannung) მიმართულია არა, როგორც ეს ილუზიურ თეატრშია, იქითკენ, თუ რა მოხდება საბოლოოდ, როგორ დასრულდება მოქმედება, არა ფინალისაკენ, არა დასასრულისაკენ, არამედ მოქმედების მსლელობისაკენ, რომელიც ცალკეულ სცენებად, ნახტომებითა და მრუდეებით, „ეფექტიანი გარდუვალობის" გარეშე მიმდინარეობს. ბრეჰტის მიზნი არ არის მაყურებლის ცნობისმო-

ყვარობის დამამბო სიუჟეტით, სიუჟეტური პერიპეტიებითა და დრამატიზმით.

ბრეკმანი თეატრი უარყოფს მოქმედებებად (აქტებად) დაყოფას, ექსპოზიციას, „ბუნებრიობას“, პიესა ცალკეულ სცენების თანმიყოლებით იგება, რომლებიც ერთმანეთთან მოქმედების ერთიანობით არ არიან დაკავშირებულნი. ერთმანეთს ენაცვლება სინამდვილის სხვადასხვა სიბრტყეები და ფრაგმენტები. რეალობის ილუზიის გაკრობისათვის ბრეკტი მიმართავდა სხვადასხვა საშუალებებს: ზონგებს, რომლებიც მოქმედებას წყვეტენ და აფერხებენ, დაფებზე წარწერებს, რომლებიც მაყურებელს სიუჟეტს წინასწარ აცნობენ, ფილმურ ჩარევებს, მაყურებლებისადმი უშუალო მიმართვას და ა. შ.

ჩვეულებრივ ბრეკტი პროლოგში რომელიმე თეზის წამოაყენებს ხოლმე და შემდეგ ცდილობს იგივეური მოქმედებით, იგივეური ფორმით, პარადოქსით მის დამტკიცებას. ბრეკტი ქმნის საგანგებოდ ექსპერიმენტულ სიტუაციას, ფიქტიურ ვითარებას და აქ ცდილობს თავისი თეზის შემოწმებად-დადასტურებას.

ბრეკტი ადამიანურ სიტუაციებს იგავურად, პარაბოლურად გვიჩვენებს, ყოველ სცენას მაგალითის, ეგზემპლარის, პარადიგმის მნიშვნელობას ანიჭებს. მაყურებელი სცენაზე მოსხდარს ვერ გააიგივებს ემპირიულ სინამდვილესთან, რეალობასთან, მას აღიქვამს როგორც სცენაზე ნაჩვენებს, ხელოვნის შექმნილს, ხელოვნების სინამდვილეს, ფიქტიურ, „თამაშეულ“ სამყაროს. ერთი სიტყვით, მაყურებელი აქ „თამაშის“, ხელოვნების მონაწილეა და არა ცხოვრების, სინამდვილის. თეატრი თამაშია და არა თვითონ სინამდვილე.

ბრეკტის მიხედვით, თეატრი უნდა ძაბავდეს, აფიქრებდეს „აწუხებდეს“, მოსვენებას უკარგავდეს, ფიქრს, ძიებას, ჩაღრმავებას აჩვევდეს მაყურებელს, ამასთან ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებდეს. ბრეკტი ილაშქრებდა „კეთილარული“ თეატრის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანს დაახლოებით იმავე სიამოვნებას გვრის, როგორც საკმელი — ეს არის პასიური, არაპრდუქტიული, ფიზიოლოგიური, „კეთილარული“ სიამოვნება. თეატრი არც დასსენგია და არც დასასვენებელი სახლი, სადაც ნამუშევარი ადამიანები გასართობად ან დასასვენებლად მოდიან. თეატრი დამშვიდებას, დამებას, დაფუჭებას, დაკმაყოფილებას კი არ უნდა იწვევდეს, არამედ მაყურებელს უნდა აფორიაქებდეს, აწუხებდეს, შოკის მსგავსად ზემოქმედებდეს მასზე. თეატრმა მსოფლმხედველობა, შეხედულებები უნდა გამოუშუშავოს ადამიანს, დაფიქროს ადამიანის ბედზე, ცხოვრების აზრზე, ბედნიერება-უბედურების რაობაზე, აქტიურად აუმუშაოს კრიტიკული გულისყური. „ეპიკური თეატრის“ ავტორი აქტიურად ერევა მოქმედებაში, ალაგ-ალაგ წყვეტს მოქმედებას, კომენტარებს ურთავს, განიხილავს, მსჯელობს ამ მოქმედებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, მთელი სცენური მოქმედება, ამბები, ვითარებანი, მოქმედ პირთა საქციელი არ ექვემდებარებიან კაუზალობის კანონს, მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. ბრეკტის თეატრში ინდივიდუალური ფსიქოლოგიაც, პერსონაჟთა საქციელის ფსიქოლოგიური მოტივირებაც უგულებელყოფილია (ბრეკტის პიესები, ცხადია, არ არის ფსიქოდრამები).

ბრეკტმა შეიმუშავა ახალი სამსახიობო ხელოვნებაც.

არ არის საჭირო „სიმულაცია“ (ვითომ სხვა ხარ), არ არის საჭირო შთაგრძნობა (вчувствование, Einfühlung) და იდენტიფიცირება (თავის გაიგივება) პერსონაჟთან, არ არის საჭირო გარდასახვა (ძველი გაგებით) — მსახიობი ერთდროულად არის ის პერსონაჟი, რომელსაც თამაშობს და აგრეთვე ისიც, რაც და ვინც არის ის ნამდვილად; უფრო ზუსტად, უნდა ჩანდეს მსახიობის — როგორც პიროვნების დამოკიდებულება იმისადმი, ვისაც და რასაც განასახიერებს, უნდა ჩანდეს მსახიობის პოზიცია. მსახიობი პერსონაჟი კი არ არის, არამედ ამ პერსონაჟს „თამაშობს“ (ზოგან ბრეკტი თავის პიესაში მსახიობის ტექსტში ჩირდანარ ურთავს ხოლმე: „თქვა მან“). მსახიობი არსად „სერიოზულად“ არ უნდა ასრულებდეს თავის როლს, ის ყველგან უნდა თამაშობდეს, ყოველთვის უნდა ახდენდეს მელოდრამის პაროდირებას — პაროდიულობა ბრეკტის პიესას ბოლომდე მიჰყვება ხოლმე და ეს სპექტაკლშიც უნდა იყოს შენარჩუნებული.

მსახიობმა თავისი როლი კი არ უნდა განასახიეროს, არამედ „ჩვენების გესტესით“ უნდა განმარტოს. მაყურებელი მან გრძნობისმიერად კი არ უნდა მოხუსხოს, არამედ ჩაფიქრება, ფიქრი, კრიტიკული აზროვნება განუვითაროს.

მსახიობი თავისი როლის გვერდით უნდა იდგეს და ისე თამაშობდეს. ის უნდა თამაშობდეს როლსაც და საკუთარ დამოკიდებულებასაც. გულწრფელობა აქ დამღუპველია. ბრეკტი წერდა ამის თაობაზე: „მაგალითად, ასეთი შეფასება — ის ლირს კი არ თამაშობდა, არამედ თვითონ ლირი იყო — ჩვენი მსახიობისათვის გამანაადგურებელი იქნებოდა“. ყოველი მსახიობი დამოუკიდებელი ინდივიდუუმი უნდა იყოს, რომელსაც ექნება საკუთარი მსოფლმხედველობა, საკუთარი ესთეტიკა, საკუთარი „თეატრმხედველობა“.

ბრეკტს ერთგან („ეუჩის სცენა“, 1938) აღწერილი აქვს მსახიობის თამაშის მოდელი: „ეპიკური თეატრის“ მსახიობი სცენაზე გთამაშე-

---

ნოდარ კაკაბაძე
„კავკასიური ცარცის წრე“

ბულის მიმართ ისე უნდა იქცეოდეს, როგორც ქეჩაში მომხდარი ავარიის მოწამე, რომელიც სხვა გზადგამვლელებს უხსნის და უჩვენებს როგორ მოხდა უბედური შემთხვევა. თვითონ მას პრალი არ მიეძღვის ავარიაში (ის მძღოლი არ ყოფილა) და ავარიის მსხვერპლიც არ გამხდარა. ამიტომ დგი თავისუფლად იქცევა, შეუძლია უკან მოიხედოს ანდა წინ გაუსწროს მოცდენებს. შეუძლია მოქმედება შეწყვეტოს, როცა კი მოესურვება, კომენტარები დაურთოს და მომხდარი ფაქტი ყოველმხრივ გასაგები გახადოს. მსახიობი ხელოვნურად არ უნდა „ენთებოდეს", ხელოვნურად არ უნდა „ეროვნდეს", ისტერიკაში არ უნდა ვარდებოდეს (ბრეჰტი მსახიობური სომნამბულიზმის, ლუნატიზმის მტერი იყო). ბრეჰტი უარყოფდა მსახიობის გაოგნებას, ბნედასთან მიახლოებულ მდგომარეობას, თვალების სერიოზულ ბრიალს, გულწრფელ მიბნედილობას, რაც ჩვენში ჯერ კიდევ ბევრს მსახიობური ხელოვნების აუცილებელი ატრიბუტი ჰგონია.

„გეტუსი" ბრეჰტის ესთეტიკაში „გაუცხოების ეფექტთან" ერთადერთი მთავარი ესთეტიკური კატეგორიაა. გეტუსი არის სპეციფიკური ეფექტების, მიმიკის, ქეცვის ყაიდის კომპლექსი, რაც მთლიანობაში ქმნის გარკვეულ მოქცევას, გარკვეული საქციელის ერთიანობას, რითაც ადამიანი სხვა ადამიანებთან აპაყარებს კაჟშორ-ურთიერთობას.

...პირველი რეჟისორი, რომელმაც გაბედულად და რადიკალურად გაარღვია საქართველოში მეელოდრამის, „რომანტიკული თეატრის", მიმეტურ-ილუზიური თეატრის მოჯადოებული წრე და დასაბამი მისცა ანტიილუზიურ, ანტიმიმეტურ, პაროდიულ-გროტესკულ თეატრს, გახლავთ რობერტ სტურუა. იგი დაფინებით მოიწვევდა ქართული თეატრისათვის უჩვეულო გზაზე, აყენებდა ექსპერიმენტებს, მაყურებლებს ნელ-ნელა აჩვევდა ათეული წლების განმავლობაში შესისხლხორცებულ, ძველსა და რბილში გაგჟღარი თეატრალური სტილისა და მანერისაგან ჰრიციპლოდან განსხვავებული ახალი თეატრალური ენის გაგება-აღქმას.

რა გინდ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, მე მგონია, ყოველი თავისი სპექტაკლით — „სილიმების პროცესით", „ხანუმით", „სეჩუანელი კეთილი ადამიანით", „ყვარყვარეთი" და სხვ — რობერტ სტურუა უახლოვდებოდა, მოიწევდა ბრეჰტის „ეპიკასიერი ცარცის წრისაკენ", სადაც უკეე თვისობრივი ნახტომის მოწამენი შევიქენით, იმის მიუხედავად, რომ ჩვენს მიერ ახლახან ჩამოთვლილი პიესები და სპექტაკლები განსხვავებული ღირსების, მნიშვნელობისა და მიმართულებისა იყვნენ. ყოველ მათგანში რეჟისორი ცდილობდა გაშოეცადა, შეემოწმებინა რომელიმე მეთოდი თუ გამომსახველი საშუალება, რასაკვირველია, არაერთნაირი წარმატებით.

უსამართლობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ თითქოს რობერტ სტურუამდე ქართულ თეატრში არ ყოფილი ანალოგიური ცდები. რასაკვირველია, იყო, მაგრამ ყველფერი ეს ცალკეული ელემენტებისა და ტენდენციების დონემდე დარჩა და მათ დასრულებული, სრულქმნილი სახე ვერ მიიღეს და ახალ თვისობრივობაში, ახალ ხარისხში ვერ გადავიდნენ. ცხადია, რობერტ სტურუა შუმელ, ყამირ ადგილზე პირდაპირ ციდან არ ჩამოვადნილა, ანდა პალას ათენასაეთ პირდაპირ ზეესის თავიდან არ გაჩენილა: მას წინამორბე

ური ავანტურისტის, დოქტორის გაბიაბრუ-ება, ანბოდადმდე დაყვანა, მაგრამ აქ არის ბევრი მოძრაობა, ფუსფუსი, ალეგორიულობის პრე-ტენზიით მოწოდებული ქმედება, რომელთა სი-ბმოლური მნიშვნელობა ან ძალიან გამქვირავა-ლე, სქემატური და სწორხაზოვანია (მაგალი-თად, სანაგე უუთთან დაკავშირებული მთელი ქმედება) ან სავსებით ამოუსნელი. პოლტე-კური ავანტურისტები ადამიანთათვის წამებულ ქრისტესს, მესიას, ბხსნელის ნიღაბს რომ ფეა-რგნენ, ეს მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. სიმბოლიკა იმდენად ჩაჩარითული, რომ ზოგ-ან ბპეტაკლის შინაარსი ისე აღიქვა, თითო-ქის სპექტაკლი ყველას და ყველაფერს დას-ცინოდეს (სხვებს შორის, ქრისტესაც). ეგ მეო-ნია, აქ ხერხებს ყველგან არა აქვთ თავიანთი შინაარსეული ექვივალენტი.

მაგრამ დღეს „ულარეარე“ განვლილი ეტაპია და დღის წესრიგში დგას ბრეტის „ეფექს�sრი ცარცის წრე“.

ამთავითვე მინდა აღვნიშნო, ეს არის არსე-ბითად ბრეტიული სპექტაკლი, რომელშიაც და-ცული პრინციპულად ბრეტის ძირითადი მ-ნებებები, რომლებზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. რეალისორი არსად არ ცდილობს რეალურის, ნა-მდვილობის ილუზიის შექმნას, პირიქით, ყველ-გან არღვევს ამ ილუზიას, თითქმის ყველგან იყენებს „გაუცხოვების ეფექტს“ და თითქმის ყველგან დაცულია „ეფექტური“. „გაუცხოვების ეფექტი“ გვარეცლებულია რეალიურობაზე, მსახ-ეფექტი“ გვარეცლებულია რეალიურობაზე, მსახ-ობთა თამაშზე, მსატვრობაზე, კოსტუმებზე (აქ ობთა თამაშზე, მსატვრობაზე, კოსტუმებზე (აქ მე შეგნებულად არაფერს ვამბობ მუსიკის, ცე-კვების და სიმღერების შესახებ, ამაზე ქვემოთ). სპექტაკლს თავიდან ბოლომდე მსუბუქად „**პაროდიულობა**, უარყოფილია „**შთა-გრძნობა**“, იდეებფაქიანია, თანგაჩენილია, თანა-ღმობა, კათარსისი. მაყურებელი არსად სცენურ მოქმედებას სინამდვილესთან, ცხოვრებასთან არ აიგივებს, რადგან სცენური მოქმედება არ ბაძავს რეალურ ცხოვრებას. სცენაზე დემონ-სტრირებული, ნაჩვენები არა ჰგავს ემპირიულ-ლად არსებულს. რეალიური მიმართავს ანტიი-ლუზიურ საშუალებებს, პირობითობას, სიტყ-ვიერ საშუალებებს, პირობითობას, სიტყ-ციათა და სავანთა „ეკრეგნობის“ დეფორმა-ციას, გროტესკს, იგივეხრობას (პარაბოლას), ციას, გროტესკს, იგივეხრობას (პარაბოლას), მხატვრულ „შემოკლებებს“. რეალისორი ბრეკ-ტულად იქცევა, როცა არ ცდილობს პერსონ-ნაჟთა მოქმედების ფსიქოლოგიურ მოტივირე-ბას და ფსიქოლოგიურ გაანალიზებას. რეალ-ურ ინტერესებს ადამიანური სიტყვიერი ინტერესებს ადამიანური ყოფიერების მიღული, როგორც ადამიანური ყოფიერების მიღული, როგორც თავისებური არქეტიპული პარადიგ-მა, რასაც ეგავეური ქმედებით ათვალსაჩინო-ებს. მას ბრეტის ეკალად არ ინტერესებს ამ ადამიანურ სიტუაციათა კონკრეტული ემპირი-ული ნაშენები.

ბრეტის საყვარელი აზრი იყო, რომ ნამდ-ვილი სერიოზულობა ყველაზე ეფექტი ნაშენ-ვილი ხუმრობის ბანალურობამდე, ნერიფსნა ეს ერ-ეს პრინციპი სტერეოს სპექტაკლში თავიდან ბოლომდე შესანიშნავადაა გატარებული. სპექ-ტაკლში ბრეტიულადაა გამოყენებული გრო-ტესკული ლოგინადა, ეკსცენტრიკა და ბუფეტ-ნადა, რაც ახლითა და სიმბოლო�sთა დატი-რული. გროტესკის ბურლესკი ენიცელებს, ბურლესკს — კარიკატურა, კარიკატურა — ზარაფი, რაც ეტეწიოდ მაყურებელს კი არ ამ-შვიდებს, კი არ უნანავებს, არამედ ზარავს, ძა-რწუნებს, შეცარავს, მასზე ზოგის ბსგავს ზე-მოქმედებას ახდენს, რაც წარმოადგენს კიდევ ბრეკტის მიზანს (თუმცა მაყურებელს გაანჩნა: მე მოწამე ეეოფილვარ, როგორი ალტაცებით შესაკერდნენ მაყურებლები ფელინის ფილმ-ში — „ტიტი ცხოვრება“ — ნაჩვენებ სინა-მდვილეს, მათ სტარია ამოლოგია ეეოფნთ — ფელინის მიერ ნაჩვენებ შემზარაობასა და სი-მახინჯს ისინი დადებითად აღიქვამდნენ; მათ ეგონათ, რომ ფელინიეა ალტაცებული იყო „ტიტიი ცხოვრებით“ — ასეთ შემთხვევაში ყოველი რეჟისორი ფქიური ალმოჩნდებ-ნენ ხოლმე, მაყურებელს ნორმალური ესთეტიკური აღქმის უნარის მინიმუმი მაინც უნდა ჰქონ-დეს).

საინტერესოა, რომ ბრეკტმა უფრო მეტი გა-ვლენა ვიდრე ვოფეესა ან შილერისაგან, განი-ცადა ერთი მიუნპენელი ალოფნისა და კაბარე-ტისტის, **კარლ ვალენტინისა** (მეორე შემოქმე-დი, რომლის გარეკეული გავლენასაც აღნიშნა-ვენ ბრეკტზე, იყო გროტესკული ფრაგმენის: ავ-ტორი, XX საუკუნის გერმანელი ფრამატურ-გი, **ფრანკ ვედეკინდი**).

რობერტ სტერეო ბრეკტულად იყენებს ქა-ოგრამებს, მინიშნებებს, პირობით ნიშნებს. ზოგ-ზემთხვევაში პირობითობის მხრივ ბრეკტსაც კი აჭარბებს. მაგალითად, თუ ბრეკტის პიესაში აღნიშნულია, რომ გრუშე მოზრდილ შუშას, შე-ზეს ღერს ჩასცხებს თავში ეფრეტოროს, ჩვენს სპექტაკლში კი იზა გოგოშვილი ცარიელი ხელ-ით თავში ჩარტყმის მოძრაობის იმიტაციას ახდენს. ასევე ბრეკტის პიესაში ვარკვევითაა ნთქვამი, რომ გრუშე თავის ქმარს ზუროგს ბანს, ხელს უსვამს ზურგზე, სპექტაკლში კი იზა გოგოშვილი ზურგის ზორიახლოს ჰიერში ზურგზე ხელს სმის მოძრაობას ბაძავს და ა. შ.

სპექტაკლში პაროდიულობა მსუბუალეს ყველა-ფერს, პაროდიულობა მელოდრამაზე, მელოდ-რამატიზმზე, პაროდიულობა სპექტაკლს თავი-დან ბოლომდე ვასდევს, რაც სპექტაკლში შე-შმარტ ბრეკტულ ატმოსფეროს ქმნის.

სპექტაკლი ცალკეული სცენებისაგან შედ-

ნოდარ კაკაბაძე

„კავკასიური ცარცის წრე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვება, რომელთა შორის კავშირი ან სუსტია ანდა საერთოდ თითქმის არ არის, რასაც მიეწერაფის კიდეც „ეპიკური თეატრი“.

მსახიობები მენტალურად ყველანი ბრეკტიულად, ე. ი. შთაგრძნობის, იდენტიფიკაციის, ემოციური მოჭარბებულობის გარეშე თამაშობენ. მათ თამაშში ყველანაირ ბრძნობა ირონიული, თამაშიული დამოკიდებულება როლისადმი, პროდიუსერობა მელოდრამატზეზე. თითქმის ყველან ჩანს მსახიობისა და იქვე რეჟისორის პოზიციაც და, რაც მთავარია, მსახიობები არ ცდილობენ ნამდვილობის ილუზიის შექმნას, მაყურებლის გულისჩუყებას, მათი გრძნობების „ბანწუმენდას“, ე. ი. კათარსისს. ისინი არ ბაძავენ ნამდვილ, რეალურ, ემპირიულ განცდებსა და გრძნობებს, მწუხარებასა და სიხარულს, არ ცდილობენ მაყურელი დაარწმუნონ თავიანთ გულწრფელობაში, არ ცდილობენ თავიანთი მოქმედება და განცდა ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი, მოტივირებული გახადონ. აქ გულწრფელობა, „ბუნებრიობა“ მალიანად გაჟერობდა ბრეკტის ეფექტს.

დიდიხანია დარწმუნებული ვიყავი, რომ რამაზ ჩხიკვაძე ანტიმიმეტური და ანტიილუზიური თეატრის ბრწყინვალე მსახიობი იყო და ამ სპექტაკლში კიდევ უფრო განმიტკიცა ეს რწმენა. რამაზ ჩხიკვაძე იმ მცირეოდენთაგან მსახიობთა ჯგუფს მიეუფენება, რომლებიც რეჟისორების თანაშემქმედები არიან, რომლებიც ერთფეროვად მუსიკალური ინსტრუმენტებიც არიან და მუსიკოსებიც (ჯულიეტა მაზნინას ნათქვამის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, რომელიც ამბობს, რომ მსახიობი ის ინსტრუმენტია, რომელზედაც რეჟისორი თავის მელოდიას უკრავსო). რამაზ ჩხიკვაძე მხოლოდ ინსტრუმენტი არ არის, მას თავისი ინ ა ქტ ი ო რ ო ბ ა ა ქვს, თავისი „ბესტუხი“, თავისი ინდივიდუალური თეატრალური ხედვა აქვს, რასაც იგი სწრაფად თავის თამაშში, სცენაზე უბრალოდ მდუმარედ ყოფნაშიც კი, სხვა მსახიობებთან ურთიერთობაში და ა. შ. ამკაცრებს ხოლმე. რამაზ ჩხიკვაძე სრულქმნილად ფლობს როლისაგან განზე განდგომის, სათამაშო პერსონაჟისადმი ირონიული, შეშფოთებული დამოკიდებულების ხელოვნებას. რამაზი თამაშობს სოფლის მწერალი ბზადაკი, რომელიც შემთხვევით მოსამართლე ხდება და რომელიც ბრეკტის მკვლევარებს სანრო პანსას, ფოლსტაფისა და შეიეკსსთვის შეუდარებით ხოლმე. შესაძლოა, ვედავთ რამაზ ჩხიკვაძეს ბზადაკის როლის ასეთი განსხვავის გამო (რამაზის ბზადაკი, ჩემი აზრით, უფრო დაჩაჩანაკებული, ვიდრე ის ბრეკტის პიესაშია და ვიდრე მამ ბზადაკის როლის პირველი შემსრულებელი, სახელგანთქმული ერნსტ ბუში თამაშობდა. დარჩენილია ფოტოები, რომლებზედაც ხანშიშესული, მაგრამ არა მოხუცი ბზადაკი — ბუშია აღბეჭდილი) მაგრამ როგორიც ეს ბეეიაარია ბზადაკის როლის ინტერპრეტაცია, აქ იგი თითქმის უზადოა.

იზა გიგოშვილი რომ თანამედროვე სტილის მსახიობი იყო, ეს აქამდეც ვიცოდით. ის არაა სოდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ აჭერდა მელოდრამატიზმის, პათეტიკის, მეტისმეტი გრძნობამოჭარბებულობის პედალს. მაგრამ, მე ვფიქრობ, რაც მან ჩვენთვის საინტერესო სპექტაკლში შესძლო, უბრალოდ ყოველგვარ მოლოდინს გადაჯარა. იზა გიგოშვილმა ამ როლით, უეჭველია, თვისობრივად ახალ სიმაღლეს აალწია. ეს, ალბათ, მისი შემოქმედებითი ცხოვრების საეტაპო სპექტაკლად დარჩება. იზა თამაშობს ბრეკტულად, როლისაგან დისტანცირებით, ძუნწად, ამსოლუტურად არ ცდილობს მაყურებელს მოაწონოს, გრეშე და საკუთარი თავიც. ბრეკტის თეატრის პირობითობა მას შესანიშნავად აუფავესება.

სიმართლე უნდა ითქვას, მე წინასწარ ცოტა სკეპტიკურად ვუყურებდი გურამ სადარაძის მონაწილეობას ბრეკტის პიესაში. შეიძლება ვცდებოდი, მაგრამ გურამი მე მაინც უფრო ჰერიოკულ-რომანტიკული, ემოციური თეატრის მსახიობი მეგონა (ამის საფუძველს მის მიერ ლექსების კითხვის პათეტიკური მანერაც მაძლევდა), მაგრამ გურამმა მალიანად გამაშტყნა ჩემი ეარაფდა. გურამი 3 როლს ასრულებს. ამათ შორის იგი უბადლოა ყაზბეგის ვროტესკულ როლში, რომლითაც მან, ჩემი აზრით, თავისი აქტიორული ნიჭის ახალი წახნაგები და შესაძლებლობანი გამოამეჟღავნა. გურამი თავის როლს თითქოს უცსო, გარეშე პირის თვალითაც უყურებს, თითქოს ამ პერსონაჟს კი არ განასახიერებს, არამედ მასზე მოგვითხრობს გარეშე დამკვირებლის პოზიციიდან, გარედან, გვერდიდან. გურამ სადარაძე ბრწყინვალეა ბერის როლშიც — აქაც იყენებს იგი „ბაუცხოების“ ნაირნაირ ხერხებს, ნამდვილობის ილუზიის დამრღვევ „ცივ ზხაპუს“ — მისი ბერი აგრესიული, ცინიკური, ღვთისმოსაობისაკან მთლიანად დაცლილია, არც კი ცდილობს ღვთისმოშიშის ნიღაბი აიფაროს. ეფრეიტორის როლში გურამ სადარაძე ამ 3 როლთაგან ნამთვის ყველაზე ნაკლებად ანტიილუზიერია და ანტიმიმეტურია, მისი ეფრეიტორი ცოტა ტრადიციული სოლდაფონის თარგზეა გამოჭრილი, მის მიერ გამოყენებული ხერხები ზოგჯერ ტლანქი ნატურალიზმის ხიფათს ქმნიან.

ძნელია ალტაკეის დფარვა სპექტაკლში რეჟისორებისა და მსახიობების განსაკუთრებით 2 მიგნება-მონაპოვრის გამო, რომელთა გამოყენება მე საკანგებოდ მინდა: ერთი გახლავთ ბაყრის მოსტრნე მოხუცი ცოლ-ქმრის, ლაშარი ჩხეიძისა და კარლო საკანდელიძის გამოსვლა და შემდეგ მათი ერთმანეთზე მიყუდება. ეს არის ბრეკტული თამაშის, ბრეკტული „ბეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუსს" პირდაპირ შედეგი! ეილაჯო, გამოფიტული, გამოჩერხებული ბებრები სკლეროტულად მოცეცხლებენ, შემდეგ, მათი საქმე რომ გადადგება სასამართლოში, ერთმანეთს ეყოდებიან, რომ არ წაიქცნენ. იქმნება საოცრად ბრეტტული ეფექტი!

მეოერ გახლავთ შექესტე (ქალეხტი) და მეკრორწალე სტუმრების ახსოოუტურად უკოლორატო, ადამიანობისაგან მოლიანად მოკლებული, ადამიანობისაგან სავსებით დაცლილი უსიცოცხლოდ სახეები. მათ სახეებზე მოლიანად გადარეცხილია ეერიისა და გამომტეტველების რაიმე ნიშანწყალიც კი. ისინი ცხოველების დონეზეეე დაბლა დგანან — მხოლოდ ვეგეტირებენ, მცენარეულ სიცოცხლით ცოცხლობენ. თუმცა მცენარეები გაცილებით მაოზე სიმპათიერნი არიან. ისინი ტიპიური ბრეტტული პერსონაჟებია! (მსახიობები: გ. ბაქრაძე. ლ. ჭოკენავაძე, დ. მაცაბერიძე, ლ. კეკლაშვილი და ლ. ბერბუთაშვილი).

ორივე სცენა გამომხატველობა-ექსპრესიის თავისებურ კონცენტრატს ქმნის.

კარლო საკანდელიძე დიდებულია მის მეოერეგიკის ოოლშიე (რაც შეეხება მის მე-3 ოოლს, ამაზე ქვემოთ), ჰქავ ზედმიწევნითაა დაჭერილი ბრეტტული პერსონაჟის „ფესტუსი".

შმეენიერად აუთვისებია კახი კაკაბაძეს თამაშის ბრეტტული ტექნიკა. „გაუცხოების ეფექტი, როლისადმი კრიტიკული დისტანცირების მეთოდი. მისი სიმონ ხახვა (სავი ბრეტის პიესაში, „ჩაჩავა" ბრეტტს თთარგმნელებმა, გოგი და კარლო ჯორაანელებმა შუსწორეს) სპეტაკლის მსვლეოოლისას სრულიქმნება და იხ-ვეწება. პირველ სცენაში კახი, მე მგონია, ბრეტტულ სპექტაკლისათვის ცოტა ზედმეტად გულწრფელი და „სერიოზულია", თითქოს ილუზიურ თეატრს უზდის ხარკს.

თითქმის უნაკლოა ჯემალ ღაღანიძე გრუშეს ქმის, ლავრენტი ვახნაძის („ვაჩნაძე" ქართველმა მთარგმნელებმა შეასწორეს) როლში. მისი კროტესკულ-ბიპერბოლური თამაში ისეთი შთაბეჭდილებას გვიტოვებს, რომ თითქოს მას ბეჭდილებას გვიტოვებს, რომ თითქოს მას დიდი ხანია გავლილი აქვს ბრეტტის ქტეორიული სკოლა, თითქოს ეკვე დიდი ხანია აუთვისებია „გაუცხოების ეფექტი" და როლისადან ბრეტტული განდგომის ოსტატობა. ეს იმიტომ ხდება, ალბათ, რომ ღაღანიძე პოტენციურად ყოველთვეს ბრეტტული, თანამედროვე მსახიობი იყო, ილუზიურ თეატრში ყოველოეს შეჭმონდა ანტიილუზიური ელემენტი.

რაც შეეხება ლავრენტის ცოლს ანეკოს, თავისთავად ცუდი არ არის, კარგადაც თამაშობს, ენის მოჩოლექით თითქოს ბრეტტულ ირონიულ ეფექტსაც ალწევს, მაგრამ ამ სპექტაკლის ანეკო არ არის ბრეტტის ანეკო. საქმე ის არის, რომ ბრეტტი ნეგატიური პერსონაჟებისა არა მარტო ფსიქოკეს, არამედ ზოგჯერ კარეგნობის გროტესკულ ფეფორმირებასაც ახდენდა. ბრეტტი პირდაპირ აღნიშნავს ანეკოზე, რომ ის მშუნ-ქანია, ძალიან მსუქანი და სიმსუქნისაგან ძლივს დაბაჯბაჯეეს. ანეკო სატირიკეეო გორთლიკა ობიექტია. სპექტაკლში კი მანანა გამეცმლიძე მეტისმეტად ლამაზი და ელეგანტურია ბრეტტის ანეკოს კეკლობაზე. ბრეტტის ირონიულ-ეკომიკური დამოკიდებულება პერსონაჟისადმი მის გარეგნობაზეეე ვრეცლდება ხოლმე. მართალია, სპექტაკლში ანეკო ირონიზებულია ენის მოჩოლექით (ის ბგერა „რ"-ს ვერ გამოთქვამს), მაგრამ, ვიმეორებ, იგი ანტიბრეტტული „სეკსბომბია", რაც პრინციპულად ცვლის ბრეტტის ანეკოს როგორც შინაგან, ასევე გარეგან „ფესტუსსა" და „ჰაბიტუსს". ფაქტიურად ავგბულია ახალი სახე, ახალი პერსონაჟი. გრუშეს წამოძახილი „დედა, რა ლამაზიაო"! ბრეტტის პიესაში, ბუნებრივია, არ არის, რადგან ეს რძლის აშკარა დაცინვა იქნებოდა. მე არ მესმის, რა ფუნქციია ეკისრება ანეკოს სახის ასეთ მკვეთრ შეცვლას. ალბათ ესეც შეიძლება, მაგრამ ამასაც დასაბუთება, გამართლება სჭირდება.

ჯემალ ღაღანიძე მამამთილის როლში უფრო უფიერულია, ვიდრე ლავრენტის როლში, შეიძლება იმიტომაც, რომ ლუდოვიკას მამამთილი (ბრეტტის პიესაში რძალს ლუდოვიკა ჰქვია, ეუ-ყეფნა მას ქართველმა მთარგმნელებმა დაარქვეს, რუსმა მთარგმნელმა იგი „ტაპარად" მონათლა) იქნებ თავისთავად უფიერული სახეა ანდა შესაძლოა ჯემალ ღაღანიძემ აქ თავის აქტორულ პალიტრას ახალი ფერები ვერ შესძინა.

ნამდვილი ბრეტტული პერსონაჟია ლეონ ძიგრაშვილის იუსუბის დედა (პიესაში სასიძოს იუსუბი ჰქვია, მთარგმნელებმა ეიისები დაარქვეს), ქალი-ურჩხული, რომელიც ყველფერს ყიდის, შვილსაც კი. მსახიობი უშუალოდ ბრეტტის სკოლაგავლილი გეგონება, ისე ბრეტტულად ზუსტია მისი გრტესკეი.

ძალიან კარგია ვია ფერაძე ეოსების როლში, მისი კლოუნადა და ბუფონადა ეეშმარტად ბრეტტულია, ყოველ შემთხვევაში, ბრეტტის დრამის თეორიისა და, მით უმეტეს, მის თეატრალურ პრაქტიკას არ ეწინააღმდეგება. არსად არ არის გადაჭარაშებული და ეფუფქცია, ყველგან თან ახლავს აზრობრივი, შინაარსეული ეკვივალენტი.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო გიორგი საღარაძის მიერ გუბერნატორის როლის ასეთი ანტიილუზიური, არატრადიციული შესრულება. გიორგი საღარაძე ყოველთვის მაინც ტრადიციული, ილუზიური თეატრის მსახიობად მომაჩნდა. იგი ეკონომიური, ქუნწი საშეალებებით ახერხებს გიორგი აბაშვილის უმწეობის, უნიათობის, გონების სისუსტის კარიკატუ-

ნოდარ კაკაბაძე
„კავკასიური ცარცის წრე"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ბეჭენებს. ე. სალარაძე „ამბიციურებს“, ამსუფრამდე დაიეგანს, დასკინის ერთ-ერთი მხარის მმართველს, რომელსაც არ სურს გასტრონომიული სიამოვნება პოლიტიკით ჩაიშწაროს და თავსაც წაიგებს.

შემზარავი, გულქვა დედის ვანქოკეტა-მხილება ხდება ჩვენს თვალწინ მარინა თბილელის თამაშში. ის ნათელა ამაშვილის თამაშობს, რომელიც მოარულ ხოროცსსმელ უგრძნობლობასა და „მეტკანტილიზმს“ წარმოადგენს. შეილი მისივის საშუალებაა (მამუღლის, ქონების ხელში ჩაგდებისა) და არა მიზანი. ეკ არისტოკრატულ დონეზე ხდება ოისების დედის მოტივის ვარიანტი და გამეორება. მარინა თბილელი არსად არ ითქვიფება როლში, პერსონაჟში, მის თამაშს მუდამ თან ახლავს როლისადმი დისტანცირება, პაროდიულობა, პაროდიულ-ირონიული ელფერი. სასიხარულოა, რომ ამ უაღრესად ნიჭიერი მსახიობის დებიუტი რუსთაველის თეატრში ასეთი ბრწყინვალე გამოდგა.

სპექტაკლში ძვირფას თვლებივით არიან ჩამჯდარნი ლიკა ჯაკეშიკეიძე და გიულნაზი ბაკრაძე, რომლებიც მხრეულ და მსახურ ქალებს თამაშობენ. ატმოსფეროებენი, მექანიკური მოძრაობით, გაყინული, ნიღაბივარდნული, უცვლელი გამომეტყველების სახეებით ისინი სერიალისტურ ბალეტებს ან ქვეშეცნიერიულ ბუნებას, სრულ ბორიტლებასა და საკუთარი აზრის უქონლობას გამოხატავენ, რასაც მათგან „ზემოდან“ მოითხოვენ კიდეც, ხოლო ნაზგასმით გადაპრიბებული მანერულობით, კომიკური გრაციულობით ისინი როგორც მსახიობები საკარო, არისტოკრატიული მანერებისა და ჩვეულებისადმი კრიტიკულ-დისტანცირებულ დამოკიდებულებას ამ ფიგურებენ — (უნდა აღინიშნოს, რომ მზარეული ქალი — ლიკა ჯაკეშიკეიძე სპექტაკლის ბოლოს თმობს ნეიტრალობას და გრიშუს საკმაოდ აქტიურად უეჭრს მსახს).

სიკეთისა და ბოროტების მიჯნაზე დგას ლეონა ღამბაშიძის გლეხის ქალი, ის ვმირი არ არის, მაგრამ არც მთლად უკეთესია, თავს სხვისთვის ვერ დადგს, მაგრამ ბოროტებაში აქტიურობასაც ვერ გამოიჩენს. ლეონა ღამბაშიძის თამაშში იგრძნობა შეფასებითი, კრიტიკული დამოკიდებულება განსასიხერებელი პერსონაჟისადმი, მსახიობს მიგნებული აქვს გლეხის ქალის ზუსტი „გესტუსი“.

გროტესკისა და კარიკატურის გადაუკარებელი გამოყენებით აგვს დათო პაპუაშვილი ლენინ, ბოთე, მაგრამ გულის სიღრმეში კეთილ პოლიციელ შალვას როლს. ვ. გოგიტიძის ბურლესკი კი შენდება თვითირონიის და ეფერეტორისაკენ მიმართული შეფარული ირონიის შერწყმით, რაც ეუშმარიტ ბრეტლულ ეფექტს ქმნის (ვ. გოგიტიძე „რეკვიენის“, ეფერეტორისგან დაჩაგრული, გაწამებული ჯარისკაცის როლს ასრულებს).

რეკესორისა და თვითონ მსახიობ ქანრი ლოლაშვილის დიდი გამარჯვებაა მთარობელის ბიბლი, რომელიც ბრეკტის პიესის მომდერლის არკადი ჩეიძის (ალბათ, ჩხეიძის) თავისებურ სახეცვლილებას წარმოადგენს. ქანრი ლოლაშვილის მთარობელი თავიდან ბოლომდე მხატვრულად არგუმენტირებულია და ამდენად გამართლებული ჩანს ბრეკტის მომდერლის ასეთი მეტამორფოზა. მთარობელი არა თუ არ არღვევს ბრეკტის ატმოსფერის სპექტაკლში, არამედ, პირიქით, ერთგვარად ამდიდრებს ბრეკტის ამ პიესის პალიტრას. ქანრი ლოლაშვილის მთარობელი უნაკერად ჩაჯდა ბრეკტის პიესის კონტექსტში.

მაგრამ ბოლომდე გულწრფელი არ ვიქნებოდი, რომ არ აღმეშნა ჩემი ზოგიერთი დაჭვება სპექტაკლის რამდენიმე მომენტის მიმართ.

რეკესორი, ცხადია, არ არის რომელიმე მწეარლის, დრამატურგის (თუნდაც გენიალურის) უბრალო „ვადამთარობელი“ „გარდამთქმელი“, სცენაზე მექანიკური გადამტანი და მისი სპექტაკლიკ არ უნდა იყოს დრამატურგის ტექტის, პიესის სცენიური გამეორება, მხოლოდ სცენური რეპროდუცირება.

რ. სტურუას სპექტაკლი არ არის და არც უნდა იყოს ბრეკტის თეორიისა თუ შეშოქმედებითი პრაქტიკის მექანიკური რეპროდუცირება — არ არღვევს რა ბრეკტის ესთეტიკისა და დრამის თეორიის არსებით, ძირითად პრინციპებს, ქართველი რეკისორი ქმნის ბრეკტის პიესის ახალ, მისეულ, ქართულ ინტერპრეტაციას, თავის ინდივიდუალურობასაც აფლენს და თავის ინდივიდუალურ ბეჭედს ასვამს ამ სპექტაკლს. რ. სტურუა ბრეკტის არც ორთოდოქსული, არც ეპიგონური და არც „მეზეუმური“ ინტერპრეტატორია. ყოველი ნამდვილი რეკისორი დრამატურგის თანაავტორი, თანაშემოქმედი და ამავე დროს რაღაც ნიერად მისი ოპონენტიცაა. იგი დრამტურგის მასალაზე ქმნის ფაქტურად ახალ მხატვრულ ნაწარმოებს, რადგან პიესა და სპექტაკლი ორი სულ სხვადასხვა სფეროა. თვით ბრეკტიც არ იყო ფეტიშიზაციის მომხრე და რეკისორებსაც არ ავალებდა ბრძა მიმდევრობას.

მაგრამ ბრეკტის პიესის თუ მისი ცალკეული ადგილების განსხვავებული, ახლებური გაგრება მაინც, თვით ბრეკტის პიესაში არსებული ძირითადი ტენდენციიდან, მთავარი კანონზომიერებიდან, პიესის არსებითი სპეციფიკიდან უნდა ამოდიოდეს — ამას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს: არ შეიძლება ბრეკტის ანტიბრეჰტელი დადგმა, არ შეიძლება (აკრძალული კი არ არის, არამედ უბრალოდ ესთეტიკური თვალსაზრისით მახინჯ ნაყოფს მივიღებთ) ანტიილუზიური პიესის ილუზიური თეატრის საშუალებებით განხორციელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზდველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ როგორც არაერთხელ აღინიშნავთ, ბრეტის დრამის თეორია შუამდინდ იცვლებოდა. ამის გარდა, მას ურთიერთსაწინააღმდეგო პრეტენიე აქვს გამოთქმული, უტარიებული ფორმულირებანი; საუბრებზე, ზოგჯერ მეორეხარისხოვანნი მომენტის წინწამოწევა უკვარდა, ზოგჯერ დებულებას პოლემიკურად აკარებდა და ამახვილებდა, იყენებდა ხშირად მეტისმეტად სუბიექტურ ტერმინოლოგიას. **ამიტომ გამოსაცალი წერტილი უნდა იყოს არა ის, თუ რას ამბობდა ბრეტი, არამედ: რას და როგორ აკეთებდა იგი, ე. ი. გადამწყვეტია არა მისი ცალკეული გამონთქვამი ამათუიმ საკითხის გამო, არამედ მისი შემოქმედებითი, უფრო ზუსტად, მისი რეჟისორული პრაქტიკა.**

ისიც გვესმის, რომ ბრეტის დრამატურგია და ბრეტის სპექტაკლები ითვალისწინებენ, შემოქმედებითად იყენებენ ავსტრიული, იტალიური და ა. შ. ხალხური კომედიებისა და საერთოდ „ბაღადანური“ თეატრის ტრადიციებს, რის გამომსახველ საშუალებებს რობერტ სტურეაც მიმართავს, განსაკუთრებით სპექტაკლის დასაწყისსა და ბოლოსა. ამაში ცუდი არაფერია. არც ის არის გაუგებარი, რომ სპექტაკლში შეიძლება კარნავალური ქმედების, საკარნავალო ამსოფლიურის შექმნა. მაგრამ ხომ არ იმალება ჩვენს სპექტაკლში სწორედ ამ სიტუაციის შემსუბუქების, მაყურებლის კრიტიკულ-ის მძინების ნიფაფი. ხომ არა აქვს ამ ბრეტს ცოტა ნელსაცხებელი წასმული და შაქარყინული შერეული?! ხომ არ არის ამ ვანრობანტიულების ტენდენცია შესუსტებული?! ხომ არ არის ამ ოდნავ მაინც „კულინარული“ და „ნარკოტიკული“ საშუალებები გამოყენებული?!

ბრეტის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი არ უნდა იყოს არც რეკვიუ და, მითუმეტეს, არც ოპერეტის ელემენტების შემცველი. ცნობილ გერმანელ რეჟისორთან, **ერგინ პისკატორთან** ბრეტის რეჟისორული დაშორება-განსხვავება სწორედ ბრეტმა მიერ პისკატორის რეჟიუს მსგავს სპექტაკლების უარყოფაში მდგომარეობდა. რეჟიუს ჟანრი ბრეტს ღრმა დრამატურგის განვითარების კალაპოტიდან ამოვარდნილად მიაჩნდა.

მთელი სპექტაკლის ადეკვატურად არ მესაღება მუსიკა, ცეკვები და ზოგიერთი სიმღერის შესრულებაც. მუსიკაში, ჩემი აზრით, საკმაოდ მეტი გროტესკი, მეტი ოოკის მომგვრელი საშუალებანი, მეტი ატონალობა, მეტი დისონანსები (შემოხვევითი არ არის, **რომ ბრეტის ერთ-ერთი კომპოზიტორი იყო ანნ�ზეონ-ბერგის** მოწაფე, **ჰანს ეისლერი,** ხოლო „ეროვნული ცარცის წრის“ მუსიკა კომპოზიტორმა პაულ დესაუ დწერა, რომლის მუსიკა მკვეთრი დისონანსების შემცველი). ბრეტის პიესის მიხედვით შექმნილი **სპექტაკლის მუსიკა** მე მგონია, უნდა იყოს პაროდისტულ-პაროფოკატიული, აგრესიული ირონიის, რომანტიკულ-სენტიმენტალურ მუსიკაზე პერსიფლაჟის შემცველი. მუსიკა ბრეტტულ სპექტაკლებში, უწინარეს ყოვლისა, მაყურებლის დისოციზონირებისათვისაა მოწოდებული.

ცეკვები, ჩემი აზრით, ბრეკტული სპექტაკლისათვის მეტისმეტად მსუბუქი და ნარნარია; მე მგონია, საჭიროა გროტესკული დეფორმაციაა და არა ლივლივი. ცეკვები, მუსიკა და ზოგიერთი სიმღერის შესრულება სპექტაკლს ოპერეტისაკენ ეწევა.

საერთოდ, ზონგებს მსახიობები ბრეკტულად ასრულებენ. პაროდიულ-კომიკურად მღერიან ეფრეიტორი და „რეკვიენი“ (ვ. სალარაძე და ე. გოგიტიძე), უჩერეტნიოდ, თითქმის რეჩიტატივით ასრულები სიმღერებს იზა გიგოშვილი.

ბრეკტის თეატრის თბილისში გასტროლების დროს ჩვენმა ერთმა რეეცენზენტმა „სამგროშიანი ოპერის“ გამო უსაყვედურა ბრეკტის თეატრს: „სამგროშიან ოპერაში“ ვ გროშის სიმღერა მაინც უნდა იყოსო, ე. ი. თეატრს მოსთხოვა, კარგად უნდა იმღეროთო, რასაც „ბერლინერ ანსამბლი“ შეგნებულად არ ისახავდა მიზნად, პირიქით, ბრეკტის თეორიისა და შემოქმედებითი პრაქტიკის მიხედვით, მაყურებელი ზონგებით არ უნდა ტკბებოდეს და მათ მსახიობი დამეშვებული ხმით არ უნდა მღეროდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრეკტის თანახმად, ჩვენ საქმე გვექნება „კულინარულ თეატრთან“.

ბრეკტის სპექტაკლებში მუსიკა და სიმღერა კი არ ირთობს, სიტუაციას კი არ უსუსუტებს ან უმარტივებს მაყურებელს, არამედ, პირიქით, ტრაგიზმის შეგრძნებას უმწვავებს. სალაღობო, შუშპარა, კისკასი მუსიკა და სიმღერები ბრეკტისათვის „წინაალმდეგ ნაჩვენებია“.

ზოგჯერ რაშას ჩხიკვაძისა და ჟანრი ლოლაშვილის სიმღერების შესრულება მაწერს ოპერეტულ-ჯაზურ სამყაროში გადავყავართ, რაც ბრეკტის სტილისათვის შეუფერებელია.

რაშაზს აკდენებს ხოლმე თავისი ეროკალური შესაძლებლობანი და უჭირს, ცუდად რომ იმღეროს. სოიკოდ არაბრეკტულია ის ლამის ბელკანტო, რომლითაც **რაშაზი** ერთ-ერთ სიმღერას ასრულებს ირანში მომხდარი გადატრიალების შესახებ და რაც მაყურებლის ყველაზე დიდ ოვაციებს იწვევს. გაუგებარი და გაუმარტივებელი იტალიურს მიმსგავსებული უაზრო სიტყვები, რომლებიც ამ სიმღერაშია ჩართული.

ეს უნდა **იყოს ამბოხისაკენ** წამქეზებელი, აზდაკის მოჩვენებით გულუბრყვილობაში გახ-

---

ნოდარ კაკაბაძე
„კავკასიური ცარცის წრე“

ვეული ნიმღერა და არა „დამატებობელი“, უფუნქციო გალობა, რომელიც, ბრეტის ენით რომ ვთქვათ, იყენებს „ეკლინარულ“ და „ნარკოტიკულ“ სიშფაღლებებს. ამის გარდა, ბრეტის ზონგებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვებს, სათქმელს, აზრს — ამ სიმღერიდან კი აზრის გამოტანა გაძნელებულია, რადგან იტალიური მსგავსი უაზრო სიტყვები „ჯაღოდებენ“, „ამბებენ“, „აბრუებენ“ მაყურებელსა და მსმენელს. ეს „იტალიური“ სიმღერა თავისებური დიეგრტისმენტივით ჩანს „ჩადგმული“ სპექტაკლში ანდა საცირკო ნომრისა თუ ატრაქციონის ჭგვეს, რომელშიაც თითქოს მსახიობს თავსი ვირტუოზობის ჩვენება უნდა. ბრეტის თეატრის მსახიობი კი ვირტუოზულ ნომრებს არ უნდა ტანსებოდეს და არ უნდა გვაწონებდეს თავს.

ბრეტის სპექტაკლში ასეთივე დისონანსის შემტანი მეჩვენება ქანრი ლოლაშვილის მიერ სპექტაკლის დასაწყისსა და ბოლოში ლაიტმოტივივით გამეორებული სიმღერა, საოცრად არაბრეტიული ტექსტით: „იყიდეთ, იყიდეთ რამე“, რაც ჯაზური მანერით სრულდება.

რასაკვირველია, რეჟისორს მაკოტლის გამოყენების უფლებაც აქვს და თვითონ ბრეტიც ამ მხრივ განსაკუთრებით უცეკრემნილი იყო. საინტერესოა, მაგალითად, იმის გახსენება, რომ როცა ბრეტმა შექსპირის „ეორიოლანუსის“ დადგმა გადაწყვიტა, თვითონ ხელახლა თარგმნა ეს პიესა და დაამუშავა (ასევე ხელახლა და სპეციალურად პროზულად თარგმნა ბრეტის სახელოვანმა მოწაფემ, რეჟისორმა მანფრედ ვეკვერტმა შექსპირის „რიჩარდ III“ და ასე დადგა ბერლინის „გერმანულ თეატრში“). რეჟისორს უფლება აქვს შექმნას პიესის სცენური ვარიანტი, ზოგი რამ ამოიღოს და ზოგი რამ დაუმატოს კიდეც, რაც რეჟისორის ჩანაფიქრისა და მიზნის განხორციელებას ხელს შეუწყობს, მაგრამ თუ პიესა ბრეტმულადაა დადგმული (და ბრეტის პიესა არ სებითად ბრეტმულად უნდა დაიდგას), მასში ანტიბრეტიული თუ არაბრეტიული ცვლილებების შეტანა დასაშუთებელია, გამართლებული უნდა იყოს. არაფერი ბრეტის პიესებსა და სპექტაკლებში შემთხვევით არ იყო, ყველაფერი ვარაკვეულ ამოცანას, მიზანს ემსახურებოდა.

ბრეტის თეატრი დრამატურგისა და რეჟისორის თეატრია, რეჟისორიც და დრამატურგიც ამ უმთავრესად ბრეტი იყო — და ამიტომ პიესის ავტორის ჩანაფიქრისაგან გადახვევა აქ უფრო სახიფათოა. ბრეტის ტექსტს ისე ვაგლახად ვერ უნდა შეეხოს რეჟისორი, როგორც, ეთქვათ, „ხანემას“ ან „პუპოს“ ტექსტს, არა იმიტომ, რომ ბრეტი ხელშეუხებელი დრამატურგია, ანდა მის ტექსტს თავისებური ესთეტიკური „ტაბუ“ ადეგს, არამედ იმიტომ, რომ ბრეტმის პიესა თავიდან ბოლომდე სავსეა ლოზუნგად გაარბენული, დაბუტაბული ეროვნული ჩინებული, წინისწარ დაგეგმილ-კომპონირებული (ბრეტის საკუთარი დრამის თეორია, საკუთარი ესთეტიკა, ესთეტიკური სისტემა ჰქონდა) — ამიტომ მეტისმეტი საფრთხილეა საჭირო, როცა ბრეტის ტექსტს სცენისათვის ვამუშავებთ.

ცნობილია, ბრეტის დრამის თეორიისა და რეჟისორული პრაქტიკის მიხედვითაც, მეფეებელი ყოველგვარი ეთნოგრაფიზმი, ეთნიური, ეროვნული, გეოგრაფიული და ა. შ. კოლორიტისა და სპეციფიკის დაცვა, ერთი სიტყვით, ბრეტს აბსოლუტურად არ აინტერესებს ის, რასაც „genius loci“-ის („ადგილის სულს“) უწოდებენ. ბრეტი შეგნებულად არღვევს ხოლმე ლოკალურ კოლორიტს და ამდენად სპექტაკლში ქართული რეალიებისა და აჭსესუარების შეტანა არა-ბრეტული ქრედებაა. მე შემთხვევა მქონდა წამეკითხა ბრეტის დაეგმა, რომელიც მან დროებით საქართველოში მცხოვრებ ერთ ავსტრიელ მწერალს გამოუგზავნა და რომელშიც იგი „ეკვასიური ცარცის წრისათვის“ კოსტუმებისა და დეკორაციების მონახაზებს თხოულობდა, თანაც დასძენდა, ყოველგვარი ნატურალიზმი (ე. ი. რეალური, ემპირიული მიბაძვა) ამაზრზენი იქნებოდაო (wäre abscheulich). აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და აღვნიშნავ, სპექტაკლის მხატვრობა, რომელიც გ. მესხიშვილს ეკუთვნის, უსაოცა, ჭეშმარიტად ბრეტული, თავისი ირსით, ეუნწი, ამსტრაქტული, პირობითი, დახვეწილი ვემოვნებით შესრულებული.

ბრეტის პიესაში არ არის და სპექტაკლში გვხვდება შემდეგი ქართული აჭსესუარები: — ვიცი, ოდიშიდან ხარ! — ეუბნება გრუშე სიმონ ჩაჩავას (პიესის სახავას), სოროპი, ხვაწკკარა, ლობიო. პიესაში არ არის თავადი ჯანდიერი არის უბრალოდ დიდი მოავარი (Groß fürst), რომელსაც ჰყავს ცალკეული მხარეების სამართავად გუბერნატორები.

მე მესმის, რომ გრუშეს ვერაფერს ვერ ეუბაამ, ეს სახელი ნუდა დაეტოვოთ, ის მთავარ, მოქმედი პირია, ასეა შესული ლიტერატურაში, ასე მოიარა მსოფლიოს სცენები, სამაგიეროდ შეგვიძლია ამოვიღოთ ისეთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟების არაკერთული სახელები, როგორიცაა მაშა, ზელეაკ, ოგორი, ანდერი, ბერის სახელი ანასტაზიუსი ნიკიფორეთი შეიცვალოთ და ა. შ., რაც მართებულია, რაც ოდნავადაც არ არღვევს ბრეტის სპეციფიკას. შეიძლება ადიეტანტს, რომელიც დედანზე შალაკ აწერეთილ გვეკლინება, გოგი დავარქვით, როგორც ქართულ თარგმანშია, მაგრამ მე არ მესმის, რა საჭიროა შეეუთხზოთ მას რომანი ეუბერნატორის ცოლთან, ნათელა აბაშვილთან?! (სპექტაკლში ეს რომანული ხაზი აშკარად ჩანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა და გოგი ვნებიანად კოცნიან ერთმანეთს; ბრეტის პიესაში ბუნდოვანი მინიშნებაც კი არ არის ასეთი რამანის არსებობაზე). რა ფუნქცია აკისრია ამ ჩანამატს?

ბრეტის პიესიდან სპექტაკლის მეორე გადახვევა, რომელიც ჩემთვის ასევე გაუგებარია, მრგომარეობს დიდი მთავრის (სპექტაკლში: **თავად ჯანდიერის**) ქალად გადაცმაში. ბრეტის პიესაში დიდი მთავარი მთხოვრადაა გადაცმული, **რაც** იმაზეა **ბ**ა ბ**ზ**ა**ი**ი **შეიფარვის (ამით ბრეტ**ი**ეი** დიდი მთავრის სახე კარდინალურად **ფ**ვ**ლ**ა**ს. სპ**ე**ქ**ტ**ა**კ**ლ**ის ქ**ალ**ად **ბ**ა**ა**-**ცმ**ული **ჯ**ა**ნ**ი**ერ**ი ქალ**ი**ვ**ი**ნ **კ**ე**ა**ლ**ეუ**ლ**ობ**ს, ქ**ალ**ს **ბ**ა**ძ**ა**ვ**ს **ს**ი**ა**რ**ულ**ს, **კ**ო**ტ**ო**ფ**ლ**ს **ა**ქ**ნ**ე**ბ**ს **ა**ლ**ბ**ა. **შ**., რ**ი**ი**ა**ც **მ**ო**ლ**ი**ნ**ა**ა **დ**ა**რ**ა**ვ**ე**ულ**ი **ბ**რ**ე**ტ**ბ**ის **პ**ერ-**ს**ონ**ა**ჟ **„ბ**ე**ს**ტ**ბ**ი**ს**ი“, **შ**ე**ქ**მ**ნ**ილ**ი **ა**რ**ს**ებ**ი**თ**ად **ს**ულ **ს**ხ**ვ **ტ**ი**პ**ი, **რ**ომ**ელ**ს**აც **უ**ა**დ**გ**ი**ლ**ო **კ**ომ**ბ**ინ**ა**ც**ი**ა **შ**ე**ა**ქ**ვ**ს **ს**ა**პ**ე**ქ**ტ**ა**კ**ლ**ი**ს. **ა**ქ**ვ **შ**ე**ი**ნ**ი**ა**ვ **ა**ლ**ბ**ი**ნ**ი**ა **ბ**ნ**ე**ბ**ი**ნ**ა, **რ**ომ **მ**ა**ყ**ურ**ებ**ელ **ბ**ნ**ი**რ**ად **უ**ა**დ**გ**ი**ლ**ო **ი**ც**ინ**ს **(ა**რ**ს**ებ**ობ**ს **ს**ა**პ**ე**ც**ი**ა**ლ**ურ **გ**ერ**მ**ან**ულ**ი **გ**ა**ბ**ო**ნ**ებ**ა — Gelächter an „faischen“ Stélen) — ეს, რასაკვირველია, მთლად რეალისტისა და მსახიობების ბრალი არ არის (ეს უმთავრესად ჩვენი მაყურებლების დონეზე მეტყველებს), მაგრამ მაინც რეჟისორიცა და ზოგიერთი მსახიობიც ზოგჯერ „ხარკს“ უხდის მაყურებლის დაბალ გემოვნებას — ზოგიერთი ნატურალისტური სცენისა თუ ტლანქი კომიზმის წინა პლანზე წამოწევით. მეიხრეს, დიდი მთავრის ქალად გადაცმა კერენსკის გაქცევის რემინისცენციას იწვევენო და ამიტომ მიმართა ამ ხერხს რეჟისორმა. ასეთი ისტორიული პარალელების დაძებნა თითქმის ყველა პერსონაჟის სიტუაციისათვისაა შესაძლებელი და ამრიგად შეგვიძლია ნებისმიერად გავზარდოთ ბრეტის ტექსტიდან გადახვევები.

არც ის მესმის, რა ფუნქციის მატარებელია მთხრობელის მიერ ფრანგულად ჩართული ფრაზები — ფრანგული მეტყველებით რისი მინიშნება უნდათ?!

ბრეტი მსახიობთა იმპროვიზაციების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო. „ხანუმას“ ანდა „პეპოსაც“, შესაძლოა, იმპროვიზაციები უხდებოდეს კიდეც, მაგრამ ბრეტის პიესის მიხედვით შექმნილ სპექტაკლში მეტი სიფრთხილე გვმართებს.

— შე, თათარო შენ!

— მე, თათარო, მენ!

არ ვიცი, ეს რეჟისორის ნაკარნახეა, თუ რამაზის იმპროვიზაციაა.

— ნუ შემჭამე, ქალო! — ეუბნება ბატონი ბაბა მზარეულ ქალს, რაც პიესაში არ არის და რაზე-დაც მაყურებელი იცინის; ამავე სცენაში ამავე მზარეული ქალის მისამართით მიმართავს რამაზ ჩხიკვაძე იმპროვიზაციებს: — უყურე ამას შენ!

— ბიჭოს!

ანალოგიური იმპროვიზაციები მაყურებელს განსაკუთრებით ამხიარულებს. სინინტერესოა, რომ მაყურებელი ყველაზე მეტად იცინის და ხალასობს ხოლმე სწორედ არა-ბრეტეული თუ არაბრეტისეული ჩანამატების მოსმენისას.

— მე ყველასთან პუოს არა ვკაბ! — ეუბნება ლაგრინტი იოსების დედას.

— თორემ იქნებ მეც დავინახე, რაც სამიკიტნოს უკან მაყურებში ხდებოდა — ეუბნება იოსების დედა ბერს („მაყურები“ იმპროვიზაციაა).

— In vino veritas! — აცხადებს სრულიად უადგილოდ ანდაკი.

— დედაკ ჰქ ყოფილა, მამაკ, სხვა რა გინდათ, ბავშვი ამათი . ყოფილა — მაყურებელი იცინის (ტოტა ითფფსანინა!).

და ბოლოს:

იმდენადაა ჩვენს თეატრმცოდნეებსა და მაყურებლებში ილუზიური, მიმეტური თეატრის ტრადიციები გამჯდარი, რომ ის რეცენზენტებიც კი, რომლებიც ხოტბას ასხამენ რობერტ სტურუას ამ სპექტაკლს, ისევ და ისევ ტრადიციული თეატრის კატეგორიებითა და ცნებებით ოპერირებენ და სპექტაკლს მაინც ძალაუნებურად ძველი თეატრის პოზიციიდან აფასებენ. უქმენენ სპექტაკლს პოეტორობას, ფსიქოლოგიზმს, ფეერიულ სანახობრივობას, ეგზაღერტულობას, ნატურალისტურ კონკრეტულობას, ემოციურობას, სიხალისეს და ა. შ. (ერთმა ბრეტხსთვის სამეცნიერო „კათარსისიც“ კი მოიშველია).

როგორც ჩანს, ჩვენში არა-ილუზიური, არამიმეტური თეატრის ესთეტიკისადმი იმენიტეტი ჯერ კიდევ ტკბილია.

ზოგიერთი არაარსებითი ნაკლის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სპექტაკლი ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებს და იგი წარმოადგენს იმ ძიებისა და ექსპერიმენტების დაგვირგვინებას, რაც უკანასკნელ წლებში ქართულ თეატრში შეიმჩნეოდა და რასაც ჩვენი კრიტიკოსები და თეატრმცოდნეები ქართული თეატრის კრიზისად აღიქვამდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟღენტი

როდესაც ჩვენგან ბუნების მიერ რაიმე იშვიათი თვისებით გამორჩეული პიროვნება მიდის, ჩვენ მხოლოდ მის დაკარგვას არ ვგლოვობთ. არა ნაკლებ მძიმეა იმ დანაკლისის შეგნება, რაც ჩვენ განვიცადეთ — მისმა თანამემამულეებმა, მისმა თანამოქალაქეებმა, რაც ხალხს და ქვეყანას დაკარგა.

ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ამ კაცს, რომლის გამოჩენას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებული მღელვარებით ელოდნენ, აღარ უწერია დიდი დარბაზების აღფრთოვანება, აზრთა უმძაფრესი შერკინების წარმართვა, რომ ეს დაუშრეტელი მჭევრმეტყველების, ენამზეობისა და გონებამახვილობის სათავე აღარასოდეს ააფორიაქებს მსმენელთა გულს და გონებას.

საქართველოს ბუნებამ განსაკუთრებული მადლი გაიმეტა მისთვის და სწორედ მისგან მოელოდა განსაკუთრებულ სამსახურს, იმას, რისი შეძლებაც მხოლოდ მას ჰქონდა და რაც მხოლოდ მას მოეთხოვებოდა.

ბევრჯერ დაუცავს ბესო ჟღენტს ღირსეულად ჩვენი ეროვნული კულტურის პრესტიჟი, ჩვენი მწერლობის სასიცოცხლო ინტერესები, თავისი სულის სიღრმეში ის გასწდომ უაღრესი პატრიოტი, ერთგული მამულიშვილი და ასეთივე გულწრფელი ინტერნაციონალისტი. ბევრი რამ არ დასცალდა მას, ბევრი კეთილი საქმე, რისი აღსრულებაც მხოლოდ მის საოცარ ნიჭიერებას ხელეწიფებოდა.

სულ რამდენიმე თვეში დაიფერფლა ჩვენს თვალწინ ადამიანი, რომელიც სიცოცხლის დაუქანცავი შთაგონებით და ბევრი ახალგაზრდისათვის შესაშური ენერგიით იყო სავსე.

მისი ბოლო სინანულიც ლიტერატურული ცხოვრების ორომტრიალიდან უდროო გამოკლებით იყო გამოწვეული.

— „ნუთუ, — ამბობდა ის სიკვდილის წინ, — აღარასოდეს, ერთი წუთითაც აღარ მეღირსება იქ ყოფნა, სადაც ჩემი მეგობრები არიან, იქ, სადაც ცოცხალი ენებათაღელვაა, აზრთა ჭიდალია, იქ, სადაც მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე!?“

კარგად მახსოვს და მუდამ მემახსოვრება, ძვირფასო ბატონო ბესო, თქვენი სიტყვები, თქვენი გულისტკივილი, თქვენი აუხდენელი ოცნება, პირადად მე ყოველთვის მოველოდი, რომ თქვენ კიდევ იტყოდით რაღაც არსებითს, უმთავრესს — თქვენი დიდი ცხოვრებისა და დიდი გამოცდილების შემჯამებელ სიტყვას. ვერავინ იტყვის, რომ ბუნება ძუნწი იყო თქვენს მიმართ. პირიქით აშვიათი გულუხვობა გამოიჩინა. თქვენც ამის გამო იყავით სიცოცხლის ესოდენ მოყვარული, ადამიანური საერთო საცხოვრებლის ცოცხალი, მუდამ მოძრავი, მუდამ დაუღალავი წევრი.

დუნე, განცალკევებული, უდიმდამო ცხოვრება თქვენ არც გწამდათ და არც გესმოდათ.

თქვენი ნიჭის სარბიელი ცხოვრების შუაგული იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინაც კი, როცა უთანხმოებას იწვევდით თქვენს კოლეგებში, თქვენი სიტყვა მოწონაადმდგეგს კი არ ნუსხავდა, პირიქით, ბრძოლისათვის აღანთებდა.

ნახეკარი საუკუნის განმავლობაში თქვენ იყავით ამ ბრძოლათა მოთავე. უპირველესი ცეცხლის დამნთები და თქვენ მადლიერებით მოგიგონებენ არა მხოლოდ კმაყოფილი თანამზრახველნი, არამედ, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად ისინიც, ვინც თქვენთან პაექრობის ღირსი გახადეთ. ვინღა დაანთებს ჩვენში ამგვარ ცეცხლს? ვინღა გამოიწვევს თავის ამქარს საბრძოლველად და საასპარეზოდ?!

ვისაც ბესო ყღენტი მხოლოდ ტრიბუნაზე უნახავს, მისთვის ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორი იყო პირად ურთიერთობებში ეს კამათის, პოლემიკის დროს ესოდენ დაუთმობელი პიროვნება, ხელჩართული ლიტერატურული შეტაკებების გმირი.

ბევრ, ძალიან ბევრ ახლობელს ემახსოვრება მისი სათუთი ბუნება, მისი ფაქიზი დამოკიდებულება განსაცდელში მყოფ თანამოძმეთადმი, ყურადღების, გულისხმიერების განსაცვიფრებელი ნიჭი, მისი უანგარო დახმარება, დაუმადლებელი ამაგი და თავდადებული ჭირისუფლობა.

თქვენ, ბატონო ბესო, სამშობლოს სამი შვილი გაუზარდეთ, სიყვარულით, სახოვნით, დიდი იმედით, რომ ისინიც თქვენსავით, უწინარეს ყოვლისა, ერს და საზოგადოებას გამოდგომოდნენ.

თქვენს გიორგის ამიერიდან მამაკაცის, მამულიშვილის მთელი ტვირთი დაეწვა მხრებზე და განა მხოლოდ მას?

თქვენ უკეთესი მომავლისათვის ზრდდით ყველას — ყველა თქვენს მომდევნოს, სიმხნევეს, არდაცხრომას, მარტო ბრძოლის კანონებს ასწავლიდით, თითქოს გამუღმებით ლესავდით იარაღს, რომ ის ქარქაშიდან ამოოღებლად არ დაჟანგებულიყო.

ცოდვა იქნება, ბატონო ბესო, მშვიდი ძილი გისურვოთ. თქვენი სტიქია ხომ სულ სხვა იყო — „დაუდგრომლობა, ზავთი, ყიფინა“ — როგორც თქვენმა საყვარელმა პოეტმა თქვა. სიკვდილსაც თავმოუკატუნებლად შეხვდით, ამაყი ირონიით, როგორც ნამდვილ მებრძოლებს ჩვევიათ.

მშობელი მიწა, რომელსაც თქვენ უბრუნდებით, მრავალ ქარცეცხლში ნაგვემი სულით და სხეულით, დასვენებისა და დაცხრომის პირობას არ იძლევა.

კიდევ ბევრი მხურვალე გული უნდა ადმოაცენოს მისმა წიაღმა, კიდევ უფრო მეტი ბასრი გონება, კიდევ მრავალი ერთგული ჯარისკაცი უნდა დაიბადოს ამ ცის ქვეშ.

ასეთი იყო თქვენი სანუკვარი იმედი.

ხმალშეუხსნელი უბრუნდებით თქვენი საყვარელი ქვეყნის წიაღს, თქვენი უძვირფასესი მეგობრების სამუდამო სამყოფელს, ვისთანაც ერთად ცხოვრების უმშვენიერესი დღეები გაატარეთ.

თბილი იყოს, ძვირფასო ბატონო ბესო, თქვენთვისაც დიდუბის მოწყალე მიწა.

გურამ ასათიანი.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘ

„...ᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲘᲗᲮᲐᲜ ᲪᲥᲔᲠᲐᲞ“

ხალხში გავრცელებული ზეპირსიტყვიერი ძეგლები სახეს იცვლიან. სამწუხაროდ, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ცვლილებები ყოველთვის ხელს უწყობდნენ ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფას. პირიქით, ტექსტი ზოგჯერ მახინჯდება, იშლება და თავისთავად ცხადდება, ბევრს კარგავს მხატვრულობის თვალსაზრისით. ხშირად ერთი და იგივე ფრაზა, პოეტური სახე თუ ცალკეული ეპიზოდი სულ სხვადასხვა ემოციურ და მხატვრულ ეფექტს იძლევა და მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს თავის ჭეშმარიტ ღირებულებას, როცა ნაწარმოები ასე თუ ისე მთლიანი სახითაა მოღწეული. მეორეს მხრივ, ნაწარმოების სწორად და სრულყოფილად აღქმისათვის ზოგჯერ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსსაც კი (ამიტომაა, რომ სწორად წარმართული ტექსტოლოგიური ძიებანი ფოლკლორის სფეროში დიდი შემოქმედებითი შრომის ტოლფასადაც შეიძლება მივიჩნიოთ).

ზემოთქმულის დასადასტურებლად საინტერესო მასალას იძლევა „არსენას ლექსი“. მოვიგონოთ ამ ხალხური პოემის ფინალი, რომელიც ცალკე, იზოლირებულად აღებული იქნებ რამდენადმე უცნაურადაც მოეჩვენოს მკითხველს: არსენა თითქოს ძალით ეძებს ფათრაკს. გზად მიმავალი გიორგი კუჭატნელი გვერდით ჩაუვლის არსენას, რომელიც გზის პირას გაშლილ სუფრას მარტო მისჯდომია და ქეიფსა სწვეს. მიესალმებიან ერთმანეთს. არსენა ღვინოს შესთავაზებს. გიორგი უარს ეტყვის („მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია“) და თავის გზას გააგრძელებს. მართალია, იქვე ნათქვამია, რომ „გიორგი შემოაგინებს დედისა და მამის ყელსა“ მაგრამ, ეს თითქოს ობიექტურად არც ისე დაძაბული სიტუაციის გამძაფრებისათვის უფრო დასჭირდა სახალხო მთქმელს, თორემ ნასვამი არსენა დედ-მამის შემოგინებაზე არც პასუხის გაცემას დააყოვნებდა და არც ასე წყნარად დაელაპარაკებოდა:

წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის
დაუუბვლესა:
„გიორგი საით მიდიხარ. არსენა ვერ
გიიგებსა?“

უარით განაწყენებული არსენა ფულსა და ცხენს მოსთხოვს გიორგის:

ან უნდა მომცე ფულები, ან შენი
ცხენი დამრჩესა.

გიორგის პასუხი საკმაოდ მტკიცეა:

„ნუ გგონივარ ზოგზოგები, შენ რო
მოჭკიდებდი ხელსა,
ლეკის პირდაპირ ვიყავი ოცი ტყვიი
მომარტყესა“.
მაშინ გაჯავრდა არსენა ხმალზე
მოიხვამდა ხელსა.

გადმოცემის მიხედვით, გიორგი მილიციაში მსახურობდა (იმიტომაც იდგა ლეკის პირდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირ), მიუხედავად ამისა, ცდილობს თავი აარიდოს არსენას. არსენა პირველი იშიშვლება ხმალს, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ იმეტებს გიორგის და ყუთი მოუქნევს. ხმალი ვადაში გადაუტყდება. იგი ფაქტიურად უიარაღოდ, ხანჯლის ამარად რჩება. ამით სარგებლობს გიორგი და მაჯვენას მოაჭრის. დაქრილი არსენა ცხენიდან ვარდება. მაინც მოიკრეს ძალს, მარცხენა ხელით იძრობს ხანჯალს და გიორგის ნიშნავს დაასვამს — ხანჯლის წვერს მიაწვდენს და ყურს ჩამოათლის. გიორგის თანმხლები ლეკის ბიჭი ამ დროს ზურგში დაახლის დამბაჩას.

სახალხო მოქმედები სწყვეტილ გიორგის („იმ გიორგი კუშტნელსა გამჩენელი გაუწყრესა“), მაგრამ, როგორც ვხედავთ, არც მის ღირსებებს ივიწყებენ. მას უფრო ბრმა ბედისწერის მოელინებულად თვლიან და ისეთსავე დამოკიდებულებას ამჟღავნებენ როგორც სკედილის მიმართ, რომელსაც არ იცის კარგისა და ავის გარჩევა. მოსალოდნელი იყო, რომ ხალხს უსაყვარლესი გმირის მკვლელი უფრო მუქი სალებავებით დაეხატათ — ბოლის და ბოლოს შეიძლებოდა ეთქვათ, რომ, მართალია, ხელჩართულ ბრძოლაში არსენა სჯობდა, მაგრამ გიორგის თანმხლები ლეკის მიერ ღალატით ნასროლმა ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს. მაგრამ არა! როცა არსენას ზურგში ესვრიან, იგი ფაქტიურად უკვე დამარცხებულია. არსენა განწირულია და განწირულია არა იმ მომენტიდან, როცა ამოღებულ ხმალს ყუთი მოუქნევს („ვერ გაგიმეტა, გიორგი, ვაი დედი ჩემის ღმერთსა“), არამედ გაცილებით უფრო ადრე.

სანამ სიტყვას გავაგრძელებდეთ, ხაზი უნდა გავსვათ იმ გარემოებას, რომ ფოლკლორული ნაწარმოებისათვის უცნო არ არის ადამიანის შინაესმყაროს, ადამიანის ფსიქიკის ურთულესი ნიუანსების გადმოცემა (ე. ი. ის, რასაც ეუბმარტად დიდი ლიტერატურისაგან მოვათხოვთ). არსენას სახე პოემაში სტატიკურად არ არის წარმოდგენილი. იგი ბატონს აუჯანყდება. ტყეში გავარდნილი ცდილობს გაჭირვებულდაბეჩავებულ ხალხს დიეზმაროს — „მდიდარს არომგვს, ღარიბს აძლევს“... ეგეჭრებს ახალ ადლს დაუწესებს და სხვა. მაგრამ წლები გადიან, ერთს მეორე მიჰყვება, მეორეს — მესამე... თხუთმეტი წელი ყაჩაღად არის — „ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა“. არსენა მარაბდელი მარტო იმისათვის კი არ შეიყვარა ხალხმა, რომ იგი სწორუპოვარი ვაჟკაცია. მთავარი ისაა, რომ იგი ხალხის შვილია, მისი იდეალების განსახიერება, მისი სისხლი და ხორცია. არსენა პირველ რიგში გლეხი კაცია, რომელსაც არ შეიძლება გაზაფხულზე ხვნა და მიწის სუნი არ მოენატროს!. ძნელია თხუთმეტი წელი ყაჩაღად ყოფნა, ახლობლებს, მეგობრებს მოწყვეტა, ტყე-ღრეში ხეტიალი. ამტომაა, რომ პოემის მეორე ნაწილში არსენა უკვე თავისი ბუნაგიდან ამოგარდნილ ნადირსა ჰგავს, რომელსაც ადგილი ველარ უპოვია:

სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს
ცხენს წაართმევს...
გადაჯდა და გამოსწია, გამოუდგება
მინდვრებსა.
ყაზაზში რომ გადავიდა, ემსახურა
თათრის ბეგსა.
„იმათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ
ვერ მოუშვებ წვერსა“.
იქიდანაც წამოვიდა და სომხითში
გამოსწევსა.
ორი თვის გამოსავალი გამოორმბინა ორ
დღესა.....

მერე ქიზიყში მიდის ფარსადანზე შურის საძიებლად (თუმცა ბოლოს მაინც შეიბრალებს მოღალატეს), შემდეგ მარტყოფში ვხედავთ, სადაც სუმბათოვსა და მაკაროვს გაძარცვავს. მარტყოფიდან თონეთისაკენ გასწევს და ორ კკირას ქეიფში ატარებს.

საცა მივა მიკიტანთან, ყველა დაუქნევენ
ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს
აძლევსა.

აშკარაა, არსენას ნერვებმა უმტყუნეს:

„შეესანდლობარი დალიეთ, ოდეს არსენა
მოკვდებსა“.
რაც იმას საქმე ეამნა, იმისთანა თქვენსა
მტერსა:
ვნახე წუხელი სიზმარი, სისხლში
ვიღებამდი წვერსა,
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ
უნდა გადაწყდებსა.
ან თათარი მიღალატებს, ქართველი არ
მომარჩენსა,
ვერ დავესწრები აღდგომასა, ვერ დავიჭერ
წითელ კვერცხსა...

და ამას მოსდევს ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელი სტრიქონი, რომელიც ფარდას ხდის როგორც ფინალური ეპიზოდს, ისე თვით არსენას სულიერ დაძაბულობას, სულიერ ტრაგედიას და წერტილს უსვამს მთელ ისტორიასაც:

თუ ძალით არავინ მომკლა,
ნებით გამოვიჭრი ყელსა.

არსენას სიცოცხლე ფაქტიურად აქ თავარ-

გურამ ბარნოვი
„...ამ სასაიმბან ცქერამ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება. ეს სიტყვები მზოლოდ შეეკვეთ გრძნობით — წინათგრძნობით არ არის ნაკარნახევი, ის არსენას მთელი ცხოვრების ლოგიკური ფინალია, ამიტომაც ეკუთვნის ლეგენდად და თავისებურად ადუღებულს მთელ პოემას.[2]

ხალხის შემოქმედად ვენახ არარეალისტურია ფსიქოლოგიური სამართლად ხატავს არსენის შინაგან სამყაროს, მის სულიერ პორტრეტს. არსენა, მართალია ეუბრალია, მაგრამ თუ ძარცვავს ვინმეს, მზოლოდ იმიტომ, რომ თავი გიატანოს — ეაჭრები, რომელებსაც არსენა ფულს მოსთხოვს, ათას ხუთას თუმანს შეადგენენენ, მაგრამ არსენა მარტო ხუთასს აიღებს, დანარჩენს უკან დაუბრუნებს. მეორე შემთხვევა — ციხიდან გამოქცეულს გზაზე სიძე-სიდედრი შემოეყრებიან. არსენა მათ ცხენს წაართმევს (თან სთხოვს: „დედავ, დედაშვილთასა, შენ ნუ დამიწყეველ გზასა“), ორი კვირის შემდეგ კი უკან გაუგზავნის და თუმანსაც აჩუქებს — „რაც რომ ნალი გაუცვლესს“.....

მაგრამ არსენას სახელს ბევრი გარეშური ეფარება და ათას ბოროტებას სჩადის. დატყვევებულ არსენას „ნაჩაღლიკი“ ეკითხება:

„რაც შენი ამბები მომდის, რათა ჰკმენ,
ჩემო არსენა?!“

„მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყული
მოგეხსენა:
მართალია, გავარღნილი დავდიოდი
მშიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა
ღარიბის ჰმეკა,
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი
ასრულდესა“.

ცოლისწამებას, ღალატს, უსამართლობას თუ გაუტანლობას არსენა ვერ გაუბოროტებია, მის გულში ადამიანებისადმი სიყვარულის ცეცხლი ვერ გაუნეფებია („სადაც გაჭირვებულს ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა“). სიკვდილის წინაც კი ღარიბებზე და ქვრივ-ობლებზე ფიქრობს („ჩემი შეიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში დეფსა, ღარიბსა, არა მჭირნესა მიეცეს და მოხმარდესა“). არსენას სწამს ადამიანებისა, ამისთან სჯერა, რომ უსამართლო და ავი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხით იქნებოდა გავრცელებული. ამჟამად ვარაუდენი, თუ კონკრეტულად რომელი ფრაგმენტების შერწყმა-შეერთების შედეგი დღესდღეობით ცნობილი ვრცელი ვარიანტი პოემისა. 3. უმეცარშელის ამისათვის 17 ჩანაწერი გამოიყენებია, ამასთან საკუთარი ერთი სიტყვაც არ ჩაუმატებია. ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. რამ განაპირობა ეს წარმატება? ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, თვით ხალხური ნაწარმოების შინაგანმა სტრუქტურამ. ზეპირსიტყვიერებაში უხვად შეიძლება დაიძებნოს მაგალითები, როცა ერთსა და იმავე გმირზე მრავალი ლექსია შექმნილი, მაგრამ მათი ვამოლიანება ვერავითარ ეფექტს ვერ მოგვცემდა, რადგან ამ ლექსებს არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან თვით მთავარი გმირის სახელის მეტი. „არსენას ლექსი“ არ წარმოადგენს სხვადასხვა ეპიზოდების მექანიკურ გადაბმას. იგი თავიდანვე გაჩნებული უნდა ყოფილიყო როგორც ეპიკური ტილო, მთლიანი ისტორია საახალო გმირისა. ვფიქრობთ, სწორედ ამან განაპირობა უკიბერტულეკის წარმატება.

აღსანიშნავია, რომ თვით პეტრე უმეცარშელმა და შემდეგ სხვებმაც სცადეს ზოგიერთი სხვა ხალხური ნაწარმოების რეკონსტრუქციაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ცდებს ასეთი წარმატება არ მოჰყოლია. ეს ფაქტი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ საეკუნეების მანძილზე დაშლილი დიდი ეპიკური ტილოების აღდგენისათვის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რაიმე კანონზომიერება, რაიმე წესი, რომელიც უეჭველი წარმატების გარანტია იქნეოდეს, არ არსებობს. რაც შეეხება ტექსტების ნაწილობრივ რეკონსტრუქციას, ვფიქრობ, ამ მიმართულებით შესაძლებელია მუშაობის მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დამყარება. ყოველ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს ის, რაც სრულიად აშკარა და აუცილებელია, შემთხვევითი არ არის, რომ ტექსტოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში საბჭოთა ფოლკლორისტები მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ტექსტების ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პრობლემას.

როგორც ვიცით, ხალხური ლექსი ჩვეულებრივ მრავალ ვარიანტად ვრცელდება. ვარიანტები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ტექსტის სისტემის, ჩანაწერის სიძველის, ტარდიციებთან მისი სიახლოვის, ცალკეული მხატვრული დეტალების სრულყოფილად დამუშავებისა თუ კიდევ სხვა ნიშნების მიხედვით მრავალთა შორის გამოყოფენ ხოლმე ერთ ვარიანტს, რომელსაც პირობითად „ძირითადს“ უწოდებენ და მას ბეჭდავენ. მაგრამ არც თუ იშვიათად ამ გამართულ (სხვებთან შედარებით) ტექსტშიც რომელიმე ადგილი დამახინჯებულია ან აკლია რაიმე. ზოგჯერ სწორედ მეორეხარისხოვან ვარიანტშია შემონახული ისეთი მხატვრული პასაჟი, მეტაფორა თუ შედარება, რომელიც უდაოდ ორგანულია მოცემული ლექსისათვის და ურომლისოდაც აშკარად ღარიბდება ძირითადი ტექსტი. მაშასადამე, მკითხველი ვიღაც იღებს სრულ წარმოდგენას ფოლკლორული ძეგლის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ძირითადი ტექსტის შესაფერად, მისი სრულყოფისათვის ვარიანტის მოშველიება მკრეხელობად არ უნდა ჩაითვალოს. ამის თქმა იმიტომ მიგვაჩნია საჭიროდ, რომ თანამედროვე ქართული ფოლკლორული გამოცემების სამეცნიერო აპარატურაში ამგვარი ძიების პრაქტიკის კვალს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, თუმცა ასეთი ხასიათის მუშაობის ჩატარების აუცილებლობა ფოლკლორისტიკის განვითარების დღეკვანდელ ეტაპზე ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.

ერთ მაგალითს მოვიტანთ.

როგორც ცნობილია, ზოგიერთ მეზობელ ტომთა თარეში და ქართველ ქალ-ვაჟთა ტყვედ გატაცება განსაკუთრებით გაბშირდა XVIII საუკუნის დასაწყისში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ეროვნულ უბედურებად იქცა. გამტაცებლები ტყვეებში გამოსასყიდს თხოულობდნენ ან უცხოეთში ჰყიდდნენ მათ. ჩვენი ისტორიის ამ შავბნელ პერიოდს ასახავს ცნობილი ხალხური ლექსი:

მანდ რო ქალი დავიკარგე, განჯას
თათარსა ვყევარო,
ქიშმრშით გასუქებული გაბადრული
მოვარეს ვგევარო,
მაცვია სიასამური მაშიეებზე ვდგევარო,
დღისით მიყრია ბორკელი, ღამე შუაში
ვწევარო.
ტალიკ-ტალიკო ვოქაცნო, მისაფეფ-
მოსადევარო,
მოკრიფეთ თითო შაური, მიხსენით თქვენი
ტყვე ვარო.

ეს ლექსი გამოქვეყნებულია ვ. კოტეტიშვილის კრებულში „ხალხური პოეზია“ (1934 წ., გვ. 60). როგორც ყველაზე სრული, გამართული და ამასთან ერთ-ერთი უძველესი ჩანაწერი იგი სავსებით სამართლიანადა შეტანილი „ქართული ხალხური პოეზიის“ III წიგნის (1974 წ.) ძირითად ტექსტებში (გვ. 139). მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტექსტიც სავსებით სრული არ უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს დასაწყისი ლექსისა: „მანდ რო ქალი დავიკარგე“..... შეუძლებელია იგი ლექსის თავდაპირველ დასაწყისად ვივარაუდოთ. ბუნებრივადაა ისმის კითხვა — სად? დასახელებული წიგნის შენიშვნებსა და ვარიანტებში დაბეჭდილია 23 ტექსტი.

ბუბუა ბარნოვი

„...ამ სასაიათნან ცაქრაკო“

ჩვენ ამჟამად საშუალება არა გვაქვს დეტალურად განვიხილოთ ყველა ვარიანტი ძირითად ტექსტთან მიმართების თვალსაზრისით. მაგრამ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ მასთან ძალიან ახლო ნათესაობას ამყოფენებს „იგ“ ვარიანტი (გვ. 387).

ალიხევი და ტეკალო, შეურულო ოქროს
მტევანო,
მანდ რო ქალი დავიარგე, განკას თათარსა
ვუევარო.
მოკრიფეთ თითო შაური დამიხსენთ,
თქვენი ტკვე ვარო.
დღისით ბორკილი მიყრია, ღამით ორშეა
ვნევარო.

ალიხევი და ტეკალი პატარა მდინარეებია, რომლებიც სოფელ მარტყოფს ჩაუდიან. მაშასადამე ნათელი ხდება, რომ ხალხური ლექსის ამ ვარიანტში ტრაგიკული შემთხვევის ადგილად მარტყოფის მიდამოებია ნაგულისხმევი. შესაძლებელი იყო თუ არა ეს დასაწყისი ძირითადი ტექსტისათვის (როგორც უფრო სრული ვარიანტისათვის) დაგვერთო? ვფიქრობ, შეიძლებოდა, რაკი ასეთი კორეკტივის შეტანის საფუძველს თვით ხალხური ტრადიცია გვაძლევდა — ტექსტი უფრო გასაგები, სრული და გამართული იქნებოდა შინაარსობრივად (მაშასადამე უნდა ვიგულისხმოთ, რომ უფრო მეტად დაუახლოვდებოდა „ორიგინალს“) და მხატვრულობის თვალსაზრისითაც მოიგებდა.

რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული ტექსტი თამამად შეგვიძლია გამოგვიყენებინა შემდგომი კვლევა-ძიებისათვისაც, რადგან შენიშვნებში მოცემული იქნებოდა ტექსტის ისტორია.

ჩვენ აქ ტექსტის ნაწილობრივი რესტავრაციის მარტივი მაგალითი მოვიტანეთ. ზოგიერთ ტექსტზე შეიძლება მთელი გამოკვლევა დაიწეროს. ეს ძალზე რთული შრომატევადი სამუშაოა და მის ფართოდ გაშლას მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მთელი კოლექტივის ხანგრძლივი და დაძაბული შრომა სჭირდება (ალარფერს ვამბობ თეორიული საფუძვლების დამუშავების აუცილებლობაზე). თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო შოთა რუსთაველს სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში ნახეთარ მილიონამდე ტექსტი ინახება, რომ უამრავი მასალაა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, უნივერსიტეტის ფოლკლორის კაბინეტსთან არსებულ არქივში და სხ., ნათელი გახდება ის უდიდესი სიძნელეები, რაც მომავალი მუშაობის გზაზე ელობება ჩვენს ფოლკლორისტებს, მაგრამ ამ ეტაპზეც აუცილებლად უნდა გაკეთდეს ის, რაც, რასაკვირველია, დღესდღეობით ჩვენს ძალებს აძლევს ტება.

ტექსტების პუბლიკაციის მხრივ ჩვენში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ფოლკლორული მეცნიერების წინაშე დრო სულ ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებს.

ფოლკლორის ტექსტოლოგია საბჭოთა ფოლკლორისტიკის შედარებით ახალი დარგია. მიეხედავად ამისა, რუსულ ენაზე უკვე მრავალი სოლიდური გამოკვლევა არსებობს, რომელიც ხალხური ტექსტების შესწავლისა და პუბლიკაციის პრობლემებს ეძღვნება. ჩვენ ამ მხრივ ჯერჯერობით ჩამოვრჩენილნი. ამას ადასტურებს ის ფაქტიც რომ თვით ტერმინი — „ფოლკლორის ტექსტოლოგია“ ჩვენში ჯერ არ დამკვიდრებულა. გაგვიჭირდება დავასახელოთ გამოკვლევა, რომელიც სპეციალურად ქართული ზეპირსიტყვიერების ტექსტოლოგიის საკითხებს ეძღვნებოდეს. პროფ. მიხ. ჩიქოვანის ნაშრომი: „ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპები (1962 წ.), რომელიც თავის დროზე განხილვის საგნად იქცა და საფუძვლად დაედო ხალხური პოეზიის მრავალტომეულის მომზადებასნ, საგანგებოდ არ მიმოხილავს ტექსტოლოგიის პრობლემებს. მართალია, აქაც და ქართველი ფოლკლორისტების სხვა ნაშრომებში ვხვდებით ცალკეულ გამონაკლისებს ფოლკლორული ტექსტების გამოცემათა თაობაზე, მაგრამ მათ უფრო ზოგადი ხასიათი აქვთ და შეიძლება ითქვას, ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რასაც თანამედროვეობა აყენებს ფოლკლორისტიკის წინაშე:

«На смену эпизодическим и более или менее случайным текстологическим экскурсам, совершавшимся отдельными фольклористами в разное время и по разным поводам, приходит устойчивый интерес фольклористов к текстологии, обусловленный актуальными научными задачами. Этот интерес получает свое выражение в стремлении научно определить текстологические принципы издания произведений фольклора»...[7].

ფოლკლორული ტექსტების გამოცემა ისეთ რთულ პრობლემებს აღძრავს, რომ მათი გაშუქებისათვის არა ერთი და ორი მონოგრაფია იქნებოდა საჭირო. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანდ არის აღნიშნული «Фольклорная текстология весьма нуждается в тщательном теоретическом осмыслении его специфических особенностей»[8].

ქართული ფოლკლორისტიკის გარიერაზე ჩვენი მწერლები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ტექსტების ფიქსაციისა და პუბლიკაციის. ჯერ კიდევ 1882 წელს ხალხური სიტყვიერების შემკრებთათვის შედგენილ პროგრამაში ალნაშენი იყო, რომ „დამწერმა თავის თავს ნება არ უნდა მისცეს მცირეოდენი ცვლილებების მოხდენისაკენ:... ის ადგილიც კი არ უნდა შესცვალოს, რომელიც უაზროდ ჩნეულება". არც გამოცემის დროს იყო ყოველად მიჩნეული რედაქტორის ჩარევა: „სახალხო კრებულებში.... უნდა ხელუხლებელი იბეჭდებოდეს ყოველი ნაწარმოები ხალხის გონებისა და ფანტაზიისა" — წერდა ი. გოგებაშვილი[7]. ამავე პრინციპებს იზიარებდნენ სხვა გამოჩენილი ფოლკლორისტები და ფოლკლორის მეცნიერებიც. ტექსტის ფონოგრაფიული სიზუსტით ჩაწერასა და ასევე ზუსტ პუბლიკაციას მოითხოვს ძირითადად დღეს ქართული ფოლკლორისტიკაც. „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების (1973 წ.) მესამე ტომის უკანასკნელ XI თავში („ფოლკლორულ-შემკრებლობითი მეშაობის პრინციპები" — აიტ. პროფ. მ. ჩიქოვანი), ვკითხულობთ: „მეცნიერული გამოცემის დროს ტექსტში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება" (გვ. 250) და იქვე: „მხატვრული გამოცემისას ისეთივე ტექსტოლოგიური პრინციპები უნდა დაიცვაო, როგორც პირველ შემთხვევაში (ე. ი. სამეცნიერო ხასიათის გამოცემისას — გ. ბ.). ყოველი მხატვრული ნაწარმოების არსებობის ეშშმარიტი ფორმა მხოლოდ ისეთი ფორმაა, რომელიც მას აბერმანა ან მოქმედ-შემოქმედმა მისცა. ამის გამო გამომცემელს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანის უფლება არა აქვს" (გვ. 290-291). აქ თითქოს არავითარი გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ზემოთ ხსნილნ ნაშრომში — „ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპები", — სადაც საუბარია პატრუ უმიკშვილის „ხალხური სიტყვიერების" ფ. გოგიჩაიშვილისეულ გამოცემაზე, ნათქვამია: „ფ. გოგიჩაიშვილი აღნაგდის, რომ ტექსტში გაპარულ აშკარა შეცდომებს ვასწორებდიო და თანაც შენიშვნებში ჩამოთვლის რა და როგორ გასწორა. ეს სრულიად კანონზომიერი მოქმედებაა. გასწორების ფიქსაცია და მისი შენიშვნებში აღნიშნა ისევე საკადაღებელია, როგორც შემკრებსა და მოქმედზე მითითება".[10] და ცოტა ქვევით: „თუ ტექსტში სარედაქციო ცვლილებების შეტანა აუცილებელი რაიმე სპპატო მიზეზის გამო, მაშინ, გასწორების თვითეული შემთხვევა შენიშვნებში უნდა გაეტანოთ და სწორედ ვიჩენნთ რით შეეცალეთ"[11]. როგორც ეხედავთ, რედაქტორის ჩარევა (თუმცა ძალიან მოკრძალებული) აქ საკმაოდ კანონიერ მოქმედებად არის გამოცხადებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფოლკლორისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დარიოდი ტექსტების დაზუსტების მიზნით. მეცნიერი-რედაქტორის ჩარევა რაღაც საგანგებო და განსაკუთრებულ შემთხვევათა რიგს არ უნდა დაეგეკუთვნებოდეს. მეცნიერულ გამოცემისას აუცილებელია ჩატარებულ იქნას ტექსტოლოგიური ძიებები, წინაადმდეგ შემთხვევაში საარქივო მასალის უბრალო პუბლიკაციასთან გვექნება საქმე. რასაკვირველია, არ შეიძლება ჩაეგრიოთ ყველა შემთხვევაში, როცა რაიმე გაუგებრად ან არასწორად მოგვეჩვენება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ **ტექსტში ჩაურევლობა პრინციპად არ უნდა ვაქციოთ.** ზუსტად უნდა იქნას დადგენილი რა შემთხვევებშია მიზანშეწონილი ტექსტში ჩარევა. თავისთავად ცხადია, ასეთი ჩარევის უფლებასა და საფუძველს თვით ფოლკლორული მასალა, ტრადიცია უნდა იძლეოდეს. ჩატარებული ტექსტოლოგიური ძიების შედეგები აუცილებლად უნდა ითქოს ამ გამოცემის მეცნიერულ აპარატურაში და ა. შ. სამეცნიერო გამოცემისას უნდა გამოვიტანოთ ტექსტების ლიტერატურულად დამუშავებისა და დიალექტური თვალსაზრისით მათი ნიველირების პრაქტიკაც.

მეცნიერული გამოცემის ძირითადი მიზანია მკითხველამდე მიიტანოს გამართული და სანდო ტექსტი, რადგანაც ტექსტია მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილად აღქმის საფუძველი, მაგრამ „ორიგინალთან" შესაძლებლობის ფარგლებში მიახლოებული და ამავე დროს, მეცნიერულად ყოველმხრივ სანდო ტექსტის დადგენა არც ისე იოლი საქმეა, რადგან ხალხური პოეტური ძეგლის უნებლიე შერყვნა-შებღალვა თუ საერთოდ მის სახეცვლილებას მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. „ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპებში" ვკითხულობთ: „მკითხველს ტექსტი ისე უნდა მივაწოდოთ, როგორც ის ზეპირპრუნვაშია და დახელოვნებული მოქმედი გვაქვდის". (გვ. 41). სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა, მაგრამ დახელოვნებული მოქმედია და დახელოვნებული ჩაწერის ბედნერი შეხვედრა არც ისე ხშირია. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთო, თითქოს დღეს ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცული ტექსტების დიდი უმრავლესობა სწორედ ამგვარი შეხვედრის ნაყოფს წარმოადგენდეს. იშვიათია ადამიანი, რომელსაც პოეზია არ უყვარდეს, მაგრამ ყოველ მათგანს განსხვავებული ნიშნი, მხატვრული გემოვნება, დამახსოვრებისა და ფიქრობისაკენ უნარი აქვს... და ყველფერი ეს გამოხატულებას პოულობს ფიქსირებულ ტექსტში. ზოგჯერ შეცდომისგან დაზღვეული არ არის დახელოვნებული ჩაწერიც, რადგან ჩაწერისასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ კუთხის ის-

გურამ ბარნოვი

„...ამ სასაითბან ცვერაო"

ტორიის, ეთნოგრაფიის, დიალექტის და სხვა ფაქტორების ზეგავლენით ცოდნის. არც მაშინ ვართ დაზღვეული შეცდომისაგან, როდესაც რომელიმე ნაბეჭდი კრებულიდან შემოგვაქვს მასალა. ასეთ შემთხვევაში უნდა ვითვალისწინებდეთ როგორც კორექტორის, ისე გამომცემლის მიერ თვითნებურად შეტანილი შესწორებების შესაძლებლობას. ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ არის შემთხვევები, როცა მთქმელის, ჩაწერისა თუ კორექტორის მიერ დაშვებული აშკარა შეცდომის გაჯრიანება და დაკანონებაც კი ხდება ხოლმე.

თუ როგორ შეიძლება, კორექტორებმა შეცდომამ დროთა ვითარებაში მოჭალაქეობრივი უფლება მოიპოვოს, ამის მაგალითად გამოგვიდგება ერთი ადგილი ცნობილი ხალხური ლექსიდან „მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში“. ეს ლექსი უკანასკნელი ორმოცდათი წლის მანძილზე რამდენჯერმე იქნა გამოქვეყნებული. ამ გამოცემებში ყველგან ერთნაირად იკითხება შემდეგი სტროფი:

ბანუშემბა გარდმოხედეს,
პირზედ გადაჭკრათ ფერმაო,
თქვეს, ვაი თუ დაგვიმძვირდეს
ამ სასაითგან ცქერაო.

აშკარაა, რომ აქ რაღაც უზუსტობასთან გვაქვს საქმე, ტექსტის პუბლიკაციის ისტორიას !თუ გადავეხედეთ, შეცდომის პირველწყაროსაც მივაგებენ: როგორც ირკვევა, პირველი კორეტტერა გაპარული „ძველი საქართველოს“ III ტომში (1913 — 1914 წ. წ. გვ., 243) და შემდეგ ყველა გამოცემაში მექანიკურად გადასულა. მაგრამ ახლა საქმე კორექტორში არ გახლავთ (პოლოს და ბოლოს კორექტორულ შეცდომებისაგან არც ერთი გამოცემა არ არის დაზღვეული). როგორ მოხდა, რომ საუკუნის დასაწყისში ასოთამწყობის მიერ დაშვებულმა შეცდომამ (რომელმაც უაზრობად აქცია მთელი ხუმრობა) მრავალჯერ იჩინა თავი და უკანასკნელი წლების სოლიდურ გამოცემებშიც ანჩიენად მოიკალთა? კითხვა — რას უნდა ნიშნავდეს „სასაითგან“? — რასაკვირველია, ყველა გამომცემლის წინაშე დაისმებოდა, მაგრამ რაკი წინასწარ შეგუებულები ვართ იმ აზრს, რომ ხალხურ ლექსში შეიძლება ყველაფერი გასაგები არც იყოს (და აგრეთვე იმას, რომ ჩაურეველობა გაცილებით უფრო ნაკლები ცოდვაა, ვიდრე ჩარევა), ამიტომ ფოლკლორული ტექსტებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებასაც თითქმის აღარ ვიჩენთ ე. ი. შეცდომებისათვის კარებს ღიად ვტოვებთ. თუმცა აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ «Некритическое отношение к публикациям, излишняя доверчивость исследователей породили немало ошибочных толкований»[12].

მაინც რას უნდა ნიშნავდეს „სასაითგან“? აღნიშნული ლექსის პირველ ფიქსატრად უნდა მივიჩნიოთ „ვინმე მესხი“ (ი. გვარამაძე), რომელსაც იგი 1879 წელს გაზ „დროებაში“ (№ 186) გამოუქვეყნებია (შედარებით მოკლე ვარიანტი). ჩვენთვის საინტერესო ადგილი იქ ასე იკითხება:

ვაი თუ ჩვენ დაგვიმძვირდეს
ამ სარაითგან ცქერაო.

სარაითგან ე. ი. სასახლიდან ცქერაო[13].

როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, ტრადიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხალხურ ტექსტებზე მუშაობის დროს. შესანიშნავი ბალადის „ვეფხვისა და მოყმის“ ეროვნი ვარიანტის პუბლიკაციას ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. ჩვენთვის ცნობილ ყველა დაბეჭდილ ვარიანტში ერთნაირად იკითხება შემდეგი ადგილი:

ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
ვაჟავრებული, ტიალი,
ჩემ შვილს — ხმლითა, იმას — ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი.

დღის დაღამება, თავისთავად ცხადია. პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მართალია, ზოგი ვარიანტის მიხედვით ვეფხვისა და მოყმის შეხვედრა შუადღისას მოიმდარა (ვარიანტთა უმეტესობაში შეხვედრის დროდ შუადღეა დასახელებული), მაგრამ ყველი ნიშნის მიხედვით იგი დიეზანის არ გაგრძელებულა — „არც იმან მოგაკა ბევრი დრო, ალარე შენ დაიცალია“, „დრო ალარ დარჩა მოყმესა, ხანი რო ჰქონიეს ცდისანი“... ყოველ შემთხვევაში ბრძოლაში ღღის დაღამებაზე ლაპარაკი გაძნელდება, მაგრამ თუ კი „დღე დაუღამდათ მზიანი“ ლექსში მეტაფორადაა გაგზრებული და სიკეთის ნიშნავს, მაშინ თითქოს უფრო მოსაღლდელი იყო:

იმას — ხმლითა, ჩემს შვილს — ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი.

რადგან, როგორც ვიცით, მოყმემ ვეფხვი ხმლით მოკლა, ხოლო თვითონ ვეფხვის ტოტით მიეცემოდა ჭრილობებისაგან დაიოცა.

როგორც არ უნდა იყოს, თუ კი ამგვარ ვარაუდს ფოლკლორული ტრადიცია ახარს არ უუჭერს, თავი უნდა შეეიკავოთ ტექსტში ჩარევისაგან. მეორეს მხრივ, გვაქვს შემთხვევები, როცა სწორედ ტრადიცია არ იძლევა ტექსტში ჩაურეველობის უფლებას.

„ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების“ მესამე ტომის ერთ გვერდზე მოტანილია ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყვეტი იმის ნათელსაყოფად, რომ „ერთ და იმავე ლექსში შეიძლება რამდენიმე მთქმელის სახელი გაჩნდეს ავტორის აღსანიშნავად".

თვალსაჩინოებისათვის ეს ადგილი მთლიანად მოვიტანოთ:

„1888 წელს გაზეთ „იverია" № 121-ში ნ. ურბნელმა ბათაკა არაბულის ნაკარნახევი ერთი ხალხური ლექსი გამოაქვეყნა, რომლის ეპილოგში ვკითხულობთ:

ამაგ ხიმღერის მათქვამი არ ვიცოლის ქალ
ვარ თმიანი...
ცოლადა წამაგივიღოდ, მაგრამ ვარ
კ ე თ ი ლ ი ა ნ ი.

თ. რაზიკაშვილისეულ ხევსურულ ვარიანტში იმავე ადგილის ნათქვამია:

ემაგ შაირის მათქომი ქალ გომეწრელ
ორ თმიანი,
ცოლადაც დაგიჯდებოდი, არ ვიყავ
კ ე თ ი ლ ი ა ნ ი.

ამავე ლექსის ხიზანიშვილისეულ ჩანაწერში („იverია", 1887 წ. № 154) გვხვდება:

მაგა ლექსსა მოთქომი ხევსურის ქალი
თმიანი,
მოგვდიოდი, თორღვაო, არ ვიყო
კ ე თ ი ლ ი ა ნ ი.

ფშაური ვარიანტის მიხედვით ეს ლექსი კიდევ სხვა პირს მიეკუთვნება: „მალეესებელი თუშთა ქალი ვარ თმიანი". 1913 წელს ა. შანიძეს თვალიში მინდია ქისტაურისაგან უკანასკნელის მსგავსი ცნობა ჩაუწერია:

ამაგ ქართულის მათქვამი თუშის ქალი
ორ თმიანი
ცოლად კი წამოგვყვებოდი, თუშის ვარ
კ ე თ ი ლ ი ა ნ ი".[15]

როგორც ვხედავთ, მოტანილი ოთხი ვარიანტიდან სამში ნახმარია „კეთილიანი", ხოლო მეოთხეში კი — „კეთილიანი"[16].

ბუნებრივია, მკითხველი იფიქრებს, რომ პირველ სამ ვარიანტში სწორი ფორმაა ნახმარი (თუმცა, თავისთავად მაინც გაუგებარი იქნება რას ნიშნავს „კეთილიანი" და ადგილი შესაძლებელი, მას თავისებური გააზრებაც მისცეს), ხოლო მეოთხეში რაღაც შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. სინამდვილეში კი სწორედ პირიქითაა — „კეთილიანი" ამ შემთხვევაში არაფერს არ ნიშნავს, „კეთილიანს" კი ისეთ ქალს უწოდებდნენ, რომელსაც აკრძალული ჰქონია გათხოვება. უნდა მიგვექცია ამ გარემოებისათვის ყურადღება და უნდა ჩაგვეულიყვით ფაქტიურად რას�აცვალებელი, უნდა ჩაგვეულიყვით და ჩაგვესწორებინა, რადგან არსებული ვარიანტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ წყაროხვეულ („კეთილიანი") უპერის მხარს. მითუმეტეს, რომ თვით სახელმძღვანელოში მითითებულ ერთერთ დედაწმინდა არა მარტო სწორედაა ნახმარი ეს სიტყვა, არამედ სათანადო ვანმაარტებაც კი ახლავს: „კ ვ ე თ ი ლ ი ა ნ ი... ეს ქალია, რომელიც ქმარს დაიწერებს და თავს დაანებებს, ან დანიშნული საქმროს არ ინდომებს. ამისთანა ქალს გათხოვება არ შეუძლიან. თუ გათხოვდა, მოაკლეს შეურაცხოფილი კაცი" (იხ. „იverია", 1888 წ., № 121). რა თქმა უნდა, არსებობს აღნიშნული ლექსების ვარიანტები, სადაც „კეთილიანი" ნახმარი (მთქმელმა ასე თქვა და ჩაწერმაც ასე ჩაიწერა), მაგრამ აშკარაა, ეს იმიტომ მოხდა, რომ მთქმელს აღარ სცოდნია რას ნიშნავს „კეთილიანი" და იგი უფრო „ნაცნობი" სიტყვით შეუცვლია. ვიმეორებთ, ასეთ შემთხვევებში ჩვენი ჩარევა აუცილებელია.

ვფიქრობთ, თანამედროვე ეტაპზე უკვე აღარ უნდა იყოს საკმარისი ცალკეული მთქმელისა თუ ჩაწერის მიერ დაშვებული მხოლოდ აშკარა ლაფსუსების, ანდა აღრე გამოქვეყნებულ მასალაში შენიშნული კორექტურული შეცდომების სწორება შემორჩენილი დედნების მიხედვით. თუკი ამის საშუალებას ფოლკლორული ტრადიცია გვაძლევს, უფრო კრიტიკულად და უფრო თამამადაც უნდა მოვეკიდოთ ტექსტის დადგენის საქმეს. ვიმეორებთ, ასეთი მუშაობა მტკიცე მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამას თავის დროზე ცნობილი საბჭოთა ფოლკლორისტი ვ. პროპი აღნიშნავდა, თვითნებური ჩარევები ბარბაროსობა იქნებოდა ზეპირსიტყვიერების ძეგლების მიმართ.[17]

ფოლკლორის ტექსტოლოგიაში ვარიანტების საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვარიანტების სიუხვეს გამო, ადვილი არ არის რომელიმე თთგანს მისცეს უპირატესობა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ნიშნების მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება ძირითადი ტექსტის გამოყოფა, მაგრამ დანარჩენი ვარიანტებიც თავისთავად სრულფასოვან ძეგლებად რჩებიან. სიმრავლის გამო მათი მხოლოდ გამოქვეყნება ყოველთვის ვერ ხერხდება და ზოგჯერ არც არის მიზანშეწონილი — განსაკუთრებით მაშინ, როცა ვარიანტებს შორის მხოლოდ უმნიშვნელო ენობრივ სხვაობასთან გვაქვს საქმე. თუმცა ამგვარ ეს წესი არც თუ იშვიათად ირღვევა კიდეც. ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულში, მაგალითად, ზოგჯერ ისეთი

ბუნამ ბარნოვი
„...ამ სასაიათან ცაქრარ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალაც იბეჭდება, რომლის გამოქვეყნება პირველი რიგის აუცილებლობას არ წარმოადგენს. მრავალთაგან ნიმუშად დავასახელებთ ერთ მაგალითს, როცა ვარიანტები ერთმანეთისგან მხოლოდ და მხოლოდ ზმნისწინით ერთი ხმოვნით განსხვავდებიან და ეს სხვათა არავითარ ეჭვრობრივ თუ მხატვრულ ნიუანსს არ ქმნის:

ბ

წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას — ვაშლი წითელი,
ვუკაცსა — ფარი და ხმალი,
მაიმწითოროს კისერი.

დ

წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას — ვაშლი წითელი,
ვუკაცსა — ფარი და ხმალი,
მოიმწითოროს კისერი.

ორივე ვარიანტი ერთ გვერდზე, ერთიმეორის მიყოლებითაა დასტამბული. და ეს მაშინ, როცა ტომების მოცულობის განსაზღვრულობის გამო ზოგი უფრო საინტერესო მასალის გამოქვეყნება ვეღარ ხერხდება. ყველაფერი ეს მრავალრიცხოვანი ვარიანტების შერჩევის, კლასიფიკაციისა და გამოქვეყნების თეორიული პრინციპების უფრო საფუძვლიანი დამუშავების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს — უნდა დადგინდეს, რისი დაბეჭდვაა პირველ რიგში საჭირო და რისი არა. წინამდებარე წერილში განხილული მაგალითები ტიპიურია. ანალოგიური ხარვეზები და უზუსტობანი დამახასიათებელია თითქმის ყველა ფოლკლორული კრებულისათვის. ჩვენის აზრით, ამაში ბრალი მიუძღვის აქა იმდენად ცალკეულ რედაქტორ-გამომცემელს, არამედ იმას, რომ ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა ფოლკლორის ტექსტოლოგიის საკითხებს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოლკლორული ტექსტების სამეცნიერო გამოცემებში „ვარიანტი“ ყოველისმომცველ ცნებად იქცა და ნაწარმოების „რედაქციის“, „ვერსიის“, „სახესხვაობისა“, თუ „განსხვავებული წაკითხვის“ გაგებაც შეითავსა. ტექსტები, რომლებიც ზუსტად „ვარიანტის“ ნიმუშებად იბეჭდება, ფაქტიურად მხოლოდ „განსხვავებულ წაკითხვას“ ან „სახესხვაობას“ წარმოადგენენ. მეორეს მხრივ, როგორც ვიცით, ვარიანტები შეიძლება ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ ფაქტიურად უკვე სულ სხვა ვერსიასთან გვქონდეს საქმე. მათი ზუსტი კლასიფიკაცია ნაოლულ მოჰფენდა ბევრ საინტერესო საკითხს, დაგვეხმარებოდა ისტორიული თვალსაზრისით ნაწარმოების ანალიზში და ა. შ.

რიგულად დადგება ვარიანტების საკითხი პროზაული ტექსტების აკადემიური გამოცემის შემთხვევაში: თავისთავად არც თუ ადვილი იქნება ხალხური პროზის ზღვა მასალიდან ყველაზე საინტერესო, მნიშვნელოვანი და სრულყოფილი ტექსტების გამორჩევა. მაგრამ რა ვუყოთ დარჩენილ მასალას? მეცნიერებისათვის თვითეული ვარიანტი ძვირფასია — ვარიანტების სიუხვე აფაროთებს საკვლევაძიებო პრობლემატიკას და დასკვნებსაც უფრო სანდოსა და საინტერესოს ხდის. მაინც როგორ უნდა მოვუაროთ ვარიანტებს? მარტო მათზე მითითებით დავკმაყოფილდეთ თუ მოკლე ანოტაციები მივცეთ, ან იქნება აარნე-ანდრეევის საძიებელი მივიშველოთ? ანდა, რა სისტემით უნდა დალაგდეს მასალა, რა სახის სამეცნიერო აპარატურით უნდა აღვსებულიყო იგი? რამდენად საჭიროებენ პროზაული ტექსტები რედაქტორის ხელს?18. ყველა ამ კითხვაზე პრაქტიკულად მოგვწევს პასუხის გაცემა ხალხური პროზის აკადემიური გამოცემის განხორციელების დროს. რასაკვირველია, თვითეულ ქართველ ფოლკლორისტს თავისი საკუთარი კონკრეტული პასუხი მოეძებნება მათზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერულად დასაბუთებული საერთო პრინციპების უქონლობა მაინც ძალიან გაართულებს მუშაობას და შედეგიც სასურველი ვერ იქნება.

ხალხური პროზის გამოცემაზე ჩამოვარდა სიტყვა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამაზე ჯერ აღრეა ლაპარაკი, რომ ჯერ ხალხური პოეზიის მრავალტომეულის გამოცემის გასრულებაა საჭირო, რომ „ხვალემ იკითხოს ხვალისა“, მაგრამ, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ხვალეც მალე მოგვადგება ხოლმე კარზე და იმ ხვალინდელ დღეს მზად უნდა შევხვდეთ. ყოველგვარი თეორიული საკითხის გადაჭრა პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება და რასაკვირველია, წარსულის გამოცდილების თეორიული გააზრებისა და მის საფუძველზე ტექსტოლოგიური საკითხების სათანადო დამუშავების გარეშე თანდათან უფრო გაძნელდება თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე მდგომი მეცნიერული გამოცემების განხორციელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები:

1 მოვიგონოთ მიხ. ჯავახიშვილმა თავის „არსენა მარაბდელში“ რა დიდი მხატვრული სიმართლით ასახა ეს მონატრება ადამიანური, გლეხური ცხოვრებისა.

2 ზეპირსიტყვიერებაში ხშირადაა, როცა ესა თუ ის პერსონაჟი თავისი მომავალი უბედურების ამბავს სიზმრის საშუალებით გებულობს. ყველგან ეს ავისმაუწყებელი სიზმარი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უფრო მოგვაგონებს: ადამიანს თითქოს არავითარი ხიფათი არ ემუქრება, მაგრამ სიზმარი მოულოდნელად ამცნობს განგების განაჩენს ე. ი. გმირის ბედი ფაქტიურად ზეცაში წყდება. სულ სხვა მდგომარეობაა „არსენას ლექსში“ — არსენას ტრაგედია ცხოვრებითაა შემზადებული და იგი თვით არსენას სულიერი მდგომარეობის სავსებით ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს.

3 აქვე ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ობლის შესახებ ზემოთმოტანილი ხალხური ლექსის გამო. როცა ადამიანი საკვდილს ნატრობს ან სასიკვდილოდ იმეტებს თავს, ბუნებრივია, რომ ამისათვის მას თვით სიკვდილზე უფრო მძიმე მიზეზი უნდა ჰქონდეს. აქ კი მიზეზად მხოლოდ მოწყენაა დასახელებული. ობოლს ამ ქვეყნად ყოფნა კი არ მოსძულებია ან კი არ შეზიზღება, არა, „უბრალოდ“ მოსწყენია. მაგრამ რა საოცრად დაუტეხრთავს ამის მთქმელს ეს მოწყენა! თავისთავად ცხადია, ეს არ არის განებივრებული კაცის მოწყენა, ეს ავ ბედს შერიგებული ადამიანის მოწყენაა, რომელიც საკვდილზე გაციცხლებთ უფრო ძლიერია. ამ მოწყენაში ყველაფერია: სულიერი სიმარტივეც, სინანულიც შობილი შეუცვლელი აღერსის გამო, გაუჩივებაც, ტანჯვაც, ჩაგრაც, ადამიანთა გაუტანლობაც...

მაინც რა ქმნის ადნიშნულ ეფექტს? მთქმელს თითქოს ვერ მოუხერხებია უფრო შესაფერი „ანერგიული“ სიტყვის მონახვა და ლექსის ექსპრესია რამდენადმე შეუნელებია, ძალაუნებური რამდენიმე ტონით დაბლა ჩამოსულა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს გარემობა იქცევს მკითხველის საგანგებო ყურადღებას და მის წარმოდგენებსაც მეტ გასაქანს აძლევს. როგორც ირკვევა, ეს ძალიან ზუსტად გამიზნული და ამავე დროს საკმაოდ გავრცელებული ხალხი ყოფილა ხალხურ პოეზიაში. ამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ისევ „არსენას ლექსის“ ფინალს მივმართოთ — გორგი კუპატნელის უარმა არსენა წონასწორობიდან გამოიყვანა:

გაჯავრებული არსენა პირიდანა
ჰყრიდა ცეცხლსა....

არსენასა და გიორგის ბრძოლის შედეგი ჩვენთვის ცნობილია — უხმოდ დარჩენილ არსენას გიორგიმ მარჯვენა მოჰკვეთა:

დაღონებული არსენა ცხენიდან
გადმოვარდესა.

ლეკის ბიჭმა კი დაჭრილ არსენას

ბეკებში დამბაჩა დასცა, პირში ბოლი
გავარდესა.
დაღონებული არსენა აიწევს და
ვერ ადგესა.

გიორგის უარზე არსენამ „პირიდან ცეცხლი ჰყარა“ და ამავე დროს ღალატთ ზურგში სროლამ და სასიკვდილოდ დაჭრამ მხოლოდ „დაღონა“?! მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს „დაღონებაც“ ისევეა დატვირთული, როგორც ობლის „მოწყენა“ და ამის გამოა იგი ეფექტური.

4 პირველი ცდა „არსენას ლექსის“ გამთლიანებისა ეკუთვნის ნიკო ყიფიანს (ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ვაჟს), რომელმაც ორი წლით ადრე, 1972 წელს გამოაქვეყნა იგი. ნ. ყიფიანმა ისარგებლა პ. უმიაშვილის მიერ მიწოდებული ჩანაწერებითაც, მაგრამ პ. უმიაშვილი ვერ დაკმაყოფილა სისრულის მხრივ პოემის ყიფიანისეულმა ვარიანტმა და თვითონ მოკიდა ხელი მის დამუშავებას. პ. უმიაშვილის მიერ ალდგენილმა ტექსტმა სწრაფად მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, ფართოდ გავრცელდა ხალხში და უადრესად პოპულარული გახდა. ამას ადასტურებს „არსენას ლექსის“ გვიანდელი ჩანაწერები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ პ. უმიაშვილისეულ ტექსტს მისდევს.

გურამ ბარნოვი
„...ამ სასაიმბან ცაქრარა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ვ. მაცაბერიძის ნაშრომში „ირსენის ლექსის“ ტექსტის ისტორიისათვის (ხელნაწერი. წერილი იბეჭდება „ქართული ფოლკლორის“ VI ტ.).

5 სამწუხაროდ, საერთო სურათს ვერ ცვლის პროფ. მიხ. ჩიქოვანის „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიაში“ (1975 წ.) შეტანილი ცალკე თავი „ძირითადი ტექსტოლოგიური ცნებები“ (გვ. 60-70), სადაც მხოლოდ რამდენიმე ტერმინის განმარტებაა მოცემული.

6 როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება ანზორ კეკელიძს ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულის პირველ აკადემიურ გამოცემას (ქართული ხალხური პოეზია“, გამომცემლობა „მეცნიერება“). ამჟამად უკვე გამოსულია 4 წიგნი. I ტომის პირველ (1972 წ.) და მეორე (1973 წ.) ნაკვეთში შეკიდა მითოლოგიური ლექსები; II ტომის პირველ (1974 წ.) და მეორე (1975 წ.) ნაკვეთში — საგმირო ლექსები. თვითოეული წიგნი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: 1. ტექსტები და 2. შენიშვნები და ვარიანტები.

7 Принципы текстологического изучения фольклора, М.-Л., 1966 г., стр. 3.

8 К. В. Чистов, Современные проблемы текстологии русского фольклора. Доклад на заседании эдиционно-текстологической комиссии V Международного съезда славистов, М., 1963 г., стр. 9.

9 ი. გოგებაშვილი, რჩ., ნაწერები 1940, II, გვ. 489.

10 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპების შესახებ, 1962 წ., გვ., 19.

11 იქვე, გვ. 46.

12 Принципы текстологического изучения фольклора, стр. 4.

13 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ტ. VI, გვ. 775): სარაია-სპარს. სარა „სახლი“, „სასახლე“, „სავანე“ 1. საუბ. იხ. ფარდული.

2 ძვ. სასახლე, სრა, „ცხრა მთის იქით წალკოტში მიდგას სარაიაო, როცა მოხვალ, დაგხვდეს სახლის კარი ღიაო“ (აკაკი).

14 „ქართ. ხალხური პოეტური შემოქმედება“, ტ. III, 1973 წ., გვ. 60.

15 აქ არაფერს ვამბობთ იმ უზუსტობათა შესახებ, რომელთა შედეგად, მაგალითად, მესამე ვარიანტში ლექსის მეტრია დარღვეული.

16 В. Проп. Текстологическое редактирование записей фольклора, «Русский фольклор», 1956., I, стр. 205.

17 Сб. Принципы текстологического изучения фольклора. М., 1966 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ტატიშვილი

ღიღი მოძღვარი

ძნელია მოგონების დაწერა ისეთ დიდ ადამიანზე, როგორიც ივანე ჯავახიშვილია. ძნელია იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა უფლებას არ გაძლევს ზუსტად არ ასახო მოგონებები დაკავშირებული ამ პიროვნებასთან, მეორეს მხრივ იმ პერიოდში (1922-1940 წწ), როდესაც მე ივანე ჯავახიშვილს ვხვდებოდი არ არსებობდა უნივერსიტეტის ან საზოგადოდ ქართული კულტურის არც ერთი საკთხი, რომლის გადაჭრაშიც საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა ივანე ჯავახიშვილს არ ჰქონოდა. ამდენად როდესაც ივანე ჯავახიშვილზე მოგონებას დაწერა გადაწყვეტდ, გამიძნელდა...

პირველი, რაც ივანე ჯავახიშვილის შესახებ უნდა ითქვას ეს არის მისი პიროვნების სიდიადე. ძნელია წარმოიიდგინო უფრო სრულყოფილი ადამიანი. მასში ერთმანეთს აშშვენებდა გარეგნობა და შინაგანი თვისებები. ეს იყო ზომიერად მაღალი და ზომიერად ხორცშესხმული ტანის ადამიანი, ლამაზი, რაინდული სახით, განსაკუთრებულად ჭკვიანი და გონიერი მოფიქრალი თვალებით და კაცთმოყვარე გულწრფელი ადამიანის გამომეტყველებით. ივანე ჯავახიშვილს ახასიათებდა თავაზიანობა, უაღრესი პრინციპულობა და შრომისადმი ზედმიწევნით შეგნებული დამოკიდებულება. ის იყო საზოგადოებრივი აღიღოთი აღქურვილი მებრძოლი და ენთუზიასტი, რომლის ყოველი მოქმედება პედაგოგიურ, კეღევეთ თუ სხვა სარბიელზე იყო მხოლოდ მისი საზოგადოებრივი აქტიურობის გამოხატვა. ივანე ჯავახიშვილს სწორედ ზემოხსენებულმა თვისებებმა შეუქმნა სამართლიანი პიროვნების სახელი და მახსოვს, ყველა დიდი თუ პატარა, ბნიშვნელოვან თუ არამნიშვნელოვან საკამათო საქმეზე ბატონ ივანეს მიაშურებდა და კიდეკ რომ არ გამართლებულიყო ის მაინც კმაყოფილი და მადლიერი ბრუნდებოდა უკან, რადგან იცოდა, რომ ივანე ჯავახიშვილი უსამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

მართლაც მე^ არ მეგულება იმდენი მადლიერი ადამიანი გარკვეული პროოვნების მიმართ, რამდენიც ივანე ჯავახიშვილისადმი იყო. ეს ჩემში ახლაც გაოცებას იწვევს. მაგრამ პასუხი მე თვითვე მაქვს გაცემული: ივანე ჯავახიშვილი იყო პიროვნება, რომელსაც თავის მხედველობის ველში ჰქონდა ყველა საჭირბოროტო საკითხი ყოველგვარი გასსენების გარეშე.

ყველასათვის ცნობილია თუ რა შარავანდედით არის მოსილი ივანე ჯავახიშვილის სახელი. სხვათა შორის, იშვიათი არ არის, როდესაც გამოჩენილი პიროვნების სახელი და ავტორიტეტი სიკეთილის შემდეგ უფრო ზევით იწევს და ასეთად გადადის თაობიდან თაობაზე. სწორედ ამიტომ შემორჩა ისტორიას მრავალი გამოჩენილი ადამიანის სახელი. სულ სხვა, როდესაც ადამიანს სიცოცხლეშივე აქვს დიდი სახელი. ხშირია როდესაც მოღვაწე თავისი მოღვაწეობის შედეგებით აღიარებულია, მაგრამ, როგორც პიროვნება, თანამედროვეთა დიდ სიყვარულს და პატივისცემას არ იმსახურებს. ივანე ჯავახიშვილი ის პიროვნება იყო, რომელიც ყველა მისი თანამედროვეს მიერ იყო აღიარებული, როგორც უდიდესი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, უსპეტაკესი და უკეთილშობილესი, კაცთმოყვარე და ფაქიზი, მართალი და პრინციპული. ამიტომ ივანე ჯავახიშვილის სახელი ეროვნულ ეროვნულ ბალში მისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე, უნივერსიტეტის დაარსების პროცესის დასაწყისიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე და გრგვინავს ღღესაც. ივანე ჯავახიშვილი ქართველ ადამიანს ეროვნულ ეროვნულ ბალში ჰყავს მიჩნეული.

ივანე ჯავახიშვილი პირადად გავიცანი მაშინ, როდესაც ბიძაჩემმა დავით ონიაშვილმა მის მიერ გერმანულიდან თარგმნილი იოჰან ვოლფგანგ გოეთის „ფაუსტის“ ტრაგედიის პირველი ნაწილი გამატანა მასთან ბინაზე. მე წიგნი გადავეცი და წამოსვლა დავაპირე, ბატონ ივანეს შემოაჩერა, შემიპატიჟა ოთახში და გამომკითხა — ვინ არის თქვენი დავით ონიაშვილი? მე

ვუპასუხე, რომ დავთარი დედის ძმა არის, ხოლო მე ტატიშვილი ვარ.

ბატონ ივანეს სულ რამდენიმე წინადადებით აღნიშნა დავთის ადამიანური თვისებები, მისი მაღალი ნიჭიერება და გაშლილი განება, მისურვა რომ მას დავმსგავსებოდი და მოულოდნელად შემეკითხა „იაკობ ტატიშვილი ვიღაა თქვენონო, ქალბატონ ეკლესიის ყოფილი მთავარი 90-იან წლებში"? მე ვუპასუხე, რომ იაკობ ტატიშვილი მამაჩემია. მაშინ მან მითხრა — იცით თუ არა თქვენ, რომ მან ერისთავის ერთი კარგი საქმე გააკეთა?

მე ვერ მიუხედი შეკითხვას და გავიშმეი, ბატონ ივანეს წამოიწყო — როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სასიქადულო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა განჯაში 1845 წელს და იქვე ეკლესიის გალავანში დაასაფლავეს. ნ. ბარათაშვილის ნეშტმა განჯის მიწაში დაჰყო 48 წელი. ნ. ბარათაშვილის განჯიდან თბილისში გადმოსვენების შესახებ ჩვენს გაზეთებში რამდენჯერმე იყო აღნიშნული, მაგრამ არ იქნა და მისი გადმოსვენების საქმეს თავი ვერ მოაბეს.

თუ არ ვცდები 1892 წელს, განაგრძო ბატონ ივანემ, მამათქვენს შეეტყვინა, რომ იქ, სადაც ნ. ბარათაშვილის ნეშტია დასაფლავებული გზა უნდა გავიდეს, ხოლო მიცვალებულებს წაიღებენ და საერთო სასაფლაოში დამარხავენ... ისე რომ საშიშროება გაჩენილა ნ. ბარათაშვილის ნეშტის დაკარგვის! ეს ამბავი მამათქვენს სასწრაფოდ უცნობებია იქვე განჯაში მომუშავე სოლომონ დოლიძისათვის, რომელიც ზშირად აგზავნიდა კორესპონდენციებს თბილისის ქურნალ-გაზეთებში. მართლაც გაზ. „ივერიაში" (№ 213) გამოქვეყნდა სოლომონ დოლიძის წერილი, სადაც ის მამათქვენის ნათქვამზე დაყრდნობით იტყობინებოდა ზემოაღნიშნულს. წერილის გამოქვეყნების რამოდენიმე თვის შემდეგ 1893 წელს ქართველმა მოწინავეთ საზოგადოებამ ნ. ბარათაშვილის ნეშტი თბილისში გადმოასვენა და დღეს რომ ამ დიდი პოეტის ნეშტი შენახული გვაქვს ამას მამათქვენსაც უნდა ვუმადლოდეთო! ივანე ჯავახიშვილმა მამაჩემის ამბავი ისე ვრცლად მიამბო, თითქოს იმ დღეს მას სხვა საქმე არ ელოდა.

რასაკვირველია, ეს ამბავი რომ ბატონ ივანეს იცოდა, მე ძალიან გამეხარდა. მამაჩემს მოვუყევი ყოველივე ზემოთ ფქმული და ამით დიდი სიხარული მოვუტანე, რადგან მისთვის დიდი პატივი იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ აღნიშნული მადლობა მის მიმართ. იმ საღამოს სულ ამ ამბის შობეგუდილებით ვიყავი, ეიხსენებდი, როგორ მოხდა ეს შეხვედრა, რით დაიწყო, რით დამთავრდა.

მარად სახსოვარ შთაბეჭდილებად დამრჩა საჯაროდ უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლრმა მეცნიერული, შთამაგონებელი ლექციები.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ლექციები დიდძალი ჯერელი ხალხი ესწრებოდა, იუდიტორიაში მუდამ სანიმუშო წესრიგი იყო. მსმენელთა შეკითხვებზე ის ხალისით პასუხობდა.

მე ძალიან კარგად მახსოვს და ბეჭრჯერ შემიგრძნია თუ როგორი განსაკუთრებული სინაბოთი ეკიდებოდა ივანე ჯავახიშვილი ახლად გახსნილი უნივერსიტეტის და კერძოდ მის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტობასა და პროფესორ-მასწავლებლებს, რადგან თვლიდა, რომ სამედიცინო ფაკულტეტი და ექიმები საშობლოსთვის განსაკუთრებით საჭირო არის.

პროფ. სერგო ჯორბენაძეს სტატიაში — „ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ჰუმანიზმი (საბჭოთა სამართალი № 1, 1970) ეკითხულობთ: 1920 წელს ივანე ჯავახიშვილი წუხანლით წერდა: „ჩვენი კერძოხელი ქვეყნის ისტორია, როგორც ცნობილია, მალარია და ზოგიერთი ცხელი ქვეყნის ავადმყოფობა შეადგენს: განსაკუთრებით ეს პირველი მოდებული საქართველოში და მრავალს მსხვერპლს იწირავს, ამ ცხელ ქვეყნების ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაც ჩვენი ერის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის აუცილებელი მოთხოვნილებაა". იგი ოცნებობდა გაეხსნათ სასანიტარო ინსტიტუტთან მალარიასთან ბრძოლის განყოფილება.

ჩემს მეხსიერებაში ნათლად ცოცხლობს შეხვედრები ივანე ჯავახიშვილთან კაბინეტში, კაბინეტს გარეთ უნივერსიტეტის კიბეებზე, კორიდორებში, ეზოში. ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტები გავეჭერებივარ ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის ეზოში შესასვლელ კარებისაკენ მიმავალ გზაზე და უკითხავს ჩვენთვის თუ როგორ მიდის სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლის საქმე და სიხარულით ეუქვამს, რომ მალე ყოველივე კარგად იქნება, სამედიცინო ფაკულტეტს ექნება აღშენული კეთილები, კლინიკები და სხვა, მთავარია, რომ საქართველოში არის უკვე სამედიცინო ფაკულტეტი და რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს ეყოლება თავისი ალზრდილი ექიმები.

ივანე ჯავახიშვილის მზრუნველი თვალი ჩვენ ფაკულტეტს მთელი სიგრძე-სიგანით სწვდებოდა.

ის ნახულობდა დროს და არც ისე იშვიათად სემინარებზე, ჩათვლებზე და გამოცდებზე ესწრებოდა.

ყველგან, სადაც კი ის გამოჩნდებოდა, სანიმუშო სიმშვიდე სუფევდა. მოუსმენდა ლექტორის ახსნას, სტუდენტების პასუხს. ისეთი სიტუაცია იქმნებოდა, რომ იქ არ შეიძლებოდა არც უხეშობა და არც უსამართლობა, მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ივანე ერთ სიტყვასაც არ ამოიღებდა.

ივანე ჯავახიშვილმა ქმედითი დახმარება გაუწია ჩვენს მედიკოსებს სამედიცინო ტერმინების აღდგენაში, შექმნაში და სრულყოფაში. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთალია ქართული ანატომიური ტერმინების დასაზუსტებლად ჩამოყალიბება კომისია ალექსანდრე ნათიშვილის, გრიგორ მუხაძის, სპირიდონ ვირსაძისას, ივანე თიკანძის, ზაქარია მაისურაძის, ეახტანგ მუსხელიშვილის და სხვათა შემადგენლობით, მაგრამ ამ კომისიის მიერ დამუშავებულ ტერმინებს საბოლოო რედაქციას ივანე ჯავახიშვილი უკეთებდა. ის მათ სხდომებსაც დროგამოშვებით ესწრებოდა.

ალექსანდრე ნათიშვილი ამბობდა — მე თუ პირველი შესავალი ლექციი ანატომიაში ქართულ უნივერსიტეტში ქართულ ენაზე 1918 წლის 15 ოქტომბერს წავიკითხე, ამას ივანე ჯავახიშვილს უნდა ვუმადლოდეთო.

ივანე ჯავახიშვილი ხშირად ესწრებოდა სამკურნალო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებს, ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას მის მუშაობაში.

მე მახსოვს, ბატონი ივანე სამკურნალო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე. როდესაც ჩემი მასწავლებელი ვლადიმერ ქღენტი მედიცინის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისათვის იცავდა დისერტაციას, ეს იყო 1925 წლის 29 მარტს. ივანე ჯავახიშვილი საბჭოს სხდომის დაწყებამდე, ამხნევებდა დისერტანტს, ეხუმრებოდა.

საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ მე მოვიხმეო და ღიღი მადლობა მითხრა ვლადიმერ ქღენტის დისერტაციის ხელნაწერის რუსულიდან ქართველად თარგმნის გამო. მან ბევრი კარგი მითხრა თარგმნის ხარისხის შესახებ და შემაქო.

მე სახტად დავრჩი და ვერაფერი ვერ ვუპასუხე. შემდეგში გამოიკვლა, რომ, როდესაც �q. ქღენტმა უბოძა ბატონ ივანეს საღისერტაციო ნაშრომი „ბლიომები", 362 გვ. მას უთქვამს, რომ მისი თარგმნა შეასრულა ირაკლი ტატიშვილმა.

ივანე ჯავახიშვილი ხშირად ათვალიერებდა სამკურნალო ფაკულტეტის კათედრების ბაზებს, ეკითხებოდა მათ გამგეებს გასაჭირს და ქმედთ დახმარებასაც უწევდა.

ივანე ჯავახიშვილი გახლდათ პათოლოგიური ანატომიის კათედრაზეც. გიეცნო სწავლის პროცესს, დაათვალიერა იმ დროს ჯერ კიდევ დარბილი მაკრო — და მიკრომუზეუმი, კათედრის აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ყველაფერი მოგვეწონა, გოიცვბელი დარჩა, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში შეეძელით სწავლა და მეცნიერული მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე აგვეყვანა. ღიდხანს თვალიერებდა კათედრის ბიბლიოთეკაში დაცული ლაინერ ენაზე დაწერილი Morgagni-ს ცნობილი თხზულების „De sedibus et causis morborum pér anatomem indagatis" (1779 წ.) მეორე და მესამე ტომი.

ივანე ჯავახიშვილი დაინტერესდა ამ ზედმიწევნით ოშეიათი და ძნელად საშოვნელი წიგნებით. ვლადიმერ ქღენტმა მოახერხა, რომ ეს წიგნები კათედრას გადმოსცა საჩუქრად პროფ. მიხელი ცხაკაიამ.

კარგად მახსოვს 1924 წლის მაისის თვეში სრულიად საქართველოს ექიმთა კონგრესი, რომელიც გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტის აუდიტორიებში. მე ამ მეცოფა ძალა და სიტყვები აფეკრი ის სურათი, თუ როგორ შეხვდა კონგრესის მონაწილეები ივანე ჯავახიშვილის გამოჩენას პრეზიდიუმში. ეს იყო ოვაციის ქარიშხალი. არავის, არც ერთ ექიმსა და სხვა დარგის მუშაკს არ შეხვდებოდა ხალხისგ, როგორც ივანე ჯავახიშვილს. ხალხს ეს რეაქცია იყო მადლიერებისა და უალრესი პატივისცემის გამოხატვის დემონსტრაცია.

შემდეგ 1926 წლის 21 მაისს დღის 12 სათანსა და 30 წუთზე უნივერსიტეტის აგრეთვე დიდ დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ექიმთა IV კონგრესი. ივანე ჯავახიშვილმა ის ხანაღ უნივერსიტეტის რექტორმა კონგრესს გამოუგზავნა მისასალმებელი წერილი. ამ წერილის შინაარსი შემდეგი იყო — სრულიად საქართველოს ექიმთა მეოთხე სამეცნიერო კონგრესს.

„გულწრფელი სიხარულით სალამს ვუძღვნი მეოთხე სამეცნიერო კონგრესს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელითა და პირადადაც და ვეთხოვებ მას კვლავინდებურად ნაყოფიერ მუშაობას მეცნიერებისა და ჩვენი საკეთილდღეოდ.

ეწუხვარ, რომ ავადმყოფობამ საშუალება მომისპო პირადად გამოთბოდით მისალმებისათვის და „ფელ საქართველოში კვების" შესახებ პატარა მოხსენების წაკითხვით პატარა წელილის შეტანის შესაძლებლობაც ამ დიად საქმეში, რომელსაც კონგრესი ემსახურება, წამართვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივ. ჯავახიშვილი".

სხდომის თავმჯდომარემ ალ. ნათიშვილმა, მოახსენა კრებას, რომ კონგრესზე მოხსენებათა შორის შეტანილი იყო რექტორის, პროფესორ ივ. ჯავახიშვილის მოხსენება კვების შესახებ, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო მოხსენება ვერ შეესწრება. კონგრესის მონაწილეი ექიმებმა მწუხარება გამოთქვეს პროფ. ივ. ჯავახიშვილის ავადმყოფობის გამო. გულწრფელად უსურვეს აღრე ჯამოჯანმრთელება.

ზემოხსენებულ კვების საკითხზე ივანე ჯავახიშვილმა მოხსენება შემდეგ გააკეთა თუ არა აღარ მახსოვს, მხოლოდ ვიგონებ ჩემთან ამ საკითხზე მის ბაასს.

ერთ საღამოს რომელიღაც საქმესთან დაკავშირებით ეიყავი მასთან ბინაზე. მან მი-

ირაკლი ტატიშვილი
ღიდი მაკლეკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბო და წამიკითხა ადგილები თავისი სტატიიდან კვების შესახებ. ბატონ ივანეს დასანახ, რომ კვება კულტურის ერთ-ერთი გამომხატველია. იმის მიხედვით თუ რა აქვს ერს საკუთარი სამზრეულოში და რა შემოტანილი, შეიძლება იმსჯელო ერის გემოვნებაზე — ხაზი გაუსვა იმას, რომ კვება არის მშრომელი ხალხის ჯანმრთელობისა და წარმატების საფუძველი, რომ რაციონალური კვება განაპირობებს ერის განვითარებასა და კეთილდღეობას. მიამბო, როგორ შეისწავლეს სარეზო კავშირის პრეზიდიუმს სახლებით მოწყობილ ექსპედიციის წევრებმა მისი კონსულტაციით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვების რაციონების ხასიათი და სიხარულით აღნიშნავდა, რომ ჩვენ უკვე ვიცით საქართველოს რომელი თემის მოსახლეობა რა საჭმელს ეტანება, რით იკვებება, რასა სვამს. სიამოვნებით ბაზს უსვამდა, რომ საქართველოში მიღებულ საჭმელ-სასმელთაგან ზოგიერთი ყველა კუთხეში ერთნაირია, ზოგი კი — თემერ, ადგილობრივ არსებულ პირობებთან და მასალასთან დაკავშირებულია.

ამ საუბარში მან საქართველოში კვების საკითხის შესწავლის რამოდენიმე თვალსაზრისი წამოაყენა. ვინაიდან ახლა, მე ყოველივე აღნიშნულის შესახებ ზუსტად არ მახსოვს, ამიტომ მოვიშველიებ მის გამოქვეყნებულ შესანშნავ ნაშრომს „ქართველი მშრომელი ხალხის კვება და მისი მიზანშეწონილი რაციონალიზაციის ამოცანა“, (დაცულია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში), სადაც ის წერს, რომ თანამეგრძოვე მეცნიერების საფუძველზე დამყარებული კვების ამოცანა უნდა შემდეგი ოთხი თვალსაზრისით იყოს განხილული:

1. ხალხში გავრცელებული საჭმელ-სასმელის კვებითი თვისებების შედარებითი ღირებულების თვალსაზრისით... ეს საშუალებას მოგვეცემს გავიგოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მთავარი ადამიანის წესიერი კვებისათვის და ისიც გამოვარკვიეთ, **რომ აქვს, თუ არა, ქართველ მშრომელ ხალხს საშუალება ამ სასმელ-საჭმელით თავის სხეულს ყველა ის ნივთიერება მიაწოდოს, რომელიც კი მის ფიზიკურ-გონებრივ არსებობისა და ზრდისათვის აუცილებლად არის საჭირო, ანდა თუ აკლია, სასელდობრ, რომელი ნივთიერება და რა რაოდენობით...** (საზი აქ და შემდეგშიც ივ. ჯავახიშვილისაა).

2. მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც თანამედროვე ბიგიენური კვების მეცნიერება უურადღებას აქცევს, **საკვები მასალისა და საჭმელის-სასმელის ვიტამინიანობაა...** რადგან დამტკიცებულია, რომ რაც უნდა ნაყოფიერი საჭმელ-სასმელი იყოს, თუ ავ, მთლიანად უვიტამინოა, ანდა საკმარ მარაგი **არ შეიცავს** ვიტამინებს, ადამიანის ჯანმრთელობას ზიანი მოუვა და სხეული დაავადდება. ამიტომ საჭიროა რომ ქართველი მშრომელი ხალხის ჩვეულებრივი საკვები ამ თვალსაზრისითაც იქნეს შესწავლილი... **რომ ზეკმეწყვნილი ვიცოდეთ, შეიცავს თუ არა ჯანმრთელობისათვის ყველა აუცილებელი საკვრო ვიტამინებს, ანდა, თუ არ შეიცავს, სახელდობრ რამელი ვიტამინები აკლია და რა რაოდენობით...**

3. მესამე საკითხი კვების ეკონომიური და სამეურნეო მხარეა. რაკი ადამიანის კვება მის ქონებრივ სახსრებზეა დამოკიდებული, ბუნებრივია რომ **კვების თითოეული შემადგენელი ნაწილისა და მისი შემზადებისათვის გასაწევი ხარჯების შედარებით სიდიდესაც ანგარიში გაეწიოს...**

4. დასასრულ კარგად არის ცნობილი, რომ კვებისათვის თვისებებსაც აქვს მნიშვნელობა, სასმელ-საჭმელს შემრეგობის გასაძლიერებლად მისს გემოვნებითს... **ქართველი მშრომელი ხალხის ჯანმრთელობისა და რაციონალური და ბიგიენური ხალხური კვების ახალი წესების დადგენისათვის ჩვენში გავრცელებული სანელებლებისა და სხვადასხვა საწებების შედგენილობისა და კარგი და უარყოფითი თვისებების შესწავლა-გამოკვლევაც აუცილებელს წინასწარ პირობას წარმოადგენს.**

შემდეგ ივანე ჯავახიშვილი იძლევა საუბაო გეგმასა და პროგრამას: **მთელი ამ ამოცანისა და დასახული გეგმის განხორციელება რა თქმა უნდა მხოლოდ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერ-მუშაკთა და საკვლევიძიებრი დაწესებულებათა ამ საქმეში ჩაბმა მონაწილეობით შეიძლება.** საქართველოს სხვადასხვა თემში ჩაწერილი ცნობების მიხედვით უნდა 1. **უპირველესად მთელი ეს საკვები მასალა შეგროვდეს** და თბილისში **ჩამოტანილი** იქნას. 2. **ბოტანიკოსებმა** და **აგრონომებმა** თითოეული მთავარის **რაობა** უნდა **გამოარკვიონ,** რაც **უმთავრესად** ველურ და **ტყიურ** საკვებ მასალას ეხება. 3. **შემდეგ ქიმიკოსებმა** მთელი ამ საკვები მასალის **შემადგენლობა** გამოაკვლიონ და **გამოარკვიონ.** 4. **მათე** და ბიგიენისტებმა **მათი** და **სანელებელ-საწებელების ვიტამინიანობა შეისწავლონ,** 5. **ეკონომისტებმა** და **სამზრეულო** და **კვების** საქმიანობაში დახელოვნებულმა **პირებმა** უნდა **სამეურნეო** და **ტექნიკური** თვალსაზრისით **განიხილონ.**

შემდეგ ივანე ჯავახიშვილი თვითონვე წერს, რომ „ეს ამოცანა ამ სახითა და ასეთი ფართო გაგებით, ჯერ არ ყოფილა განხილული...“ და ეშმარიტად ქართველნში კვების ბიგიენის საკითხები ივანე ჯავახიშვილამდე არავის მიერ გაშუქებული არ ყოფილა. მაგრამ გაკვრებულ იწვევს არა ეს გარემოება, რადგან ივანე ჯავახიშვილისათვის სიცოცხლის ფასი ეყო ყოველივე რაც საქართველოს ეკუთვნო-

და და რომ ის საქართველოში კეკნის. საკითხს შეხებოდა ამაში არანაგულებრივი არაფერია. გასაკვირი ის არის, რომ ივანე ჯავახიშვილმა ზემოხსენებული კეკნის საკითხი განიხილა ამ საკითხის ღრმა ცოდნით, პიგიენური ნორმატივების ცოდნით. ვუსმენთ ბატონ ივანეს და მაკვირდა, როგორ მოახერხა მან მისთვის უცხო საკითხის ასე სიფაქიზლანად შესწავლა.

სხვათაშორის კეკნისა და საშვილის მონოლოგების საკითხებზე მე წავიკითხე ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე ტომის გვერდებზე, სადაც ალნშნავს, რომ ხანგრძლივმა გამოცდილებამ დამაჭინს დაანახა, თუ როდენი ნოყიერება ჰქონდა ამა თუ იმ საკვებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. „ამ მხრივ, წერს ივ. ჯავახიშვილი, შესაძლებელია ითქვას, რომ ადამიანის საღი მომხმელებელი ორგანოები საკუთარი ქიმიკოსის მოვალეობას წინათაც ასრულებდნენ და მათ პატრონს მიღებული საშვილის შედარებითს ღირსებას საუცხოოდ აკრძანობენებდნენ ხოლმე“. ეს სტრიქონები ნათლად უჩვენებს ავტორის გაქანებას და ღრმა ცოდნას ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიის საკითხებშიც.

ბოლო ხანებში, ეს უკვე ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მე დიდი ინტერესით ვადევნებ თვალყურს საქართველოში მედიცინის ისტორიის განვითარების საკითხებზე გამოქვეყნებულ ლიტერატურას და თვითონაც რამდენიმე შრომა გამოვქვეყნე, როდესაც სასიამოვნო იყო ჩემთვის, როდესაც ივანე ჯავახიშვილის შრომაში ქართული სამართლის ისტორია (ნაწილი 11, ნაკვეთი 2) ამოვიკითხე ზოგადი პიგიენის საკითხები. ავტორი განიხილავს ეფსტოე მეხეთელის მარტველობაში დაცულ ერთ ცნობას „ეფსტათისა და სხვათა მოყუასთა მისათი ბრძანა თავისა და წეფრისა დაყუენაო“. ამ ცნობის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ვამოიტქვამს მოსაზრებას, რომ საპარიბილეში თავის თმისა და წვერის გაპარსვა ხომ არ იყო ძველ საქართველოში წინასწარი პიგიენური ღონისძიება.

ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლა ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწეობის დროს დაიწყო, მაგრამ თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო ამ საკითხის შესახებ შესრულებული ნაშრომის გამოქვეყნება, ის გამოიცა 1946 წელს.

ამ გამოკვლევაში ივანე ჯავახიშვილი პირველი ქართულ ისტორიოგრაფიაში უურადღებას ამახვილებს საქართველოში წარსულში სამედიცინო პროფესიის ნაგებობათა, სამკურნალო დაწესებულებათა, საავადმყოფოთა, „ლაზაკათ-თავშესაფრის, აბანოების არსებობაზე.

ამ წიგნში ივანე ჯავახიშვილს შეტანილი აქვს ცნობა პეტრე ქართველის ცხოვრების ასურული ტექსტიდან, სადაც ნათქვამია, რომ პეტრე ქართველის დედას ბაკურდუხტს მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებია. ივანე ჯავახიშვილი აქვე სხვა პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე იძლევა საინტერესო ცნობებს პირველი საავადმყოფოების შესახებ. იგი განსაკუთრებით ჩერდება ამ ნაგებობათა ძველი ქართული სახელწოდების „სასნეულის“ გაგების საკითხებზე და მნიშვნელობაზე.

ამ სახელწოდების სწორი განმარტებისათვის სარგებლობს ათონის ქართველთა მონასტრის აღწერებით, სწავლობს ამ აღწერებს და იპოვნებს მათ, ამავე მიზნით აქვს ივანე ჯავახიშვილს შესწავლილი იოანე შეუფენელის ცხოვრება, ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობაში არსებული მონაცემები და სხვა.

ამავე წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი დავით ალმაშენებლის მიერ აგებულ ქსენონსა და საავადმყოფოებს. ივანე ჯავახიშვილს შეუსწავლია რა დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის მასალები, ფრიად საგულისხმო დასკვნები აქვს გამოტანილი, რომლის საფუძველზეც ის აღნიშნავს, რომ ამგვარად დავით ალმაშენებელს აუშენებია საავადმყოფოები, უზარმაზარსაყვნა ყოველმხრივ და შემდეგ დროგამოშვებითაც მიდიოდა და ამოწმებდა, როგორ უელიან, ასრულებენ თავის მოვალეობას პირნათლად თუ არაო. ასეთ დაწესებულებას ჰყოლია ზედამდგომელნი, ე. ი. გამგენი, რომელთაც ის ჩქონდათ ჩაბარებული „განკრძალნის ზედამდგომელნი მათნი“, ცხადია, ექიმებიც ე. ი. მკურნალებიც უნდა ყოფილიყვნენ. სინჯავდა, კარგად უელიდნენ თუ არა, სისუფთავე იყო დაცული თუ არა, მაშასადამე მკაცრი მეთვალყურეობა ყოფილა, ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნით — წერს ივანე ჯავახიშვილი, რომ დავით ალმაშენებელს აუშენებია საავადმყოფოები, სასნეულოები და ქსენონები. ნაგებობანი ყოფილნი უეჭველად მაღალ დონეზე დაყენებულნი.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ბალნეოლოგიური და ინჰალაციური მკურნალობა საქართველოში“ (1935), რომელშიც განხილული აქვს აღნიშნული სამკურნალო მეთოდების შესახებ პირველწყაროებში დაცული ზოგიერთი ცნობები.

ამგვარად ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომიდან ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

პირველი ის, რომ ივანე ჯავახიშვილის კვლევის მხედველობის ველი ისეთი ფართე იყო, რომ მასში მოექცა ქართული მედიცინის ისტორიის პირველი მკვლევარი. აღნიშნულ

ირაკლი ბაბიშვილი
ფიდი მკვლევარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის მიერ თქმული ლადო კოტეტიშვილის სიკვდილის შემდეგ. გამოთქვამს რა დიდ კმაყოფილებას იმის გამო, რომ ლ. კოტეტიშვილმა ხელი მოაკიდა ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეს, ივანე ჯავახიშვილი საზოგადო საყვედურს აშბობს იმისათვის, რომ ლ. კოტეტიშვილამდე არავინ გამოჩენილა ინტერესი ქართული მედიცინის ისტორიის კვლევისა და რომ დიდია ლ. კოტეტიშვილის ღვაწლი ზემო ხსენებული დარგის კვლევისა და ქართული სამედიცინო ძეგლების გამოცემის საქმეში. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ეჭვი ლადო კოტეტიშვილი ერთადერთი ქართველი იყო, რომელმაც ძველი ქართული სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლა და გამოქვეყნება დაისახა მიზნად. ასეთი ძნელი ამოცანისათვის საჭიროა ორგვარი ცოდნა, სამკურნალო და ისტორიული. ამასთანავე ძველი ქართული სათანადო სამეცნიერო ენა და ტერმინოლოგიაც უნდა ესმოდეს კაცგად იმ პირს, რომელიც ასეთ მიზანს დაისახავდა. ასეთი დიდი და რთული მოთხოვნილების გამო არც ერთს ჩვენს ექიმთაგანს აქვგარი მოვლენობის თავის დროზე ადების არც ხალისი, არც შეგნება. არც შრომის მოყვარეობა არ აღმოჩნდა. ამ მხრივ ლ. კოტეტიშვილი ერთ-ერთი გამონაკლისს წარმოადგენდა. შედარებით მოკლე დროში ამ ორი დიდი ძეგლის გამოცემაც მოახერხა, რომელთაგან „წიგნი საკვიმოი“ XIII ს. დამდეგისაა ხოლო დაუდასნის ნაწარმოები XVI საუკუნეშია დაწერილი, ორივე ძეგლს დართული აქვს კარგად შედგენილი სრული ყოველმხრივი საძიებლები და ლექსიკონები და შესაძლებლობის სახით თითოეული მათგანის ზოგადი მოძღვრებანიც არის განხილული. ამნაირად, ლ. კოტეტიშვილმა ქართული ძველი სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლის თაოსნობაც გამოიჩინა და საფუძველიც დაუდო. მისი ღვაწლი ამ მხრივ დიდია და ფრიად სამწუხაროა, რომ ნაადრეგმა მოულოდნელმა სიკვდილმა ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭირო მოღვაწეობა შეწყვიტა“....

. . . .

სხვა მრავალის მოგონებაც მივსებს გულსა და ფ. გორგასის ივანე ჯავახიშვილის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი მოვლენის მოწმე სხვაც იყო და უკვე მათ მიერ გამოქვეყნებულია და ცნობილი.

ბოლოს, დიდი მწუხარების მოწმეც ვიყავიმე ელადიერ ქლენტთან და არაადი ჯორბენაძესთან ერთად ვიკვლევდი ივანე ჯავახიშვილის სიკვდილის მიზეზს. მიძნელდება გამოვქვა ის მწუხარება, რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად მეც განვიცადე, მაგრამ როდესაც ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით და დაგვევალა გამოკვლევითა ჩატარება, მწუხარება, პროფესიონალისა და მკვლევარის პასუხისმგებლობასთან ერთად უნდა შეგვეფერებინა. ფრიად დაწვრილებით შესწავლამ გამოარკვია, რომ ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა მიოკარდის ინფარქტი, განვითარებული გულის მკვეთბავი სისხლის მიღების, კერძოდ, მარცხენა გვირგვინავნი არტერიის, ათეროსკლეროზის ფონზე წარმოშობილი თრომბის ნაადგზე.

ამგვამად უკვე აღიარებული ნევროგენულ ფაქტორთა როლი ათეროსკლეროზის განვითარებისათვის.

თუ გადავალებთ თვალს ივანე ჯავახიშვილის მთელ მოღვაწეობას, იგი სავსეა გამარჯვებებითა და მიღწევებით, მაგრამ ყოველივე ეს მოპოვებულია ბრძოლის უაღრესად ეკლიან გზაზე. იტყვიან ხოლმე, რომ ნაყოფმა ხის ტოტი მოსტეხაო. ივანე ჯავახიშვილის შრომის ნაყოფმა დიდება მოუტანა, იგი ტოტივით ვერ მოსტეხა მონაპოვრის სიმძიმემ. ის ხესავით ზეზეულად მოკვდა.

აკაკი ხინთიბიძე

მეგრული ლექსი

იმ სასიამოვნო მეგრულ სიმღერებს, რომლებიც ჩვენ ვისმენთ, საინტერესო ტექსტები ახლავს. თვალწინ გვეშლება საქართველოს ამ ძვირფასი კუთხის მცხოვრებთა ყოფა, ზნე-ჩვეულებანი, მათი მდიდარი სულიერი სამყარო. ლექსი მეგრული ფოლკლორის ძალზე პოპულარული ფორმაა. თბილისის უნივერსიტეტის მიერ ახლახან გამოცემული კრებული მეგრული ტექსტების 500-მდე ლექსს აერთიანებს.[1]

მეგრული ლექსი ვერსიფიკაციულადაც საყურადღებოა. არსებითად იგი დადასტურებაა ქართული ლექსწყობის ზოგადი კანონებისა, მაგრამ ზოგადქართულისაგან განსხვავებით მისი სტრუქტურა რამდენადმე თავისებურია.

მეგრული ლექსწყობის შესწავლის საქმეზე ბმოლოდ ვიწრო ეთნოგრაფიული ლოკალით არ იფარგლება, მას დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ ქართული ლექსის ბუნების დადგენისათვის. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ქართველურ ენათა, არამედ ქართული ენის დიალექტთა პოეტური თავისებურებანიც კი.

პროფ. ტ. გუდაკა გამოკვლევა მეგრული ლექსის სტრუქტურის შესახებ, რომელიც მეგრული პოეზიის ზემოხსენებულ კრებულს ერთვის, ფრიად საყურადღებო მოელენია და საგანგებო განხილვა-შეფასებას საჭიროებს. გამოკვლევა ხელმისაწვდომია მეგრულის არმცოდნე პირთათვისაც. ამის საშუალებას იძლევა სინქრონული თარგმანი, მეგრულ-ქართული პარალელური ტექსტები.

ტოგო გედგა თვალისწინებს მეგრული ლექსის პირველი მკვლევარის პროფ. ი. ყიფშიძის შეხედულებებს, რომლებიც მას გაკვრით აქვს გამოთქმული თავის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში“ (1914 წ.), მაგრამ არ ეთანხმება მის დებულებას მეგრული ლექსწყობის სილაბურ-ტონურობის თაობაზე. მახვილს არა აქვს მნიშვნელობა მეგრული ლექსის სტრუქტურისათვის. შეიძლება სალექსო სტიქონში, სიტყვა, რომელსაც მახვილი ერთ გარკვეულ ადგილას აქვს. შეიცვალოს სხვა სიტყვით, რომელსაც მახვილი სხვაგან ექნება და ამით ლექსის ხასიათი არ შეიცვლება. ამიტომ, იატორის აზრით, მეგრულ ლექსში უსაგნო ტერფების ბიება. ლექსის რიტმის მარგალიტებელი მეგრულში არის სილაბური პრინციპით შედგენილი მუხლები. საზომებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია ორმუხლიანი საზომები: რვამარცვლიანი მაღალი შაირი (4/4) და შვიდმარცვლედი (4/3). დაბალ შაირს მეგრული ლექსი საერთოდ არ იცნობს. ამ მხრივ მეგრული გენეტიკურ კავშირშია საქართველოს დასავლურ კილოებთან, სადაც მაღალი შაირი დაბალთან შედარებით გარკვეული პრიორიტეტით სარგებლობს.

მეგრული ლექსისთვის ზოგჯერ ნიშანდობლივია მუხლთა შორის საზღვრების მოშლა. პოპულარული სიმღერის ნელს ტექსტში, რომელიც მაღალი შაირით არის შესრულებული, განსხვავებული წყობის სტრიქონებიც გვხვდება: გური (შეწუხებულ) მაფუ (2/4/2, გული შეწუხებული მაქვს),

შური (აკოკორიფელი (2/6, სული აფორიაქებული). მაგრამ ეს საზომის რიტმული ვარიაციებია და მის დარღვევად არ აღიქმება.

ქართულ ხალხურ ლექსში (დასავლურ კილოებსა და ბარის ფოლკლორში) ამგვარი „დარღვევები“ უფრო მკვეთრი და შესამჩნევია, რადგან აქ ზოგჯერ შაირის სახეობანიც კი ერთმანეთშია შერეული. იატორი მიუთითებს მესტვირეულ პოეზიაზე და ასახელებს ამ შერევის ერთ-ერთ მიზეზს: მესტვირეული ლექსი იმღერება ხმის აწევით ყოველ კნტ მარცვალზე: შაირ-სი'ტყვი-თა' მე-სტვი'რეს (გვ. 351).

ჩვენი აზრით, ეს შედეგია და არა მიზეზი. მესტვირეული ლექსი იმიტომ იმღერება ხმის აწე-

[1] ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, 1, პოეზია, 1975; წინასიტყვაობა და გამოკვლევა ტ. გუდაკასი, რედაქტორი შ. ძიძიგური.

ვით ყოველ კენტ მარცვალზე, რომ სიმღერის ჰანგი მაღალი შაირის რიტმს მიჰყვება და დაბალ შაირს მაღალ შაირად აქცევს.

რიტმული ფორმების მონაცვლეობა ხშირია შვიდმარცვლედშიც: „ოქრო-ვარჩხილ ბრელსა“ (4/3, ოქრო-ვერცხლს ბეგრსაო), „ცხენ დო ანანგრსია“ (2/5, ცხენს და უნაგირსაო). მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა გარკვეული დიფერენცირება. 5/2 არ არის 2/5-ის ტოლფასი მიმდევრობა. „მაფშალიანი (ქუბა)“ (ბულბულის ქუბა) და „ვეალო (გაეკეთესია“ (მთლად გამაკეთებსო) სრულიად განსხვავებული რიტმული ფორმებია. შდრ. გალაკტიონის: „სავსე იდუმალებით, ქარკად მონაზშანები“ (2/5) და „მოგონებები ჩემი, მოგონებები სხვისი“ (5/2).

მეგრულ ზზმიტრულ საზმიებში მარცვალთა მეტ-ნაკლებობაც შეინიშნება, მაგრამ ეს, ფაქტორად, სილაბიზმის დარღვევა არ არის. ყველა შემთხვევაში ამ მეტ-ნაკლებობის გათანაბრება, სილაბერ ოდენობათა ნიველირება ხდება.

აეტორს მოაქვს დამახასიათებელი ნიმუშები. შვიდმარცვლიან ორტაეტიან პირველი ტაეი ხუთმარცვლიანია:

ჭვინს, ჭვინს, ჩხაპალანს,
ძღაბ ელახე ოდაფრას (წვიმს, წვიმს, ენინელლაკ, გოგო ზხს ლაფარაშე).

შდრ. ქართული: თოვს, თოვს, ზოშკაკლავს, ლედაბერი ბბოს დაკლავს. მაგრამ წარმოთქმის დროს ეს სტროფნები თანაბრდება. მარცვლები ჭვინს, ჭვინს გამოთქმის დაკოვნებით. მარცვალთნაკლებობის კომპენსაცია დროში ხმოვნის გაგრძელებთან, გაორმაგებით ხდება (ჭვინს, ჭვინს). ანალოგიური მოვლენა ქართულში სიტყვათა შორის გახანგრძლივებელი პაუზითაც რეგულირდება.

მარცვალთმეტობის დროს ზედმეტი ხმოვანი ფაქტიურად არ წარმოითქმის. ან მისი რედუქცია ხდება, ან გაუმარცვლოვნება. სტრიქონში „ჩიჩხე ბოში დომაღორა“ (გლახაკმა ბიეშა მომატყუა) ჩიჩე-ს სრული ი უმარცვლო ჲ-დ იქცევა (ჩიჩჲ) და სტრიქონი რვამარცვლიანი საზომის ყალიბში ჯდება.

მეგრულ მეტყველებას ერთი თავისებურება აქვს. მასში აშკარად გამოკვეთილია წარმოთქმის ორი სტილი: სრული (უკვეცელი) და ულრული (კვეცილი). სიტყვის ბოლოს თანხმოვანს შეიძლება დაემატოს ვიწრო ხმოვანი, ანდა პირიქით, სიტყვის ბოლოს, თანხმოვნის შემდეგ მოთავსებული ვიწრო ხმოვანი შეიძლება მოიკვეცოს. ორივე სტილი ბუნებრივი და ნორმალური და ლექსშიაც პოეტური ლიცენციის ხასიათს არ ატარებს. ერთი და იგივე ლექსი რეალური წარმოთქმის (თუ სიმღერის) დროს, შესაძლებელია, სხვა სტილით იყოს შესრულებული, ხოლო ჩაშწერი-ფოლკლორისტის პირისპირ მჯდომი მთქმელის მიერ სხვა სტილით. აეტორს მოაქვს „დიდოუ ნანას“ ტექსტი, რომელიც ამბობრება (და წარმოითქმის) რვამარცვლიანი ზომიერებით, ხოლო ჩაწერილია, როგორც 9-10- და 11 მარცვლიანი სტრიქონების ნაერთი.

აეტორის დასკვნით, რეალური შესრულების დროს ვერსიფიკაციული უზუტკობა ნიველირდება, ამიტომ მეგრული ლექსის ანალიზი მხოლოდ და მხოლოდ ამ სტეიფიკის გათვალისწინებით უნდა წარმოიმედეს.

როგორც ზემოთაც მივუთითებდით, ტ. გუდავა უარყოფს მეგრულ ლექსში მახვილის მარგალლარიელ როლს. თუმცა იგი შესაძლებლად მიიჩნევს ლექსის წაკითხვას როგორც სამტყველო მახვილებით, ისე სალექსო მახვილებით. ამავე აზრისაა აეტორი ქართული ლექსის მიმართაც: „ლექსში დასაშვებია სხვადგარი დასმაც მახვილებისა, სახელდარი, სალექსო მახვილების დასმა. ბევრი სწორედ ასე სვამს მახვილს ლექსში (ვერ ვიტყვით, რომ ეს ჩვენ პირადად პუნქტირავად მიგვაჩნდეს, მაგრამ ობიექტურად მისი არსებობა ფაქტია)“ („ქართული სალექსო სტრიქონის ავებულების ზოგიერთი საკითხი“, „ცისკარი“, 1974, № 7, გვ. 142).

„სხვადგარი დასმა მახვილებისა“ გზას უხსნის ქართული (და მეგრული) ლექსის სილაბერტონერობას და აეტორის უნებლიე კომპრომისია იმ შუხდელების მიმართ, რასაც იგი ეწინააღმდეგება. ამგვარი წაკითხვა რომ ობიექტურად არსებობს, არ ნშნავს, რომ იგი დასაშვებია.

ამასვე უკავშირდება ე. წ. ჭარბი რითმის საკითხიც. სამზე მეტმარცვლიანი რითმა, აეტორის აზრით, ჭარბია. რითმის გრძელიობის მაჩვენებელ ცხრილში, რომელიც ნაშრომშია წარმოდგენილი, ოთხ-ხუთმარცვლიანი რითმები არ გვხვდება. ეს შეხდულება გამოძახილია ქართულ ლექსში ზედაქტილური რითმის არარსებობის თეორიისა.

ჩვენი აზრით, მეგრული ოთხმარცვლიანი რითმები: სქუალეფი —ქუალეფი, სი სერიში-ეისერიში, რომლებიც მიჰყვებიან და ეთანხმებიან სქემას — 4/4, არავითარი სიჭარბის შთაბეჭდილებას არ სტოვებენ. ის ბარეშოება, რომ ამ შემთხვევაში საკმაო იქნებოდა ორმარცვლიანი რითმა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ოთხძარცვლიანი რითმა ჭარბია (ზედმეტია).

გამოკვლევის იმ ნაწილში, რომელიც რითმას ეთმობა, ნათქვამია, რომ რითმა მეგრული ლექსის აუცილებელი ელემენტია. თეთრი ლექსი მისთვის დამახასიათებელი არ არის. გარითმვის სისტემებიდან გავრცელებულია ინტერვალიანი (abcb) და სამმაგი (თოხთ) რითმები. ჯვარედინი და რკალური რითმა მეგრულში არ გვხვდება. იშვიათია წყვილადი რითმებიც (თოხხ). რითმის სიგრძე, ისევე როგორც ქართულში, მარცვლთა რაოდენობით იზომება. მხოლოდ ჩვენი აზრით, ერთმარცვლიანი რითმის განმარ-

ტება დაზუსტებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ოცილებელია რითმის ორივე წყვრის ერთმარცლიანობა. მაგალითად, ი მ ნ გ ა რ ქ-დ ღ ა ქ არათანაბარმარცლიანი რითმაა და არა ერთმარცლიანი. ასევე, ერთმარცლიანი რითმის ნიმუშად არ გამოდგება ქ ი ი ფ ჩ ი ნ ი მ ა-ჭ ი რ ი მ ა (ვიცინი მე — მისი ჭირიმე), სადაც ევფონიური თანხმობა სამ მარცვლზე მოდის.

კარგი იქნებოდა ნაშრომში ადგილი დათმობოდა რედიფიან რითმას, რომლის ნიმუშები მეგრულ ლექსშიც გვხვდება. ასევე, სასურველი იყო რითმის აგებულებისა და დაბოლოების განხილვაც.

რითმის მიმართება სტრიქონის სტრუქტურასთან, რომელიც საგანგებო ცხრილშია ჩამოსული, ერთ კანონზომიერებას ადგენს: „კენტი მარცლიანობის სარითმო მუხლები მოითხოვენ მარცვლთა კენტი რაოდენობისაგან შედგენილ რითმას", ხოლო წყვილი მარცვლებისა — წყვილმარცვლიან რითმას. (გვ. 374). მაღალი შაირის (4 4) რითმა წყვილმარცვლიანია, შვიდმარცვლედის სახეობებში (4, 3, 2, 5) კი კენტმარცვლიანი რითმა გვაქვს.

ტ. გუდავას გამოკვლევა კიდევ არა ერთ საკითხს აღძრავს. მისი ღირსება სწორედ სისტემასა და მრავალმხრივობაშია. განსაკუთრებული ინტერესი რჩება მეგრული ლექსის არც ერთი ძირითადი კომპონენტი, რასაც ვერსიფიკაციული ღირებულება აქვს. შეიძლება ითქვას, უკვე დადგენილია ხასხ და ტიპი ლექსწყობისა, რომელსაც ბევრი საერთო აქვს ქართულთან, თუმცა ზოგი თავისებური შტრიხიც მოეპოვება (საზომის, მახვილის, წარმოთქმის სტილის თუ სხვა მხრივ). ქართულ ლექსმცოდნეობა კიდევ ერთი ნაშრომით გამდიდრდა. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ პროფ. ტ. გუდავა—მრავალი საენათმეცნიერო გამოკვლევის ავტორი, ამ ბოლო დროს აქტიურად მოღვაწეობს პოეტიკის სფეროში. პოეტიკა და, კერძოდ, ვერსიფიკაცია (პოეტურ ენასთან ერთად) ლიტერატურთმცოდნეობისა და ენათმეცნიერების შუხვედრის ყველაზე უფრო რეალური პუნქტია. ქართული ლექსმცოდნეობის განვითარებაც დიდად არის დამოკიდებული ლიტერატურულთა და ენათმეცნიერთა შეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობის შედეგებზე. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატორი, ასე თუ ისე, ჩაეხედულია ენის სპეციფიკის საკითხებში, ხოლო ლინგვისტი მოკლებული არ არის ლექსის კანცდისა და შეგრძნების უნარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ლორთქიფანიძე

თურქეთის ქართული მოსახლეობის ფოლკლორიდან

(ანდაზები)

ქართული ანდაზების, ამ ჭეშმარიტად ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტების შეკრება-გამოცემას ჩვენში კარგა ხნის ისტორია აქვს. ისინი დიდი ხანია გაცდნენ მშობლიურ გარემოს და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე ამეტყველდნენ. საყოველთაოდ არის ცნობილი პ. უმიკაშვილის, თ. სახოკიას, ალექსი დავითიანის, და სხვათა მიერ შედგენილი ქართული ანდაზების კრებულები. მიუხედავად ჩატარებული დიდი სამუშაოსი, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. სამწუხაროდ, ჯერ არ მომზადებული ქართული ანდაზების აკადემიური გამოცემა. სწორედ ამ გარემოებამ გაგვიბედინა მკითხველთა ფართო წრისთვის მოგვეწოდებინა თურქეთის ქართულ მოსახლეობაში გავრცელებული ზოგიერთი ანდაზა, რომლებიც სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ძნელად ხელმისაწვდომ თურქულ პერიოდიკაში. ამ ანდაზებში შესანიშნავად აირეკლა ხალხის სიბრძნე, საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ემპირიული ცოდნა-გამოცდილება, ბრძოლა ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ ანდაზების დიდი ნაწილი დღესაც არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვები კი, როგორც ჩანს, მხოლოდ იქ შემორჩა. მოგვეყავს თურქეთის ქართულ მოსახლეობაში გავრცელებული ზოგიერთი ანდაზა რომელმაც შესაძლოა სათანადო დარგის სპეციალისტების ყურადღებას მიიპყრობს.

1. აფხაზის წყველა: იყავ მუდამ ფვიეი და ნურავის სიტყვას ნუ ენდობიო.
2. ას იძეულებს ერთი პასუხი.
3. გორაკზე ქარი, ხეობაში წყალი.
4. შეიერმა — ნეტავი ჩემი ენა პური იყოსო — მაძღარმა — ლაპარაკის დროს რას იზამდეო?
5. ახალგაზრდობაში მოპოვებული მოხუცებულობაში გამოგადგებიო.
6. სახედარმაც იცის — დღე სადგომში მისვლით თავდებაო.
7. აჯიაშვილმა აგიაშვილი დედაბუდიანად ამოოგდოო.
8. ბარში დაკარგულს გონიერი კაცი მთებში ეძებსო.
9. ბლის ხე თუ ნაყოფს არ მოგვცემს, ტყავს აძრობენო.
10. იხვების პატრონი ქათმებს ვერ დაიჭერსო.
11. შენ ბეგი კი ხარ, მაგრამ ჩემი ბეგი არა ხარო.
12. თუ შენი აღა გადააბრუნეს, გლეხს შეევედრეო, სოფელი თუ გადააბრუნეს — ალაქსო.
13. აღას კაცს ნუ დაარტყამ, თუ დაარტყამ ისე დაარტყი, რომ მოკვდესო.
14. თუ აღა ვერ ნახე, მისი კაცი ნახე.
15. აღას უსმენ-უკბეული და ფუსნიშიშველი ყმა ურჩეენიაო.
16. აღა უფროსს საქმეს დაავალებს, უფროსი მონასო.
17. თუ აღამ თქვა — მუხას ფსხალი აბია, უნდა ირწმენოო.
18. აქლემის აეღილ აღმართზე ყველაფერი ნათელია.
19. აღმართის ზურგი დაღმართიაო.
20. აქლემი ამბობდა — სახედრებს ისე იყენებენ, წარმოდგენა შეუძლებელიაო.
21. აქლემმა თქვა: ორმოცი შვილი გავზარდე, არც ერთმა ტვირთი არ შემმსუბუქაო და დარდისგან დაწვა.
22. აქლემები შვილებს ცემით კლავენო.
23. აქლემზე ასი ზღაპარი არსებობს, მეაქლემეზე ასი ათასიო.
24. როდესაც ყანას მოიწვე, ნაყოფი კარგი სანახავიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ ბალახაშვილი

ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ყმა მხატვრის გიორგი მაისურაძის გათარგნება

ალექსანდრე ჭავჭავაძე სახვითი ხელოვნების დიდი მოყვარული იყო. თავისი ბინა როგორც თბილისში ისე წინანდალში არაერთი ძვირფასი, მსოფლიო მნიშვნელობის სურათით ჭკონია დამშვენებული.

1920 წელს საქართველოს ეროვნული გალერეის ხელმძღვანელობამ წინანდალში საგანგებო ექსპედიცია მოაწყო.

„იქ ნახეს მრავალი საინტერესო რამ: ალექსანდრე ჭავჭავაძის დროინდელ სურათებიდან სასადილო დარბაზში ვან-ზორის „ნატურ-მორტი“ ეკიდა...

იქიდან, სხვათშორის ჩამოტანილია: უცნობი ჰოლანდიელი მხატვრის ნამუშევარი „მამალი ინეიბში“, რომელიც მე-17 საუკუნით თარიღდება; იქიდანვეა „ქათამი ყვავილებში“, ვან-ზორნის „ნატურ-მორტი“, უცნობ ჰოლანდიელ მხატვრისაგე — „ლტოლვა“, — მე-17 საუკუნის უცნობი იტალიელი მხატვრის „ვენერას ტუალეტი“ და „წმინდა ოჯახი“. იქიდანვეა „პარისის არჩევანი“, მ. ვაინბერგის ქალების „შმაკობა“ და სხვა მრავალი.

ამ სურათებს ზურგის მხარეს წითელ ლუჭზე ორთავიანი არწივის გამოსახულებანი ერტყა. იქვე დაკრული იყო პატარა ეტიკეტები წარწერით «Из кабинета» რაც გარკვევით მიუთითებდა მასზედ, რომ სურათები ეკატერინე II-დან მოდიოდა.

მუზეუმ „მეტეხის“ მიერ შემდეგ დროში ამმართველმა ექსპედიციამ კახეთში (1935 წელს) თან ჩამოიტანა ასევე პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მამის, გარსევან ჭავჭავაძის პორტრეტი და პორტრეტი პოეტის დედის, მარიამის — გარსევანის მეუღლისაც*.

ა. ჭავჭავაძის დარბაზებში დაკიდებულ სურათებს განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველები.

1817 წლის 6 ივლისს, სოფელ წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა-გლეხის —ივანე სულხანის ძე მაისურაძისა და ელისაბედ ივანეს ასულის ოჯახში დაიბადა შემდეგში ქართული რეალისტური ფერწერული პორტრეტის შესანიშნავი ოსტატი გიორგი მაისურაძე.

გიორგი მაისურაძე პატარობიდანვე ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებს დაახლოვებია, მათი ოჯახის ხშირი სტუმარი გამხდარა. ოლიმპიადა გიორგის ასული მოგვითხრობს:

„მამას, პირველ ხანებში, უყვია რა თავისუფლად თავის მებატონის, — შემდეგ მისი გაწმათავისუფლებლის, — სასახლეში —წინანდალში, იქ ხშირად უნახავს თურმე დარბაზებში გამოფენილი საინტერესო სურათები. წინანდალშივე ზაფხულობით არა ერთხელ უნახავს, თუ როგორ ვარჯიშობდნენ ხატვაში ჭავჭავაძის ქალიშვილები და ამის გაკვლინით, მასაც უსურვებს ნახშირით. მისი გატაცება მხატვრობით ადრევე შეუმჩნეიათ.

წინანდალში ჩასულ სტუმარს, თუ მას რაიმე აკავშირებდა ხატვასთან, მამაჩემს ვერ აშორებდნენ. პატარა გიორგი მხატვარს თუ ხატვის მოყვარულ სტუმარს ჩირდილოვით უკან დასდევდა თურმე.

მამაჩემს ჭავჭავაძანთა ოჯახის და მათი სტუმრების ყურადღება ადრევე მიუქცევია, განსაკუთრებით ეს ყურადღება გაძლიერებულა რუსეთში წაყვანის წინა წლებში. პატარასათ-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.

ვის ყველაფერი ჰქონიათ — ქადაღდი, ფანქარი და სალბადაები.

ადრე მმართველისათვის ფერებით მუშაობა უსწავლებია ზაფხულობით წინანდალში ჩამოსულ ჭავჭავაძიანთ ოჯახის ნათესავ ქალს". ხელოვნებათმცოდნე შალვა კვასხვაძე მონოგრაფიაში „გიორგი მაისურაძე" წერს: „ჩვენი ვარაუდით ეს ქალი უნდა იყოს პრასკოვია, ნიკოლოზ ახვერდოვას ასული".

პატივცემული მკვლევარის ეს ვარაუდი მცირე შესწორებას საჭიროებს. „პრასკოვია, ნიკოლოზ ახვერდოვას ასული" კი არ იყო, არამედ არსენიევა გახლდათ, რომლის მეორე ქმარი იყო თეოფილე ისაევ ძე ახვერდოვი.

მხატვრის ქალიშვილის ცნობა, რომ პატარა გიორგი მაისურაძისათვის „ფერებით მუშაობა" უსწავლებია ზაფხულობით წინანდალში ჩამოსულ ჭავჭავაძიანთ ოჯახის ნათესავ ქალს, დასტურდება პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვას ქალიშვილის დარია ახვერდოვას ცნობით. იგი წერს: „ზაფხულობით ხშირად ჩავდიოდით ჭავჭავაძიანთ შესანიშნავ მამულში წინანდალში".

აი თვრმე იქ, წინანდალში — პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვა „პორტრეტისტი და მინიატურების ჩინებული მხატვარი" პატარა გიორგი მაისურაძეს „ფერებით მუშაობას ასწავლიდა".

გადიოდა დრო. ახალგაზრდა გიორგი მაისურაძე თანდათანობით ეუფლებოდა სამხატვრო საქმეს.

1830 წელს პრასკოვია-ახვერდოვამ საქართველო დასტოვა სამუდამოდ და პეტერბურგში დაბრუნდა. ოცდათორმეტი წლის შეთვრეულებასთან დაკავშირებით ალექსანდრე ჭავჭავაძე ჯერ ტაბმოვში გადასახლეს მერე პეტერბურგში გაიწვიეს. და აი, ჭავჭავაძის სახლობამ წერილით სთხოვა პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ჭავჭავაძეს სამხატვრო საქმის შესასწავლად გიორგი მაისურაძე რუსეთში გამოეწვია. ალექსანდრემ ოჯახს თხოვნა შეუსრულა.

პეტერბურგში ჩასული ყმა-გლეხი, გიორგი მაისურაძე ალექსანდრე ჭავჭავაძემ გაათავისუფლა და ყმობიდან განთავისუფლება სათანადო სიგელით დაადასტურა.

ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძე ამ სიგელის გამო წერს:

„დოკუმენტის მიხედვით საბოლოოდ გარკვეულია, რომ მოსანერაძე ალექსანდრე ჭავჭავაძემ გაათავისუფლა ქ. პეტერბურგში 1837 წლის ივნისში, ხოლო აქტის საბოლოო ძალაში შესვლა კი, ე. ი. ხელმოწერა მოხდა 1837 წლის აგვისტოს 13 დღესა. აღრეთვე ეარკვევითაა ნათქვამი, რომ სამუდამოდ მივეცი თავისუფლება ჩემს საკუთარ გლეხს გიორგი მაისურაძეს შვილ ივანესთან. ისიც გარკვეულია, რომ გიორგი მაშინ ყოფილა უკოლო და რომ ადრე უცხოურია სოფელ წინანდალში.

სიგელში ასევე ნათქვამია ნათქვამი, რომ მაისურაძე გაუნთავისუფლებია „ორი წლის განმავლობაში ფერწერასა და ხატვაში გამოჩენილი უჩვეულო წარმატებათა ჭაქუზებისათვის", **რომ ახალგაზრდა ყოფილა „მონდომებული** და ამასთანავე ნიჭიერიც".

განსაკუთრებით საინტერესოა სიგელის ერთი ადგილი ალექსანდრე ჭავჭავაძის დასახასიათებლად; იგი პოეტის დიდ სიზოგადოებრივ შეგნებაზე მიუთითებს: „განეთარდეს და გაიფურჩქნოს საზოგადოებრივ საქმისათვისო". ჩანს, ასევე დიდ მნიშვნელობას აძლევდა პოეტი მხატვრობასაც — სასარგებლად მხატვრობისა ეჩიქნი მას თავისუფლებასო".

განსაკუთრებით საინტერესოა სიგელის ის ადგილი, სადაც განთავისუფლების პირობაა წარმოდგენილი; სხვათა შორის, სიგელში მოცემული პირობა არ უნდა იქნას სიტყვეი სიტყვით პირდასარი გაგებული. ცალკეული მუხლები ამ შემთხვევაში ჭაქუზებასა და წაზალისების მიზნით არის წამოყენებული; ხომ ცნობილია რომ ერთხელ განთავისუფლებული ყმის ისევ ყმად გადაქცევის უფლება არ არსებობდა საერთოდ.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ასევე კარგად იცოდა ისიც, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ, როგორი ხარისხითაც არ უნდა დაემთავრებინა იგი მოსწავლეს, აკადემია მას კანონის მიხედვით მაინც ათავისუფლებდა მოხარკეობისაგან. აქედან ცხადია, რომ აქუნ მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდის ჭაქუზებისათვის წერს ჭავჭავაძე ამ პირობებს და ამით ამავე დროს იგი ნათლად გამოხატავს თავის მაღალ მოქალაქეობრივ ზნეობასაც: „ჩემ მიზანთა სავსებით გამართლებისათვის ეანთავისუფლებ ამ ჩემ ადამიანი ყოველგვარი ვალდებულებებიდანაო". ამ სიგელის მიხედვით იგი ყოველგვარ ვალდებულებებსა და სახელშეფოებრივ გადასახადებს, ყოფნენის ახალგაზრდისა, თავის თავზედ იღებს...

გ. მაისურაძეს, როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, თავის თარხნობის სიგელი სწორედ 1837 წლის 27 სექტემბერს, ტაბანინ თხოვნასთან ერთად გადაეცა დირექციისათვის.

თხოვნის საპასუხოდ აკადემიის დაახლოებით 18 დღის შემდეგ მისთვის მიეცია ბილეთი 577 ნომრით. ამით მაისურაძეს ნება ეძლოდა, როგორც აკადემიის გარეშე მოწაფეს. აკადემიის კლასებში ხატვის ხელოვნებაში მეცადინეობისა და პეტერბურგში ცხოვრებისა 6 წელი ვადით, მაგრამ სხვა საქმიანობას აირჩევდა — „უკიდურეს შემთხვევაში კი მაგრამ, სანამ იგი ღირსი გახდებოდა თავისუფალი (კლასგარეშე) მხატვრის წოდების მიღებისა"

—მაისურაძეს ამ ბილეთის მიხედვით შეეძლო თავისუფლად ეცხოვრა პეტერბურგში.

ბილეთი მან 1837 წლის 16 ოქტომბერს მიიღო და მიღების გამო ხელიც კი მოაწერა. ამავე საგაზეთ პეტერბურგის ობერპოლიციმეისტრისათვის სამხატვრო აკადემიის მმართველ კი გაუგზავნია, რომლითაც აკადემია აცნობებს ობერპოლიციმეისტერს დაწერილებით ყოველივეს დწყებული მოსწავლის ვინაობიდან გათავებულო თვით სწავლის ხანგრძლიობის ვადის აღნიშვნით".

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულ გიორგი მაისურაძეს დაუხატია როგორც თავის ოჯახის წევრთა, ისე მახლობელთა პორტრეტებიც. მხატვრის ქალიშვილი ოლიმპიადა მოგვითხრობს:

„ამ დროს (იგულისხმება აკადემიის დამთავრების მომდევნო პერიოდი, ვიდრე 1846 წლის შემოდგომამდე — ი. ბ.) როგორც მამა იტყოდა ხოლმე, მას დაუხატია მისი განმათავისუფლელის, — სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტი, პოეტის გარდაცვალებამდე ერთი წლის თუ წლინახევრით ადრე... მამაჩემის სიტყვით, ქალების სურათი მას ეშვიათად უხატავს... ერთი პირველთაგანი, მის მიერ დახატული ქალის პორტრეტი ალექსანდრეს მეუღლის პორტრეტი ყოფილა. შეიძლება რომ ეს პორტრეტები დღესაც იყოს სადმე შემონახული. სხვათა შორის მე მახსოვს მამაჩემის მიერ დახატული, დედაჩემის პორტრეტიც შესრულებული აკვარელით".

ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძეს საკმაო ხნის ძებნის შემდეგ მიაკვლია ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის სალომეს პორტრეტებს შესრულებული გიორგი მაისურაძის ხელით. შ. კვასხვაძე გადმოგვაცემს:

„დიდხანს ვეძებდი პორტრეტს ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის და მისი მეუღლის — სალომე ორბელიანის — ჭავჭავაძისა... და მართლაც, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის, ფერწერის განყოფილების ფონდებში, ნახული იქნა ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის პორტრეტი, რომელიც ადრე მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის უცნობ ოსტატს მიეწერებოდა.

ეს პორტრეტი ადრე საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კუთვნილებას შეადგენდა. საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით იგი წარმოადგენს გენერალ-ლეიტენანტს ალექსანდრე გარსევანის ძის ჭავჭავაძის პორტრეტს; ამ პორტრეტის ადრინდელი პატრონი ნიკოლოზ ივანეს ძე საგინაშვილი ყოფილა და ფონდში მისგანვე შესულა 1910-12 წლებში; ეს სურათი იქ ირიცხებოდა № 30-ით, შემდეგ კი იგი გადაცემული ყოფ ხელოვნების მუზეუმის ფონდში, სადაც ინახებოდა "ინფრონ 583/ВК 303; ხელოვნების მუზეუმის ფერწერის განყოფილებაში იგი პირველად ჩვენს მიერ იქნა აღრიცხული.

მეორე — სალომე ორბელიანის — პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლის — პორტრეტი, კი მუზეუმში მოიტანა ქართული ხელოვნების ნიმუშების თავმოყრის დაფუძნებამ ეროვნულისტმა ქალმა ანა ბუკეიშვილმა მეზრანსკაიამ — წიგნის „ბერეზინის" ავტორის ნიკო მეზრანელის მეუღლემ — 1939 წლის 29 აპრილს; სურათი მაშინ შეძენილი იქნა და აყვანილი აღრიცხვაზე №3/ВК 301. მოტანისას ი. ბ. მეზრანსკაიამ განაცხადა, რომ მეზეუმში მის მიერ მოტანილი პორტრეტი სალომესი, გადმოცემის მიხედვით, „დახატულია სალომეს ოჯახის ე. ი. ჭავჭავაძთა მიერ ყრმობიდან განთავისუფლებული კაცის ხელითო".

საყურადღებოა, რომ ეს პორტრეტი დაცული ყოფილა საგინაშვილის ოჯახში; საგინაშვილები ორბელიანებთან (სალომე ხომ ორბელიანის ქალი იყო) და ჭავჭავაძეებთან ახლო ურთიერთობაში ყოფილან. საქმის ფაქტიური მხარის მიხედვით საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდის სურათიც (№ 30), რომელიც ალ. ჭავჭავაძის პორტრეტს წარმოადგენს, უდავოდ უნდა მიეკუთვნოს გ. მაისურაძის კალამს".

როგორც ვნახეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის მაღლი არ დაიკარგა. მისი წყალობით გიორგი მაისურაძე სახელოვანი მხატვარი გახდა.

გრიგოლ დადიანის შეხვედრები ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ეტერბურგში

სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ძე გრიგოლი, წერეთლობაში კოლხიდელად ცნობილი, 1834 წელს პეტერბურგს გიგზავნეს, სადაც ლეიტენანტიის გრენადერთა პოლკში გაწესეს.

1834 წლის ბოლოს, თუ 1835 წლის დასაწყისში, კაკუასიის მთავარმართებელ გრიგოლ როზენთან ერთად, როგორც მისი ადიუტანტი, პეტერბურგს ჩავიდა გრიგოლის ძმა დავითიც. ილია მეუნარაგი წერს:

„ესენი ჩამოხტნენ თავ. მიზეიდ დონდუკოვ-კორსაკოვთან, მთავარმართველის მამასთან, რომელიც ადრე როზენის ადიუტანტი იყო და ამგვარად, გრიგოლმა ვიიენი მომავალი მთავარმართველი ნახევარი საუკუნის წინათ იმის კაკასიაში დანაშენისა".

გრიგოლ დადიანი რამდენჯერმე შეხვედრია

იაკობ ბალანჩივაძელი
ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მათ ერთად ყაზანის სობოროც დაუთვალიერებიათ. ეონა მეუნარგია გადმოგვცემს:

„ამავე დროებაში მოვიდა პეტერბურგს თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძე... პეტერბურგის ცხოვრებიდან ამითი განწყობილებას სახსოვრად მე მხოლოდ ეს უმნიშვნელო რამე-რუმე გამოგონია თვითონ დადიანისაგან.

ერთხელ, როცა ალ. ჭავჭავაძე და დადიანი შეეფდნენ ყაზანის სობოროში, პირველმა თხა უკანასკნელს:

— როგორ გგონია, გრიგოლ, ეს სობორო უფრო დიდია, თუ მცხეთა?

— ეს სობორო.

— არა, ცდები, მცხეთა უფრო დიდია, — უთხრა ჭავჭავაძემ“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით დადიანიც შეხვდა პეტერბურგში ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

დახახრული იქნება

ნახატები დმიტრი ერისთავისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი **რედაქტორი — 99-89-44.** მდივანნ-მემანქანე — **93-53-35.** პ. მგ. მდივანი — **99-71-69.** განყოფილებათა გამგეები — **99-85-81.** პროზის — **99-84-66.** ლიტერატურული თანამშრომლები — **99-75-69.** „ცისკრის“ დამატება — **93-17-63.** საკორექტორო — **99-85-28.**

გადაეცა ასაწყობად 24/IX-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XI-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ-საგ. თაბახი 14,35. შეკვეთა № 3225. უე 00914. ტრაჟი 28.000

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ภาพที่ ๑๐ ชาวอินเดียนแดงกำลังล่าสัตว์

ภาพที่ ๑๑ ชาวอินเดียนแดงกำลังล่าสัตว์

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236